ჯონ ბევირი

USA TODAY BEST-ს ბესტსელერი

გაამრავლე ღვთისგან ბოძებული პოტენციალი

წიგნს „გაამრავლე“ თან ერთვის
DVD რესურსდისკი

ძვირფასო მეგობარო

თითოეული ჩვენგანი ღვთისგან შეიქმნა იესო ქრისტეში კეთილი საქმეებისთვის. თქვენ ხელახლა იშვით ღვთის შვილად მისი უსასყიდლო მადლით და იგივე მადლმა გარკვეული მიზნისთვის გაგაძლიერათ. იცით და აცნობიერებთ თუ არა ღვთისგან მოცემული ნიჭებისა და უნარების საოცარ შესაძლებლობას მიზნის აღსასრულებლად?

ღვთივბოძებული საჩუქრები, ნიჭები და უნარები თქვენ არ გეკუთვნით; ის სხვა ადამიანებს მიეცა თქვენი მეშვეობით. ღვთის მიერ სხვებისთვის განკუთვნილს თქვენში ატარებთ. ყოველ ჩვენგანს სჭირდება ამ ნიჭების ამოცნობა და ერთგულად განკარგვა მტკიცეგადაწყვეტილებით, რომ ისინი სხვათა სასიკეთოდ და ცათა სამეფოს გავრცელებისთვის გამოიყენოთ.

ნეტარი და კურთხეულია პიროვნება, რომელმაც იცის, რა ნიჭები აქვს და მათში მოქმედებს. საცოდავი და დათრგუნულია ადამიანი, რომელიც სხვების ნიჭების მორგებას ცდილობს. ღვთისადმი ერთგულებით, მასთან თანამშრომლობით და მისი ცხებულების ქვეშ მოქმედებით ჩვენი ნიჭების მოსვენების მდგომარეობიდან გამრავლებას უფრო უნდა ვესწრაფოდეთ, ვიდრე დაძაბულობით და დიდი მცდელობით.

ნიჭით დაჯილდოვებული და ღვთის მადლითა და ძალისხმევით გაძლიერებული ხართ! დაე, მტკიცე გადაწყვეტილებამ აგამოძრაოთ ღვთის დიადი საქმეების საკეთებლად!

თქვენთან ერთად,



ჯონ ბევირი
JohnBevere@ymail.com

MessengerX.com

MESSENGER INTERNATIONAL
MessengerInternational.org

ჯონ ბევირი
USA TODAY-ს ბესთსელერი

გაამრავლე ღვთისგან ბოძებული პოტენციალი

X: Multiply Your God-Given Potential by John Bevere, Georgian
© 2021 Messenger International
MessengerInternational.org
Originally published in English as *X: Multiply Your God-Given Potential*
Additional resources in Georgian by John and Lisa Bevere are available
for free download and video streaming at: **MessengerX.com** and on the **MessengerX** App.
To contact the author: JohnBevere@ymail.com

This book is a gift from Messenger International and is
NOT FOR SALE

X*: *„გაამრავლეთ ღვთისგან მოცემული პოტენციალი“ ჯონ ბევირისგან, ქართულად
© 2021Messenger International
MessengerInternational.org
ორიგინალი დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე: *X: Multiply Your God-Given Potential*
დამატებითი რესურსები ქართულ ენაზე ჯონ და ლიზა ბევირებისგან მიიღეთ უფასო ჩამოსათვირთი მასალებისა და ვიდეო-ნაკადის სახით: **MessengerX.com** და ასევე **MessengerX** App.
ავტორთან კონტაქტისთვის ისარგებლეთ შემდეგი ელექტრონული ფოსტით: JohnBevere@ymail.com

ეს წიგნი მესინჯერ ინტერნეშნალის საჩუქარია და განსაზღვრული არ არის გასაყიდად.

App Store არის Apple Inc.- ის აშშ-სა და სხვა ქვეყნებში რეგისტრირებული სავაჭრო ნიშანი. Google Play და Google Play logo არის Google LLC- ის სავაჭრო ნიშანი.

ეძღვნება ჩვენი ვაჟების დიდებულ მეუღლეებს ...

მე და ლიზას გულით გვიყვარხართ და თითოეული
თქვენგანი ქვემოთ ჩამოთვლილი და მრავალი სხვა
საუკეთესო თვისებით ხასიათდებით, მაგრამ
ესენი უფრო თვალსაჩინოა.

ჯულიანა
ედისონზე დაქორწინდა 2009 წლის 25 ოქტომბერს.
საყვარელი და ბრძენი ხარ!
ყოველთვის ჩემი პირველი ქალიშვილი იქნები.

ჯესიკა
ოსტინზე დაქორწინდა 2018 წლის 24 სექტემბერს.
კეთილი და საუცხოო ხარ!
სიხარული ავსებს გარემოს, სადაც კი წახვალ.

ქრისტინი
არდენზე დაქორწინდა 2018 წლის 18 ნოემბერს.
მადლით სავსე და სათუთი გულის პატრონი ხარ!
ლამაზად გიყვარს ჩვენი ვაჟი.

მომავალი მისის ალეკ ბევირი
ჩემი გული ესწრაფვის მომავალ ასულთან შეხვედრას.
უკვე გულით მიყვარხარ.

თითოეულმა თქვენგანმა დიდი სიხარული მოგვიტანა მე
და ლიზას.მადლობას გიხდით ჩვენი ოჯახის
გამრავლებისთვის.
სამუდამოდ ჩვენი ქალიშვილები.

შინაარსი

წიგნის შესახებ **VII**

1. პუნქტების დაკავშირება **1**

2. მინიჭებული უნარები **16**

3. წრფელად შეაფასეთ საკუთარი თავი **32**

4. მნეები **43**

5. ერთგული **61**

6. გულმოდგინება და გამრავლება **79**

7. დიდი გამრავლება **95**

8. სტრატეგიული იდეები **111**

9 დაბანდება **127**

10. კატალიზატორი **147**

11. მომბაძეთ მე **163**

12. გამრავლების დაბრკოლებები I **183**

13. გამრავლების დაბრკოლებები II **197**

14. აღმოაჩინეთ და განავითარეთ თქვენი ნიჭი **211**

15. ცხებული **230**

დანართი **241**

მადლიერება **243**

წიგნის შესახებ

წიგნის ფურცლებზე ბიბლიურ მიგნებებსა და სტრატეგიებს იპოვით, რაც თქვენი მიზნის აღმოჩენის, შინაგანი ცეცხლის ანთებისა და პოტენციალის გაცნობიერების ძალას მოგცემთ. თითოეულ თავს დასაფიქრებელი კითხვები ახლავს, რომლებიც ნასწავლის გათავისებაში დაგეხმარებათ.

თუკი გამრავლების საკითხზე მეტის შეტყობას მოისურვებთ, ამისთვის დამატებითი მასალა მოვამზადე ვიდეოგაკვეთილების, თანმხლები მითითებებისა და სხვა ონლაინ-რესურსების სახით, რომლებიც ინდივიდუალური და ჯგუფური შესწავლისთვის გამოიყენება. ამ მასალასთან წვდომა შესაძლებელია დამოწაფების რესურსების მთელ ბიბლიოთეკასთან ერთად ვებგვერდზე, **MessengerX.com**. მას მილიონობით ადამიანი იყენებს და ჩვენი მიზანია მისი ადვილადმისაწვდომობა საცხოვრებელი ადგილის, ენის ან ფინანსური მდგომარეობისგან (რაზეც ამ წიგნში უფრო მეტს გაიგებთ) დამოუკიდებლად. რამდენიმე წუთი გამოყავით გვერდის დასათვალიერებლად და ჩვენი მაუწყებლების მსოფლიო საზოგადოებას შეუერთდით.

კითხვების არსებობის შემთხვევაში არ მოგერიდოთ ჩემთან ან მესინჯერ ინტერნეშნალის გუნდთან დაკავშირება.

გამხნევდით!
ჯონი

„სიბრძნის საწყისი უფლის შიშია ...

ჩემით გაგიმრავლდება დღენი და

მოგემატება სიცოცხლის წლები.

თუ დაბრძენდი, შენთვის დაბრძენდი...“

იგავები 9:10-12

1

პუნქტების დაკავშირება

2012 წელი იდგა. ლოს-ანჯელესის არეალში ერთ-ერთი ეკლესიის უქმეების მსახურებებზე სიტყვით გამოსვლას ვგეგმავდი. ჩემი ჩვეული გრაფიკი ასეთი გახლდათ – შაბათს ნაშუადღევს მივფრინავდი, საღამოს და კვირა დილას მსახურებებს ვატარებდი და ნაშუადღევს სახლში ვბრუნდებოდი. ახლა ამ დადგენილ წესს შეცვლა ემუქრებოდა.

ჩვენი მსახურების ერთ-ერთმა პარტნიორმა, რომელსაც სტენს ვუწოდებ, დამირეკა და ცნობილ Riviera Country Club-ში გოლფის თამაში შემომთავაზა. დიდხანს არ მიყოყმანია, რადგან იქ თამაში ჩემს სურვილთა სიაში გახლდათ, ასე რომ, ენთუზიაზმით ვუპასუხე: „რასაკვირველია, დიდი სიამოვნებით!“

ნება მომეცით, გიამბოთ ამ ამბის წინარე ისტორია. ოცდათხუთმეტ წელზე მეტი ხნის მოგზაურობისა და ღვთის სიტყვის ქადაგების განმავლობაში გოლფის თამაშისადმი ჩემი სიყვარული შიგადაშიგ თავს იჩენდა ხოლმე, როცა აუდიტორიას მივმართავდი. დაუგეგმავი, მაგრამ სასიამოვნო მოვლენა იყო მსოფლიოში უმშვენიერეს გოლფ-კლუბებში თამაშის რამდენიმე შემოთავაზება. ეს მართლაც ერთ რამედ ღირდა.

იმდღევანდელი მოწვევა განსაკუთრებული იყო. რივიერა გამორჩეული კერძო კლუბი გახლდათ და მასში თამაშის უფლების მოპოვება არც ისე ადვილი იყო. იგი ყოველ წელს მასპინძლობდა PGA ტურნირს, რომელსაც Genesis Invitational ეწოდებოდა (ადრე ცნობილი იყო როგორც ლოს-ანჟელესის ღია ჩემპიონატი). ის ასევე მასპინძლობდა მთავარ ტურნირებს, როგორებიც იყო აშშ-ს რამდენიმე ღია ჩემპიონატი, PGA ჩემპიონატები, აშშ-ს მოყვარულთა ტურნირი და სხვა საპატიო შეჯიბრებები.

სტენმა შაბათს დილაადრიან წამიყვანა საოცნებო რაუნდზე. ვითარებას კიდევ უფრო სასიამოვნოს ხდიდა ის ფაქტი, რომ ჩემმა ახლო მეგობარმა, აარონ ბადლიმ წინა წელს მოიგო

ლოს-ანჯელესის ღია ჩემპიონატი. მოუთმენლად ველოდი, რომ გონებით გადამეთამაშებინა 2011 წლის ტურნირის გამარჯვებულის ზოგიერთი გამორჩეული დარტყმა!

პირველი ოთხი ფოსოდან დავიწყე და პარს სამით გადავაჭარბე (ნერვებს მთელი ძალისხმევა შევალიე), მაგრამ რაუნდი ორი გადაჭარბებით დავასრულე. მე და სტენმა ერთად შესანიშნავი დრო გავატარეთ. შეიძლება ითქვას, რომ ეს დასამახსოვრებელი დილა გახლდათ.

ლოს-ანჯელესის ცენტრალურ ნაწილში, ჩემს სასტუმრო ნომერში რომ ვბრუნდებოდით, სტენმა გულახდილად მკითხა:

– ჯონ, შეიძლება შენთან ერთი საჭირბოროტო საკითხის გარკვევა?

– რასაკვირველია.

მან მეტად მგრძნობიარედ და გულწრფელად დასვა კითხვა:

– ჯონ, დაუღალავად და გულმოდგინედ ვშრომობ. დიდი დრო დავუთმე ბიზნესის აწყობას უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე. ჩემი ქსელის ღირებულება ახლა, დაახლოებით, 9 მილიონს უტოლდება. ყველაფერი შესანიშნავად მიდის ჩემს ამჟამინდელ კლიენტებთან. ამ მძიმე შრომის შედეგია, რომ ცოლ-შვილი ფინანსურად სიცოცხლის ბოლომდე უზრუნველყოფილი მყავს“.

შემდეგ მან კითხვა დამისვა:

– ახლა ორმოცდაათს გადავცდი და რატომ უნდა ვიმუშავო იგივე ტემპით? რატომ უნდა ვიბრძოლო იმისთვის, რომ ჩემი ბიზნესის ღირებულება 35 მილიონამდე გავზარდო მომდევნო ათწლეულებში?

სულიწმიდამ მაშინვე მომაწოდა ბრძნული პასუხი.

– მოდი, ერთ სურათს წარმოგიდგენ, ვუთხარი მე, – დავუშვათ ასე გეუბნები: „სტენ, დიდი შრომა გავწიე ჩვიდმეტი წიგნის დასაწერად, რომლებიც ოთხმოცზე მეტ ენაზე ითარგმნა და გამოცემული ეგზემპლარების ოდენობა მრავალ მილიონს გადასცდა. ბოლო ოცდახუთი წლის განმავლობაში ათ მილიონ მილზე მეტი გადავლახე, დღე-ღამის რიტმის არაერთგზის დარღვევა გადავიტანე, უცხო ქვეყნებში უცნაურ საჭმელებს ვჭამდი და სასტუმროს პაწაწინა ოთახებში ვიძინებდი – და ეს ყველაფერი იმისთვის, რომ სახარება მთელ მსოფლიოში მექადაგა. ახლა მსახურება კარგად აეწყო და ფინანსებიც სტაბილურად შემოდის. ლიზა და ბავშვები უზრუნველყოფილი არიან. რატომ უნდა გავაგრძელო იგივე ტემპით?“

იდეალური ვითარება შეიქმნა. მან ჩაიცინა და ასე მიპასუხა:

– არ ვისურვებდი შენს ადგილას ყოფნას მაშინ, როცა იესოს წინაშე წარდგები.

მე დაუყოვნებლივ ვუთხარი:

– სტენ, ზუსტად იგივე მითხარი შენს ბიზნესთან დაკავშირებით.

ღიმილი მაშინვე წაეშალა სახეზე და გაოგნებულმა მზერა გზატკეცილიდან ჩემკენ გადმოიტანა:

– ეს რა კავშირშია?

– სტენ, ღმერთმა თავისი შვილები ცათა სამეფოს მშენებლობისთვის საჭირო ნიჭით დააჯილდოვა. როგორც არ უნდა იყოს, მნეები ვართ და ამ ნიჭების გამოყენება ნებისმიერ დროს შეგვიძლია შემდეგი გზების მეშვეობით:

„გამოვიყენებთ ცათა სამეფოს ასაშენებლად.
გამოვიყენებთ საკუთარი თავისთვის.
საერთოდ უგულებელვყოფთ მათ“.

სტენის ყურადღება მივიპყარი და გავაგრძელე:

– წერა და ქადაგება ჩემი ცხადი ნიჭებია, რომლებიც ჩემს საქმიანობასა და ფინანსების გაცემას უკავშირდება. შენ გაიცინე ჩემ მიერ დახატულ სურათზე! თუმცა შენი მდგომარეობაც ისეთივეა. ფაქტობრივად, შენი უფრო მნიშვნელოვანიც კია, მაგრამ კავშირი ვერ დაინახე!

ასე ვაგრძელებდით საუბარს. ეს მავსებდა და თან სიამოვნებით ვადევნებდი თვალს სტენის აზრებისა და დამოკიდებულებების ცვლილებას.

ექვსი კვირის შემდეგ სტენს დავურეკე და მოვიკითხე. კიდევ ერთი დაუვიწყარი საუბარი შედგა.

– სტენ, როგორ ხარ?

– გინდა გულახდილი ვიყო? – მისმა პასუხმა გამაოცა.

– რა თქმა უნდა!

– ექვსი კვირის წინ ნათქვამმა შენმა სიტყვებმა შემაშფოთა კარგი გაგებით.

– რა მოხდა?

მან გაიცინა და სწრაფად დაიწყო ლაპარაკი:

– ყოველ ღონეს ვხმარობ, რომ ჩემი ბიზნესი 35 მილიონამდე გავზარდო ცათა სასუფევლის გულისთვის.

– ყოჩაღ!

სტენმა გააცნობიერა რეალობა, რომ იგი ცათა სამეფოს წინსვლის უბრალო დამკვირვებელი კი არა, ამ პროცესის უშუალო მონაწილე გახლდათ. მან დაიჭირა ხედვა, რომელიც მრავალს უსხლტება თვალთახედვის არედან, რომ მისი უნიკალური შესაძლებლობები არა მხოლოდ დროით განსაზღვრული სამყაროსთვის, არამედ მარადიულობისთვის არის გამოსადეგი. ახლა ის უკვე აცნობიერებდა, რომ ღვთივბოძებული ნიჭი უფრო დიდი მიზნისთვის აქვს მოცემული და არა მარტო მისთვის და მისი ოჯახისთვის. დიდად მადლიერი ვარ, რომ სტენი პირდაპირი, წრფელი და თავმდაბალი იყო. ამ თვისებებმა გული გაუხსნა ჭეშმარიტების მისაღებად, რომელიც მის ცხოვრებას შეცვლიდა. მისი დამოწმებიდან გამომდინარე, მრავალი სხვა ადამიანის ცხოვრებაც შეიცვალა.

სტენს გონების განათება ამ წიგნის მთავარი თემის გამრავლებისა და თვალსაჩინოდ წარმოჩენის მოტივაციად ექცა. ჩემი მრავალწლიანი მოგზაურობის მანძილზე სხვა მორწმუნეებთან საუბრებში გამაოგნებელი რეალობა აღმოვაჩინე, რომ ბევრი მათგანი სტენისგან განსხვავებულად როდი ფიქრობს. ფაქტობრივად, კუთხეში თუ მიმაყენებდნენ, ვიტყოდი, რომ უმრავლესობა ამ დღეშია. თუმცა სტენივით გულწრფელები არ არიან და საუბრის მიმდინარეობისას მათი საქმიანობის მარადისობასთან კავშირის არქონა სახეზეა.

თუ თქვენი ცხოვრების მიზანთან დაკავშირებით კითხვები გაწუხებთ, მიხარია, რომ ჩემი წიგნი ხელთ გაქვთ. წრფელად ვიმედოვნებ, რომ თქვენი აზროვნებაც შეიცვლება.

სტენივით გულწრფელი იყავით საკუთარ თავთან; ეს დაგეხმარებათ თქვენი ცხოვრების მნიშვნელოვან პუნქტებს შორის კავშირის დადგენაში. აღმოაჩენთ და მტკიცედ ირწმუნებთ ღვთივბოძებული უნიკალური ნიჭების გამრავლების საკითხს. თქვენც ისევე ხართ მოწოდებული ღვთის მიერ, როგორც თქვენი პასტორი ან მე. თქვენი მოწოდება ისეთივე კანონიერია, როგორც დიდებული ბილი გრემის ან სხვა რომელიმე ცნობილი მსახურისა.

ამ წიგნში განვიხილავთ, თუ როგორ აღმოვაჩინოთ, განვავითაროთ და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გავამრავლოთ პირადად თქვენი მოწოდების გამამდიდრებელი ნიჭები. ღვთის სიტყვა და აქ მოყვანილი ამბები რწმენას განგიმტკიცებთ საკუთარი შედეგიანობის უხვი ზრდის მოსატანად. პირველწყაროდან ვიცი, რადგან თავად განვიცადე ამ წიგნის ბეჭდვისა და რედაქტირებისას.

გამიზნულად შობილი გარკვეული მიზნისთვის

დავიწყოთ წმიდა წერილის ნაცნობი ადგილის გამოკვლევით:

„ვინაიდან მადლით ხართ გადარჩენილნი, რწმენის მეშვეობით, და ეს თქვენგან კი არაა, არამედ *ღვთის საჩუქარია.* არა საქმეთაგან, რათა არავინ დაიკვეხნოს“. (ეფეს. 2:8-9)

ამ ორ მუხლში ყურადღება ღვთის მადლზე მახვილდება. ცხადია, რომ მადლით ვართ გადარჩენილი და ეს ნიჭი ღმერთმა გვიბოძა. ოცდამეერთე საუკუნის ეკლესიამ შესანიშნავი შრომა გასწია ამ ჭეშმარიტების გადმოსაცემად. ვერასოდეს შევძლებთ საკმარისად გულმოდგინე შრომას, წმიდად ცხოვრებას ან იმდენი მსხვერპლის გაღებას, რომ ჩვენს შემოქმედთან, ყოვლისშემძლე ღმერთთან მარადისობის გატარების პრივილეგია მოვიპოვოთ. ეს ნაცნობი მუხლები ერთ-ერთია, თუ უმთავრესი არა, სადაც მნიშვნელოვანი ჭეშმარიტება არის გადმოცემული. და მაინც უნდა ითქვას, რომ მომდევნო აზრი ხშირად უგულებელყოფილია:

„*ვინაიდან* მისი ქმნილებანი ვართ, ქრისტე იესოში შექმნილნი, კეთილი საქმეებისთვის, რომლებიც წინასწარ გაგვიმზადა ღმერთმა, *რათა* ამ საქმეებში ვიაროთ“. (ეფეს. 2:10)

ყურადღება მიაქციეთ, რომ მეცხრე მუხლის მომდევნო სიტყვა გახლავთ „*ვინაიდან*“. ეს არის კავშირი, რომელიც ორ განაცხადს აერთიანებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აზრის დასაწყისი თავისთავად დასრულებული არ გახლავთ. სიტყვა „*ვინაიდან*“ ნიშნავს „ამის გამო“. ამრიგად, მე-10 მუხლის უგულებელყოფა არ შეიძლება, როცა მე-9-სა და მე-10-ზე ვლაპარაკობთ. სხვა შემთხვევაში გადმოსაცემი აზრის სრულ მნიშვნელობას ვერ გაიგებთ.

მე-10 მუხლი აცხადებს, რომ ჩვენ მისი ქმნილებანი ვართ და ამის მიზანი კეთილი საქმეების კეთება გახლავთ. ამრიგად, არსებითად, პავლე ასე ამბობს ზემოხსენებულ მუხლებში:

„მადლით ვართ გადარჩენილი, რომ *პირველ რიგში*, ვიყოთ ღვთის შვილები და იგივე მადლი გვაძლიერებს, რომ *რაღაც ვაკეთოთ*“.

არასოდეს მეტისმეტად არ უნდა გავამახვილოთ ყურადღება ერთ ჭეშმარიტებაზე და მეორე უგულებელვყოთ. ნება მომეცით, გამოვკვეთო, რომ იესო ქრისტეში ჩვენს რაობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკეთებელ საქმეებში, რადგან *რასაც არ უნდა ვაკეთებდეთ, ქრისტეში ჩვენი რაობიდან უნდა მომდინარეობდეს.*

ადვილია „რაღაცის კეთების“ უხერხულობისთვის თავის არიდება, რადგან ეს ცათა სამეფოს შენებისთვის შრომის ზეწოლისგან გვათავისუფლებს. სამწუხარო ის გახლავთ, რომ სწორედ ჩვენი შრომა გვმუხტავს ენერგიით. იესომ თქვა: „ჩემი საჭმელია - ვქმნა ჩემი მომავლინებლის ნება და დავასრულო მისი საქმე“ (იოან. 4:34). მან ასევე თქვა: „როგორც მე მომავლინა მამამ, მეც ისე მიგავლენთ თქვენ“ (იოან. 20:21). ამ ორი განაცხადის ერთმანეთთან დაკავშირებით ცხადად ვხედავთ, რომ ჩვენი საკვებია ვქმნათ და დავასრულოთ ჩვენი წარმგზავნელი იესო ქრისტეს ნება. სწორედ საკვები გვაძლიერებს. თუ არ ვჭამთ, ვსუსტდებით და მცირე რამისთვის თუ ვიქნებით გამოსადეგი.

მოდი, ახლა ეს ჩვენს სულიერ ცხოვრებაში გადავიტანოთ. თუ არ შევასრულებთ ჩვენი წარმომგზავნელი იესოს ნებას, დავსუსტდებით და ყოველგვარი ცდუნებისთვის მოწყვლადი გავხდებით.

იესოსთან ერთად სიარულის ორმოცი წლის მანძილზე შევნიშნე, რომ ადამიანების რწმენისგან ჩამოშორების უმთავრესი მიზეზი „საკეთებელი საქმის“ ნაკლებობაა. ისინი ზარმაცდებიან და უსაქმურობენ თავიანთ მოწოდებასთან დაკავშირებით. სანამ ამას გააცნობიერებენ, უკვე სიმთვრალის, უზნეობის ან იმ ინტერესების დამატყვევებელ თვითკმაყოფილებაში აღმოჩნდებიან, რომლებიც ქვეყნიერების პრინციპებით ცხოვრების წესისკენ ეწევიან. ისინი სულიერ ძალას კარგავენ. აი, დასკვნა:

გვაძლიერებს ის, რასაც ვაკეთებთ.

ნება მომეცით, ამ სამი მუხლის ჭეშმარიტება ხელახლა განვაცხადო. თქვენ ზეციდან იშვით მადლის უსასყიდლო ნიჭით, რომ ღვთის შვილები გამხდარიყავით და იგივე მადლით ძლიერდებით გარკვეული საქმეების საკეთებლად. წერილი აცხადებს, რომ ღმერთთმა ყოველი ჩვენგანის საკეთებელი საქმეები წინასწარ დაგეგმა. დავითი წერდა:

„ჩემი ჩანასახი იხილეს შენმა თვალებმა და შენს წიგნში იყო ჩაწერილი ჩემი მომავალი დღეები, როცა ჯერ კიდევ არ იყო არც ერთი მათგანი“. (ფს. 139:16)

ღმერთმა წინასწარ დაგეგმა რაღაცეები თქვენს დაბადებამდე. რეალურად, მან ეს საქმეები თავის წიგნში ჩაწერა! მისი მასშტაბის წარმოდგენაც კი ძნელია, რადგან მასში ჩვენი ცხოვრების ყოველი წამია აღბეჭდილი. ღმერთმა ხსენებული დავალებები მისი სამეფოს შენების საქმეს დაუკავშირა. მისი გულითადი სურვილია ჩვენი ცხოვრებისთვის დასახული გეგმების შესრულება, თუმცა გარანტირებული არ არის, რომ ამას გავაკეთებთ. ყურადღება მიაქციეთ ეფეს. 2:10-ის ბრძანებით (მოთხოვნით) კილოს. აქ არ არის ლაპარაკი, რომ სასურველია ვიაროთ ამ საქმეებში, არამედ უნდა ვიაროთ მათში. სწორედ აქ ჩნდება სცენაზე ჩვენი თავისუფალი ნება. ღმერთმა წინასწარ გაგვიმზადა საქმეები, მაგრამ ჩვენზეა დამოკიდებული, ვივლით თუ არა მისი გეგმის მიხედვით.

მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ იესოს სამსჯავრო ტახტის წინაშე წარდგომისას (სადაც ჯილდოებს მივიღებთ ჩვენი ქრისტიანული ღვაწლისთვის ან დავზარალდებით მისი უგულებელყოფის გამო), იგი ზემოხსენებულ წიგნს გადაშლის და იტყვის: „ვნახოთ, ცხოვრობდით თუ არა მამა ღმერთის და ჩემი თავდაპირველი გეგმის თანახმად, რომელიც თქვენთვის განვიზრახეთ.“ (რაც შეეხება სამსჯავროს, წმიდა წერილის ორ ადგილას არის ნახსენები, რომ „გადაიშალა წიგნები“ (იხ. დან. 7:10 და გამოცხ. 20:12)). დარწმუნებული ვარ, რომ ისინი ღმერთმა დაწერა ჩვენს ცხოვრებაზე, სანამ დავიბადებოდით. რაც შეეხება ჩვენს განსაკუთრებულ მოწოდებას, გავსამართლდებით არა ჩვენ მიერ გაკეთებული საქმეებით, არამედ მოწოდების შესაბამისად ცხოვრების გამო. ამან უნდა გამოგვაფხიზლოს.

ამ ეტაპზე, შესაძლოა, შეშფოთდით. გთხოვთ, დამშვიდდეთ! აღსანიშნავია სამი მნიშვნელოვანი საკითხი: პირველი, ღმერთი თქვენზე მეტად მოწადინებულია, რომ დაასრულოთ, რისთვისაც მოგიწოდათ, ამიტომ თავის გეგმებს არ დაგიმალავთ. მას უფრო მეტად უნდა, თქვენი მოწოდების შესახებ გაიგოთ, ვიდრე თავად თქვენ გაქვთ ამის სურვილი! მეორე, მოწოდების სისრულეში შესვლა პროცესი და მთელი მოგზაურობა გახლავთ და არა ერთჯერადი მოვლენა. ამრიგად, ებრძოლეთ მოუთმენლობის გამოჩენის ცდუნებას. მესამე, ამ წიგნში შემოგთავაზებთ ბიბლიურ მონაკვეთებს და ადამიანთა გამოცდილებას იმისთვის,

რომ აღმოაჩინოთ და განავითაროთ თქვენი მოწოდება.

თვალსაჩინოებისთვის ერთი მაგალითი მოვიყვანოთ. დავუშვათ ქალაქის არქიტექტორი ვარ და ქალაქის ცენტრთან ახლოს თვალსაჩინო საცხოვრებელი, რეკრეაციული და გასაქირავებელი მაღაზიების კომპლექსის აგება განვიზრახე. ქალაქის არქიტექტორობა მთავარ დიზაინერობას გულისხმობს, ამიტომ გენერალურ გეგმას ვადგენ დახელოვნებული დეველოპერებისა და არქიტექტორების დახმარებით. ამ კომპლექსში მჭირდება სათამაშო არენები, გასართობი მარშრუტები, სპორტული კორტები, შადრევნები, დასასვენებელი პარკები და საფეხმავლო გზები. ასევე ვაპირებ საცალო ვაჭრობის მაღაზიების თავზე საცხოვრებელი სართულების დადგმას, რესტორნების, კინოთეატრების და სხვა კრეატიული აქცენტების შემატებას, რომ კომპლექსი უნიკალური იყოს. როცა პროექტი შედგება, შემდეგ განვსაზღვრავ, რომელი კონტრაქტორი ფირმები დამჭირდება გენერალური გეგმის სხვადასხვა ნაწილების განსახორციელებლად. დავიქირავებ სამუშაოთა შემსრულებლებს და დავალებისთვის გარკვეულ დროს დავუდგენ. პროექტის დაწყება უკვე შესაძლებელია.

თუ ყველა კონტრაქტორი ზუსტად გააკეთებს, რასაც დავავალებ, ეს მასიური წამოწყება უხარვეზოდ და შეუფერხებლად აშენდება. რა მოხდება, თუ ზოგიერთი კონტრაქტორისთვის პროექტი პრიორიტეტული არ იქნება? რა მოხდება, თუ დავალებას მიიღებენ, მაგრამ მშენებლობისთვის გამოყოფილ დროში სხვა საქმიანობას შეუდგებიან? რა იქნება, თუ მეტისმეტად ხშირად ივლიან სათევზაოდ, გოლფის სათამაშოდ და სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებზე დასასწრებად, ხოლო მუშაობისთვის თავს არ მოიკლავენ? თუ სხვები ზარმაცები გამოდგებიან და თავიანთ საქმეს სერიოზულად არ მოეკიდებიან? თუ მთლიანად ამ თავდაპირველი კონტრაქტორების იმედზე ვიქნები, სამუშაოების დასრულების გრაფიკი დაირღვევა. ფაქტობრივად, შეიძლება არც არასოდეს დასრულდეს.

არჩევანი კონსტრაქტორებზეა, თუ როგორ გამოიყენებენ თავიანთ დროსა და უნარებს. და მაინც, მე, როგორც ქალაქის მთავარი არქტიტექტორი, არ დავუშვებ დიდი შეფერხების ან პროექტის მთლიანად ჩაგდების შესაძლებლობას. ამის ნაცვლად სხვებს დავუძახებ სამუშაოს დასასრულებლად.

რა იქნება შედეგი? თავდაპირველი კონსტრაქტორები ამ მშვენიერი კომპლექსის მშენებელი გუნდის წევრობისთვის დაწესებულ საზღაურს ვერ მიიღებენ. მათ არ ექნებათ შვილების,

შვილიშვილებისა და მეგობრებისთვის ქალაქის ცენტრში განთავსებულ ულამაზეს კომპლექსში თავიანთი წვლილის ჩვენების საშუალება. ისინი ასევე დაკარგავენ დავალების შესრულებისთვის განსაზღვრულ საზღაურს.

იგივე პრინციპს დაინახავთ მთელ წმიდა წერილში. ღმერთს გენერალური გეგმა აქვს თავისი სამეფოს მშენებლობისთვის. და მაინც, ისტორიის მანძილზე მას ისეთ ადამიანებთან მუშაობა უხდებოდა, რომლებიც მის სურვილებს არ ითვალისწინებდნენ. ამის გამო, ხშირად უწევდა თავდაპირველი გეგმის დარეგულირება (ადამიანური სიტყვებით ვლაპარაკობ, რადგან ღმერთმა თავიდანვე იცის დასასრული — იგი დროით არ არის შეზღუდული). ამრიგად, გეგმის „შეცვლის“ აუცილებლობა მისთვის მოულოდნელი არ არის. მან წინასწარ იცის, რას აირჩევენ მისი მუშაკები და მზად არის მათ ჩასანაცვლებლად.

წმიდა წერილი ამის რამდენიმე მაგალითს გვაწვდის. იგივეს ნახავთ აბრაჰამის მამის, თერახის შემთხვევაში (ჩვენმა უმცროსმა ვაჟმა, არდენმა ეს ჭეშმარიტება ამას წინათ შემახსენა). ბევრმა ჩვენგანმა იცის, რომ აბრაჰამი ქალდეველთა ურში დაიბადა და გაიზარდა, სანამ ღვთისგან ქანაანში გამგზავრების მოწოდებას მიიღებდა. მცირემ თუ იცის, პირველად, აბრაჰამის მამის, თერახის მოწოდების ფაქტი, რასაც წერილის დაკვირვებით გამოკვლევის შემდეგ აღმოვაჩენთ. ბიბლიაში ვკითხულობთ:

> „წაიყვანა თერახმა აბრამი, თავისი ძე, ლოტი, ხარანის ძე — თავისი შვილიშვილი, სარაი, თავისი რძალი - აბრამის ცოლი, და მათთან ერთად წავიდა ქალდეველთა ურიდან ქანაანის ქვეყანაში. მივიდნენ ხარანამდე და იქ დამკვიდრდნენ. და იყო თერახის სიცოცხლის დღენი ორას ხუთი წელი და გარდაიცვალა თერახი ხარანში“. (დაბ. 11:31-32)

აქ ორი რამ არის დასაფიქრებელი. პირველი, რატომ აიყარა ოჯახიანად ურის მკვიდრი და ექვსასი მილი გადალახა ქანაანის მიწამდე ისე, რომ არსად გაჩერდა? აქლემებით მოგზაურობა ნელი და დამქანცავია, ხოლო ბავშვებთან და ქალებთან ერთად ამხელა მანძილის გავლას რამდენიმე თვე დასჭირდებოდა. თერახს არ შეეძლო ინტერნეტის მეშვეობით დაეთვალიერებინა ქანაანის სურათები, მის შესახებ სტატიები ეკითხა და ასე შეეტყო, რომ ეს ქვეყანა კარგია საცხოვრებლად და საქმიანობისთვის. მას ეს სოციალური მედიის მეშვეობით არ გაუგია. ამ გამორჩეული და შორეული მოგზაურობისთვის რაღაც მიზეზი

უსათუოდ იარსებებდა.

მეორე, თუ ის ქანაანში მიდიოდა, რატომ დასახლდა ხარანში? რატომ არ მივიდა დანიშნულების პუნქტამდე? იქნებ შეჩერების ცდუნებას ვერ გაუმკლავდა? იქნებ ხელისშემშლელ სურვილებს, სირთულეებს, მოგზაურობის პირობებში ოჯახის წევრების გამოკვების ან სხვა დამაბრკოლებელ გარემოებებს შეეჩეხა? იქნებ ხარანში მეტი შესაძლებლობა დაინახა და ღვთის სიტყვის გამო აღარ მოისურვა მისი დაკარგვა?

ამ ყველაფრის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ღმერთმა თავიდან არჩევანი თერახზე შეაჩერა, რომ ის ყოფილიყო „ერების მამა“? იყო თუ არა თერახი არჩეული *რწმენის მამად*, რომელი წოდებაც ახლა აბრაჰამს მიეწერება (იხ. რომ. 4:16-17)?

თერახმა გადაწყვიტა, რომ არ გაევლო მთლიანი მანძილი და ხარანში შეჩერდა. დარწმუნებული ვარ, სწორ გზაზე რომ დარჩენილიყო, ახლა წმიდა წერილში მის თავგადასავალსა და ღმერთთან მის აღთქმაზე წავიკითხავდით. მჯერა, რომ ისრაელი მას მიიჩნევდა მამად და იესოც „აბრაჰამის თესლის“ ნაცვლად „თერახის თესლად“ შეირაცხებოდა (იხ. გალ.3:16).

ღვთის თავდაპირველი გეგმის შეცვლის კიდევ ერთი მაგალითია მსაჯულისა და მღვდელმთავრის, ელის ამბავი. ის და მისი შთამომავლები მღვდლებად იყვნენ განწესებულნი, რომლებსაც ღვთის ადამიანებთან დაახლოება ევალებოდათ. მიუხედავად ამისა, წინასწარმეტყველი გაიგზავნა ელისთვის გამოსაცხადებლად:

> „ამიტომ ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი: ნათქვამი მქონდა, რომ უკუნისამდე ივლიან ჩემს წინაშე შენი სახლი და მამაშენის სახლი. ამიერიდან, ამბობს უფალი, არამც და არამც! რადგან ვინც პატივს მომაგებს, მეც იმას მივაგებ პატივს, ხოლო ჩემი მოძულენი დამცირდებიან! აჰა, დგება ჟამი და მოვკვეთ შენს მკლავს და მამაშენის სახლის მკლავს ისე, რომ მოხუცებული აღარ დარჩება შენს სახლში“. (1 სამ. 2:30-31)

ელის დაუმორჩილებლობამ დააზარალა ის და მისი შთამომავლობა. მას რომ ღვთისადმი პატივის მიგებით ეცხოვრა, მღვდლობა ელის გვარის მხრიდან გაგრძელდებოდა.

კიდევ ერთი მაგალითია ისრაელის მეფეების ცხოვრება. ამათგან პირველი იყო დავითის ძე სოლომონი. ღმერთმა უთხრა

მას: „უთხრა უფალმა სოლომონს: „იმის გამო, რომ ასეთი გახდი და არ დაიცავი ჩემი აღთქმა და წესები, რომლებიც გიბრძანე, უსათუოდ გამოგგლეჯ სამეფოს და მივცემ შენს მსახურს“ (1 მეფ.11:11). სოლომონი ღვთის ერთგული რომ დარჩენილიყო, მოგვიანებით, სამეფო ხელიდან არ გამოეცლებოდა მის ძეს, რეხაბყამს. სამეფოს უდიდესი ნაწილი იერობყამს მიეცა, თუმცა მანაც უღალატა უფალს:

> „წადი და უთხარი იერობყამს, ასე ამბობს-თქო უფალი, ისრაელის ღმერთი: შენ აღგამაღლე ხალხს შორის და წინამძღოლად დაგადგინე ჩემს ხალხზე, ისრაელზე; წავართვი სამეფო დავითის სახლს და შენ მოგეცი, თუმცა არ ჰგავხარ ჩემს მსახურს, დავითს, რომელიც იცავდა ჩემს მცნებებს და მთელი გულით მიჰყვებოდა ჩემს კვალს ... მაგრამ ... ზურგი მაქციე. აჰა, ამიტომ, უბედურებას მოვუვლენ იერობყამის სახლს“. (1 მეფ.14:7-10)

იერობყამის დინასტია ხანგრძლივად იმეფებდა, მინიჭებული მდგომარეობა და უნარები ბოროტად რომ არ გამოეყენებინა თავისდა სასიკეთოდ და არა ღვთის სამეფოს აღმშენებლობისთვის.

მსგავსი სიტყვები მოისმინეს ისრაელის მეფე ბაყაშამ (იხ. 1 მეფ.16:1-7) და კიდევ სხვებმა, რომლებსაც ღვთის სამეფოზე პასუხისმგებლობა მიანდეს.

აი, ჩემი სათქმელი: ხშირად ცხოვრებისეული მოწოდების შესრულებაში ჩვენი ორგულობა ზეგავლენას ახდენს არა მარტო ჩვენზე, არამედ ჩვენს შთამომავლებზეც. თერახის შემთხვევაში ასე არ მოხდა, მაგრამ ბევრ სხვას იგივე დაემართა.

ანალოგიურ ვითარებას ვხედავთ წინასწარმეტყველთა შორის. ელისე ელიას ემსახურებოდა და ორმაგი წილი მიიღო იმისა, რაც ელიას ჰქონდა. წლების შემდეგ ელისეს მსახურმა, გეხაზმა, რომელიც მომდევნო გახლდათ წინასწარმეტყველების გადაცემის რიგში, თვალი მოაშორა მნიშვნელოვანს და სწორი გზიდან გადაუხვია. მას კეთრი შეეყარა და იმ მსახურების დატოვება მოუხდა, რომლისთვისაც მოწოდებული იყო (იხ. 2 მეფ. 5:20-27). ელისეს დახმარებაში მისი ადგილი სხვა მსახურმა დაიკავა, რომლის სახელი ნახსენები არ არის.

ახალ აღთქმაში იგივეს ვხედავთ იუდა ისკარიოტელის შემთხვევაში. იგი უდიერად მოეპყრო მოწოდებას და მისთვის მინდობილ ნიჭებს, ამიტომ სხვამ ჩაანაცვლა. პეტრემ ასე უთხრა მოწაფეებს ზემოთვალში: „ვინაიდან წერია ფსალმუნთა წიგნში: ... და მისი მსახურება სხვამ მიიღოს. ამგვარად, საჭი-

როა, რომ ერთი იმ კაცთაგანი, მუდამ თან რომ გვახლდნენ, ... შემოგვიერთდეს“ (საქმ. 1:20-22).

რა სამწუხაროა, რა ტრაგედიაა! ამან უნდა გამოგვაფხიზლოს, რომ ვიფიქროთ მრავალი ადამიანის სინანულზე მათი მოწოდების ან ნიჭების განკარგვაში დაუდევრობისა და უღირსობის გამოჩენის გამო.

ვუბრუნდებით რა ამ საქმის დადებით მხარეს, შეგახსენებთ, მკითხველო, რომ გარკვეული მიზეზით დაიბადეთ და გარკვეული მიზანი უნდა შეასრულოთ. თქვენი ცხოვრება მეტად ფასეულია მარადისობის მშენებლობაში. ეს მამაკაცებისა და ქალების უბრალო სურვილი როდია, არამედ თავად ღვთის მიერ არის განსაზღვრული.

საკუთარ შედეგიანობას თავადვე განსაზღვრავთ

აი, შემაძრწუნებელი რეალობა: *თქვენი შედეგიანობა ღმერთზე კი არა, თქვენზეა დამოკიდებული.* ეს შეიძლება შეუფერებლად მოგეჩვენოთ, თუ ცხოვრებისეული მიღწევები „ღვთის უზენაესობის“ კალათაში გაქვთ მოთავსებული. და მაინც, გარწმუნებთ, რომ ეს აზრი სულაც არ გახლავთ უადგილო და არც ღვთის უზენაესობას ამცირებს. ეს არის ჩვენდამი მისი ნდობის მოწმობა და მისი სურვილი თავისი ძეებისა და ასულებისთვის, რომელიც თავისუფალი ნების ფარგლებში გვებოძა.

მოდი, ისევ გადავხედოთ წმიდა წერილის იმ ნაწილს, რომლითაც ეს თავი დავიწყეთ:

> „სიბრძნის საწყისი უფლის შიშია ... ჩემით გაგიმრავლდება დღენი და მოგემატება სიცოცხლის წლები. თუ დაბრძენდი, შენთვის დაბრძენდი...“. (იგავები 9:10-12)

ეს ჭეშმარიტება გამამხნევებელი და ძალმოსილია! რას ნიშნავს *დღეების გამრავლება?* ეს არ უნდა ნიშნავდეს სიცოცხლის გახანგრძლივებას, რადგან მუხლში უკვე ნახსენებია, „და მოგემატება სიცოცხლის წლები“. აქ სხვა არაფერი იგულისმება, თუ არა ყოველი დღის შედეგიანობის ზრდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უფრო მეტს მიიღებთ ერთი დღისგან, ვიდრე ადამიანი, რომელსაც ღვთიური სიბრძნე არ აქვს.

ალბათ, გსმენიათ იგავი: „ბლაგვი ცული თუ არ გაილესა, მეტი ძალა დაჭირდება. წინდახედულობა წარმატებას მოგიტანს“ (ეკლ.10:10). სიბრძნე აქ უმთავრესია. ბლაგვი ცულით (სიბრძნის ნაკლებობა) შედეგიანი ანუ ნაყოფიერი ვერ იქნებით. ამის საპირისპიროდ, გალესილი ნაჯახით (ბრძნული ცხოვრებით)ბევრი

ხის მოჭრას შეძლებთ. იგივე ძალის გამოყენებით გაწეული ძალისხმევა გაგიმრავლდებათ.

ღვთიური სიბრძნე მეტად მნიშვნელოვანია. მოგვიანებით, ამ წიგნში ჩემი მეგობრის ამბავს გაგიზიარებთ, რომელიც ათწლეულების მანძილზე უნაყოფო იყო როგორც მორწმუნე და ბოლოს, ეს ღეთარგიული მდგომარეობა ყელში ამოუვიდა. პირველი, რაც გააკეთა, წმიდა წერილში ჩაიძირა ექვსი თვის განმავლობაში. ამან სიბრძნე მისცა, რომ უფრო შედეგიანი ყოფილიყო და მისი ცხოვრებისეული ამბავი გაგაოცებთ.

მარტო ჩემს მეგობარს კი არა, ყველას გვეუბნებიან: „სიბრძნის დასაწყისი სიბრძნის მოხვეჭაშია, მთელი შენი ქონებით გონიერება შეიძინე“ (იგ.4:7). მიყვარს ეს განაცხადი. თუ მართლა ირწმუნებთ, მთელ დროსა და ენერგიას სიბრძნის შეძენას მოახმართ. თუმცა იგ.9:11-12-ის უდიდესი სიბრძნე შემდეგშია: თუ სიბრძნეს შეიძენთ, ამით, პირველ რიგში, თქვენ დარჩებით მოგებული!

ღვთის სიბრძნის ძიებას, კვლევას და მოსმენას, რომელზეც ამ წიგნში ვწერ, წლები მოვუნდი – დადებითი და უარყოფითი გამოცდილებების მეშვეობით. ნახავთ, რომ ჩემ გარდა სხვებიც, რომელთა გამოკითხვის პატივი მხვდა წილად, სიბრძნით დადიოდნენ და უზარმაზარი ნაყოფები გამოიღეს. ვიმედოვნებ, დროის მოკლე მონაკვეთში მიიღებთ იმას, რის მოპოვებასაც წლები შევალიე და ამ სიბრძნით გაცილებით შორს წახვალთ, ვიდრე მე მოვახერხე. ეს ღვთის სამეფოს ეხება – ჩვენ ყველანი ერთნი ვართ, ამრიგად, თუ სარგებელს ნახავთ, ამით მეც ვიხეირებ. თუ ჩემზე შორს წახვალთ, ჩემი წინსვლაც იქნება, რადგან ერთნი ვართ. ყველანი საერთო მიზნისა და ერთი მეფის სადიდებლად ვშრომობთ.

ფარული საიდუმლო

მოდი, მომდევნო თავზე ამ კითხვით გადავიდეთ: გინდათ, იცოდეთ ფარული საიდუმლო, რომლის შესახებ უმრავლესობამ არაფერი იცის, თუმცა მას შეუძლია თქვენი უნარების ამოძრავება ისე, როგორც არასოდეს გამოგიცდიათ?

მე ასე ვფიქრობ! აი, საქმე რაშია – მართლაც არსებობს ამგვარი საიდუმლო. ეს ფარული ჭეშმარიტება გახლავთ, რომელსაც მალე ფარდას ავხდით.

დაფიქრება

1. ეფესელთა 2:10-ის თანახმად, ღმერთმა თქვენს დაბადებამდე დაგიგეგმათ საკეთებელი საქმეები. გიშრომიათ ამ გეგმის მოძიებაზე? რამ შეგიშალათ ხელი ამ საქმეების აღმოჩენაში?

2. თქვენ გარკვეული მიზნისთვის დაიბადეთ. როგორ ხედავთ საკუთარ ნიჭებსა და უნარებს სტენის ამბის ფონზე? მნიშვნელოვნად მიიჩნევთ მათ ღვთის სამეფოს შენებისთვის? თუ სტენის მსგავსად გიჭირთ პუნქტების დაკავშირება?

3. ღვთის ნების შესრულება გვაძლიერებს. თქვენ გაძლიერებთ ის, რასაც ცხოვრებაში აკეთებთ? ენთუზიაზმით უდგებით საკეთებელ საქმეს? თუ არა, რატომ გაკლიათ სისრულე?

„და გვაქვს, ჩვენთვის მადლით

მოცემული სხვადასხვა ნიჭი“

– რომაელთა 12:6

2

მინიჭებული უნარები

ერთი მეგობარი მყავს, სახელად ჯიმი, რომელიც უფროსკლასელი გოგონების კალთბურთის გუნდს წვრთნიდა თვრამეტი წლის განმავლობაში. მთელი ამ ხნის მანძილზე შტატის ჩემპიონატში ერთხელაც ვერ გაიმარჯვეს. წლები გადიოდა და გუნდი ან რეგიონალური ფინალიდან ვარდებოდა ან შტატის ჩემპიონატის პირველი რაუნდიდან.

ჯიმი მიყვებოდა: „იმედგაცრუებული ვიყავი და თავის დანებებაც მინდოდა, მაგრამ ამ დროის განმავლობაში ღვთის მადლის ძალა აღმოვაჩინე“.

ჯიმმა მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო. აღარ აპირებდა საკუთარი ძალით მწვრთნელობის გაგრძელებას, როგორც თვრამეტი წლის განმავლობაში იქცეოდა, არამედ მთლიანად *ღვთის მადლს* მიენდო. მან უფალს რჩევა სთხოვა და ასეთი პასუხი მიიღო: „ვარჯიშის წესრიგი შეცვალე. ოთხმოცდაათწუთიანი ვარჯიშის ნაცვლად ორმოცდახუთი წუთი გასახდელში ბიბლიის კითხვას, გაზიარებას და ლოცვას დაუთმე, ხოლო დარჩენილი ორმოცდახუთი წუთი – ვარჯიშს“.

ჯიმმა მითხრა:

– ჯონ, ეს ყოველგვარ პროდუქტიულობას ეწინააღმდეგებოდა. უნარებისა და გარბენების დახვეწა გვჭირდებოდა. ვარჯიშისთვის გამოყოფილი ოთხმოცდაათივე წუთი აუცილებელი იყო. თუმცა ვიცოდი, რაც მოვისმინე ღვთისგან იყო.

ჯონი თხრობას განაგრძობდა:

– გოგონებს ახალი სტრატეგია გავაცანი. მათი აზრით, ასეთი მიდგომა მეტისმეტად რელიგიური იყო და სისულელეს ჰგავდა. ზოგიერთებს იმედი გაუცრუვდათ, როცა პირველად მოისმინეს, მაგრამ ჩემი გულისნადების გაზიარების შემდეგ, დამთანხმდნენ.

ჯიმმა ღიმილით მითხრა:

– იმ წელს პირველად მოვიგეთ შტატის საკალათბურთო ჩემ-

პიონატი. და ეს საკმარისი არ იყო, მომავალ წელსაც იგივე გავიმეორეთ“.

მან ასეთი განმარტება გააკეთა მეორე წლის შტატის ჩემპიონატთან დაკავშირებით:

– ეს წარმოუდგენელი იყო, რადგან ფინალური თამაშის ყველა ახლოდან შესვლა ჩავაგდეთ (გავაფუჭეთ). ამ აცდენილი ქულებით ვერაფრით გავიმარჯვებდით! თუმცა სტატისტიკის განხილვის შემდეგ გავიგეთ, რომ იმ თამაშში სამქულიანი ტყორცნების რეკორდი დავამყარეთ. ამ სამქულიანებმა გადაწონა ყველა წარუმატებელი ახლოდან ტყორცნა და მოგებისთვის საჭირო ქულა მოგვიტანა.

გაძლიერება

ჯიმმა ღვთაებრივ სიბრძნეს მიაგნო; ფაქტობრივად, ეს პავლეს აღმოჩენის ანალოგიური გახლდათ: ის, რაც სტატისტიკურად ოცდამეერთე საუკუნის ეკლესიების ოთხმოცდაათ პროცენტს უსხლტება. მიგნება ამაში მდგომარეობს: ბიბლიური *მადლი* მხოლოდ გადარჩენის უსასყიდლო ნიჭი როდია, არამედ ცხოვრებაში საჭირო ძალა. განვიხილოთ პავლეს სიტყვები, მაგრამ გვახსოვდეს, რომ ისინი ღვთის ბაგეებიდან გამოვიდა: „საკმარისია შენთვის ჩემი მადლი, ვინაიდან უძლურებაში ხდება სრულყოფილი ჩემი ძალა“ (2 კორ.12:9).

აქ არ არსებობს კითხვა ან გაურკვევლობა. ღმერთი პირდაპირ მიუთითებს მის მადლზე, როგორც ადამიანის გამაძლიერებელზე. ზემოხსენებულ მუხლში სიტყვა „*უძლურება*“ უუნარობას ნიშნავს. უფალი პავლეს, ასევე მე და თქვენ გვიცხადებს: „ჩემი გაძლიერება (მადლი) ოპტიმალურია იმ ვითარებებში, რომლებიც თქვენს ბუნებრივ შესაძლებლობებს აღემატება“.

ჯიმის მუხლჩაუხრელი შრომის თვრამეტი წელი ამაო აღმოჩნდა მისი გოგონების ჩემპიონატში გასამარჯვებლად. ეს წლები სხვა არაფერი იყო, თუ არა წარუმატებლობა, თუმცა ნამდვილად ღირდა იმ აგონიად და მრავალ იმედგაცრუებად, რის ფასადაც ჯიმმა ღვთიური სიბრძნე აღმოაჩინა. ღვთიური სიბრძნე გვაძლიერებს, რომ ჩვენი ბუნებრივი უუნარობა დავძლიოთ.

სხვა წერილში პავლე თამამ განცხადებას აკეთებს: „ყველა მოციქულზე მეტი ვიშრომე“. ნუთუ მართლა დაწერა ეს? დაფიქრდით, ვინ არის ამ სიაში: პეტრე, იაკობი, იოანე, ბარნაბა, აპოლოსი და სხვა დიდი მოციქულები. ცოტა არ იყოს, ქედმაღლურად ჟღერს, მაგრამ თუ მის განცხადებას ბოლომდე

წაიკითხავთ, მიხვდებით, რომ საქმე სხვაგვარადაა.

„ყველა მათგანზე მეტი ვიშრომე; თუმცა არა მე, არამედ ღვთის მადლმა, რომელიც ჩემთანაა“. (1 კორ.15:10)

პავლე ღვთიური ძლიერებით ტრაბახობს და არა საკუთარი უნარებით, ამრიგად ეს თავის კვეხნაში არ ჩაეთვლება. იგი ღვთიური მისიის შესრულებას მისივე მადლით ცდილობდა. წლების იმედგაცრუებისა და საბოლოოდ, განჭვრეტის შემდეგ ჯიმი როგორც მწვრთნელი, ღვთიურ გაძლიერებას (მადლს) ენდობა, რომ იმაზე მეტს მიაღწიოს, ვიდრე საკუთარი ძალით მოახერხებდა. მან ეს სიბრძნე ცხოვრების ყველა ასპექტში გაითვალისწინა, რომ ცული გალესილი ჰქონოდა!

ახლა ჩვენს პირად მისიას დავუბრუნდეთ. ისევ ვიმეორებთ ღვთის სიტყვის განაცხადს: „*ვინაიდან* მისი ქმნილებანი ვართ, ქრისტე იესოში შექმნილნი კეთილი საქმეებისთვის, რომლებიც წინასწარ გაგვიმზადა ღმერთმა, რათა ამ საქმეებში ვიაროთ“ (ეფეს.2:10). ღმერთმა თავად მოგიმზადათ დავალება თქვენს დაბადებამდე. სწორედ მისი შექმნილი მოწოდება მოგიტანთ ნამდვილ სისრულეს და არა სხვა რომელიმე საქმიანობა ან თამაში! ეს თქვენი მიზანია და ნიშანდობლივია მისი სიდიადე. რაც შეეხება აღსრულებას, არსებობს ერთი მნიშვნელოვანი ჭეშმარიტება, რომლის ცოდნაც გვმართებს:

„თქვენი ხვედრი, რომელიც ღმერთმა წინასწარ
მოგიმზადათ, თქვენს ადამიანურ
შესაძლებლობებს აღემატება!“

ნება მომეცით, ეს სრულიად ცხადად დაგანახოთ. შეუძლებელია ღვთიური დავალების ბუნებრივი ძალებით შესრულება. საიდან ვიცი, რომ ეს სიმართლეა? ღვთის მტკიცე განცხადებიდან, რომ *ის თავის დიდებას არავის გაუნაწილებს* (იხ. ეს.48:11). რომელიმე ჩვენგანს ღვთისგან დადგენილი ხვედრისთვის საკუთარი ძალებით რომ მიეღწია, მას თავისი დიდების ჩვენთვის გაზიარება მოუხდებოდა, მაგრამ ის ამას არ აკეთებს. მან წინასწარი განზრახვით დასახა თქვენი მოწოდება ბუნებრივი უნარებისთვის შეუძლებელ საქმედ, რომ მის აღსასრულებლად ღვთაებრივ მადლზე დამოკიდებული ყოფილიყავით!

სპეციფიკური უნარები

გარდა ამისა, უნდა გამოვიძიოთ, არსებობს თუ არა მადლის განსაკუთრებული ნიჭი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბუნებრივი შესაძლებლობების მადლით გაძლიერების ანალოგიურად არსებობს თუ არა სპეციფიკური უნარები, რომლებსაც ღვთისგან ვიღებთ ჩვენი მისიის შესასრულებლად?

ნება მომეცით, პასუხი რამდენიმე მაგალითის გამოყენებით გაგცეთ. როჯერ ფედერერი ვერასოდეს გახდებოდა მსოფლიოს უდიდესი ჩოგბურთელი, ჩოგანსა და ბურთთან შეხება რომ არ ჰქონოდა. ქალაქში ცნობილი უმშვენიერესი ხის ნაკეთობების ხელოსნის ვინაობა არავის ეცოდინებოდა, იარაღები რომ არ ჰქონოდა. თქვენ ვერასოდეს მოისმენდით მიქელანჯელოს შესახებ, საჭრისი, ფუნჯი და საღებავი ხელში რომ არ აეღო. ჭეშმარიტია თუ არა იგივე მიდგომა ჩვენი მოწოდების მიმართ?

ორი მოკლე ამბავი ამის ნათლად დანახვაში დაგეხმარებათ. როცა პირველად დავიწყე მსახურება, გამორჩეულ ქებისა და თაყვანისცემის ლიდერს შევხვდი. ეს ბატონი მსოფლიოში ცნობილი ევანგელისტის მსახურებაში თაყვანისცემას უძღვებოდა 1900-იან წლებში. ხსენებული მახარებელი გასული საუკუნის 70-იან წლებში გარდაიცვალა და ქება-დიდების ლიდერმა საკუთარი მსახურება წამოიწყო.

იგი ხშირად სტუმრობდა ჩვენს ეკლესიას 1980-იან წლებში და აღმოვაჩინე, რომ მივაჩერდებოდი ხოლმე და აღფრთოვანებით ვუსმენდი – ის ძალზე ნიჭიერი გახლდათ! ფორტეპიანოზე ისე უკრავდა, რომ მსგავსი იშვიათად მომესმინა და ამას სრულიად ძალდაუტანებლად აკეთებდა. მას დროის უმცირეს მონაკვეთში შეეძლო სამიათას ხუთასი ადამიანის აძღვრა ფეხზე წამოსადგომად გალობისა და ცეკვისთვის. როცა ღმერთს ადიდებდა, ატმოსფერო იცვლებოდა; ეს ღვთის თანდასწრებას მოჰქონდა.

ჩვენს ეკლესიაში მსახურებისთვის ბოლო რამდენიმე ჩამოსვლაზე მისი მასპინძლობის პატივი მხვდა წილად. დროის ერთად გატარების შესაძლებლობით ვისარგებლე და კითხვები დავუსვი, რომ უფრო მეტი გამეგო მის უნარებზე, რომლებიც ღმერთმა უბოძა. აღმოვაჩინე, რომ მისი ღვთისმოსავი და მიძღვნილი დედა დღის განმავლობაში საათების მანძილზე ლოცულობდა. მან თქვა:

– ჯონ, როცა ჯერ კიდევ დედაჩემის მუცელში ვიყავი, ერთი კაცი (დედამისი დარწმუნებული იყო, რომ ეს ანგელოზი გახლდათ) გვესტუმრა. კაცმა, რომელიც დედაჩემს მანამდე არა-

სოდეს ენახა, ასე თქვა: „შენი ვაჟი მრავალ ადამიანს შეიყვანს ღვთის თანდასწრებაში და ფორტეპიანოზე შესანიშნავად დაუკრავს ადრეული ასაკიდან“.

ამას მოყვა ამბის ის ნაწილი, რამაც ძალიან განმაცვიფრა და არასოდეს დამავიწყდება. ერთ დღეს, ჯერ კიდევ ახალფეხადგმული მიუჯდა მშობლების პიანინოს და სრულყოფილად დაკვრა დაიწყო რაიმე წინასწარი გაკვეთილების ან მომზადების გარეშე. ეს არ იყო ცალ-ცალი თითებით დაკვრა, არამედ რთული პიესა, რომლის შესრულებასაც მხოლოდ სამუსიკო სკოლის გამოცდილი მოსწავლეები თუ გაბედავდნენ. რასაკვირველია, ეს ყოველგვარი ნოტების ფურცლის გარეშე გააკეთა.

იქედან მოყოლებული შესანიშნავად უკრავდა და არასოდეს იყენებდა ნოტებს; ნებისმიერი სიმღერის დაკვრა სმენით შეეძლო. მას სიმღერის მოსმენისა და მეყსეულად დაკვრის უნარი ჰქონდა.

მისი მსახურება ჯერ კიდევ პატარა ბიჭობისას დაიწყო მშობლიური ქალაქის მთავარ საეკლესიო მსახურებებზე. ბოლოს, ნიჭმა გზა გაუხსნა ცნობილი მახარებლის მსახურებებზე მუსიკალური ნაწარმოებების შესასრულებლად.

ცხადია, რომ მას ნიჭი ჰქონდა – ღვთიური უნარი.

კიდევ ერთი ნიჭიერი ადამიანი გახლავთ აკიანე კრამარკი. მან ყოველგვარი გაკვეთილების გარეშე, ოთხი წლის ასაკში დაიწყო გამორჩეულად ხატვა. ექვსი წლისას უკვე შეეძლო არა მარტო რთული საგნების, არამედ საკუთარი წარმოსახვის ტილოზე გადატანა. მან რვა წლის ასაკში დახატა ახლა უკვე კარგად ცნობილი *„მშვიდობის მთავარი“*, რომელიც ჩემი მაგიდის უკან მიკიდია.

ცხადია, რომ მას ნიჭი ჰქონდა – ღვთიური უნარი.

რატომ ჯილდოვდებიან ნიჭით მხოლოდ ერთეულები? მართლა ასეა საქმე?

კითხვა ასე უნდა დავსვათ: ღვთის შვილებიდან ზოგიერთი, ბევრი თუ ყველა იღებს სხვადასხვა ნიჭს? მოდი, კიდევ ერთხელ გადავხედოთ ამ თავის საწყის მუხლს:

> „და გვაქვს, ჩვენთვის მადლით მოცემული სხვადასხვა ნიჭი გარკვეული საქმეების საკეთებლად“. (რომაელთა 12:6 NIV)

ამ მუხლში ორ მეტად მნიშვნელოვან, მაგრამ განსხვავებულ სიტყვას ვხედავთ. პირველი, *„მადლი“* უკვე განვიხილეთ და ეს

არის ბერძნული სიტყვა *„ქარის“*. ამ სიტყვას დავურთოთ *„-მა“* და მივიღებთ მეორე ბერძნულ სიტყვას *„ქარიზმა“*. ეს გახლავთ *ნიჭების* აღმნიშვნელი სიტყვა პირველად მოყვანილ მუხლში, რომელიც ჩვენი დაკვირვების ობიექტი გახდება.

ბერძნული ლექსიკონების წლების მანძილზე შესწავლისა და ახალ აღთქმაში *„ქარიზმას“* გამოყენების კონტექსტის კვლევის შედეგად ასეთ განსაზღვრებამდე მივედი:

> *ქარიზმა*: მადლის განსაკუთრებული მინიჭება, როცა პიროვნებას სპეციფიკური უნარი ეძლევა.

ეს უნარი, სინამდვილეში, ღვთიური შესაძლებლობაა, რომელსაც ღმერთი კონკრეტულ ადამიანს ანდობს და ის ყოველთვის აღემატება მის ბუნებრივ თვისებებს. ზოგიერთი ნიჭი აშკარად ზებუნებრივია. მეორე მხრივ, არსებობს სხვა, ერთი შეხედვით ბუნებრივი, ადამიანური უნარები, რომლებიც რეალურად არაორდინალურია. ზოგიერთი მათგანი დაბადებისას მიეცემათ, სხვები კი – განსაკუთრებულ დროს უფლის სიტყვისამებრ.

წერის *ქარიზმა*

ნება მომეცით, დავიწყო *„ქარიზმას“* გამოკვლევა ჩემი ცხოვრების მაგალითიდან (ჩემს წინა წიგნში, *„მარადისობით ამოძრავებულნი“*, რამდენიმე პირადი ხასიათის ამბავი გაგიზიარეთ).

ჩემი ცხოვრების *ქარიზმა* წერა გახლავთ. თუ ჩემს მსახურებებს წლების მანძილზე არ ადევნებთ თვალს, არ გეცოდინებათ, რომ ინგლისური ენა, თავისუფალი თემის წერა და უცხო ენები ჩემთვის ყველაზე რთული საგნები იყო სკოლაში. ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ ინგლისურის მასწავლებლები ისე ჩამივლიდნენ, თითქოს აღარ შეეძლოთ კიდევ ერთი წელი ჩემი ატანა!

როცა ჩვენს კლასს მარტივ, ერთგვერდიან ან ორგვერდიან დავალებას აძლევდნენ, საათები მჭირდებოდა მის შესასრულებლად. რამდენიმე წინადადებას დავწერდი, დავაშტერდებოდი და ყოველ მომდვენო წუთს ზიზღის გრძნობას მიძლიერებდა ჩემი ნაწერის ცვალებადი და პათეტიკური ტონი. ბოლოს ფურცელს ვჭმუჭნიდი, რომ ყველაფერი ხელახლა დამეწყო. ამ პროცესს რამდენჯერმე ვიმეორებდი და ვხარჯავდი ძვირფას ფურცლებს, დროსა და გონებრივ ენერგიას. მახსენდება შემთხვევები, როცა

მთელი საათი ვწერდი და პირველი ორი აბზაციც კი არ მქონდა დასრულებული.

თუ ჩემს შეფასებაში ეჭვი გეპარებათ, ნება მომეცით, SAT ტესტირების შედეგები მოვიყვანო. ალბათ, იცით, რომ ეს ბევრ კოლეჯსა თუ უნივერსიტეტში შესასვლელად სავალდებულო ტესტი გახლავთ. როცა მისი წერა მომიხდა, ის *მათემატიკური და ვერბალური* ნაწილებისგან შედგებოდა. რასაკვირველია, ვერბალური ნაწილი, სინამდვილეში ინგლისურის გამოცდა იყო. გამოიცადა ჩემი კითხვისა და წერის უნარები. ტესტში შეგეძლოთ მაქსიმალური 800 ქულის მოპოვება. ვერბალურ ნაწილში 370 ქულა მივიღე (დიახ, სწორად წაიკითხეთ). თუ ამ მაჩვენებელს პროცენტულად გამოვსახავთ, უზარმაზარ 46 %-ს მივიღებთ, რაც შეფასებათა დიაგრამაზე „დამაკმაყოფილებელს“ ნიშნავს. ოცდაათ წელზე მეტია, რაც ვმოგზაურობ და ამ ხნის მანძილზე მხოლოდ ერთ ადამიანს შევხვდი ჩემზე დაბალი ვერბალური ტესტირების ქულით.

მოდი, უკან დავბრუნდეთ, როცა ოცდაათ წელს ჯერ კიდევ ახალგადაცილებული ვიყავი. 1991 წელს, ზაფხულის ერთ დილას, როცა ლოცვისთვის ვიყავი განმარტოებული შორეულ და უდაბურ ადგილას, ღმერთი დამელაპარაკა:

– შვილო, მინდა, რომ წერო.

ჩემთვის ჩამეცინა:

– ღმერთო, იმდენი ძე და ასული გყავს ამ დედამიწაზე, რომ, როგორც ჩანს, ვიღაცაში შეგეშალე. არ გენდომება, რომ ვწერო. ჰკითხე ჩემი ინგლისური ენის მასწავლებლებს, რომლებიც უფროს კლასებში მასწავლიდნენ.

პასუხი არ იყო. მხოლოდ სიჩუმე.

უფლის სიჩუმე თანხმობის ნიშნად მივიჩნიე. თავი დავარწმუნე, რომ ამით ყველაფერი დამთავრდა, რადგან მისგან პასუხი არ მიმიღია. თუმცა ჩემმა გულმა უკეთ იცოდა.

ათი თვის შემდეგ ჩემთან სხვადასხვა შტატებიდან ორი ქალი ჩამოვიდა ორი კვირის შუალედით და ორივემ იგივე სიტყვები მითხრა:

– ჯონ ბევირ, თუ არ დაწერ, რასაც ღმერთი გეტყვის, შენს ნიჭს სხვას გადასცემს და ერთ დღესაც მის წინაშე ანგარიშგება მოგიწევს“.

როცა ტექსასიდან მოსულმა მეორე ქალმა ფლორიდიდან მოსული ქალის სიტყვები გამიმეორა, ღვთის წმიდა შიში დამეცა და ავმოქმედდი. 1992 წელი იდგა. მაშინ აიპედები ჯერ კიდევ არ არსებობდა – მხოლოდ ფურცელი და კალამი. ამრიგად,

ავიღე რვეულის ფურცელი და მსხვილი ასოებით დავაწერე – *ჯონდრაქდი*. შემდეგ მოყვებოდა ტექსტი:

"მამა, წერა არ შემიძლია. შენი მითითების შესრულებისთვის მადლი მჭირდება! თუ დავწერ, ჩემი თხოვნა იქნება, რომ ყოველი სიტყვა შენი სულით იყოს შთაგონებული და უხვად გადმოდიოდეს შენი ცხებულება. გთხოვ, რომ მან შეცვალოს მამაკაცები, ქალები, ბავშვები, ეკლესიები, ქალაქები და ერები. წინასწარ ვფიცავ, რომ შენ მოგიძღვნი ყოველ ჰაეროვს, ქებას, დიდებას და მადლიერებას. ამ ჯონდრაქდს (ალთქმას) ვდებ შენთან იესო ქრისტეს ძალმოსილი სახელით".

შენი ძე და მსახური, ჯონ ბევრი

ახლა ისევ დავბრუნდეთ დღევანდელობაში, ოცდაათი წლის შემდეგ. ამჟამად ოცზე მეტი წიგნი მაქვს დაწერილი და მათი საერთო ტირაჟი ათეულ მილიონებს აღემატება. ბევრი მათგანი ბესთსელერებად ითვლება საერთო და ქრისტიანულ ბაზარზე, ადგილობრივად თუ საერთაშორისო მასშტაბით. წიგნები მსოფლიოს ასზე მეტ ენაზე ითარგმნა და რამდენიმე ქვეყანაში ყველაზე მეტი ტირაჟით გამოიცა როგორც საერო, ისე ქრისტიანული ლიტერატურის კატეგორიაში.

თითქმის ყველა წიგნის მთლიანი შინაარსის ოციდან ოცდაათ პროცენტამდე არც გამიგონია და არც წამიკითხავს ან მიფიქრია. აზრები კლავიატურაზე ბეჭდვისას მომდიოდა. რამდენიმე შემთხვევა მახსოვს, როცა სახლის კაბინეტსა თუ სასტუმროს ნომერში შინაგანად ამავსო ჩემ მიერ დაბეჭდილმა ტექსტმა. ასეთ დროს წამოვხტებოდი ხოლმე და შევძახებდი: „უჰ, ეს რა კარგი რამეა!"

ალბათ, იფიქრებთ, რომ ასე არ შეიძლება და ეს უკვე სიამაყეა.

პასუხად გეტყვით, რომ ვიცი, საიდან მოვიდა წიგნების შინაარსი – *ჩემგან არა*! სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი სახელი ამ წიგნებზე მხოლოდ ერთი მიზეზით არის აღნიშნული: პირველი ვიყავი, ვინც ზეცის გარეთ ისინი წაიკითხა! ვიცი, რომ სიტყვები სულიწმიდისგან მოდიოდა. ეს დიდად არ განსხვავდება პავლე მოციქულის, ერთი შეხედვით, ქედმაღლური ნათქვამისგან, „სხვა მოციქულებზე მეტს ვშრომობდი". განა ისე არ ჩანს, თითქოს კომპეტენტური, საკუთარ თავზე დიდი წარმოდ-

გენის მქონე და მასზე შეყვარებული ადამიანი წერს? და მაინც, წერილიდან ვხედავთ, რომ პავლე ღვთის მადლის ნიჭით უფრო იკვეხნის, ვიდრე საკუთარი შესაძლებლობით.

დარწმუნებული ვარ, რომ იმ ზაფხულის დილას, როცა ღმერთი ლოცვაში დამელაპარაკა, ჩემს ცხოვრებაში წერის *ქარიზმა* გამოთავისუფლდა. თუმცა მანამდე არაფერი მომხდარა, სანამ ღვთის დამორჩილების გადაწყვეტილება არ მივიღე, რომ ეს უნარი ცხოვრებაში *ამოქმედებულიყო*. ზოგიერთები შემეკამათებიან, ამიტომ წინასწარ ვაცხადებ, რომ უთანხმოებად არ ღირს. ვაცნობიერებ, რომ შეიძლება ვცდებოდე, ამიტომ ნება მომეცით, ის გავახმოვანო, რასაც სხვები მოიყვანენ საწინააღმდეგო მოსაზრებად.

ერთნი დაიჟინებენ, რომ ეს ნიჭი 1979 წელს მომეცა ზეციდან შობისას. ამ დისკუსიას გამოცდილების თვალსაზრისით ვერ განვიხილავ, რადგან არაფრის წერა არ მიცდია 1979 წლიდან 1992 წლამდე, როცა კონტრაქტი შევადგინე. ერთი რამ დანამდვილებით შეიძლება ვთქვა: ამ ნიჭით არ დავბადებულვარ, როგორც ზემოხსენებული პიანისტი, თუმცა დედააზრის გამოკვეთა შეიძლება: ზოგიერთს ნიჭი ჩასახვისთანავე ეძლევა. მაგალითად, წმიდა წერილიდან ვიცით, რომ იოანე ნათლისმცემელი დედის მუცლიდანვე იყო ავსებული ღვთის სულით (რომელიც ნიჭებს ანაწილებს), რადგან იცნო მარიამში ჩასახული ცოცხალი ქრისტე, თუმცა ჯერ კიდევ ელისაბედის წიაღში იმყოფებოდა (იხ. ლუკ.1:41). ოცდაათი წლის შემდეგ იგივე ნიჭი დაეხმარა იოანეს, რომ ქრისტე ამოეცნო (ყველაზე უწინ), როცა ის მასთან მოსანათლად მივიდა (იხ. იოან. 1:29).

მეორე მხრივ, ზოგიერთი ნიჭი მოგვიანებით მოდის. კიშის ძე საული არ იყო ის კაცი, რომელმაც წინასწარმეტყველება ცხოვრების ადრეულ წლებში დაიწყო. ეს მისი ჭაბუკობისას მოხდა, როცა სამუელმა ცხო ისრაელის პირველ მეფედ. მანვე უთხრა, რომ კაცების ჯგუფი შემოხვდებოდა, რომლებიც ინსტრუმენტებზე უკრავდნენ და წინასწარმეტყველებდნენ. უშუალო ციტირება რომ მოვახდინოთ, სამუელმა ასე თქვა: „უფლის სული გადმოვა შენზე და მათთან ერთად იწყებ წინასწარმეტყველებას; სხვა კაცად გარდაიქმნები“ (1 სამ. 10:6).

წმიდა წერილის ამ ორი განსხვავებული მოწმობით ნათლად ვხედავთ, რომ ზოგიერთი ნიჭი დედის მუცლიდან დაჰყვება ადამიანს, ხოლო სხვები მოგვიანებით მიეცემა.

ქადაგების *ქარიზმა*

ჩემი ცხოვრების მეორე ქარიზმა საჯარო გამოსვლა გახლავთ. ამ ნიჭის გაზიარება ჩვენს გაგებას კიდევ უფრო გააღრმავებს.

როცა ჩემმა მეუღლემ, ლიზამ პირველად მოუსმინა ჩემს ქადაგებას, წარუშლელი შთაბეჭდილება შეექმნა. რბილად რომ ვთქვათ, ეს იყო კოლოსალური კრახი და ნამდვილად არ ვაჭარბებ. ქადაგების პირველი ხუთი წუთის შემდეგ ჩაეძინა და ასე ღრმად ეძინა ბოლომდე. საშინელი სიტყვა წარმოვთქვი. ფაქტობრივად, ლიზას საუკეთესო მეგობარი ემი, რომელიც მის გვერდით იჯდა, ღრმა ძილმა წაიღო ისე, რომ მისი დაღებული პირიდან მომდინარე ნერწყვის ნაკადიც კი შევნიშნე! გულწრფელად უნდა ითქვას, რომ პათეტიკური მქადაგებელი ვიყავი.

იმ დროისთვის ადგილობრივ ეკლესიაში ჩემი პასტორის და მისი მეუღლის თანაშემწედ ვმსახურობდი (ჩვენი ეკლესია ძალზე გავლენიანი გახლდათ შტატებში და ოთხასზე მეტ ხელფასიან თანამშრომელს ითვლიდა). ჩემი მოვალეობა გახლდათ პასტორის ოჯახის წევრებისა და ეკლესიაში სტუმრად ჩამოსული მსახურების საჭიროებებზე ზრუნვა. აქ გაურკვეველი არაფერი იყო. ცათა სამეფოში ჩემი პასუხისმგებლობა არა ქადაგებაში, არამედ სცენის მიღმა მსახურებაში გამოიხატებოდა (ამაზე დაწვრილებით სხვა თავში ვილაპარაკებ).

მიუხედავად ყველაფრისა, მაინც დავიწყე საკუთარი მსახურება, რადგან ღმერთმა მაჩვენა, რომ მის სიტყვას მსოფლიოს ერებს გამოვუცხადებდი. ჩემი მაშინდელი შეცდომა: ამის გაკეთებას საკუთარი ძალით ვცდილობდი. გარდა ამისა, უმთავრესად ჯერ ისევ სხვა ადამიანის მსახურებაში მონაწილეობით შემოვიფარგლებოდი – „სხვისაში ერთგულებას“ ვცდილობდი (იხ. ლუკ.16:12). მთელ ჩემს თავისუფალ დროს და ენერგიას საკუთარი ქადაგებების შექმნას, დახარისხებასა და გამოტანას ვახმარდი (უმჯობესი იქნებოდა, მთელი ის დრო უკეთეს მსახურად და ჩემი ცოლისთვის უკეთეს ქმრად ჩამოყალიბებისთვის დამეთმო, თუმცა ზოგჯერ მწარე გაკვეთილების სკოლა უნდა გავიაროთ).

მოკლედ, „ისმაელის მსახურების“ შობის პროცესში ვიყავი. რატომ ვუწოდებ ასე? ბიბლიაში ამის ანალოგია არსებობს. ღმერთი აბრამს (აბრაჰამს) დაელაპარაკა, როცა ეს უკანასკნელი სამოცდათხუთმეტი წლის იყო და ძის აღთქმა მისცა, რომლის მეშვეობითაც მრავალი ერის მამად იწოდებოდა. დაპირებიდან ათი წელი გავიდა და ბავშვი ჯერ კიდევ არ ჩანდა, აბრაჰამს

კი ოთხმოცდახუთი წელი შეუსრულდა. ამრიგად, აბრაჰამმა და მისმა ცოლმა სარამ ღვთის „დახმარების“ გეგმა შეიმუშავეს, რომელიც მისი დაპირების შესრულებას უზრუნველყოფდა.

მთელი ამ ადამიანური ძალისხმევით ისმაელი იშვა. ამრიგად, ამ სახის მცდელობას ისმაელის მსახურებას ვუწოდებ.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ზოგიერთები ფულსაც მაძლევდნენ. ისინი ჩემს თვითდადგენილ მისიას, „ბევირის მსახურებას“ მივყიდე. ჩვენი დევიზი გახლდათ „მხოფლიოს მოპოვება მისი საოცარი ნათლის მეშვეობით“. ახლა, როცა ამ სიტყვებს ვბეჭდავ, ჩემს უგუნურებასა და უმწიფრობაზე მეცინება. ჩვენი ისმაელის პირველი ოთხნაწილიანი კასეტა, რეალურად, იმ ქადაგებას მოიცავდა, რომელზეც ჩემს ცოლსა და მის მეგობარს ჩაეძინათ! რამდენ სხვას ჩაესმა იგი იავნანასავით და მოსმენისას მიაძინა? ჟრუანტელი მივლის, როცა ამაზე ვფიქრობ!

გინდ დაიჯერეთ, გინდა არა, მაგრამ მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. იმ დროისთვის ჩემი გმირი გახლდათ დიდი მახარობელი, თ. ლ. ოსბორნი, რომელიც ახლა ზეცაშია. მან და მისმა ცოლმა ცხოვრების მანძილზე გადარჩენამდე მიიყვანეს ორმოცდაათ მილიონზე მეტი ადამიანი. მინდოდა ჩემი ქადაგება ანალოგიური ყოფილიყო. მათ სიტყვას საათობით ვუსმენდი და ხმის ტემბრს, ტონებს, მოძღვრებებს, ძალისმიერ განცხადებებს და იუმორსაც კი ვსწავლობდი. მე ორიგინალური, მაგრამ მომაბეზრებელი მქადაგებელი კი არ ვიყავი, არამედ ვიღაცის საშინელი ასლი.

თ. ლ. კომუნიკაციის ოსტატი გახლდათ. როცა ჩვენს ეკლესიაში იქადაგა, ყველა გაფაციცებით უსმენდა მის ყოველ სიტყვას. ერთხელ ის ღვთის დიდ მოძრაობაზე ლაპარაკობდა, რომელიც აფრიკის უზარმაზარი კრუსეიდის დროს მოხდა. ამ ამბის გაზიარებისას ისე იყო სავსე ცხადი სასწაულების შთაბეჭდილებით, რომ აღფრთოვანებულმა წამოიძახა, „ოჰო!“ შემდეგ შეჩერდა – ყველანი სკამების კიდეებზე ვისხედით დაძაბულები – და ხუმრობით წამოისროლა, „ის სიტყვა იმდენად საოცარი იყო, რომ იგივე „ოჰო“ გახლდათ, მხოლოდ უკუღმა წაკითხული!“ ყველამ გაიცინა; ასე მხოლოდ მას შეეძლო.

მაშინ ბრიყვი და გულუბრყვილო ვიყავი, ამიტომ ეს მიდგომა ავიტაცე და რეგულარულად დავიწყე „ოჰო“-ს გამოყენება სწორედ ისე, როგორც თ. ლ.-მ გააკეთა იმ კონკრეტული შემთხვევისას. ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ არავინ იცინოდა, თუმცა მაშინ ამას ვერ ვხვდებოდი.

ბოლოს გავტყდი ჩემს პირად ბრძოლებში დროდადრო სახით არაერთხელ დამხობილი. ამის შემდეგ საოცარი ცვლილე-

ბა მოვიდა. ერთხელ კიდევ დავიწყე მსახურების იმჟამინდელი პოზიციით სიამოვნების მიღება. ახლა მთელ თავისუფალ დროს ჩემს ქორწინებასა და მეგობრებს ვუთმობდი. ცხოვრება სრულფასოვანი, უხვი და დასრულებული გახდა, ხოლო ტანჯვა წარსულში დარჩა. ნამდვილი კმაყოფილების პოვნის შემდეგ ადვილი იყო ჩემი მცდელობების ამაოების დანახვა და „ბევირის მსახურების“ თავიდან მოშორება. ვიცოდი, რომ ერთ დღესაც ღმერთი დაპირებულს მოიტანდა, მაგრამ ეს ჩემი ინიციატივით არ მოხდებოდა.

სიმშვიდისა და უშფოთველობის ადგილზე აღმოჩენის შემდეგ, თავად მიხვდებით, რომ ღვთიური შეწევნა რამდენიმე თვეში მოვიდა. ახალაგზრდების პასტორის პოზიციის დაკავება მთხოვეს აშშ-ს ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ ეკლესიაში.

არასოდეს დამავიწყდება პირველი კვირა დღე. ჩვენი ეკლესიის პასტორი საქვეყნოდ ცნობილი გახლდათ. იმ დროს ადამიანები ყოველ კვირა დღეს გრძელ რიგად მწკრივდებოდნენ საათზე მეტი ხნის განმავლობაში, რომ შენობაში შემოსვლა შეძლებოდათ. ყოველ მსახურებაზე დარბაზი გადავსებული იყო. ყოველთვის იყვნენ ვიზიტორები სხვა შტატებიდან და ქვეყნებიდან, რომლებსაც ჩვენს მსახურებებზე დასწრება სურდათ.

მსახურება სრული სვლით მიმდინარეობდა. საოცარი თაყვანისცემა გვქონდა. ერთ-ერთი პირველი, რაც ჩვენმა პასტორმა გააკეთა, ახალგაზრდების ახალი პასტორის წარდგენა გახლდათ. ეს მე ვიყავი. ჩემდა გასაკვირად, მან გამოსვლა და კვირის მსახურებისთვის შეკრებილთათვის რამდენიმეწუთიანი სიტყვით მიმართვა მთხოვა.

მაშინ არ ვიცოდი, რომ ჩემი ცოლი პანიკაში ჩავარდა. ალბათ, მეც იგივე მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი, ამაზე დაფიქრების დრო რომ მქონოდა. *გამაოგნებელი იყო!* ორიათას რვაასი ადამიანის წინაშე გამოსვლა მთხოვეს. ლიზა შეძრწუნებული იჯდა, რადგან იცოდა, რა გველოდა. როგორ შეიძლებოდა ამ კატასტროფისგან თავის დაღწევა? ალბათ, ეს ბოლო შემთხვევა იქნებოდა, როცა ხალხი კათედრიდან მისმენდა. სრულიად ნათელი გახლდათ, რომ ჩემი გამოსვლის შემდეგ მთავარ მსახურებაზე აღარავინ მიმიწვევდა. მთელი ეს შიშები ყალყზე დადგნენ ლიზას გონებაში, როცა პლატფორმაზე მიმიწვიეს. მოგვიანებით მითხრა, რა გამწარებული ლოცულობდა, რომ თ. ლ. ოსბორნის მიბაძვა არ დამეწყო, განსაკუთრებით „ოჰო“-ს უკულმა გამოთქმის ჩემეული „ორიგინალური და უხერხული სტილით“.

როცა კათედრასთან აღმოვჩნდი, ჩვენმა უფროსმა პასტორმა მიკროფონი გადმომცა. სამოც წამში მთელი ეკლესია ფეხზე იდგა და მოწონებით, აპლოდისმენტებითა და აღფრთოვანების შეძახილებით უსმენდა ჩემს ნათქვამს. ოთხი თუ ხუთი წუთი ვილაპარაკე და მთელი ამ დროის მანძილზე ორიათას რვაასი კაცი ფეხზე იდგა. შემდეგ მიკროფონი პასტორს გადავეცი და ჩემს ადგილს დავუბრუნდი. მომდევნო ხუთი წუთი ვკანკალებდი ადრენალინისგან თუ ღვთის თანდასწრებისგან ან ორივესგან ერთად.

ჩემი ცოლი გაოგნებული იყო და არ სჯეროდა, რაც მოხდა. მსახურების შემდეგ ასე მითხრა: „ჯონ, ვფიქრობდი, ნეტა ვინ *ჩასახლდა ჩემი ქმრის სხეულში-მეთქი*“.

ჩემი პირველი მსახურების დროს ტექსასში ვცხოვრობდით. ეს ახალი ეკლესია კი – ფლორიდაში გახლდათ. ლიზა წლების მანძილზე ასე აღწერდა მომხდარ ამბავს: „ჯონი სხვა ადამიანად გარდაიქმნა, როგორც კი ფლორიდის საზღვარი გადავლახეთ“. იგივე ითქვა საულზე, როცა მის ცხოვრებაში ღვთის ნიჭი გამოჩნდა (იხ. 1 სამ. 10:6).

ამ შემთხვევიდან მოყოლებული ვქადაგებ, ვასწავლი და აუდიტორიის წინაშე სიტყვით გამოვდივარ, მაგრამ უმეტესად ძალდაუტანებლად ვმოქმედებ (რთული დროების შესახებ სხვა თავში გაიმბობთ). ასე მოქმედება ტანჯვას აღარ უკავშირდება. ყველაფერი ადვილად მოდის ჩემი „ისმაელის მსახურების“ ფუჭ ძალისხმევასთან შედარებით. ისმაელისა და ისაკის დროების შედეგები დღე და ღამესავით განსხვავდებოდა.

მოდი, ფლორიდაში იმ პირველი კვირის მოვლენებს გავუსწროთ და რვა-ათი წლით წინ გადავიდეთ. *მესინჯერ ინტერნეშნალი* უკვე მყარად დაფუძნებულია. გარაჟში საგაზაფხულო დალაგებას ვაწარმოებთ. როცა ყუთებსა და მილებს მივადექით, ჩემი პირველი კასეტების წყებას მივაგენით. მათ შორის ის ქადაგებაც ერია, რომლითაც ლიზა და მისი მეგობარი მივაძინე. ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დავაპირე მათი სანაგვეში გადაყრა, მაგრამ მოულოდნელად სულიწმიდის ხმა მომესმა:

– შვილო, ნუ გადააგდებ ამ კასეტას“.

სასწრაფოდ შევეპასუხე:

– რატომაც არა? საშინელებაა; ამას არავინ არასოდეს არ უნდა მოუსმინოს. უნდა განადგურდეს.

ისევ გავიგონე:

– ნუ იზამ ამას.

სრულად ვაცნობიერებდი, რომ ღვთის ხმა მესმოდა, ამიტომ ვკითხე:

– რატომ?

– ეს შენი დაცვაა, – ნათლად გავიგონე გულში უფლის ნათქვამი.

– დაცვა?

ამის შემდეგ მოვიდა სიბრძნე:

– შვილო, მინდა ყოველთვის გახსოვდეს, რა საშინელი მქადაგებელი ხარ ჩემ გარეშე.

რაც წლები გადის, მით უფრო მეტად ვაცნობიერებ „დაცვის“ ფაქტორს. გასული სამი ათწლეულის მანძილზე ეს ნიჭი ძლიერად მოქმედებდა და უხვ ნაყოფს წარმოშობდა. უამრავჯერ მინახავს ატმოსფეროს შეცვლა, ქების ამაღლება გამოცხადებამდე, მრავალი ადამიანის სულის ხსნა და ურიცხვი სასწაულის გამოვლინება. ბევრმა აღნიშნა, სამუდამოდ როგორ შეიცვალა მათი ან ეკლესიების ცხოვრება. ყველა ამ ნაყოფის გათვალისწინებით, ადვილი იქნებოდა მეფიქრა, რომ რაღაც წვლილი მეც მიმიძღვოდა, მაგრამ შემიძლია პავლე მოციქულივით გულწრფელად განვაცხადო, „ვიშრომე; თუმცა არა მე, არამედ ღვთის მადლმა, რომელიც ჩემთანაა“ (1 კორ.15:10). მთელი ამ წლების განმავლობაში არ დამვიწყებია, რა საშინელი მქადაგებელი ვიყავი ღვთიური *ქარიზმის* გარეშე.

გაქვთ ბოძებული ნიჭი?

ესენია ღვთისგან მიღებული ორი ნიჭი ჩემს ცხოვრებაში მსახურებისა და სხვათა აღშენებისთვის. შეგიძლიათ, გაიგოთ, რა ბრძოლები გავიარე? ალბათ, თქვენი მცდელობები გქონდათ *ქარიზმის* აღმოსაჩენად, რომ თქვენი ცხოვრება ნორმალური ყოფილიყო. შესაძლოა, ამ აღწერილობის კითხვისას თქვენი იმედგაცრუება კიდევ უფრო იზრდება გაფიქრებისას – *არავითარი ნიჭი არ მაქვს*. გარწმუნებთ, რომ გექნებათ და ნათელი გახდება მომდევნო ორი თავიდან.

ერთ კითხვაზე პასუხის გაცემას შეგპირდით: ღვთის შვილებიდან ზოგიერთი, ბევრი თუ ყველა იღებს ნიჭს? სწრაფი პასუხია – დიახ! ამას წმიდა წერილიდან დაგიმტკიცებთ. ამ კითხვაზე ამომწურავად ვიმსჯელებთ, უფრო მეტიც, წიგნის დასრულებამდე მტკიცედ იქნებით დარწმუნებული, თუ როგორ აღმოაჩინოთ თქვენი *ქარიზმა* და მასში იმოქმედოთ. ეს ღვთის სამეფოს მშენებლობაში თქვენს ნაყოფიერებას გაამრავლებს.

დაფიქრება

1. ბიბლიური მადლი არა მარტო ხსნის ნიჭია ღვთისგან, არამედ ჩვენი ცხოვრებისთვის საჭირო ძალა. როგორი წარმოდგენა გაქვთ ღვთის მადლზე? ამ თავის კითხვის შემდეგ, როგორ შეიცვალა თქვენი შეხედულება?

2. თქვენი ხვედრი, რომელიც ღმერთმა მოგიმზადათ, თქვენს ბუნებრივ შესაძლებლობებს აღემატება. რატომ განიზრახა ღმერთმა ასე? როგორ უნდა მიწვდეთ ღვთის გამაძლიერებელ მადლს, რომელიც უხვად გაქვთ მოცემული?

3. ღვთის შვილებიდან ზოგიერთი, ბევრი თუ ყველა იღებს მისგან ნიჭს? რამდენად სასარგებლოა ეს ნიჭები სხვა ადამიანებისთვის?

„თქვენს თავზე იმაზე მეტად ნუ იფიქრებთ,

ვიდრე უნდა იფიქროთ, არამედ ...

რწმენის საზომით“.

– რომ. 12:3

3

წრფელად შეაფასეთ საკუთარი თავი

ახლა, როცა ჩემი ცხოვრების *ქარიზმის* აღმოჩენასა და მასში სიარულთან დაკავშირებული ბრძოლა წარმოგიდგინეთ, მინდა, მოკლედ გაგიზიაროთ, რისი ნიჭი არ მაქვს.

ასეთი იმდენია, რომ ამომწურავი სიის შედგენა შეუძლებელი იქნებოდა. სიაში პირველი სიმღერა და მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრა გახლავთ. ყოველთვის, როცა სახლში სიმღერას წამოვიწყებ, ჩემი ცოლ-შვილი თავაზიანად, მაგრამ მტკიცედ მთხოვს, რომ ჩემთვის ვიღიღინო.

მაღალ კლასებში მძლეოსნობის გაკვეთილის შემდეგ გასახდელის საშხაპეში ერთადერთხელ ვიმღერე. რეაქციამ არ დააყოვნა და ბიჭების ჯგუფმა ერთხმად დამიყვირა, რომ ხმა ჩამეწყვიტა. უფრო მეტიც, ვიღაცამ ხუმრობით შამპუნის ბოთლი გამომიქანა.

ჩემმა მშობლებმა ბევირების ყველა ბავშვი შეგვიყვანეს ფორტეპიანოს კლასში. ჩემი მასწავლებელი პროფესიონალი პიანისტი გახლდათ და საკმაოდ ცნობილი იყო ჩვენს მშობლიურ ქალაქში. მან ფორტეპიანოს მასწავლებლის შესანიშნავი კარიერა გაიკეთა. ოთხი რთული წლის შემდეგ ის ჩემს მშობლებთან მოვიდა და შეევედრა, რომ ჩემი გაკვეთილები აღარ გაეგრძელებინათ. აი, ასეთი ცუდი ვიყავი დაკვრაში!

დრო გავიდა. ვიფიქრე, რომ მხოლოდ ფორტეპიანოზე დაკვრა არ მეხერხებოდა და გადავწყვიტე სხვა ინსტრუმენტი მეცადა. კლასიკური გიტარა ვიყიდეთ და ცნობილი მასწავლებელიც მოვიძიეთ. იგი ჩემთან მოთმინებით და გულმოდგინედ მუშაობდა. მეც თავს არ ვზოგავდი, ბეჯითად ვვარჯიშობდი, მაგრამ ეს ჩემთვის ტანჯვა იყო. უკვე წელიწადნახევარი გახდა, რაც გიტარაზე დაკვრას ვსწავლობდი და ბოლოს ვაღიარე, რომ მუსიკალური ნიჭი არ მქონდა.

რა გრძელვადიანი შედეგი მივიღე? უბრალოდ ვიტყვი, რომ არაფერი მომხდარა წლების მანძილზე. ეს სრულიად განსხვავდება ჩემი წერის ამბისგან. ჩემს ცხოვრებაში მოულოდნელად არანაირი მუსიკალური ნიჭი არ გამოჩენილა.

თვითშეფასება

შემეძლო კიდევ დიდხანს გამეგრძელებინა ჩამონათვალი, რისი ნიჭიც არ მაქვს, მაგრამ თქვენ უკვე მიხვდით, რა მინდა გადმოგცეთ. სრულიად თავისუფლად შეიძლება იმის თქმა, რომ ყველანი ვხვდებით, რას არ ვაკეთებთ კარგად.

ამის გათვალისწინებით გადავიდეთ პავლეს მითითებებზე:

> „ჩემთვის მოცემული მადლით ვეუბნები ყოველ თქვენგანს: თქვენს თავზე იმაზე მეტად ნუ იფიქრებთ, ვიდრე უნდა იფიქროთ, არამედ იფიქრეთ თავმდაბლურად, იმ რწმენის საზომით, ღმერთმა რომ გიწილადათ თითოეულს. რადგან, როგორც ერთ სხეულში გვაქვს მრავალი ასო, თუმცა ყველა ასოს ერთი და იგივე საქმე როდი აქვს; ასევე ჩვენც, მრავალნი ერთ სხეულს შევადგენთ ქრისტეში, ხოლო ყოველი ჩვენგანი ასოები ვართ ერთიმეორისათვის. და გვაქვს, ჩვენთვის მადლით მოცემული სხვადასხვა ნიჭი: თუ წინასწარმეტყველებაა — რწმენის შესაბამისად“. (რომ. 12:3-6)

პავლე სათქმელის გადმოცემას *გაფრთხილების* სახით იწყებს. ნება მომეცით, გამოვყო და ხაზი გავუსვა მის გაფრთხილებას. „ნუ იფიქრებთ, რომ იმაზე უკეთესები ხართ, ვიდრე სინამდვილეში წარმოადგენთ. წრფელად შეაფასეთ საკუთარი თავები“. აქ გვეუბნებიან, რომ პატიოსნად შევაფასოთ საკუთარი თავი. რაში? ნიჭებში, რომლებიც ღმერთმა გვიბოძა *რეალურ დროში*.

რატომ ვიყენებ სიტყვებს *რეალურ დროში*? მარტივია. იფიქრეთ ადრე გამოყენებულ ბიბლიურ მაგალითზე. საულის გულახდილი შეფასება სამუელთან შეხვედრამდე ასეთი იქნებოდა: „მე წინასწარმეტყველება არ შემიძლია“. ეს სწორი და ზუსტი გახლდათ იმ დროისთვის. თუმცა სამუელთან შეხვედრის შემდეგ, როცა მის ცხოვრებაში ღვთიური ნიჭი შემოვიდა, წრფელი შეფასება შეიცვალა: „მე წინასწარმეტყველება შემიძლია“.

ვისურვებდი, ეს მუხლი უფრო დაკვირვებით წამეკითხა მაშინ, როცა ისმაელის მსახურებას ვეწეოდი. საკუთარ თავთან

გულახდილი რომ ვყოფილიყავი, *დროულად* მივხვდებოდი, რომ უხერხულობას ვგრძნობდი საჯარო გამოსვლისას. თუმცა ჩემი პასტორის მომსახურების ნიჭი მქონდა. ბუნებრივი უნარებით ვცდილობდი გამეკეთებინა ის, რასაც ნათლად მეტყოდნენ, ლოცვაში გამეცხადებოდა და ლიდერების მიერ იქნებოდა ნაწინასწარმეტყველები *მომავალ მოვლენებთან* დაკავშირებით. *რეალური დრო* ჯერ კიდევ არ დამდგარიყო და ეს ცხადად ჩანდა. წმიდა წერილის გაფრთხილება რომ გამეთვალისწინებინა საკუთარი თავის წრფელად შეფასებაში, მივხვდებოდი, რომ მზად არ ვიყავი და ბევრ დროს, რესურსსა და ენერგიას დავზოგავდი. გარდა ამისა, უფრო ნაყოფიერი ვიქნებოდი იმ საქმეში, რომელიც *დროის იმ პერიოდისთვის* მქონდა მოცემული. რაც შეეხება სხვა ნიჭებს, პავლეს სიტყვები სრულიად გამჭვირვალეა: „როგორც ერთ სხეულში გვაქვს მრავალი ასო, თუმცა ყველა ასოს ერთი და იგივე საქმე როდი აქვს; ასევე ჩვენც, მრავალნი ერთ სხეულს შევადგენთ ქრისტეში (რომ.12:4-5). მარტივი და საკმაოდ შემეცნებითია, როცა საკუთარ სხეულს განიხილავთ. იფიქრეთ ამაზე; ჩვენს თითებს შეუძლია იმ საქმის კეთება, რაც ცხვირს არ შეუძლია. ჩვენი ცხვირის საკეთებელს ყურები ვერ გააკეთებს. ყურების მოვალეობას კუჭი ვერ იტვირთავს. კუჭი ისეთ ფუნქციას ასრულებს, რაც ღვიძლს არ შეუძლია და ასე გრძელდება სია. ამრიგად, ჩემი სათქმელი ასეთია:

ნეტარი და კურთხეულია კაცი, რომელმაც იცის
თავისი ნიჭი და მასში მოქმედებს.
საბრალო და დათრგუნულია ადამიანი, რომელიც
სხვისი ნიჭით მოქმედებას ცდილობს.

განა უცნაური არ იქნებოდა, ერთ დილას რომ გაგღვიძებოდათ და თქვენს ცერა თითს ეთქვა: „როგორც იქნა! პირო, უკვე წლებია, რაც ლაპარაკობ. დღეს ჩემი ჯერია“. ეს სასაცილოა; ცერს არ აქვს პირის მსგავსი ხმოვანების გამოცემის უნარი. თუმცა ცერა თითს აქვს ის უნიკალური თვისება, რომელიც პირს არ გააჩნია. წარმოიდგინეთ, პირს რომ ეთქვა: „დღეს კომპიუტერზე მე უნდა ვბეჭდო!“ ვიმეორებ, ეს სასაცილო რამ იქნებოდა.

მომდევნო მნიშვნელოვანი კითხვა შემდეგია: რატომ ვანიჭებთ უპირატესობას „სცენის ნიჭებს“? რატომ გვგონია მქადაგებლებისა და თაყვანისცემის ლიდერების შემყურეთ, რომ განსაკუთრებულები არიან? ამ საკითხზე პავლე კორინთელთა ეკლესიას ასე ეუბნება: „სხეულის ის ასოები, რომლებიც ყველაზე

უძლურნი ჩანან, უფრო მეტად საჭირონი არიან“ (1 კორ.12:22).

ნება მომეცით, პრაქტიკული მაგალითი მოგიყვანოთ. ოდესმე შეგინიშნავთ, რომ ფეხები ყურადღებას იქცევენ? ადამიანები ასე ამბობენ ხოლმე: „ამ ქალს რა მაგარი ფეხები აქვს!“ ან „ოჰო, რა დაკუნთული ფეხები აქვს!“

მამაჩემი მახსენდება – ძალზე კონსერვატული, დისციპლინირებული და წყნარი კაცი, რომელიც ჩემი მოზარდობისას ზოგჯერ ისე იქცეოდა, რაც მას სრულიად არ ახასიათებდა. ის, პრაქტიკულად, არ ცდილობდა ვინმეს ყურადღების მიქცევას, თუმცა ერთ დღეს ასე ამოიბურტყუნა: „შვილო, რა ლამაზი ფეხები გაქვს“.

გაოგნებული მივაჩერდი ხმის ამოუღებლად და ცნობისმოყვარე ღიმილით, რომ გამომეცნო, საით მიჰყავდა საუბარი. მან განაგრძო: „გინდა იცოდე რატომ? იმიტომ, რომ მე მაქვს ლამაზი ფეხები და მემკვიდრეობით გერგო“.

არ ვიცოდი, სიცილი ამეტეხა თუ მისი ნათქვამი მეღიარებინა. გაკვირვებული ვიყავი მისი ატიპური ქცევით. გავიცინე და ვუთხარი: „მადლობა, მამა, ასეთი ლამაზი ფეხები რომ მაჩუქე“.

რაც მართალია, მართალია. ფეხები ნამდვილად იქცევენ ყურადღებას. და მაინც, ალბათ, შეგინიშნავთ, რომ ადამიანებს ფეხების გარეშე ცხოვრება შეუძლიათ. ვიცი კაცი, რომელმაც ცალი ფეხი ავტოავარიისას დაკარგა, მაგრამ მაინც ფუნქციონირებს და ნორმალური ცხოვრებით ცხოვრობს.

ღვიძლის საქმე სულ სხვაგვარადაა. მის გარეშე ცხოვრება არავის შეუძლია. ის უკიდურესად მნიშვნელოვანი ორგანოა – ფეხზე გაცილებით მნიშვნელოვანი. მიუხედავად ამისა, ოდესმე თუ გაგიგონიათ ასეთი სიტყვები: „უჰ, რა შესანიშნავი ღვიძლი გაქვთ. სწორედ რომ საოცრებაა!“? ასე არ ხდება!

ისევ დავაკვირდეთ პავლეს სიტყვებს: „სხეულის ის ასოები, რომლებიც ყველაზე უძლურნი ჩანან, უფრო მეტად საჭირონი არიან“.

ზემოხსენებულ კითხვას ვიმეორებ: რატომ ვანიჭებთ უპირატესობას სცენაზე გამოსასვლელ ნიჭებს? ისინი „ხილული“ და საჭირო ნაწილებია, მაგრამ ღვთის სიტყვის თანახმად, არცთუ ყველაზე მნიშვნელოვანი.

ჩემს მეგობარ სტენს (პირველი თავიდან) ბიზნესის სამყაროში ფინანსების შოვნისა და გაცემის გარდა, ადამიანების სასუფევლისთვის მოპოვების ნიჭი აქვს. ეს უნარი კათედრის ნიჭებზე ნაკლებად ფასეული ჩანს და ამჟამინდელი საეკლესიო კულტურის ფონზე უსიტყვოდაც ცხადია. რა მოსაზრება უდევს საფუძვლად ამ შეხედულებას ეკლესიაში? „კათედრაზე მომსა-

ხურენი რჩეულები არიან და მათ ნამდვილად აქვთ მოწოდება თავიანთ ცხოვრებაში“.

იფიქრეთ ამაზე. თუ ვინმე იტყვის, „მას მოწოდება აქვს ცხოვრებაში“, მაშინვე ჩათვლიან, რომ ლაპარაკია პასტორის, თაყვანისცემის ლიდერის, ახალგაზრდების პასტორის, ქრისტიანი ავტორის, მისიონერისა და სხვა ამგვარ მოწოდებაზე. ასეთი განცხადების გაგონებაზე ერთეულები თუ იფიქრებენ ასე: „ეს კაცი სამედიცინო სფეროშია მოწოდებული და ახლა სიმსივნის განკურნების ახალ გზებს ეძებს“ ან „ეს ქალი ხელისუფლებაშია, რომ შეიმუშავოს ცათა სამეფოს წინსვლის უზრუნველსაყოფი კანონები“ ან „ეს მამაკაცი განათლების სისტემაში შრომით ახალგაზრდების გონებაში დათესავს ღვთის შემეცნებასა და სიბრძნეს“ ან „ეს ქალი მოწოდებულია ვაჭრობის სფეროში მუშაობისთვის, რომ იქ მოიპოვოს სულები და ფინანსები ცათა სამეფოსთვის“.

ღვთიური ნიჭების თაობაზე ამგვარი აზროვნების შედეგი სახეზეა. სტენი წლების მანძილზე დადიოდა ეკლესიაში თუმცა არ გაუაზრებია, რომ ისევე გახლდათ „მოწოდებული“, როგორც მე. მისი ღვთივბოძებული უნარები ფასეული გახლდათ, მაგრამ მნიშვნელოვანი არ ჩანდა ეკლესიაში გავრცელებული, გამოუთქმელი შეხედულების გამო, რომ „ეკლესიურ მსახურებასთან“ დაკავშირებული ნიჭები სხვებზე აღმატებულია. ეს უნდა შეიცვალოს! ყველანი მოწოდებული ვართ და ჩვენი უნიკალური ნიჭები ცათა სამეფოს დავალების შესასრულებლად უნდა გამოვიყენოთ.

აი, სრულად რას ეუბნება პავლე კორინთელთა ეკლესიას:

„და, აჰა, ღმერთმა თითოეული ასო ისე განალაგა სხეულში, როგორც ნებავდა. ჰოდა, ყველა რომ ერთი ასო იყოს, სადღა იქნება სხეული? აჰა, ასოები ბევრია, სხეული კი - ერთი. თვალი ვერ ეტყვის ხელს — არ მჭირდებიო; ვერც თავი ეტყვის ფეხს - არ მჭირდებიო. არამედ სხეულის ის ასოები, რომლებიც ყველაზე უძლურნი ჩანან, უფრო მეტად საჭირონი არიან. ხოლო რომლებიც ნაკლებ საპატიოდ გვეჩვენება სხეულში, მათ უფრო უხვად ვმოსავთ პატივით და ჩვენი უსახურობა მეტი პატივით იმოსება. კეთილსახიერ ასოებს ჩვენში, არ აქვთ ამის საჭიროება; მაგრამ ღმერთმა ისე შეაზავა სხეული, რომ უფრო უხვი პატივი არგუნა, რათა არ იყოს განხეთქილება სხეულში, არამედ ყველა ასო ერთნაირად ზრუნავდეს სხვაზე“. (1 კორ.12:18-25)

შესაძლოა, ეკლესიურ მსახურებასთან დაკავშირებულ ნიჭებს მეტ პატივს იმიტომ მივაგებთ, რომ პავლეს მსჯელობას ეკლესიის ან კონფერენციის ჩარჩოებით ვზღუდავთ. ცხადია, ქადაგებისა თუ სწავლების ნიჭები უფრო მოთხოვნადია ხსენებულ ვითარებებში. თუმცა ცათა სამეფოსთვის შრომა ყველგან ხდება, ამიტომაც აზროვნების კიდევ ერთ ნიმუშს მოუწევს რადიკალური სახეცვლილება. ეკლესია ბერძნული სიტყვიდან მომდინარეობს – „*ეკკლესიას*“, რაც „მოწოდებულებს“ ნიშნავს. ბერძნული ლექსიკონი ამატებს: „მოწოდებული ადამიანები ან თავისუფალი ქვეყნის საჯარო საქმეებისთვის შეკრებილნი, მაცნეს მეშვეობით მოხმობილი მოქალაქეების ერთობა“.

მხოლოდ მაშინ ვართ ეკლესია, როცა შენობაში ვიკრიბებით? მხოლოდ მაშინ ვართ ეკლესია, როცა ლოცვის, თაყვანისცემის, ქადაგების ან მსახურებისთვის ვიკრიბებით? ზემოხსენებული ნიმუში ადამიანებს გარკვეული ქცევისკენ უბიძგებს ამ ვითარებაში და სრულიად სხვაგვარად ამოქმედებს საზოგადოებაში. ჩვენ ნიჭებით აღჭურვილი ეკლესია ვართ ცათა სამეფოს მშენებლობისთვის, სადაც არ უნდა ვიყოთ დღეში 24 საათის, კვირაში 7 დღის, წელიწადში 365 დღის განმავლობაში!

ამას წინათ, მულტიმილიარდერს შევხვდი. იგი, როგორც თვითონ უწოდა, „ღვთიურ ტურს“ ასრულებდა. ის და მისი გუნდი სხვადასხვა ქალაქებში მიფრინავდნენ და ეკლესიებსა და კონფერენციებზე მსახურებს ხვდებოდნენ. მისი მიზანი გახლდათ ხუთმაგი მსახურების მეტად გამოკვეთა და შემდგომი აღჭურვა მისი საქმისთვის. მასთან ჩემი შეხვედრა წინასწარ იყო დაგეგმილი ერთი კარგი მეგობრის მიერ. ეს კონფერენციაზე მოხდა დალასში, სადაც სიტყვით გამოვდიოდი. ისე მოხდა, რომ მშვენიერი სამსაათიანი ლანჩი გამოგვივიდა და იქიდან იმ გრძნობით წამოვედი, თითქოს მე უფრო მეტი მივიღე, ვიდრე მან.

მილიარდერმა გამიზიარა, რომ კარიერის დასაწყისში ბიზნესში გაიხლართა, მაგრამ დადგა დღე, როცა თვალები აეხილა. გონება მაშინ გაუნათდა, როცა კითხვა დაებადა, თუ რატომ ხდებოდა სასუფევლისთვის შრომა მხოლოდ ეკლესიასა და კონფერენციებზე და არა სხვა ადგილებშიც? მან იცოდა, რომ ბიზნესის სფეროში იყო მოწოდებული, მაგრამ რატომ იქცეოდა ამ ასპარეზზე ისე, თითქოს ურწმუნოსგან არ განსხვავდებოდა? მას ქვეყნიერებისგან არაფერი გამოარჩევდა.

კაცმა გადაწყვიტა, რომ „ღმერთთან ერთად ივლიდა“ ბიზნესის სფეროში და სულიწმიდის ხმას მოუსმენდა. არავითარი განსხვავება კათედრასთან მდგარი მსახურისგან. არსებითად, ის მოწოდების საკითხს დაუპირისპირდა და გადაწყვიტა, რომ

თავადაც ისე იყო მოწოდებული ღვთისგან, როგორც ნებისმიერი სხვა მწყემსი. ამის შემდეგ დაადგინა ღვთისგან მისთვის ბოძებული ნიჭები და მიზანმიმართულად დაიწყო მათი მეშვეობით მოქმედება. ღვთის ხმას უსმენდა ლოცვის დროს და ბიზნეს-შეხვედრებზე. ცხადია, ღმერთმა მას ცოდნისა და სიბრძნის სიტყვა მისცა მისი საქმიანობის სფეროში.

შედეგები ცხადია: მას აღარასოდეს წაუბორძიკებია! იგი სხვებს უზიარებდა ღვთისგან მიღებულ კონკრეტულ სიტყვებს, რომლებიც ხშირად უმნიშვნელო ჩანდა. მიუხედავად ამისა, მას დამორჩილება ჰქონდა გადაწყვეტილი იმ შემთხვევაშიც კი, თუ ღვთიური მითითებები ბიზნესის სტანდარტულ მიდგომებს დაუპირისპირდებოდა და უხერხული გასათვალისწინებელი იქნებოდა. იგი გვიამბობდა ეჭვებზე, აწეულ წარბებზე, შიშებსა და წინააღმდეგობებზე, რომლებიც შეხვედრია როგორც კლიენტებთან, ისე საკუთარი გუნდის წევრებთან ურთიერთობისას. ღვთის სიტყვისადმი მისმა მტკიცე რწმენის ნაყოფმა, მილიონები შეადგინა. მონუსხული ვუსმენდი მის მიერ გაზიარებულ საოცარ ისტორიებს.

ერების დამოწაფება

რა შედეგს მივიღებდით, დღევანდელ ეკლესიაში ნიჭების მიმართ ზემოაღწერილი მიდგომა საპირისპიროთი რომ შეგვეცვალა? რა მოხდება, თუკი ნაყოფიერად გადავცემთ ყველა ჩვენს მსმენელს, რომ თითოეული მათგანი *მოწოდებული, ნიჭით დაჯილდოვებული* და *ფასეულია* ცათა სამეფოს შენების საქმეში? ეს ადვილია; ყველა იშრომებდა ბილი გრემის, ორალ რობერტსის, დედა ტერეზასა და პავლე მოციქულის მიზანსწრაფულობითა და ენთუზიაზმით. ჩვენს შეხვედრაზე ზუსტად იგივე ვიხილე იმ მულტიმილიარდერში. მან იცოდა თავისი მისია და ღვთისგან ბოძებული ნიჭების მნიშვნელობა მისიის შესრულების საქმეში.

ეს არის ნიმუში, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ ერების დამოწაფების საქმეში. და მაინც, უფრო ღრმად გამოვიკვლიოთ ეს საკითხი. იესოს არ უთქვამს, „დაიმოწაფე საეკლესიო მსახურებებზე დამსწრეები“. იგი დავალებას გვაძლევს, რომ „დავიმოწაფოთ ერები“ (იხ. მათ.28:19). „ერების“ აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვა გახლავთ „*ეთნოს*“, რომელიც ასე განისაზღვრება: „საერთო ნათესაობის, კულტურისა და ტრადიციების მქონე ადამიანთა გაერთიანება“. ეს დანამდვილებით მოიცავს არსებულ ერებს, ტომებს, ტერიტორიებსა და ეთნიკურ ჯგუფებს. გარდა ამისა, მასში შედიან ჩვეულებრივი

ადამიანები: ველოსიპედისტები, მსახიობები, ექიმები, ბიზნესის მფლობელები, პილოტები, ადვოკატები, დიასახლისები, საჯარო სამსახურის თანამშრომლები, ათლეტები და მრავალი სხვა, რომელთა ჩამოთვლაც შეუძლებელია. ჩვენ ამ სხვადასხვა სფეროს ყველა მამაკაცი თუ ქალი უნდა დავიმოწაფოთ.

მოდი, ერთი ნაბიჯით წინ წავიდეთ. იესოს არ უთქვამს, „დაიმოწაფეთ ადამიანები ერებიდან“. მან თქვა, „დაიმოწაფეთ ერები“. მნიშვნელოვანია ამ განსხვავების დანახვა. აუცილებელია შევცვალოთ ჩვენი სამოქმედო გზები, რომ ამ განსხვავებულ წრეებს ღვთის სიტყვა მივუტანოთ. რასაკვირველია, აქ უმთავრესია მათში შემავალ ადამიანებამდე მიღწევა. თუმცა აქ არ უნდა შევჩერდეთ. უნდა მოვნათლოთ (ჩავძიროთ) არა მარტო ადამიანები, არამედ მათი მოქმედების რეჟიმები – მამის, ძისა და სულიწმიდის გზებით. მაგალითად შეიძლება დავისახოთ ბიზნესის სფეროში მომუშავე ადამიანების აზროვნების შეცვლა, როგორც იმ მილიარდერის შემთხვევაში მოხდა. და ეს აისბერგის მხოლოდ მწვერვალია.

განვიხილოთ ზაქეს შემთხვევა. ის მებაჟეთა უფროსი გახლდათ და ეჭვგარეშეა, რომ საუკეთესო იყო იმ არეალში. არსებითად, იგი რეგიონის მაფიის ბოსს წარმოადგენდა. დიდი ალბათობით, ზაქე ხალხს სძულდა, რადგან აკეთებდა იმას, რასაც აკეთებს მებაჟეთა უმრავლესობა: თანამდებობას გამდიდრებისთვის იყენებდა. ის, ალბათ, იპარავდა, თაღლითობდა, იტყუებოდა, აშინებდა და ბატონობდა თანამოქალაქეებზე. ზაქე ცნობილი და გავლენიანი ფიგურა გახლდათ, ამიტომ მას ბევრი მიბაძავდა.

ამის მოწმე ვყოფილვარ იმ რამდენიმე ერში, სადაც მიმოგზაურია. ქვეყნის მთავარი ხელისუფალი კორუმპირებულია და ჩინოვნიკებისგან მაგიდის ქვეშ ქრთამის შეცურებას ითხოვს. ეს ქცევა თანდათან ყველა ქვემდგომს გადაეცემა. ახლა უკვე საემიგრაციო სამსახურის მუშაკსაც სურს ქრთამის აღება აეროპორტში, სხვაგვარად ქვეყნის დატოვების უფლებას არ მოგცემს.

დავუბრუნდეთ ზაქეს. იესომ მას სახელით მოუწოდა და საინტერესოა, რომ მხოლოდ ეს სიტყვები უთხრა: „ზაქე! სწრაფად ჩამოდი! რადგან დღეს შენს სახლში მომიწევს დარჩენა“.

ზაქე მოძღვრის წინაშე წარსდგა და უპასუხა: „უფალო, აჰა, ჩემი ქონების ნახევარს ღარიბებს მივცემ, ხოლო თუ ვინმესთვის რაიმე გამომიძალავს, ოთხმაგად მივაგებ“ (ლუკ. 19:5-8).

რა მოხდა იმ რეგიონში ბაჟის აკრეფასთან დაკავშირებით? მებაჟეთა უფროსის მოქმედების მანერა შეიცვალა და ბნელი,

ამქვეყნიური მიდგომა ცათა სასუფევლის პრინციპმა ჩაანაცვლა! ახლა ბიზნესის/ხელისუფლების ეს სფერო დედამიწაზე ძალიან დაუახლოვდა ზეცის მოქმედების მეთოდებს. ცვლილება მოხდა საზოგადოებაშიც. ამგვარი ცვლილება საეკლესიო მსახურებაზე არ მომხდარა და არც იესოს უქადაგია კონფერენციაზე ზაქეს დასარწმუნებლად, რომ მისი მიმდევარი გამხდარიყო. ეს ქალაქის ცენტრში მოხდა. ზაქე იესოს შეხვდა და მისი სამოქმედო გზები მოულოდნელად შეიცვალა. ასეთი რამ ყოველთვის ხდება, როცა ადამიანებს ვხვდებით სხვადასხვა ერში (იმ გავლენის სფეროში, სადაც მოწოდებული ვართ), რადგან ჩვენში იგივე იესო ცხოვრობს.

ამჟამად ნაციონალური საფეხბურთო ლიგის ყოფილ ფეხბურთელს ვასწავლი, რომელსაც სოციალურ მედიაში ბოდიბილდერების დიდი აუდიტორია ჰყავს. ის ამ სპორტსმენებს ისეთ მითითებებს აძლევს, რომ ზეციური სასუფევლის კულტურა ერზე (*ეთნოს ზე,* ჯგუფზე) გადმოედინება, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი იესოს უფლობის ქვეშ. ფეხბურთელი ისე ესაუბრება მათ, რომ ცათა სამეფოს გზები და მეთოდები თვალსაჩინო ხდება.

ნიჭები მხოლოდ შენობაში თავმოყრილი წმიდანებისთვის როდია, თუმცა ეს ფასეული და მნიშვნელოვანია – ნამდვილად არ მინდა ჩვენი შეკრებების დაკნინება. ჩემი განზრახვა იმაში მდგომარეობს, რომ ღვთიური ნიჭების შესახებ ხედვა გავაფართოვოთ. თუ ჩვენი მოწოდება ეკლესიის გარეთ შრომას გულისხმობს, რაც უმრავლეს ჩვენგანს მოიცავს, მიღებული ნიჭების მეშვეობით ზებუნებრივი მოქმედებისთვის ვართ მოწოდებული იმ გავლენის სფეროში, სადაც ვცხოვრობთ და ვშრომობთ – ჩვენი ეთნიკური ჯგუფის შიგნით.

თუ საერო სასულიეროსგან განაცალკევეთ, ამ აზროვნების შეცვლა მოგიწევთ. როცა ოთახში შეაბიჯებთ, მნიშვნელობა არ აქვს, სად – საავადმყოფოს პალატაში, სადაც ქირურგი ან ექთანი ხართ; საჯარო სკოლის კლასში, სადაც ასწავლით; ფაბრიკაში, სადაც მექანიკოსად მუშაობთ და ა. შ. – ბოძებული გაქვთ ნიჭი, რომ სიწმიდე შეიტანოთ იმ ადგილას და დაიმოწაფოთ მამის, ძისა და სულიწმიდის სახელით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათი მხარდაჭერით და ძალაუფლებით ზეცა დედამიწაზე მოგაქვთ, რაც არაფრით განსხვავდება იესოს ნამოქმედარისგან ზაქესა და სხვების მიმართ. მოწოდებული ხართ ცათა სამეფოს მოქმედების რეჟიმის გასამრავლებლად თქვენი გავლენის არეალში.

განა ეს ოფისსა თუ სკოლაში სიარულს თავგადასავლის ძიებად არ აქცევს?

დაფიქრება

1. წმიდა წერილი გვაფრთხილებს, რომ წრფელები ვიყოთ საკუთარი თავის შეფასებისას. ეს შეფასება *რეალურ დროში* უნდა მოხდეს. ზემოთ გაგიზიარეთ ამბავი, თუ როგორ წამოვიწყე მსახურება დროზე ადრე. როგორ შეძლებთ ანალოგიური შეცდომის თავიდან აცილებას? რა ნიჭი გაქვთ მოცემული აწმყოში, ამ დროისთვის?

2. ნეტარი და კურთხეულია ადამიანი, რომელმაც იცის თავისი ნიჭები და მათში მოქმედებს. საბრალო და დათრგუნულია ის, ვინც იქანცება სხვის ნიჭში მოქმედებით. ოდესმე გიცდიათ იმ სფეროში შრომა, რომელიც თქვენი მოწოდებისგან განსხვავდება? თუ დიახ, რატომ?

3. ნიჭები მხოლოდ შენობაში შეკრებილი წმიდანებისთვის როდი გვაქვს, არამედ ჩვენი გავლენის კონკრეტულ არეალში სამოქმედოდაც. როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი ყოველდღიური ცოცხალი და მოქმედი ცხოვრება ღვთის სამეფოს აღმშენებლობისთვის? რა გზებით შეძლებთ თქვენი პროფესიული ნიჭების გამოყენებას ცათა სამეფოსთვის?

„ისე უნდა ჩაგვთვალოს ადამიანმა,
როგორც ქრისტეს მსახურნი და
ღვთის საიდუმლოთა მნენი“.

– 1 კორ. 4:1

4

მნეები

ჩვენ განვიხილეთ სიტყვები „*მადლი*“ და „*ნიჭი*“. ახლა ყურადღებას მივაპყრობთ სიტყვას „*მნეობა*“. მას შემდეგ, რაც მის მნიშვნელობას დავადგენთ, სამივე სიტყვას შევაკავშირებთ წმიდა წერილიდან და ჩვენი ცხოვრებისთვის საჭირო ნათელ მითითებას აღმოვაჩენთ.

მირიამ-უებსტერის ლექსიკონი *მნეობას* შემდეგნაირად განსაზღვრავს: „ადამიანისთვის მინდობილი საგნის ფრთხილი და პასუხისმგებლიანი მართვა“. გონივრული იქნება საკვანძო სიტყვების ბერძნული განსაზღვრებების მოძიება, რადგან ხშირად თარგმნილი სიტყვები ზუსტ მნიშვნელობას ვერ ინარჩუნებენ. თუმცა სიტყვა მნეობას ეს არ ემუქრება; ბერძნულისა და ინგლისურის მნიშვნელობები ერთმანეთს თითქმის ემთხვევა. ზემოხსენებულ მუხლში *მნეობის* შესატყვისი ბერძნული სიტყვა გახლავთ „*ოიკონომოს*“ და ასე განისაზღვრება: „ის, ვისაც რაიმეზე ძალაუფლება და პასუხისმგებლობა აქვს – ვისაც რაიმე აბარია, ვინც ანგარიშვალდებულია, ადმინისტრატორი, მენეჯერი“.

ორივე განმარტებიდან მნეობის სამი ცხადი ასპექტი იკვეთება:

- ზედამხედველობს სხვის საკუთრებას;
- მიცემული აქვს მინდობილის მართვის ძალაუფლება;
- პასუხისმგებელია: ანგარიშვალდებულია მესაკუთრის წინაშე.

ყველაფერი ღმერთმა შექმნა და მასვე ეკუთვნის! ფს. 24:1 აცხადებს: „უფლისა არის ქვეყნიერება და სავსება მისი, სამყარო და მკვიდრნი მისი“. აქედან ჩანს, რომ ამ სამყაროში ყველაფრის მნეები ვართ. ჩვენ უნდა ვმართოთ დედამიწა: მიწა, წყალი, ჰაერი, რესურსები, ცხოველები, თევზი და ფრინველი. პასუხისმგებლობა გვაკისრია ადამიანების კეთილდღეობაზე სულიერად, ემოციურად, ინტელექტუალურად და ფიზიკურად. ეს

მოიცავს ყოველგვარ ღვთიურ და სასარგებლო ცოდნას, სიბრძნესა და გაგებას. კიდევ შემეძლო გაგრძელება, მაგრამ არსებითად, ყველაფერზე გვაკისრია პასუხისმგებლობა დედამიწაზე, იქნება ეს ხილული თუ უხილავი.

მოდი, კიდევ უფრო სიღრმეში ჩავიდეთ პავლეს განცხადებიდან მნეობის ზუსტი მნიშვნელობის გამოსარკვევად. იგი წერს „ღვთის საიდუმლოთა მნეებზე“. New Living Translation ამბობს, რომ „*დაყენებული* ვართ ღვთის საიდუმლოთა განმარტებისთვის“. პავლეს ცხოვრებაში ერთ-ერთი ნიჭი (*ქარიზმა*) *გამოცხადება* გახლდათ – საიდუმლოების, დაფარული ჭეშმარიტების გაცხადება, რომელიც აქამდე ცნობილი არ ყოფილა. ამრიგად, ნამდვილი *მნეობა*, რომელზეც ის ლაპარაკობს, არ შეეხება ფულის, დროის, რესურსების მართვას (ყველა ფასეულ მნეობას), არამედ ნიჭის (*ქარიზმა*) განკარგვას მის ცხოვრებაში. ეს ჩვენც გვეხება?

პეტრე წერს: „თითოეული იმ ნიჭით ემსახურეთ ერთმანეთს, რაც მიგიღიათ, როგორც შეეფერება ღვთის მრავალგვარი მადლის კარგ მნეს“ (1პეტრ.4:10). ჩვენ მიერ გამოკვეთილი ყველა სიტყვა ამ ერთ მუხლშია გამოყენებული (ნიჭი: *ქარიზმა*; მნეობა: *ოიკონომოს;* და მადლი: *ქარის*). პეტრე პავლეს მსგავსად გვამცნობს *ქარიზმაზე,* მინდობილ მნეობაზე. ამ ერთ მუხლში ბევრი რამ არის გაცხადებული, ამიტომ მას გულმოდგინედ გამოვიკვლევთ.

ყურადღება მიაქციეთ პეტრეს ნათქვამს, რომ ყველას გვაქვს ნიჭი. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ მას არ უხსენებია „ყველა მსახური“, „ყველა პასტორი“, „ყველა თაყვანისცემის ლიდერი“ ან სხვა მსახურების ნიჭი, რომელიც სცენაზეა საჭირო. იგი „თითოეულის“ ნიჭზე ლაპარაკობს. თუ ზეციდან შობილი ხართ, გაქვთ ნიჭი ან ნიჭები, რომლებიც გერგოთ, მოგანდეს. ეს გახლავთ პასუხი ორი თავის წინ დასმულ კითხვაზე. *თქვენ გაქვთ ერთი ან რამდენიმე ნიჭი, რომლებიც მადლის განსაკუთრებული საჩუქარია და კონკრეტული უნარებით გაძლიერებთ.*

მოდი, მაგალითისთვის პავლეს მიდგომა გამოვიყენოთ თქვენი ნიჭის მნიშვნელოვნების დასანახად. ფაქტობრივად, იგი მეტისმეტი სერიოზულობით უდგებოდა მნეობის ნიჭს. კორინთელთა მიმართ წერილში მოგვიანებით ასე წერს:

> „ვინაიდან თუ ვახარებ, არაფერი მაქვს დასაკვეხნი, რადგან ეს ჩემი აუცილებელი მოვალეობაა; და ვაი მე, თუ არ ვახარებ. რადგან თუ ნებით ვაკეთებ ამას, საზღაური

მაქვს, ხოლო თუ ნების საწინააღმდეგოდ - სახლმმართველობა მაქვს მონდობილი“. (1 კორ. 9:16-17)

ჩემი ყურადღება მაშინვე მიიპყრო სიტყვებმა *„ვაი“* და *„მე“*. ძლიერი სიტყვებია, იმაზე ძლიერი, ვიდრე გაცნობიერება შეგვიძლია. სიტყვის *„ვაი“* აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვა გახლავთ *„ოუაი“*. იგი ითარგმნება როგორც „უბედურება, საშინელება“. სხვა ლექსიკონში მისი მნიშვნელობა ასეთია: „მწუხარებისა და გულისწყრომის წამოძახილი“. ახალ აღთქმაში ამ სიტყვის ყოველი გამოჩენა ძალზე სერიოზულ და შემაძრწუნებელ სასჯელს გულისხმობს, რომელიც იმ ადამიანებს ელით, რომელთა მიმართაც გამოითქმება. როცა პავლე ამბობს, „ვაი მე“, ეს წყევლის დატეხვის ანალოგიურია. ამან მეყსეულად უნდა მიიპყროს ჩვენი ყურადღება. ღვთივბოძებული ნიჭების უგულებელყოფა სერიოზული საკითხია.

პავლემ იცოდა, რომ ღმერთმა რაღაც დიდად ფასეული მოგვანდო. აი, გამომაფხიზლებელი ჭეშმარიტება: თუ მათ სათანადოდ არ განვკარგავთ, სხვები ღვთისგან მათთვის განსაზღვრულ სარგებელს ვერ მიიღებენ და უფრო მეტიც, დაზარალდებიან. პავლემ იცოდა, რომ ნიჭი მისთვის არ იყო, არამედ სხვებისთვის მისი მეშვეობით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისეთ რამეს ატარებდა, რაც ღმერთს სხვებისთვის სურდა, სწორედ ეს იყო ნიჭის უგულებელყოფისთვის მის მიერ წარმოთქმული მკაცრი „ვაი“-ს უკან მდგარი მიზეზი.

მოდი, ეს მე და თქვენ მოვირგოთ. აქ ორი მნიშვნელოვანი მომენტია გამოსაკვეთი. პირველი, პავლეს ნიჭი „შესამჩნევი“ გახლდათ. გაიხსენეთ, რომ ღმერთმა ნაკლებად წარმოსაჩენ ნიჭებს მეტი პატივი არგუნა, ვიდრე ცხადად დანახულს. თუ პავლე თვალშისაცემ ნიჭს ასეთი სერიოზულობით ეპყრობოდა, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავაკნინოთ ნიჭი, რომელიც ღმერთმა ჩვენში ჩადო, მაგრამ ნაკლებად ხილულია.

უფრო მეტად მნიშვნელოვანია მეორე დასკვნა: ღვთიური ნიჭები თქვენს ცხოვრებაში თქვენთვის როდია. ისინი სხვებისთვის სარგებლობის მოსატანად მოგეცათ. წერის ნიჭი ჩემთვის კი არ არის, არამედ თქვენთვის. ქადაგების ნიჭი ჩემთვის კი არ არის, არამედ მათთვის, ვისაც მივმართავ. წინამძღოლობის ნიჭი ჩემთვის კი არ არის, არამედ მათთვის, ვისაც ვუძღვები და ა. შ.

ჩვენ ვირჩევთ, როგორ გამოვიყენებთ ნიჭს

შეგვიძლია, ნიჭი კარგად გამოვიყენოთ ცხოვრებაში ან უგულებელვყოთ – არჩევანი ჩვენზეა. ნიჭი კვლავ იმოქმედებს, თუნდაც ცათა სამეფოს შენების თავდაპირველი ღვთიური განზრახვით არ იყოს გამოყენებული. ადოლფ ჰიტლერი ნიჭიერი ლიდერი გახლდათ და შეეძლო ერი ისე ემართა, რომ სარგებლობა მოეტანა მილიონობით გერმანელის, ებრაელის, რუსის, ფრანგის, ბრიტანელის და სხვა ეროვნების წარმომადგენელთათვის. გამოიყენა თავისი ნიჭი ღვთის სადიდებლად თუ საკუთარი თავის და მის მიერ დაფასებული ადამიანების საკეთილდღეოდ? ზიანი მოიტანა ნიჭის მეშვეობით? იყვნენ თუ არა ებრაელები და სხვები გაძარცვული, განადგურებული, ნაწამები და სასიკვდილოდ განწირული არა ღმერთის საქმისთვის? განა მან არასწორად არ გამოიყენა წინამძღოლობის ნიჭი, რომელიც მიცემული ჰქონდა? ამ კითხვებზე პასუხის გაცემას დიდი მსჯელობა არ სჭირდება – აქ ყველაფერი ნათლად ჩანს.

ადოლფ ჰიტლერის მნეობის შესახებ ყველაფერი ცხადია, მაგრამ მინდა, ორ სხვა კარგად ცნობილ პიროვნებაზე ვისაუბროთ, რომელთა საქმე ასე გარკვეული არ არის. პირველი, უიტნი ჰიუსტონი გახლდათ – ხელოვანი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ხმით, რომელიც კი ცხოვრებაში მომისმენია. ეჭვს არ იწვევდა ღვთიური შეხება მის ცხოვრებაში. უიტნის შესრულება მსმენელებს გულში სწვდებოდა. ის იყო არაამქვეყნიური, ანგელოზის დარი და საკმაოდ ძლიერი.

მეორე მაგალითი ფრედი მერკური გახლავთ, რომელიც *ქუინის* (როკჯგუფი) სოლისტი იყო. მას სავსე სტადიონების შეძვრა შეეძლო თავისი კომპოზიციისა და სიმღერის ნიჭით. მისი უნარები საშუალოს მეტისმეტად აღემატებოდა და ზოგიერთებს ზებუნებრივადაც მიაჩნდათ. მას ხალხის აყოლიება თითქმის ყველა ვითარებაში შეეძლო. ფრედის გარდაცვალებიდან წლები გავიდა, მაგრამ მისი სიმღერები დღემდე პოპულარულია.

კარგად გამოიყენეს თუ არა თავიანთი ნიჭები უიტნიმ და ფრედმა? ეჭვი არ მეპარება, რომ ბევრი ამ საკითხს საკამათოდ გახდის. თუმცა შევეცადოთ მათი ცხოვრება იესოს სიტყვების ფონზე განვიხილოთ:

„მართლდება სიბრძნე თავისი საქმეებით“. (მათ.11:19)

და კიდევ:

„და გამართლებულია სიბრძნე ყველა მისი შვილის მიერ“. (ლუკ.7:35)

მოდი, ამ ორი საოცარი ხელოვანის ნაყოფი გამოვიკვლიოთ მათი მნეობის მოკლე და გრძელვადიანი შედეგებით. იყენებდა თუ არა უიტნი თავის ნიჭს ადამიანების ღვთის თანდასწრებაში შესაყვანად? მისი სიმღერის მოსმენის შემდეგ მსმენელები ღვთისმოსაობას ესწრაფოდნენ? მომღერლის შესრულება ოჯახური აღთქმების განმტკიცებას უზრუნველყოფდა თუ არარეალური, რომანტიული მოლოდინების წარმოქმნით უკმაყოფილებას იწვევდა? იყენებდა ფრედი თავის ნიჭს მსმენელების სიმართლისკენ გასაძღოლად? მიუთითებდა შემოქმედის პატივისცემაზე? როგორ წავიდნენ დედამიწიდან უიტნი და ფრედი? მათი მემკვიდრეობა ხანგრძლივია თუ წარმავალი? საუკუნოდ გაგრძელდება თუ ამ ქვეყნიერებასთან ერთად განადგურდება?

იესო შედეგების გათვლისკენ მოგვიწოდებს – თავად განსაზღვრეთ უიტნისა და ფრედის მნეობის შედეგები. საბოლოო გამოცდა ჩვენი შემოქმედის წინაშე წარდგომისას იქნება. თითოეული პასუხს აგებს სამსჯავროზე.

გავაცნობიერე, რომ თუ უიტნის ან ფრედის ფანი ხართ, შესაძლოა, ეს მსჯელობა თქვენთვის უხერხულობის მომტანი იყოს. მოდი, დავსვათ კითხვა, რომელიც უფრო მეტად გააცხადებს, თუ როგორ შეფასდება მათი მნეობა სამსჯავროზე. მოდი, მათი მემკვიდრეობა აქედან ათი მილიონი წლის პერსპექტივით განვიხილოთ. როგორ გაიხსენებენ უიტნი და ფრედი ღვთისგან ბოძებული ნიჭების მართვას? მარადიულობიდან დანახულმა, შესაძლოა, შეცვალოს თქვენი თავდაპირველი ხედვა.

ცხოვრება – ეს პერსპექტივაა. თუ ოთხმოცწლიანი არსებობის კუთხით განვიხილავთ, საგნებს სხვაგვარად აღვიქვამთ. თუმცა, მარადიულობის თვალსაზრისით ყველაფერი განსხვავებულად ჩანს.

იფიქრეთ ამგვარ სცენარზე: მიწვეული ხართ კაფეტერიაში სადილზე. ერთჯერადად იხდით თანხას და შეგიძლიათ მიირთვათ, რასაც ინებებთ. აქ არის დიდი მაგიდა საოცრად გემრიელი დესერტებით. თუ ამ მაგიდას ერთი დღის პერსპექტივით შეხედავთ, რას გააკეთებთ? ალბათ, ყველაფერს გასინჯავთ, რაც მაგიდაზე დევს. თუ იგივე მაგიდას ერთწლიანი პესრპექტივით შეხედავთ, შეიძლება მხოლოდ ერთი დესერტი გასინჯოთ ან საერთოდ არაფერს ახლოთ ხელი. რატომ? იმიტომ, რომ არ გინდათ, დილით კუჭმა შეგაწუხოთ ან ათი ფუნტით მეტს იწო-

ნიდეთ მომდევნო კვირას და მრავალწლიანი ჯანმრთელობა დათმოთ!

როცა უიტნისა და ფრედის ნაყოფებს მარადიულობის პერსპექტივით ვუყურებთ, მათი მნეობის სიბრძნე უფრო ცხადი ხდება.

ადოლფ ჰიტლერზე, თუნდაც უიტნი ჰიუსტონსა და ფრედი მერკურზე ლაპარაკი უსაფრთხოა, მაგრამ აქ რეალობას ვხედავთ, რომელმაც უნდა გამოგვაფხიზლოს: მე და თქვენ პასუხი უნდა ვაგოთ ჩვენთვის მინდობილ ნიჭებზე, როცა მსაჯულის წინაშე წარვდგებით. მათ ოთხმოცწლიანი ცხოვრების კი არა მარადიულობის ფონზე განიხილავენ. ჩვენი ნიჭები გამოიცდება ღვთის საუკუნო სიტყვის სინათლეზე, რომელიც ცათა სამეფოსთვის შენებას გვავალდებულებს. გაძლებს ჩვენი მემკვიდრეობა თუ ქვეყნიერების სისტემასთან ერთად გადაივლის?

მოტივაციაზე დაკვირვება

ნება მომეცით, გავიმეორო პირველი თავის მსჯელობა. თქვენი ნიჭების განკარგვა ნებისმიერ დროს შეგიძლიათ სამიდან ერთ-ერთი გზით:

- გამოიყენებთ ცათა სამეფოს ასაშენებლად.
- გამოიყენებთ საკუთარი თავისთვის.
- საერთოდ არ გამოიყენებთ და უგულებელყოფთ მათ.

მნიშვნელოვანია მეორე პუნქტის დაზუსტება, რომელიც ხშირად მაცდურია. ბევრი ფიქრობს, რომ სხვებს აშენებს, უფრო მეტიც, ცათა სამეფოსთვის იღწვის, სინამდვილეში კი მათი მოტივი მხოლოდ საკუთარი სარგებლობა გახლავთ.

მე უნებურად აღმოვჩნდი ანალოგიურ მდგომარეობაში. წლების წინ, მსახურების დასაწყისში ყველას თავაზიანად ველაპარაკებოდი და ქების სიტყვებს არავისთვის ვიშურებდი – არც გუნდის წევრების, არც ეკლესიისა და არც ნებისმიერი ადამიანისთვის მსოფლიოში. ამ ნეტარ და სასიამოვნო განცხადებებს მაშინაც ვაკეთებდი, როცა სიმართლეს არ შეესაბამებოდა. სიტყვა უკან მიბრუნდებოდა, თუ რა კარგი და მოსიყვარულე ადამიანი ვიყავი. ეს კომპლიმენტები უფრო მეტად ახალისებდა ჩემს ქცევას.

ერთ დღეს ლოცვაში ღმერთმა მითხრა:

– ხალხი ამბობს, რომ მოსიყვარულე და კეთილი ადამიანი ხარ, არა?

ჩვეულებრივ ვითარებაში ამას შექებად ჩავთვლიდი, მაგრამ

სულიწმიდის ლაპარაკის მანერამ მაგრძნობინა, რომ საქმეს ასეთი პირი არ უჩანდა. ამიტომ ფრთხილად გამოვთქვი:

– დიახ, ასეა.

მან მყისვე მიპასუხა:

– იცი, მარტო შენ რატომ აქებ ადამიანებს?

კიდევ უფრო მეტი სიფრთხილით ვუთხარი:

– რატომ?

– იმიტომ, რომ მათგან უარყოფის გეშინია, – მითხრა მან, – ამრიგად, ვინ არის შენი სიყვარულის ობიექტი, თავად შენ თუ ისინი?

როცა მივხვდი, რომ ჩემი ზრახვები სრულიად და საბოლოოდ გამჟღავნდა, ვაღიარე მისი განცხადების ჭეშმარიტება.

შემდეგ მან მითხრა:

– მართლა რომ გიყვარდეს ადამიანები, სიმართლეს ეტყოდი მათ – თუნდაც მათგან უარყოფის რისკის ფასად.

ამან შეასწორა ადამიანების მიმართ ჩემი დამოკიდებულება. ჩვენს მსჯელობასთან დაკავშირებით კითხვა უნდა დავსვა. შესაძლებელია თუ არა ღვთისგან ბოძებული ნიჭის შეცდომით გამოყენება ჩემი შემთხვევის ანალოგიურად? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შესაძლებელია, ადამიანებს ეგონოთ, რომ ჩვენს ნიჭს ცათა სამეფოს მშენებლობისთვის ვიყენებთ, მაგრამ სინამდვილეში ანგარებით ვმოქმედებდეთ, საკუთარი სარგებლობისთვის? პასუხი ნამდვილად დადებითი იქნება და ჩემს თავს მაგალითად კიდევ ერთხელ წარმოგიდგენთ, შემდეგ კი მას წმიდა წერილის მუხლებით გავამყარებ.

როგორც წესი, უფლისგან პირდაპირ მითითებას არ ვიღებ, თუ რა საკითხზე ვილაპარაკო კონფერენციაზე ან ეკლესიის მსახურებაზე, მაგრამ ჩემს გულს ვუკვირდები, თუ რისკენ მიმიძღვის სულიწმიდა. უნდა ითქვას, რომ იყო ერთი შემთხვევა, როცა ქადაგებამდე უშუალოდ უფალი დამელაპარაკა.

ცენტრალურ დასავლეთში კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლას ვგეგმავდი. როცა ამისთვის განსაზღვრულ დღეს სასტუმროს ნომერში გამეღვიძა, სრულიად დაუეჭვებლად გავიგონე სულიწმიდის ხმა:

– მინდა, რომ ხალხს მოემსახურო *„სატანის სატყუარაში“* განხილულ საკითხზე ქადაგებით (ეს წიგნი 1994 წელს დავწერე წყენის გადალახვასა და იმ ადამიანების პატიებაზე, რომლებმაც ტკივილი მოგვაყენეს).

მთელი დღე ჭიდილი მქონდა მის მითითებასთან დაკავშირებით. *„სატანის სატყუარის“* სათქმელმა თავისი თავი წლების

წინ ამოწურა. ის ბესთსელერი გახლდათ და ამ თემაზე კარგა დიდი ხნის მანძილზე ვქადაგებდი მთელი ქვეყნის მასშტაბით. ადამიანთა უმრავლესობას ეს უკვე მოსმენილი ჰქონდა. სულიწმიდის ამ მიმართულებას ისიც აძნელებდა, რომ ახალ ხელნაწერზე ვმუშაობდი. როცა რაიმეს თვეების განმავლობაში წერთ, ის ჭეშმარიტება უფრო ძლიერად და ცოცხლად არის გულში აღბეჭდილი. და ბოლოს, ნამდვილად აღარ მინდოდა ძველი ქადაგების გამეორება. მიუხედავად ამისა, სულიწმიდის სიტყვა სრულიად ნათელი გახლდათ.

იმ საღამოს დარბაზს რომ მივუახლოვდი, კონფერენციის კოორდინატორებმა მითხრეს, რომ ხალხი შორი მანძილიდან ჩამოვიდა ჩემს მოსასმენად. ჟრუანტელმა დამიარა. ვიფიქრე, რომ ეს მოგზაურები ჩემს ქადაგებას განმეორებით მოისმენდნენ და დიდი ალბათობით, „*სატანის სატყუარაც*“ წაკითხული ექნებოდათ.

როგორც კი აუდიტორიაში შევაბიჯე, დამუხტული ატმოსფერო ვიგრძენი. ხალხის მოლოდინი ცხადი იყო. დილას მიღებული მითითების შესრულება კიდევ უფრო რთული მეჩვენებოდა. არ მინდოდა ადამიანებისთვის იმედი გამეცრუებინა. ზეწოლას დავემორჩილე და „ახალი“ სიტყვის საქადაგებლად მოვემზადე. კმაყოფილი დავრჩი კონფერენციის მსვლელობით. ძლიერი ქადაგება იყო და ხალხი ენთუზიაზმით მპასუხობდა. ზოგიერთები ფეხზეც წამოდგნენ ჩემ მიერ გამოკვეთილი რამდენიმე ძლიერი მომენტის აღსანიშნავად. ისე ჩანდა, თითქოს სიტუაციიდან „გამოვძვერი“ ან იქნებ ღმერთს არ უთქვამს ის სიტყვები დილით. ნებისმიერ შემთხვევაში, გახარებული ვიყავი. მოგვიანებით, ფოიეში ყველა სავსე და მადლიერი იყო დიდებული სიტყვის გამო.

როგორც სხვა შემთხვევებში ხდებოდა ხოლმე, ქალაქი კმაყოფილებისა და სიხარულის გრძნობით დავტოვე, თითქოს ღმერთი ჩემი გულიდან იღიმოდა. თუმცა მომდევნო დილას ყველაფერი შეიცვალა. დამძიმებული გულით და ენერგიისგან დაცლილმა გავიღვიძე. უფრო მეტიც, დეპრესიას ვებრძოდი. მაშინვე მივხვდი მიზეზს – მე ხომ ღმერთს ვეურჩე. პირველი, რაც მაშინ გავაკეთე, მუხლებზე დადგომა, მონანიება და პატიების თხოვნა გახლდათ. უფალს ვევედრებოდი, რომ იესოს სისხლს გავეწმინდე.

მიუხედავად ამისა, შვება ვერ ვიგრძენი. მთელი დღის მანძილზე დამძიმებული და ნაღვლიანი ვიყავი – სასტუმროში დარჩენილი დროის, აეროპორტში გამგზავრების, დაგვიანებული რეისის ლოდინისა და დასავლეთ სანაპიროზე გადაფრენის

განმავლობაში. მწუხარება, სიმძიმე და დეპრესია აუტანელი გახდა. ბოლოს, როცა ქალაქ სან-დიეგოს თავზე ვტრიალებდით, ზეწოლა უცებ მომშორდა.

კითხვა დავსვი:

– მამა, დილით მოვინანიე და პატიება გთხოვე. რატომ არ აღმიდგინე სიხარული, მშვიდობა და კმაყოფილება ამ მომენტამდე?

გავიგონე უფლის ნათქვამი:

– მინდოდა ჩემი დაუმორჩილებლობის სიმძიმე შეგეგრძნო, რომ მისი სერიოზულობა გაგეცნობიერებინა. გასულ საღამოს მსახურებას ერთი პასტორი ესწრებოდა, რომელსაც შენთვის მონდობილი სათქმელის – *„სატანის სატყუარის“* – მოსმენა სჭირდებოდა. ეს მნიშვნელოვანი დრო იყო მისი ცხოვრებისა და მსახურებისთვის. შენ მეურჩე და აი, შედეგიც. სიმძიმე, რომელიც ვერ მოიშორე, გაფრთხილება იყოს, რომ ასე არასოდეს მოიქცე. ეს ახალი ქალაქია, ამიტომ დამემორჩილე.

წინა საღამოს, დამსწრე ხალხზე, კონფერენციის გუნდსა და ხელმძღვანელზე ვფიქრობდი – ყველანი ბედნიერები იყვნენ. შემდეგში კიდევ მიმიწვიეს და მოგვიანებით იმ მსახურების შედეგებიც მაცნობეს. ცხადი გახლდათ, რომ ღვთის ნიჭმა ჩემი მეშვეობით იმოქმედა იმ საღამოს, თუმცა ღვთიური განზრახვის თანახმად არ იქნა გამოყენებული.

გჯერათ, რომ ეს შეიძლება ნამდვილად მოხდეს? მოდი, წმიდა წერილის შემთხვევები განვიხილოთ ღვთაებრივი ნიჭის არასწორად გამოყენების საილუსტრაციოდ. იფიქრეთ მოსეზე. ის მოწოდებული იყო ისრაელის აღთქმულ მიწაზე შესაყვანად და ამ მისიის შესასრულებლად გამორჩეული სასწაულების მოხდენის ნიჭი მიეცა.

ერთხელ ღმერთმა მოსეს კლდისთვის დალაპარაკების მითითება მისცა, რომ იქიდან წყალს გადმოეჩქეფა ხალხის დასარწყულებლად. გაბრაზებულმა მოსემ კლდეს კვერთხი დაჰკრა და მის უშუალო მითითებებს არ დაემორჩილა.

მიუხედავად ამისა, შუაგულ უდაბნოში მილიონობით ადამიანისთვის საკმარი წყალი უხვად წამოვიდა. ეს მოსეს რეზიუმეში მეორე ცხადი სასწაული გახლდათ! ვიმეორებ, რომ ადამიანები აღფრთოვანებული იყვნენ თავიანთი წინამძღოლის უნარებით, თუმცა „კონფერენციის“ დასრულების შემდეგ მოსეს პასუხისგება მოუხდა ნიჭის ღვთის მითითების საწინააღმდეგოდ გამოყენების გამო. ეს გახდა მიზეზი, რის გამოც აღთქმულ ქვეყანაში შესვლაზე უარი უთხრეს. ამაზე ფიქრმა უნდა გა-

მოგვაფხიზლოს.

კიდევ ერთი მაგალითი ბილყამი გახლავთ. მან ისრაელზე იწინასწარმეტყველა და მისი სიტყვები ახლაც არის ჩაწერილი წმიდა წერილში. რა დიდებული მოწმობაა, რომ შენი წინასწარმეტყველება ღვთის მარადიულ სიტყვაში აღიბეჭდა! თუმცა ამბავი ამით არ სრულდება: ღმერთმა განსაკუთრებული გაფრთხილება მისცა მას, რომ არ წასულიყო – არ გაეკეთებინა ის, რაც სხვებს უნდოდათ. და მაინც, ბილყამისთვის მინდობილი ნიჭი მაშინაც მოქმედებდა, როცა ღმერთმა წასვლა აუკრძალა: „არ წაჰყვე მათ“ (რიცხვ.22:12). კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ნიჭი თავდაპირველი ღვთიური განზრახვის მიღმაც მოქმედებდა.

აი, დასკვნა: ღმერთი მის მიერ ბოძებული ნიჭების მიკრომენეჯერი არ გახლავთ. ასე რომ ყოფილიყო, *მნეებს* აღარ გვიწოდებდა. მნეს მიცემული აქვს ძალაუფლება მისთვის მინდობილ საგანზე პირდაპირი ზედამხედველობის გარეშე. ბიბლიური მაგალითი იქნებოდა იესოს იგავი ორგულ სახლმმართველზე (მნეზე):

> „იყო ერთი მდიდარი კაცი; ჰყავდა სახლმმართველი, რომელზეც ამბავი მიუტანეს, ქონებას გინიავებსო. დაიბარა და უთხრა: ეს რა გავიგე შენზე? ჩამაბარე შენი მმართველობის ანგარიში, რადგან სახლმმართველი ვეღარ იქნებიო“. (ლუკ.16:1-2)

სახლმმართველის პოზიცია ბიბლიურ ეპოქაში უფრო ფართოდ იყო გავრცელებული ვიდრე დღეს არის, ამიტომ შეიძლება რაიმე მნიშვნელოვანი გამოგვრჩეს. ყურადღება მიაქციეთ, რომ გარკვეული დროის განმავლობაში მდიდარმა კაცმა არაფერი იცოდა დანაკარგის შესახებ. იგი ყოველდღიურად არ აკონტროლებდა სახლმმართველის საქმიანობას. ვიღაცამ ყურადღება მიაქცევინა ამ ადამიანის უმართლობაზე, რაც კარგა ხნის მანძილზე გრძელდებოდა.

იგივეს ვხედავთ იოსების ცხოვრებაში დაბადების წიგნიდან. მან ეგვიპტეში ფოტიფარის სახლის მონობიდან დაიწყო, მაგრამ ბოლოს წარმატებას მიაღწია და მთელი სახლეულის *მნე* გახდა. შემდეგში ვკითხულობთ: „იოსებს მიანდო მთელი თავისი ქონება, თვითონ კი აღარაფერზე ფიქრობდა ჭამა-სმის გარდა“ (დაბ.39:6). ფოტიფარი იოსების საქმიანობას არ ზედამხედველობდა და წვრილმანებში არ აკონტროლებდა. მან მნეობა მთლიანად იოსებს ჩააბარა.

ეს იმ ნიჭების ანალოგიურია, რაც ღმერთმა გვიბოძა. პეტრე მოციქული გვავალდებულებს, რომ ღვთის მრავალმხრივი ნიჭის – *ქარიზმის* – კარგი მნეობა გავწიოთ.

უხილავი მარადიული ნიჭები

მოდი, ეს საკითხი უფრო ღრმად განვიხილოთ. პირველ რიგში, გავიხსენოთ პეტრეს სიტყვები: „თითოეული იმ ნიჭით ემსახურეთ ერთმანეთს, რაც მიგიღიათ, როგორც შეეფერება ... კარგ მნეს“. ჩვენგან, როგორც მნეებისგან *მსახურებას* ანუ ნიჭების გამოყენებას ელოდებიან. ვიმეორებ, რომ ისინი ჩვენ კი არა, სხვებს ეკუთვნით. სიტყვა „*მსახური*“, ბერძნულად „*დიაკონეო*“ გახლავთ და განისაზღვრება როგორც „მომსახურება, მზადყოფნა, სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებულობა“. ნიჭებთან დაკავშირებით მომსახურების დამოკიდებულება უნდა შევინარჩუნოთ. ისინი უსასყიდლოდ გადმოგვეცა და სხვათა ცხოვრების შენების მიზნით უნდა გამოვიყენოთ.

მიღებული „ნიჭებით უნდა ვემსახუროთ ერთმანეთს, როგორც ღვთის *მრავალმხრივი* მადლის კარგმა მნეებმა“. აქ სიტყვა მრავალმხრივი „სხვადასხვა სახის“ ნიჭს აღნიშნავს. ღვთისგან ადამიანებისთვის ბოძებული ყველა ნიჭის აღრიცხვას მრავალი გვერდი დასჭირდებოდა. ფაქტობრივად, ასეთი სიის შედგენა შეუძლებელიც კია. ზოგიერთი ნიჭი ცხადად უკავშირდება სამეფოს მშენებლობას, მაგრამ სხვების ამოცნობა სირთულეს წარმოადგენს. აი, მაგალითიც.

ამას წინათ ცნობილი პასტორის ლაპარაკი მოვისმინე ერთ საინტერესო დიალოგზე, რომელიც უშუალოდ მისი ყოველწლიური კონფერენციის წინ შედგა, ეს ყოველწლიური მოვლენა პოპულარულია და მას მრავალი ადამიანი ესწრება. როცა გუნდი დარბაზს ამზადებდა, პასტორმა მისი ეკლესიის წევრი ექიმი დაინახა, რომელიც კონფერენციის დელეგატებისთვის დასარიგებელ ბროშურებს სკამებზე ალაგებდა.

პასტორი ექიმთან მივიდა და ბოდიში მოუხადა:

– ექიმო, თქვენ ეს არ უნდა აკეთოთ. ჩვენ გვყავს ინტერნები და მოხალისეები, რომლებიც ამ საქმეს მოუვლიან.

პასტორმა თქვა, რომ ექიმმა სერიოზულად, მაგრამ თავაზიანად შეუსწორა:

– ყოველ წელს ამ კონფერენციის გამო შვებულებას ვიღებ. ეს კვირა ჩემთვის უძვირფასესია, რადგან შემიძლია რაღაც ვაკეთო ცათა სამეფოს აღმშენებლობისთვის.

ვუსმენდი ჩემ მეგობარ პასტორს, როცა ამ ამბავს ყვებოდა და გული დამწყდა ექიმის გამო. მივხვდი, რომ ცხოვრების პუნქტებს შორის კავშირის დამყარება გაძნელებოდა და ცათა სამეფოს შენებაში მისი ნიჭის ფასეულობას ვერ ხედავდა. ვიმეორებ, რომ ზოგიერთი ნიჭი უშუალოდ უკავშირდება შენებას, სხვები კი – ირიბად, თუმცა ნაკლებად მნიშვნელოვანი როდია.

ექიმი არაფრით განსხვავდებოდა პირველ თავში ნახსენები სტენისგან. რა მოხდებოდა, რომ ექიმები არ ყოფილიყვნენ? რა იქნება, ცათა სამეფოს სხვა სფეროებში შენების მოწოდების მქონე ადამიანები ავად რომ გახდნენ ან გარდაიცვალონ? ბევრი ადამიანი ნაადრევად წავიდოდა ამ ქვეყნიდან სამედიცინო დახმარების გარეშე.

ილუსტრაციისთვის ასეთი სცენარი წარმოვიდგინოთ: ექიმი თავის ნიჭს იყენებს დიასახლისის ჯანმრთელობის აღსადგენად. ამის შედეგად, დედა არ არის უიმედო ავადმყოფი და არც ნაადრევად კვდება. მას შესაძლებლობა აქვს იმოქმედოს და აყვავდეს შვილების ღვთისმოსაობაში აღზრდის ნიჭის გამოყენებით. ერთ-ერთ შვილს ინოვაციების სფეროში გარკვეული უნარები მიეცა და დედა მას ყოველმხრივ ხელს უწყობს. ეს გოგონა კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფის სპეციალობით სწავლას ასრულებს და ერთ კომპანიაში მუშაობას იწყებს პროგრამების შექმნის მიმართულებით.

ზრდასრული ასული უკვე სრულად მოქმედებს თავისი ნიჭის გამოყენებით და კომუნიკაციის ისეთ ახალ გზას იგონებს, რომლის მსგავსი ბაზარზე არ არსებობს. მიუხედავად ამისა, მისი ინოვაცია შორს ვერ წავა სარეკლამო განყოფილების თანამშრომლის გარეშე. ეს უკანასკნელი თავის ნიჭს იყენებს, რომ მსგავსი პროდუქციით მოვაჭრეებსა და მომხმარებლებს ახალი პროგრამული პაკეტის შესაძლებლობები გააცნოს.

ერთ-ერთი მოვაჭრე – კომპანია, რომელსაც უნარიანი ქალი ხელმძღვანელობს, პროდუქციას იძენს. ამ საცალო ვაჭრობის მაღაზიაში არსებობს გაყიდვების გუნდი და მისი ერთ-ერთი თანამშრომელი მამაკაცი თავისი ნიჭის გამოყენებით პროგრამული პაკეტის ისეთი მსახურებისთვის მიყიდვას ცდილობს, რომელიც მოწოდებულია მსოფლიო ერების დამოწაფებაში.

ამ მსახურებას ჰყავს ნიჭიერი კომპიუტერული ტექნოლოგიების სპეციალისტი, რომელიც აცნობიერებს ხსენებული პაკეტის შესაძლებლობებს და მისი შეძენის რჩევას იძლევა. იგი პროგრამას არსებულ სისტემაში რთავს.

შედეგად, ამ მსახურებას გაცილებით ეფექტურად შეუძლია პასტორებსა და ლიდერებზე ზეგავლენის მოხდენა მსოფლიო მასშტაბით. შედეგები: მაჩვენებლების ზრდა ცხადყოფს მეტი

მამაკაცებისა და ქალების გადარჩენას და დამოწაფებას ამ საკომუნიკაციო პროგრამული პაკეტის მეშვეობით.

სამსჯავრო ტახტზე იესო დიასახლისის მკურნალ ექიმს აჩვენებს უამრავ ადამიანს, რომლებიც მან მოიპოვა მსოფლიოს ერებიდან. ჩვენ მხოლოდ წარმოდგენა შეგვიძლია, თუ რა გამჟღავნდება. ექიმი განცვიფრებული იტყვის: „არა, ეს მე არ ვიყავი. ამ ქვეყნებში არასოდეს ვყოფილვარ“.

შემდეგ იესო აჩვენებს, რომ ცხოვრებისეული ნიჭის გამოყენებაში ერთგულებამ ჯაჭვური რეაქცია მოიტანა, რასაც მოყვა აურაცხელი გადარჩენილი სული და მორწმუნეთა გაძლიერება მსოფლიოს მასშტაბით. დიდი ალბათობით, იესო ასე ეტყვის ექიმს: „ნებსით შრომობდი მედიცინის სფეროში ისეთი გულმოდგინებით, თითქოს ადამიანების კი არა, უფლისთვის მუშაობდი და შენი ნაყოფი თვალსაჩინოა. შენმა მორჩილებამ დიდი გავლენა მოიტანა. ყოჩაღ, კეთილო და ერთგულო მონა!“

ალბათ, კითხვა გაგიჩნდებათ: *ნუთუ ამ იდეას ბიბლია მხარს უმაგრებს?*

წაიკითხეთ შემდეგი:

> „ყოველივე, რასაც აკეთებთ, მთელი გულით გააკეთეთ, როგორც ღვთისთვის და არა კაცთათვის. იცოდეთ, რომ მემკვიდრეობას მიიღებთ უფლისგან საზღაურად, ვინაიდან უფალ ქრისტეს ემსახურებით“. (კოლ. 3:23-24)

ეს მხოლოდ ერთი სურათია. ამგვარი კავშირების თუ ჯაჭვური რეაქციის ურიცხვი შესაძლებლობა არსებობს.

მოდი, ჩემი მეგობარი პასტორის რეალურ ამბავს დავუბრუნდეთ. რა მოხდება, თუ ექიმს მობეზრდება წელიწადში მხოლოდ ერთი კვირით ავსება? (რასაკვირველია, კმაყოფილების ნაკლებობას მისი ნიჭის მნიშვნელობის უცოდინარობა აღვივებს). სრულიად შესაძლებელია, რომ საბოლოოდ ჩამოშორდეს სამედიცინო სფეროს და სისრულის ძიებას შეუდგეს წელიწადში ორმოცდათორმეტი კვირის განმავლობაში. დავუშვათ, ის იღებს მსახურებას საეკლესიო სწავლებაში და დამოწაფების კლასებისთვის პროგრამას ადგენს. რა მოხდება სამსჯავროს ტახტთან? მიიღებს დიდ ჯილდოს მასზე მინდობილი ნიჭის უგულებელყოფის შემთხვევაში?

სამწუხაროა, რომ ხშირად მინახავს სრულ საეკლესიო მსახურებაში მყოფი გატანჯული ადამიანები, ვინაიდან ვერ ამოიცნეს თავიანთი ნიჭი, რომელიც ეკლესიის გარემოს მიღმა არსებულ ასპარეზზე აყვავდებოდა.

ცათა სამეფოს უხილავი ნიჭის დანახვას ცოდნა, სულიერი მგრძნობელობა და სიმწიფე სჭირდება.

აი, ცოცხალი ჭეშმარიტება: თქვენს ნიჭს, მოქმედებს რა ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, მმართველობის, სპორტის, ვაჭრობის, ხელოვნების სფეროებში, მედიის, სახლისა თუ სხვა რომელიმე ასპარეზზე, კავშირი აქვს ცათა სამეფოს მშენებლობასთან. მთავარმა არქიტექტორმა ასე დაგეგმა.

სრულიად შესაძლებელია, რომ ჩვენი მორჩილებისა და წარმატების კავშირები ვერ ამოვიცნოთ, სანამ იესოს სამსჯავროს წინაშე არ აღმოვჩნდებით. როგორც პავლე წერს: „ასევე კეთილი საქმეებიც წინასწარ ცხადნი არიან, და თუ არა, მაინც ვერ დაიმალებიან“ (1 ტიმ.5:25). ამრიგად, თქვენი ნიჭი ცხადი იქნება თუ არა, მაინც გაკისრიათ ვალდებულება, „თითოეული ისე მოიქცეს, როგორც ღმერთმა უწილხვედრა და თითოეული - როგორც უფალმა მოუწოდა“ (1 კორ.7:17).

მოტივაცია გადამწყვეტია

მოდი, პავლეს სიტყვებს დავუბრუნდეთ, რომელსაც მნეობის მაგალითის ნიმუშად ვიყენებთ:

> „ვინაიდან თუ ვახარებ, არაფერი მაქვს დასაკვეხნი, რადგან ეს ჩემი აუცილებელი მოვალეობაა; და ვაი მე, თუ არ ვახარებ. რადგან თუ ნებით ვაკეთებ ამას, საზღაური მაქვს, ხოლო თუ ნების საწინააღმდეგოდ - სახლმმართველობა მაქვს მონდობილი“. (1 კორ. 9:16-17)

მომდევნო ჭეშმარიტება, რის გამოკვეთაც მსურს, გახლავთ ჩვენი „საზღაურის“ კავშირი ჩვენსავე „მზადყოფნასთან“ ან უფრო ზოგადი გაგებით, ჩვენს „დამოკიდებულებასთან“. მარტივად რომ ვთქვათ, თუ ჩვენი დამოკიდებულება *უანგაროა,* საზღაურს ვიღებთ; თუ ჩვენი დამოკიდებულება *ეგოისტურია*, საზღაურს ვერ ვიღებთ.

უანგარო და *ეგოისტური* მოტივების ამსახველი სურათები ურიცხვი და ჩამოსათვლელად შეუძლებელია. მოდი, მხოლოდ რამდენიმე შედარება მოვიყვანოთ. უანგარო დამოკიდებულება იქნება: *რა პატივია სხვების მომსახურება ჩემთვის მონდობილი უნარებით.* ეგოისტური მიდგომა ასეთი იქნება: *რა სარგებლობას მივიღებ ჩემი უნარებით?* უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, პირველია – *რა შემიძლია შენთვის გავაკეთო?* მეორეა – *რა არის მასში საჩემო?*

კიდევ ერთი უანგარო დამოკიდებულება იქნება: *ყველანაირად ვეცდები, რაც არ უნდა მივიღო საპასუხოდ.* ხოლო ეგოისტური მოტივი იტყვის: *რატომ უნდა მოვიკლა თავი მუშაობით, როცა არაფერი სარგებელი მაქვს?*

კიდევ ერთი უანგარო მოტივია: *უნდა გავაგრძელო; კიდევ რამდენზე შეიძლება ზეგავლენის მოხდენა.* ეგოისტური მოტივი ასე ამბობს: *წარმატებული ვარ; ახლა ჩემთვის ყველაფერი ადვილია.*

პავლე *დამოკიდებულებებისა* თუ *მოტივების* მნიშვნელობაზე წერს: „ისე უნდა ჩაგვთვალოს ადამიანმა, როგორც ქრისტეს მსახურნი და ღვთის საიდუმლოთა მნენი“ და ამ სიტყვებს მაშინვე მოჰყვება:

> „ჩემთვის კი ნაკლებად მნიშვნელოვანია, თქვენ განმიკითხავთ თუ ადამიანთა სამსჯავრო; მე თვითონაც არ განვიკითხავ საკუთარ თავს. თუმცა არაფერში მამხელს სინდისი, ამით მაინც არ ვმართლდები, რადგან უფალია ჩემი განმსჯელი. ამიტომ ნუ განსჯით დროზე ადრე, სანამ უფალი არ მოვა, რომელიც გაანათებს ბნელში დამალულს და გამოაჩენს გულის ზრახვებს! მაშინ მიიღებს თითოეული ქებას ღვთისგან“. (1 კორ.4:3-5)

პავლეს არ აღელვებს მეგობრების, კრიტიკოსებისა და სხვა თვითდანიშნული ავტორიტეტების შეფასება – საკუთარი მოსაზრებაც კი არ აინტერესებს. ამგვარი შეფასებები აზრს მოკლებულია იმასთან შედარებით, რის წინაშეც, საბოლოოდ, ყველანი წარვდგებით – ეს გახლავთ ღვთიური გამოცდა. მთავარია, *იესო* როგორ შეაფასებს ჩვენს მნეობას.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ჩვენი *მორჩილება* ან *საქმეები* ნამდვილად მნიშვნელოვანი იქნება სამსჯავროზე. იესო ნათლად აცხადებს: „აჰა, მოვალ მალე და ჩემი საზღაური ჩემთანაა, რათა თითოეულს მისი საქმეების მიხედვით მივუზღა“. (გამოცხ.22:12). ეს არ გახლავთ *თუ/ან* სცენარი, არამედ *ორივე/და* სურათი – ორივე, *მოტივები* და *საქმეები* სამსჯავროზე გამომჟღავნდება.

ზოგიერთმა შეიძლება იფიქროს, რომ პავლე ურწმუნოთა სამსჯავროზე ლაპარაკობს – „დიდი თეთრი ტახტის სამსჯავროზე“, სადაც ურწმუნოები პასუხს აგებენ თავიანთი ცოდვებისთვის, რომ არ მიიღეს იესო ქრისტეს გადამრჩენელი მადლი. ეს ის შემთხვევა არ გახლავთ, რადგან დიდი თეთრი ტახტის

სამჯავროზე ვერავინ მიიღებს „ქებას“ ღვთისგან, როგორც პავლე აცხადებს.

მნიშვნელოვანია, მისი მსჯელობის კონტექსტის შენარჩუნება; პავლე *მნეობის* საკითხს განიხილავს. ეჭვგარეშეა, თუ რაზე საუბრობს იგი. ნიჭების გამოყენებაში ჩვენი „ბნელი საიდუმლოებები“ და „ფარული მოტივები“ სამჯავროზე გამოვლინდება. ეს ნამდვილად იქცევს ჩემს ყურადღებას!

ნება მომეცით, საკითხი სრულიად გამჭვირვალე გავხადო ჩემი ზემომოყვანილი დაუმორჩილებლობის ამბის გამოყენებით, როცა არ ვიქადაგე ის, რაც უფალს უნდოდა. ვინც იმ შეკრებას ესწრებოდა, დიდი ალბათობით, დარწმუნებული იქნებოდნენ, რომ უფალს დავემორჩილე იმ „ცოცხალი“ სიტყვის გადმოცემისას, მაგრამ ასე არ იყო. სრულიად შესაძლებელია, რომ სამსჯავრო ტახტთან გაიგებენ ჩემი ურჩობის ამბავს, რადგან იესო განაცხადებს:

> „არაფერია დაფარული, რომ არ გაცხადდეს და დამალული, რომ არ გამჟღავნდეს. ამიტომ, რასაც ბნელში იტყვით [ჩვენი ფარული მოტივები და საიდუმლოებები], სინათლეზე მოისმენენ, და რასაც ოთახებში ჩასჩურჩულებთ ერთმანეთს, ერდო-ბანებზე გახმაურდება“. (ლუკ. 12:2-3 ფიგურული ფრჩხილების განმარტება ჩემია).

სრულიად შესაძლებელია, რომ სამსჯავროს დღეს გამომიძახონ და იმ პასტორისა და კონფერენციის სხვა დამსწრეებისთვის ბოდიშის მოხდა მომთხოვონ, რომლებმაც „*სატანის სატყუარის*“ ქადაგება ვერ მოისმინეს.

რა არის მოსალოდნელი?

მტკიცე საფუძველი ჩავუყარეთ მნეობის საკითხის გააზრების მნიშვნელობას. ახლა არსებითი კითხვა ისმის: რას ელოდებიან ჩვენგან? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რა შედეგებს დააკვირდება იესო სამსჯავროზე, როცა ჩვენთვის გადმოცემული სხვადასხვა ნიჭის გამოყენების საკითხს განიხილავს. შესაძლებელია ამის ცოდნა? სრულიად, რადგან იესო აცხადებს, რომ „სიტყვა, რომელიც წარმოვთქვი, განიკითხავს ... უკანასკნელ დღეს“ (იოან. 12:48).

მომდევნო თავში დავიწყებთ მსჯელობას, რომელიც გააცხადებს და გაგვაძლიერებს. ამ წიგნში სწორედ ეს საკითხია ხაზგასმული.

დაფიქრება

1. დაინახეთ თქვენი თავი როგორც მნე ამ თავის წაკითხვამდე? რატომ? ან რატომ არა?

2. ღვთივბოძებული ნიჭები თქვენ არ გეკუთვნით; ისინი სხვებს უნდა მოხმარდეს თქვენი მეშვეობით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ატარებთ იმას, რაც ღმერთს სხვებისთვის უნდა. ამის გათვალისწინებით, რატომ არის მნიშვნელოვანი თქვენი ნიჭის ერთგულად განკარგვა? რა საშიშროება გვემუქრება მნეობის უგულებელყოფის გამო?

3. ნიჭების განკარგვა ნებისმიერ დროს შეგიძლიათ სამიდან ერთ-ერთი გზით: გამოიყენებთ ცათა სამეფოს ასაშენებლად; გამოიყენებთ საკუთარი თავისთვის; საერთოდ არ გამოიყენებთ და უგულებელყოფთ მათ. როგორ იყენებთ თქვენთვის მონდობილ ნიჭებს? რა ცვლილებები უნდა შეიტანოთ იმ ხერხში, რომლითაც ღვთისგან ბოძებულს განკარგავთ?

„ისე უნდა ჩაგვთვალოს ადამიანმა,
როგორც ქრისტეს მსახურნი და
ღვთის საიდუმლოთა მნენი.
მნეთაგან კი მოითხოვენ, რომ
ერთგული იყოს“.

– 1 კორ. 4:1-2

5

ერთგული

პავლე მოციქული თავის თავს და აპოლოს იესო ქრისტეს *მსახურებს* და მათთვის მინდობილი მრავალმხრივი ნიჭის მნეებს უწოდებს. წინა თავში გავიგეთ, რომ ეს იდენტობა მხოლოდ ამ დიდ წმიდანს ან ამჟამინდელი ეკლესიის წინამძღოლს არ ეკუთვნის, არამედ ყველა მორწმუნეს. მე და თქვენ იესო ქრისტეს მსახურები ვართ და ამ საქმის შესრულების უმთავრესი გზა ჩვენთვის მონდობილი ნიჭის კარგი მნეობა გახლავთ.

ახლა ყურადღებას მნეების მოვალეობებს მივაპყრობთ და აქ მხოლოდ ერთი თვისება არის ნახსენები: *ერთგულება*. სანამ სიღრმისეულად განვიხილავდეთ, იმ ფაქტზე დავფიქრდეთ, თუ რატომ არ არის ჩამოთვლილი ორი, სამი ან ოთხი მახასიათებელი. პავლეს შეეძლო გამოეცხადებინა, რომ მნეებისგან მოითხოვენ სიხარულის გამოხატვას ან ძლიერებას ან წმიდა წერილის კარგ ცოდნას ან თანაგრძნობას ან რომელიმე სხვა ღვთიურ თვისებას. რასაკვირველია, არ უარვყოფ ყველა ამ თვისების მნიშვნელობას. უბრალოდ, მინდა გამოვყო, რომ ნახსენებია მხოლოდ ერთი და ეს *სავალდებულოა*. ამრიგად, მნიშვნელოვანია დავმკვიდრდეთ ამ ერთ სათნოებაში, თუ გვსურს კარგი მნეები ვიყოთ და ბატონისგან შექება დავიმსახუროთ.

ერთგულების განსაზღვრება

პატივი მქონდა, მიმემართა მთელი მსოფლიოს ქვეყნების წინამძღოლთა გუნდებისთვის – არა მარტო მსახურებაში მყოფთათვის, თუმცა უმრავლესობას ისინი წარმოადგენდნენ, არამედ კორპორაციებში, ხელისუფლებაში, ბიზნესში, განათლების და სპორტის სფეროში დასაქმებული ადამიანებისთვის. რამ-

დენჯერმე ვთხოვე გუნდის წევრებს, რომ განემარტათ სიტყვა *„ერთგულება“*. წინამძღოლები, როგორც წესი, ხალისით ლაპარაკობენ. თითქმის ყველა სფეროდან ანალოგიური პასუხების მოსმენის შემდეგ გადავწყვიტე, რომ მათგან ყველაზე პოპულარულების სია შემედგინა:

- მტკიცე
- თანმიმდევრული
- სანდო
- სარწმუნო
- თავდადებული
- ჭეშმარიტი
- ნდობადამსახურებული
- მიძღვნილი
- პატიოსანი
- უდრეკი
- მორჩილი

სხვა განმარტებებიც შემომთავაზეს, მაგრამ ესენი მათ შორის ყველაზე პოპულარული გახლდათ. უფრო მეტიც, ყველა ეს განმარტება ლექსიკონების განსაზღვრებებსა და სინონიმებს შეესაბამებოდა.

არსებობს ერთი არსებითი ხასიათის განსაზღვრება, რომელიც არ მომისმენია არც ერთ ვითარებაში: „გამრავლება“.

ალბათ, დაუყოვნებლივ იკითხავთ, *გამრავლება? ეს არ არის ერთგულის განმარტება*! შესაძლოა, ენის უცოდინარობაც დამწამოთ, როგორც ჩემი ყოფილი ინგლისურის მასწავლებლები იქცეოდნენ. და მაინც, გარწმუნებთ, რომ ამ თავის დასასრულს არა მარტო დამთანხმდებით, არამედ გამრავლებას ერთგულების ყველაზე მნიშვნელოვან განსაზღვრებადაც ჩათვლით.

იგავი ტალანტებზე

გამრავლების წარდგენისთვის მივმართოთ იესოს იგავს ტალანტებზე. გთხოვთ, გულმოდგინედ წაიკითხოთ, თუნდაც აქამდე მრავალჯერ გქონდეთ გადაკითხული.

> „ვინაიდან ეს ისე მოხდება, კაცმა რომ გამგზავრებამდე მოუხმო თავის მონებს და თავისი ქონება ჩააბარა“. (მათ. 25:14)

უპირველეს ყოვლისა, ეს იგავია, ამიტომ სიმბოლური მნიშვნელობა აქვს და არა პირდაპირი. ამრიგად, ის ბიბლიური

გაგების, ღვთის სიტყვის სრულყოფილი რჩევის საფუძველზე უნდა განვმარტოთ. ხანგრძლივ მოგზაურობაში წასული ადამიანი იესოა. მნე ყველა მისი მსახურის მიმართ მიძღვნილია – ისინი სიმბოლურად მე და თქვენ ვართ.

ამის შემდეგ, ყურადღება მიაქციეთ, რომ მოგზაურობა ხანგრძლივი და ორი ფაქტის მომცველია. პირველი, უკვე ორი ათას წელზე მეტი გავიდა, რაც იესომ იმ სამეფოს მშენებლობა მოგვანდო, რომლისთვისაც მოკვდა. ცხადია, ის ჯერ არ დაბრუნებულა, მაგრამ ისტორიის ამ ეტაპზე კარგა ხანი გავიდა.

გარდა ამისა, ეს იგავი კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ მნეობა მიკრომენეჯერობას არ ექვემდებარება. იგავში კაცი შორს წავიდა და ყოველ თვე არ ბრუნდებოდა უკან მნეობის მიმდინარეობის შესამოწმებლად. იგავის თანახმად, მსახურების საქმიანობა დაბრუნებამდე არ შეუმოწმებია.

მოდი, იგავი გავაგრძელოთ:

„ერთს ხუთი ტალანტი მისცა, მეორეს - ორი და სხვას - ერთი; თითოეულს მისი შეძლების მიხედვით, და წავიდა“. (მათ. 25:15)

ამ ამბავში მსახურებს ფული მიანდეს. ბიბლიის ბევრი თარგმანი იყენებს სიტყვას *„ტალანტი“* და ეს ყველაზე ზუსტია, ვინაიდან ბერძნულ დედანში იხმარება სიტყვა *„ტალანტონ“*. ტალანტი წონის ერთეულია და ძირითადად ვერცხლისა და ოქროს ასაწონად გამოიყენება. ერთი ტალანტი, დაახლოებით, 75 ფუნტს უდრის. ექსპერტთა უმრავლესობის შეფასებით, ერთი ტალანტი ვერცხლი, დაახლოებით, 18 000 აშშ დოლარს უტოლდება (სხვა შეფასებები უმნიშვნელო სხვაობას იძლევა). ყველანი თანხმდებიან, რომ ახალი აღთქმა ტალანტს საკმაოდ დიდ თანხად თვლის. სამოცდათხუთმეტი ფუნტის ვერცხლით სავსე ჩანთა ხურდა ფული ნამდვილად არ იქნება!

ვფიქრობ, რომ ვერცხლის ზუსტი ოდენობა არსებითი არ გახლავთ ამ იგავში. დაბეჯითებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერთი ტალანტი საკმაოდ მნიშვნელოვან პასუხისმგებლობას წარმოადგენდა.

არ მგონია, რომ იესოს ფული ჰქონოდა მხედველობაში, თუმცა პრინციპში ამის გამორიცხვა არ შეიძლება. იესო იგავში იშვიათად იყენებდა ზუსტ საგანს, რის შესახებაც ასწავლიდა. იგი ხორბალს იყენებს ღვთისნიერი ხალხის აღსანიშნავად, ღვარძლს – ბოროტი ხალხის, თესლს – სიტყვის, ეკლებს – ცხოვრებისეული

საზრუნავის, მკას – ქვეყნიერების დასასრულის, მომკელებს კი ანგელოზების აღსანიშნავად, და სხვა. ახალი აღთქმის სრული თვალსაზრისით ნათელი ხდება, რომ ტალანტები *ქარიზმას* ანუ ჩვენს ღვთივბოძებულ ნიჭს წარმოადგენს.

ამ ამბის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პუნქტია მსახურთათვის განსხვავებული თანხების დარიგება. ამ ფაქტს შემდეგში დაწვრილებით განვიხილავთ, მაგრამ სწორედ ამის გამო ვუწოდე ჩვენზე მონდობილს „სხვადასხვა ნიჭი“ – ზოგს ერთი აქვს, ზოგს ორი და სხვებს უფრო მეტი.

სხვადასხვა ოდენობა ასევე წარმოადგენს ნიჭების განსხვავებულ ზომას. მოდი, გულწრფელები ვიყოთ. არიან ადამიანები, რომლებსაც სხვებზე გაცილებით დიდი ნიჭი აქვთ. ბევრი კარგად მღერის და ყველა მათ მსმენელს შთააგონებს. თუმცა ყველა მათგანს როდი აქვს სელინ დიონის ან ანდრეა ბოჩელის დონის ხმა. ამრიგად, თუ კუთხეში მიმაყენებთ, ვიტყვი, რომ თითოეული ტალანტი წარმოადგენს გარკვეულ ნიჭს ან უფრო მარტივად, შეიძლება წარმოადგენდეს ნიჭის სიდიდეს. მოდი, გავაგრძელოთ:

> „ხუთი ტალანტის მიმღები მაშინვე წავიდა, იშრომა და დამატებით ხუთი მოიგო. ორის მიმღებმაც ორი სხვა მოიგო. ხოლო ერთის მიმღები, წავიდა, ამოთხარა მიწა და დაფლა თავისი ბატონის ვერცხლი“. (მათ. 25:16-18)

ნება მომეცით, რომ ეს იგავი გავასულიერო და მსახურებს სახელები დავარქვა. პირველ მსახურს ელისონი ვუწოდოთ, მეორეს – ბობი, ხოლო მესამეს – ლარი. ელისონმა ხუთით დაიწყო და მისთვის მიცემული *გაამრავლა*. ბობმა მისი ორი *გაამრავლა* და ოთხით დაასრულა. ლარის მინდობილი ნიჭი არ გაუმრავლებია, არამედ *შეინარჩუნა*. მოდი, ნათლად გამოვსახოთ მიღებული:

ელისონი: 5*2=10

ბობი: 2*2=4

ლარი: 1=1

აქედან მოყოლებული, წმიდა წერილის მუხლებში აღწერილ მსახურებს კვლავაც ამ სახელებით მოვიხსენიებ.

სამსჯავრო

ვიმეორებ, რომ მნიშვნელოვანია იესოს მიერ გამოკვეთილი სიტყვისთვის ყურადღების მიქცევა –*„კარგა ხნის შემდეგ“*. ამბავი მოგზაურობის აღწერით იწყება და იესო კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ „კარგა ხნის შემდეგ მოვიდა იმ მონების ბატონი და ანგარიში მოჰკითხა მათ“ (მათ.25:19). ანგარიში, რომელიც ბატონმა თითოეულ მნე მონას მოჰკითხა, ჩვენს სამსჯავროს წარმოადგენს, თუ როგორ განვკარგეთ მონდობილი ნიჭები. მოდი, პირველად ელისონის შემთხვევა განვიხილოთ:

ელისონი, რომელსაც მან ვერცხლით სავსე ხუთი ტომარა მიანდო, წინ გამოვიდა და კიდევ ხუთი დაამატა:

– ბატონო, ხუთი ტომარა ვერცხლი მომეცი დასაბანდებლად და კიდევ ხუთი მოვიგე.

მოისმინეთ ბატონის განსჯა:

> „ბატონმა დიდად შეაქო იგი: „კარგი, კეთილო და ერთგულო მონავ! მცირედზე ერთგული იყავი, ამიტომ უფრო მეტ პასუხისმგებლობაზე დაგაყენებ. მოდი, ერთად ვიზეიმოთ!“ (მათ. 25:20-21)

ეს ძალზე მნიშვნელოვანი პუნქტია, რომელიც არ უნდა გამოგვრჩეს. ბატონმა თქვა, „ერთგული იყავი“. როგორც არ უნდა დაანაწევროთ ბატონის პასუხი, სხვა განმარტებას ვერ მიაგნებთ. იესომ აშკარად დაუკავშირა *ერთგულება გამრავლებას*. ხელახლა გადაიკითხეთ ბატონის კომენტარები. იქ არაფერია ხაზგასმული ელისონის ნამოქმედარიდან! მას არ უთქვამს, რომ ქალი მტკიცე, სანდო, მიძღვნილი, მართალი ან რომელიმე სხვა თვისებით შემკული იყო, გარდა *ერთგულებისა*. არასწორად ნუ გამიგებთ – ყველა ეს აღმაფრთოვანებელი თვისება ერთგულებას აღწერს, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის ნახსენები ან ხაზგასმული. ბატონს არც მისი მნეობის რომელიმე საქებარი მხარე, მოქმედება ან შედეგი წამოუწევია. მხოლოდ ის აღნიშნა, რომ ელისონმა ტალანტები გაამრავლა. ამრიგად, იგი *ერთგულებას* უშუალოდ *გამრავლებასთან* აკავშირებს!

ანალოგიური ხდება ბობის შემთხვევაშიც. დაკვირვებით წაიკითხეთ მისი ამბავი:

ბობი, რომელმაც ვერცხლის ორი ტომარა მიიღო, წინ გამოვიდა და თქვა:
– ბატონო, ორი ტომარა ვერცხლი მომეცი დასაბანდებლად და კიდევ ორი მოვიგე.
ბატონმა თქვა:

> „კარგი, კეთილო და ერთგულო მონავ! მცირედზე ერთგული იყავი, ამიტომ უფრო მეტ პასუხისმგებლობაზე დაგაყენებ. მოდი, ერთად ვიზეიმოთ!“ (მათ. 25:22-23)

ვიმეორებ, რომ იესო პირდაპირ აკავშირებს ერთგულებას და გამრავლებას. სხვა არც ერთი მოქმედება, სათნოება ან შედეგი არ არის გამოკვეთილი! იესოს არ სურს, რომ დაკნინდეს ის, რაზეც ბატონი ყურადღებას ამახვილებს; მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: ამ კაცმა მისთვის მინდობილი გაამრავლა და ეს ერთგულებაში ჩაეთვალა.
ასევე, ბობის შექება სიტყვა-სიტყვით იმეორებს ელისონის მიმართ ნათქვამს. ეს აცხადებს, რომ სამსჯავროზე ჩვენი გამრავლების „მაჩვენებელი“ ჩვენ მიერ გაწეულ შრომაზე იქნება დაფუძნებული. იესო ერთნაირად კმაყოფილი იქნება ჩვენით, რამდენი და რა სიდიდის ნიჭიც არ უნდა გვქონდეს. მთავარია, ვამრავლებთ თუ არა მას!
თვალსაჩინო ნიმუშია დიასახლისი, რომელმაც საკუთარი ნაყოფიერება გაამრავლა. მას ისევე შეაქებენ, როგორც ბიზნესის გამამრავლებელ მეწარმეს, რომელიც ფინანსებს იღებს ცათა სამეფოსთვის.
ახლა ჩვენი ყურადღება ლარის მივაპყროთ:
შემდეგ მოვიდა ლარი ერთი ტომარა ვერცხლით და თქვა:

> „ბატონო, ვიცოდი რომ მკაცრი კაცი ხარ – იმკი, სადაც არ დაგითესავს, და კრეფ, სადაც არ დაგიბნევია. შემეშინდა, წავედი და მიწაში დავფალი შენი ტალანტი. აჰა, შენი შენვე გქონდეს“. (მათ. 25:24-25)

სანამ ლარის გასამართლებაზე გადავიდოდეთ, რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი გამოვკვეთოთ. პირველი, ლარიმ არ გაამრავლა; მან შეინარჩუნა მისთვის მინდობილი. გარდა ამისა, ყურადღება მიაქციეთ მიზეზს, რის გამოც ასე მოიქცა: პირველი, ის არ იცნობდა ბატონის ბუნებას და არასწორად მიიჩ-

ნია სასტიკ ადამიანად. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მორწმუნეებისთვის მრავალწლიანი მსახურების და ჩემი ღვთის წინაშე სიარულის განმავლობაში შევნიშნე, რომ ნაყოფიერების უმთავრესი დამაბრკოლებელი ღვთის ბუნების უცოდინარობაა (ამას დაწვრილებით განვიხილავ ერთ-ერთ თავში).

როცა ეს საკითხი არასწორად გვესმის, ხშირად ვეფარებით გამრავლებაში წარუმატებლობის უკან მდგარ *შიშს.* ლარის ეშინოდა! შიში, სიმხდალე და მეტისმეტი სიფრთხილე ღვთის ნამდვილ ნიჭებს კეტავს ჩვენს ცხოვრებაში. ეს პირველწყაროდან ვიცი, რადგან ამით წლების მანძილზე ვიტანჯებოდი (ამ საკითხსაც დაწვრილებით განვიხილავ სხვა თავში).

ახლა ლარის გასამართლებას გადავხედოთ:

„მაშინ მიუგო ბატონმა პასუხად: ბოროტო და უქნარა მონავ!“ (მათ.25:26)

ოჰო! სანამ გავაგრძელებდეთ, შევჩერდეთ და ეს განცხადება განვიხილოთ. გახსოვდეთ, რომ სამივე, არა მარტო ელისონი და ბობი, არამედ ლარიც მსახურია და არა ვინმე *გარეშეთაგანი.* მათი ბატონი აფასებს მსახურთა ნაშრომს. ლარის არ მოუსმენია, „კარგი, კეთილო და ერთგულო მონა“ წინა ორი მსახურის მსგავსად. ამის ნაცვლად მან გაიგონა: „ბოროტო და უქნარა მონა!“ ამან ნამდვილად უნდა მიიპყროს ჩვენი ყურადღება. იესო გადარჩენაზე არ ლაპარაკობს, არამედ განაჩენზე მონდობილი ნიჭების გამოყენების გამო – დაჯოლდოვებაზე ან დაზარალებაზე.

მოდი, კარგად დავაკვირდეთ ბატონის მკაცრ სიტყვებს. ჯერ უფრო ადვილად მოსანელებელი სიტყვით დავიწყოთ. *ზარმაცის* აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვა გახლავთ „*ოკნეროს*“. იგი განისაზღრება როგორც „ზოზინა, ნელი, ზანტი, ზარმაცი“. სხვა ლექსიკონი ასე განმარტავს: „უკავშირდება რაიმე ღირსეულ საქმეში ჩაბმის მიმართ დაყოვნებას ან გაუბედაობას, შესაძლოა, მიზანსწრაფულობის ნაკლებობის გამო“. ჩემი მეგობარი რიკ რენერი, ბერძნული ენის ექსპერტი ამბობს, რომ „*ოკნეროს*“, „გადმოსცემს იდეას ადამიანის შესახებ, რომელსაც ცხოვრების მიმართ არაფრის კეთების, ლეთარგიული, სენტიმენტალური, აპათიური, ინდიფერენტული, უხალისო დამოკიდებულება აქვს“. ამ სამი წყაროდან ვხედავთ, რომ ბერძნული განსაზღვრება ჩვენს თვალსაწიერს აფართოებს და მეტ ინფორმაციას გვაწვდის.

თუ გეშინიათ, იყოყმანებთ ან თავს შეიკავებთ ისეთი საქმიანობისგან, რომელიც უნდა ან შესაძლებელია გაკეთდეს. თუ ლეთარგიული ხართ, გაკლიათ საჭირო საქმის კეთებისთვის საჭირო მამოძრავებელი ძალა. თუ აპათიური ხართ, ამოქმედებისთვისაც კი არ ზრუნავთ. თითოეული სურათი ამ ბერძნულ სიტყვას მიესადაგება, მაგრამ მსახურმა აღიარა: „მეშინოდა“. სიზარმაცის სხვა ასპექტებიც გარკვეულ როლს თამაშობდნენ მსახურის ცხოვრებაში, მაგრამ ბოლოს მაინც შიში გამოდგა დომინანტი ფაქტორი.

ოდესმე გიგრძვნიათ რაიმეს კეთების გადაუდებელი საჭიროება – უბრალოდ, ვერ დაგიძრავთ ადგილიდან, განსაკუთრებით ლოცვაში, მაგრამ დიდხანს ყოყმანობდით წარუმატებლობის შიშით? გინახავთ, როგორც აკეთებდა იგივეს სხვა ადამიანი? შემდეგ კი გიფიქრიათ: „*მე მომივიდა ეს იდეა და უნდა მემოქმედა*“. აი, სწორედ ეს მოუვიდა მსახურს. იგი ყოყმანობდა და ფერხდებოდა, არა ერთხელ და ორჯერ, არამედ მნეობის მთელი პერიოდის განმავლობაში. ეს მისაღებია, ერთხელ და ორჯერ, რადგან ყველანი ვიზრდებით ასეთ ვითარებებში. თუმცა ყოყმანთან დიდხანს თამაში მოქმედების ნიმუში ხდება, რომელიც საბოლოოდ, სრულად აცდენას და უნაყოფო მნეობას მოიტანს.

როცა უფალმა პირველად მიმითითა წერის დაწყებაზე, ათი თვე ვყოყმანობდი. წერის მეშინოდა. სკოლაში, დროდადრო, წარუმატებელი ვიყავი. კოლეჯში ერთი კურსელი მყავდა, რომელიც ჩემს ნაწერს ყველას წინაშე აკრიტიკებდა! დავალების ერთ-ერთი ნაწილი გახლდათ ერთმანეთის ნაშრომების წაკითხვა და საკლასო დისკუსიის დროს ჩემი კურსელი ხმამაღლა გამოხატავდა თავის უკმაყოფილებას პროფესორის წინაშე. ერთადერთი სტუდენტი გახლდით, რომელიც თანაკურსელისგან კრიტიკის ქარ-ცეცხლში ექცეოდა.

ჩემს შიშს მყარი საფუძველი გააჩნდა: საშინელი შეფასებები მქონდა SAT და AST ტესტებში, უამრავი მასწავლებელი უარყოფითად მაფასებდა, ცუდი ნიშნები და კრიტიკოსი თანაკურსელი მყავდა. ერთი სიტყვით, ისტორია ჩემს მხარეს არ იყო. ეს ყველაფერი მხოლოდ განამტკიცებდა ჩემს ყოყმანს. წიგნის დაწერა უამრავ დროს მოითხოვდა და დრო მნიშვნელოვანი გახლდათ. ეს საქმე ჩემს ძალისხმევას შეასუსტებდა და მოაკლებდა ჩვენს მზარდ და ახალ მსახურებას. ამრიგად, ღვთის მითითების დასამორჩილებლად ყველა ეს დიდი შიში და მღელვარება გვერდზე უნდა გადამედო.

რა მოხდებოდა, დიდხანს რომ მეყოყმანა და არ დავმორ-ჩილებოდი? შედეგი ზუსტად ისეთი იქნებოდა, როგორც უფალმა მითხრა ადრე ნახსენები ორი ქალის პირით. იგი ამ ნიჭს სხვას მისცემდა, ასე ვთქვათ, „ელისონს“, რომელიც მისიას აღასრუ-ლებდა. ის მიიღებდა ჩემს დავალებას. სად ვიქნებოდი დღეს? ხომ არ დავასრულებდი „ზარმაცის“ წოდებით სამსჯავრო ტახტთან?

ვერ ვაცნობიერებდი, რომ ჩემი ხვედრი წიგნების წერაში იყო გახვეული! ჩემთვის რომ გეთქვათ ოციდან ოცდაათამდე წლის ასაკში, „ჯონ, ღმერთი მსოფლიოს ერებში გაგაგზავნის შენი წიგნების მეშვეობით“, ოთახიდან სიცილით გამოგძახებდით, „ხომ არ გაგიჟდით? სამფურცლიანი თემის დაწერაც კი არ შემიძლია!“ თუმცა ახლა წიგნები ბესთსელერებად იქცა როგორც ქვეყნის, ისე მსოფლიო მასშტაბით, ასზე მეტ ენაზეა თარგმნილი და ათეულ მილიონობით ტირაჟით არის გამოცემული. რა მოხდებოდა, ღმერთს რომ არ დავმორჩილებოდი? შიშისთვის უკან დახევის უფლება რომ მიმეცა? ძრწოლა მიტანს, როცა ჩემი დაკარგული შესაძლებლობის მასშტაბზე ვფიქრობ!

ახლა ყურადღება გავამახვილოთ უფრო რთულ სიტყვაზე, რომელიც ბატონმა მესამე მსახურს უთხრა. სიტყვა „*ბოროტი*“, შესაძლოა, ძალიან მკვეთრი იყოს, მაგრამ იესო სიტყვებს დაუდევრად არასდროს წარმოთქვამდა. „*ბოროტის*“ აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვა გახლავთ „*პონეროს*“. ის განისაზღვრება როგორც „სერიოზული ნაკლის მქონე და საბოლოოდ გამოუსადეგარი“.

იგი სრულიად ჯდება ლარის აღწერილობაში იმის გათვალისწი-ნებით, თუ როგორ მოეპყრო მისთვის მინდობილს. ეს არაფ-რით განსხვავდება პავლეს დასკვნისგან: „ვაი მე“, თუ ის ღვთის ნიჭს არ უერთგულებდა მის ცხოვრებაში. ბატონის ბუნებაზე ლარის არასწორი შეხედულება სერიოზული ნაკლი იყო, რამაც მისი შიში გამოკვება. იგი *უვარგისი* გამოდგა მინდობილი ნიჭის ამოქმედების საქმეში. ეს ძალზე მკაცრი განცხადებებია, მაგრამ თუ ნიჭის გამოუყენებლობის პოტენციურ საფრთხესთან დაკავ-შირებით პავლეს სიტყვებსა და ლარის ქცევას შევადარებთ, ჭეშმარიტებად ჟღერს.

ნება მომეცით, ნათელი დასკვნა გავაკეთო, რომ ეს არ ეხება ჩვენს გადარჩენას, არამედ ჩვენზე მონდობილი ნიჭების განკარგვას. ღვთის თვალსაზრისი ასეთია:

ვინც ამრავლებს, კარგი და ერთგულია.
ვინც უბრალოდ ინარჩუნებს, მას
სერიოზული ნაკლი აქვს,
ამიტომ უვარგისები და ზარმაცები არიან.

შესაძლებელია თუ არა, რომ ერთგულებაზე ჩვენი შეხედულება არასრული იყოს? იფიქრეთ ამ მაგალითზე: არის ერთი ბიზნესმენი, რომელიც ძლიერი და მზარდი ეკონომიკის არეალში ცხოვრობს. მას მამისგან მემკვიდრეობით ერგო პატარა მაღაზია, რომელიც მოგებას იძლევა, მაგრამ არ იზრდება. კაცს აქვს ქალაქის სხვა რაიონებში ახალი ფილიალების გახსნის შესაძლებლობა, მაგრამ სამეწარმეო ნიჭის ქონის მიუხედავად, გაფართოებას არ აპირებს და კმაყოფილია „კომფორტული“ ცხოვრებით.

ახლა, ნება მომეცით ექსპერიმენტს მივმართო. იგავში ლარის სასჯელის ფონზე ორი მნიშვნელოვანი კითხვა დავსვათ. საჭიროა თუ არა ამ ბიზნესმენმა თავისი ნიჭი გამოიყენოს ახალი ბაზრის ასათვისებლად ცათა სამეფოს მშენებლობის მიზნისთვის? არის თუ არა „უსაფრთხოებაში დარჩენის“ ტაქტიკა ორგული მსახურის „შენარჩუნების“ სტრატეგიის ანალოგიური?

იგივე კრიტერიუმს ვიყენებთ ერთგულების შესაფასებლად, როგორსაც იესო? მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესმენს მოსაწონი ცხოვრება აქვს, უმთავრესი კითხვა ეს არ გახლავთ: ამრავლებს ნიჭებს თუ მხოლოდ ინარჩუნებს მათ? წრფელები ვიყოთ შეფასებაში. ერთგულებას მარტო სანდოობით ვზომავთ თუ გამრავლების ფაქტორით? გულმოდგინება გაფართოების გარეშე? თანმიმდევრულობა ზრდის გარეშე? ხომ არ ავცდით ერთგულების მნიშვნელობის სრულ სურათს, რომ უნდა ვამრავლოთ ნებისმიერი ნიჭი?

„ინაყოფიერეთ და იმრავლეთ“ გახლდათ ღვთის პირველი მცნება კაცობრიობისთვის, როცა მან მამაკაცი და ქალი დედამიწაზე მოათავსა (დაბ. 1:28). რასაკვირველია, მისგან შვილების გაჩენისა და დედამიწაზე განსახლების მითითებაც მივიღეთ, მაგრამ ამაში უფრო მეტი იგულისხმებოდა: *რასაც ღმერთი თქვენს მზრუნველობას მიანდობს, მას გამრავლებული უნდა დავუბრუნოთ.* კვლავწარმოება უნდა მოვახდინოთ გამრავლების მეშვეობით. იგავში ტალანტებზე იესო გამიზნულად იყენებს დაბადების წიგნის გამრავლების მცნებას მონდობილ ნიჭებთან დაკავშირებით.

არა თქვენი უნარით!

თავს უხერხულად გრძნობთ? ალბათ, კი, მაგრამ გახსოვდეთ, რომ ღვთის მადლია ყველაფერი, რაც გჭირდებათ. ამის გაკეთებას საკუთარი ძალით არ გთხოვენ, არამედ ღვთის *ქარის* და *ქარიზმით*. ჩემი სათქმელის დაწერის მიზანი თქვენი დამწუხრება კი არა, ღვთისგან მოძებული პოტენციალის გაცნობა და მისი მადლისა და სხვადასხვა ნიჭისადმი რწმენის გაღვივებაა. არ მინდა მეტისმეტად მძიმე ტვირთი დაგადოთ. პავლე სამჯერ შეევედრა ღმერთს, რომ მისი ტვირთი შეემსუბუქებინა, მაგრამ ნახეთ, რას პასუხობს უფალი:

> „საკმარისია შენთვის ჩემი მადლი, ვინაიდან უძლურებაში ხდება სრულყოფილი ჩემი ძალა“. ამიტომ უფრო ხალისით დავიკვეხნი ჩემს უძლურებებში, რათა ქრისტეს ძალა დამკვიდრდეს ჩემში! ამიტომ ვხარობ უძლურებაში, შეურაცხყოფაში, გაჭირვებაში, დევნასა და შევიწროებაში ქრისტეს გულისთვის; ვინაიდან როცა უძლური ვარ, მაშინ ვარ ძლიერი!“ (2 კორ.12:9-10)

ბერძნული სიტყვა *უძლურების* ერთ-ერთი მნიშვნელობა „შეზღუდვები“ გახლავთ. მე და თქვენ ერთადერთი არ ვართ, ვინც ზოგჯერ დათრგუნულია. ყველას გვაქვს გარკვეული შეზღუდულობა მოციქულ პავლეს მსგავსად. იგი წინააღმდეგობასა და ფიზიკურ დევნაზეც მიუთითებს მუხლის სპეციფიკურ კონტექსტში, რომელსაც ყველა ქალაქში აწყდება (იხ. თავი11), მაგრამ ეს ჭეშმარიტება, შესაძლოა, იმ დაბრკოლებებს ან უძლურებას ასახავდეს, რომელთაც შესასრულებელი დავალების სიმძიმისას ვხვდებით. სირთულემ ჩვენი გადაწყვეტილება კიდევ უფრო უნდა განამტკიცოს და ღვთის ძალას დავეყრდნოთ. როცა ჩვენს გონებას შეზღუდვების ხმამაღალი ყვირილი ესმის, ღვთის აღთქმებზე უნდა *ვილაპარაკოთ*. მეტისმეტად ხშირად ხომ არ ვუსმენთ საკუთარ თავს, ნაცვლად იმისა, რომ აქეთ ველაპარაკოთ?

პავლემ ღმერთს სამჯერ სთხოვა ჩარევა და ყოველ ჯერზე იგი *ქარისს* ახსენებდა. მესამე თხოვნისას პავლემ გამოცხადება მიიღო. მან გააცნობიერა, რომ შევიწროებები ღვთის მადლის და ბოძებული ნიჭების რწმენის აღძვრას ემსახურება. სწორედ ამიტომ, პავლე „ღმერთო, განმაშორე!“ მოტივიდან „ხალისით დავიკვეხნი უძლურებებში“ ტალღაზე გადაერთო. ნუთუ

მართლა „უხაროდა“? დიახ! ახლა მან გააცნობიერა, რომ გამოწვევის სიდიდისას ღვთის ძალა კიდე უფრო მეტად ჩნდება მის ცხოვრებაში – თუ ირწმუნებს!

აი, მნიშვნელოვანი ჭეშმარიტება: *გასამრავლებელ მადლთან მისადგომელი მხოლოდ რწმენის მეშვეობით გვაქვს!* პავლე წერს: „რწმენით მოვიპოვეთ მისადგომი იმ მადლთან“ (რომ. 5:2). ეს ასე წარმოიდგინეთ: რწმენა მილია, რომელიც თქვენს გულს გამრავლებისთვის საჭირო მადლს აწვდის. როცა აქ ამ სიტყვას ვისმენთ, ჩვენი რწმენა ანუ მილი უნდა გაფართოვდეს და არა შეიკუმშოს. თუმცა, ეს თქვენი გადასაწყვეტია. ჩვენ გვეუბნებიან:

> „რადგან კი გვეხარა, როგორც მათ, მაგრამ მოსმენილ სიტყვას სარგებლობა არ მოუტანია მათთვის, რადგან მსმენელთა რწმენას არ შეერწყა. სიმშვიდეში კი *შევდივართ* მორწმუნენი“. (ებრ. 4:2-3)

ნუ წაიკითხავთ *უსარგებლოდ*, არამედ რწმენას შეურიეთ. ღვთისგან წამოსულმა სიტყვამ ორი რამ მოიტანა ისრაელის ცხოვრებაში. იგი *სასარგებლო* იყო მოსეს, იეშუა ნავეს ძისა და ხალებისთვის. ისინი გაძლიერდნენ მისი დადებითი კუთხით დანახვის გამო. იგივე სიტყვა *უსარგებლო* აღმოჩნდა სხვა ისრაელიანებისთვის, რადგან უარყოფით ჭრილში შეხედეს. ეს არის განსხვავება რწმენასა და ურწმუნოებას შორის.

დარწმუნებული იყავით, რომ ღმერთმა თქვენს უნარებზე გაცილებით მეტი მოგმადლათ. მას არ მოუცია ძალისა და გაძლიერების მეტი ვარიანტი, გარდა მის მადლზე მინდობისა. როცა ამას გააკეთებთ, *ნამდვილ სიმშვიდეში* შეხვალთ – შეწყვეტთ საკუთარი ძალისხმევით შედეგების მიღების მცდელობებს. რაში მდგომარეობს ეს სიმშვიდე? ეს გახლავთ ღვთიურ უნართან თანამშრომლობა თქვენი მისიის აღსასრულებლად. როცა სიმშვიდეში შეხვალთ, ღმერთი წარგმართავთ გამრავლებისკენ!

ეს ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც დავითს „ღვთის გულის სანდომი კაცი“ ეწოდა. იგი ღვთიურ ძალაზე იყო დამოკიდებული, არა თავისაზე. იგი გამუდმებით იმეორებდა: „ჩემი სიცოცხლის ბურჯია უფალი“ (ფს. 27:1). ყველაფერში, რასაც ის აკეთებდა, იყო მთავარი განმსაზღვრელი: დავითი ღვთის ძალას ეყრდნობოდა მასში და მისგან. სწორედ ამიტომ ეუბნება პავლე თავის სულიერ შვილს, ტიმოთეს, რომელიც შიშსა და სიფ-

რთხილეს ებრძოდა: „ჰოდა, ჩემო შვილო, გაძლიერდი მადლში, ქრისტე იესოში რომ არის“ (2 ტიმ. 2:1).

ამ მიზეზის გამო მივუძღვენი წიგნის მეორე და მესამე თავები *ქარის* და *ქარიზმას* მტკიცედ დაფუძნებას, სანამ ტალანტების შესახებ იგავზე გადავიდოდი. დამთრგუნველი და გულის ამაცრუებელია მნეობის საკუთარი ძალით გაწევა.

გთხოვთ, არასოდეს დაივიწყოთ: თქვენი მოწოდება თქვენს ბუნებრივ შესაძლებლობას აღემატება. იქნებ ამის გამო გვეუბნებიან:

> „ნახეთ, ძმებო, ვინა ხართ მოწოდებულნი: ბევრი არ არის ხორციელად ბრძენი, ბევრი არ არის ძლიერი და ბევრი არ არის წარჩინებული; არამედ წუთისოფლის უმეცარნი ამოირჩია ღმერთმა, რათა შეარცხვინოს ბრძენნი; და წუთისოფლის უძლურნი ამოირჩია ღმერთმა, რათა შეარცხვინოს ძლიერნი. მდაბიონი ამოარჩია ღმერთმა და დამცირებულნი, და არარსებული, რათა გააუქმოს არსებული, რომ ვერცერთმა ხორციელმა ვერ დაიკვეხნოს ღვთის წინაშე“. (1 კორ. 1:26-29)

რატომ ხდება ასე? რატომ არის მოწოდებული მხოლოდ რამდენიმე ბრძენი, ძლიერი და წარჩინებული? იქნებ იმიტომ, რომ ბუნებრივი ნიჭის მქონე ადამიანებისთვის ადვილია „წარმატების“ მიღწევა საკუთარი ძალებით? ისინი უგუნურები არიან! ისინი თავიანთ თავს სხვებს ადარებენ და იმარჯვებენ. ამის ნაცვლად მათ საკუთარი თავი შემოქმედის მოწოდების სინათლეზე უნდა დაინახონ.

პავლე მათგან განსხვავდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მოქცევამდეც თანამედროვეებთან შედარებით ბრძენი და წარჩინებული იყო, დადგა დრო, როცა ყველა ბუნებრივი უნარი „ნაგვად“ ჩათვალა თავის ცხოვრებაში ქრისტეს ძალის შესაცნობად. ის ერთ-ერთი იმ მცირეთაგანი გახლდათ, ვინც ბუნებრივი სიბრძნის ქონის მიუხედავად ისწავლა თავის უგუნურად მიჩნევა ქრისტეს სიბრძნესთან შედარებით (იხ. ფილ. 3:4-11).

სოციალისტური თუ კაპიტალისტური?

მოდი, იესოს იგავით გავაგრძელოთ. თითქოს შეუძლებელია, მაგრამ კიდევ უფრო ძლიერი და გამაოგნებელი ჩანს!

„ამიტომ წაართვით მაგას ტალანტი და მიეცით ათი ტალანტის მქონეს“. (მათ. 25:28)

მოიცადეთ! ახლა სწორად წავიკითხეთ? ბატონი ბრძანებს, რომ ვერცხლით (ტალანტით) სავსე ტომარა ლარის წაართვან და ელისონს მისცენ. მოდი, ნათლად გადმოვცეთ ეს ყველაფერი:

ელისონი: 5*2=10+1=11

ლარი: 1-1 (ელისონს)=0

ელისონმა 11-ით დაასრულა, ხოლო ლარიმ – ნულით!

ერთხელ, დილის ლოცვისას, გულში გამაოგნებელი რამ მოვისმინე. ნება მომეცი, ამაზე ყურადღება გავამახვილო. გარკვეული დროის განმავლობაში ტალანტების იგავზე არ მიფიქრია. იმ დილას სულიწმიდის ხმა გავიგონე: „შვილო, ჩემი აზროვნებით უფრო კაპიტალისტი ვარ, ვიდრე სოციალისტი“.

რა?! ამ სიტყვების გაგონებისთანავე წარბები მაღლა ავწიე, მაგრამ საკმაო დრო დავყავი მასთან ერთად სიარულში, რომ მცოდნოდა, როდის გვიმხელს ისეთ საკითხებს, რაზეც წარმოდგენა არ გვაქვს. ხშირად ეს რელიგიურ ან ნორმალურ აზროვნებას ეწინააღმდეგება, ხოლო ზოგჯერ აბსურდულიც გეჩვენება! იმ დროს მისი სიტყვები მართლაც აბსურდულად მივიჩნიე. გარკვევა ვითხოვე, რადგან ჩემი აზრით, ღმერთი უფრო სოციალისტი უნდა ყოფილიყო მისი საქმეებიდან გამომდინარე.

მან იგავი გამახსენა და მაჩვენა, რომ სოციალისტური აზროვნების ქონის შემთხვევაში იქ მოვლენები სხვაგვარად განვითარდებოდა. ამბავი ასე დაიწყებოდა: სამივე ერთი და იგივე ოდენობის ტალანტებს მიიღებდნენ:

ელისონი: 3

ბობი: 3

ლარი: 3

ელისონი და ბობი ერთგულები იქნებოდნენ (გაამრავლებდნენ), ხოლო ლარი უვარგისობისა და სიზარმაცის თვისებების შესაბამისად მოიქცეოდა. შედეგები ასეთი იქნებოდა:

ელისონი: 3*2=6

ბობი: 3*2=6

ლარი: 3=3

სავარაუდოდ, სოციალისტი ღმერთი ასე იზამდა:

ელისონი: 6-1=5

ბობი 6-1=5

ლარი 3+1 (ელისონისგან)
+1 (ბობისგან) = 5

ყველა ხუთი ტალანტით დაასრულებდა! თუმცა ასე არ მოხდა. ღმერთმა ლარის ის ერთი ტომარა ვერცხლიც გამოართვა და იმას მისცა, ვისაც ათი ჰქონდა. რატომ? იესო ასე განმარტავს:

> „ვინაიდან ყოველ მქონებელს მიეცემა და ჭარბად ექნება, ხოლო უქონელს (*ვინც მხოლოდ ინარჩუნებს*) ისიც წაერთმევა, რაც აქვს“. (მათ. 25:29)

არ ვამბობ, რომ ღმერთი კაპიტალისტია. არა, არასოდეს! უბრალოდ კაპიტალიზმი, განსაკუთრებით კი აქ, უფრო შეესაბამება მის აზროვნებას, ვიდრე სოციალიზმი. ამერიკისა და სხვა ქვეყნების ახალგაზრდობა ოცდამეერთე საუკუნეში სოციალისტური აზროვნებით გაზარდეს. სოციალიზმი არაა ღვთისნიერი და სასარგებლო, ფაქტობრივად, ის ღვთიური სიბრძნის საწინააღმდეგოდ მიდის. ეს ანტიქრისტეს სულია და საყოველთაო სიკეთით ინიღბება, რომელსაც სიზარმაცის წახალისება და გულმოდგინების, წარმატებისა და სიუხვის დასჯა სურს.

ღვთიური გზის თანახმად, უფრო მეტად ჯილდოვდება ის, ვინც ამრავლებს და ღმერთს *სიუხვესთან* არანაირი პრობლემა არ აქვს. იესო ამბობს: *„უხვად ექნებათ“*. მას სურს, უხვად გვქონდეს, *თუ ჩვენი გული ცათა სამეფოს აშენებს და სიუხვეს სხვებისთვის იყენებს*.

ალბათ, ადრეც გაგიგონიათ ასეთი განცხადება: *ღმერთი სიუხვის წინააღმდეგი არ არის. ის წინააღმდეგია, რომ სიუხვე ჩვენ გვქონდეს*. ეს ჭეშმარიტებაა. ვისი გულიც სავსეა ღვთიური მოშურნეობით, უხვი მარაგის მოგროვებით კმაყოფილებას არ განიცდის, ეს ღმერთთან ერთად სიარულისა და მისგან მოცემული სიუხვის ცათა სამეფოსთვის გამოყენებიდან მოდის. ასეთი ადამიანებისთვის სიუხვე სხვების შენების იარაღია. და, ცხადია, თუ ბრძენები ვართ, სამუშაო იარაღს არ შევიყვარებთ.

მნიშვნელოვანია, გავჩერდეთ და ერთი არსებითი ჭეშმარიტება წარმოვაჩინოთ: ღარიბებზე უნდა ვიზრუნოთ – ვინც შრომისუუნაროა ან დაწყებისთვის ბიძგი სჭირდება. პავლე წერს: „ზიდეთ ერთმანეთის ტვირთი და ასე აღასრულებთ ქრისტეს რჯულს. ვინაიდან, ვისაც ჰგონია რომ რაიმეს წარმოადგენს და არაფერიც არ არის, თავს იტყუებს“ (გალ. 6:2-3).

როცა პირველი ეკლესიის ლიდერები შეიკრიბნენ, გააცნობიერეს, რომ განსხვავებული დავალებები და მცირე საკითხებში უთანხმოებაც ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, საერთო აზრით

გაჭირვებულთა დახმარების პასუხისმგებლობა იტვირთეს. პავლე წერს:

> „ოღონდ უნდა გვხსომებოდა ღატაკები, რასაც ისედაც ვესწრაფოდი“. (გალ. 2:10)

ამ განაცხადის შემდეგ მნიშვნელოვანია, მართლა *გაჭირვებულისა* და *ზარმაცის* ერთმანეთისგან გამორჩევა ვისწავლოთ. სოციალისტური მიდგომით ზარმაცსა და ღარიბს ერთნაირი წილი უნდა მიეცეს. თუ „ზარმაცთა“ კატეგორიას ხელს გავუმართავთ, ამით მათ ჩვენზე დამოკიდებულს გავხდით. ჩვენი მიზანია ყოველთვის მივმართოთ ადამიანები მათი ღვთივბოძებული ნიჭებისკენ, რომ ისინიც აყვავდნენ და ცათა სამეფო აშენონ.

პრაქტიკული გამოყენება

ნებისმიერ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ნიჭების ფლობისა და მათი გამრავლებისთვის გამოყენების ფაქტი. თუ ღმერთი გიყვართ, გულმხურვალებით მოისურვებთ ნიჭის მის სადიდებლად გამოყენებას. ჩემი მთავარი მიზანი თქვენი გამოღვიძებაა შინაგანი სურვილებისა და პოტენციალის დასანახად. თქვენ მიზანმიმართულად შეგქმნეს გარკვეული მიზნისთვის. თქვენ გაქვთ ჩვენი მეფის სადიდებლად მოცემულის გამრავლების უნარი. ეს გახლავთ ამ თავის ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა.

ახლა, როცა ტალანტებზე იგავი გავიგეთ და იმასაც მივხვდით, რისი წარმოჩენა სურს, მზად ვართ პრაქტიკულ საკითხებზე გადასასვლელად. როგორ მოხდება ეს? როგორ გადავიტანოთ განხილული საკითხი ყოველდღიურ ცხოვრებაში?

ჩვენი მოგზაურობა ამ მიმართულებით მომდევნო თავში გაგრძელდება.

დაფიქრება

1. არის ერთი თვისება, რომელიც ნათლად განსაზღვრავს მნეობას: ერთგულება. როგორ ხედავთ ერთგულებას? ამ თავის წაკითხვის შემდეგ როგორ შეიცვალა თქვენი თვალსაზრისი?

2. მარადიული გამრავლება ჩვენი საკუთარი ძალებით არ მიიღწევა. ეს ღვთის მადლთან თანამშრომლობის შედეგია. გიცდიათ ნიჭების გამრავლება საკუთარი ძალისხმევით? როგორ შეიძლება თქვენი ნიჭის უფრო სიმშვიდის მდგომარეობაში გამრავლება, ვიდრე საკუთარი მცდელობებისას?

3. ღმერთი სიუხვის წინააღმდეგი არ არის; იგი წინააღმდეგია, რომ ეს სიუხვე მხოლოდ ჩვენ გვეკუთვნოდეს. თქვენი აზრით, რატომ არის ღვთისთვის მნიშვნელოვანი, რომ ნიჭები გაამრავლოთ? როგორ მიაგებს ღმერთს პატივს თქვენი ნიჭების გამრავლება და სხვებზე მეტ ზეგავლენას იქონიებს?

„მცირედში ერთგული დიდშიც

ერთგულია; და მცირედში უმართლო,

დიდშიც უმართლოა“.

– ლუკ. 16:10

6

გულმოდგინეობა და გამრავლება

Იესოს სიტყვების თანახმად, თუ შინაგანი სიხალასით ვცხოვრობთ; მტკიცე, დასაყრდენი, სანდო, პატიოსანი და გულმოდგინე ადამიანები ვართ და ვამრავლებთ ამჟამად ჩვენთვის მონდობილს, უფრო მეტზე დაგვაყენებენ. მარტივად რომ ვთქვათ, *როცა შინაგანი სიხალასით ვამრავლებთ, ღმერთი უფრო მეტად საპასუხისმგებლო საქმეს გვანდობს.* იგი ჩვენს წინსვლას უზრუნველყოფს. ეს ცათა სამეფოს კანონია.

შეამოწმეთ თქვენი პიროვნება. გაქვთ თუ არა გამამრავლებელი ხედვა? იქნებ უფრო შენარჩუნებაზე შრომობთ? ღუზა ჩაუშვით იქ, სადაც თქვენი აზრით, უმაღლეს წარმატებას მიაღწიეთ, ვინაიდან მშობლებზე მეტი შეძელით და თავს კომფორტულ მდგომარეობაში დარჩენის უფლება მიეცით?

გულწრფელი იყავით თქვენს შეფასებაში. თუ უფრო შემნარჩუნებელი ხართ, ვიდრე გამამრავლებელი, დიდებული ახალი ამბავი მაქვს: თქვენ ჯერ კიდევ დედამიწაზე ცხოვრობთ და შეცვლის, გამრავლებისა და საბოლოოდ, უფრო დიდ საქმეზე დაყენების დრო გაქვთ!

ორი განსხვავებული შედეგი

ჯერ კიდევ ახალგაზრდა ბიჭი ვიყავი, როცა შემნარჩუნებლისა და გამამრავლებლის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მოტივაცია ამოვიცანი, რადგან ჩემი ორი ბაბუა თვალსაჩინოდ მაჩვენებდა ამ განსხვავებას. ერთი პენსიაზე გავიდა სამოცდახუთი წლის ასაკში და თვინიერ ცხოვრებას მიჰყო ხელი. იგი სტუმრად მოდიოდა წელიწადში ორჯერ და მასზე დაკვირვების საშუალება მეძლეოდა. ბაბუა პრაქტიკულად არაფერს აკეთებდა. იგი ჩვენი დიდი მუხის ქვეშ იჯდა უკანა ეზოში და ჩიბუხს ეწეოდა. დიდ

განსხვავებას მაშინაც ვერ ვხედავდი, როცა მასთან სტუმრად მივდიოდით. სამწუხაროა, რომ მოგვიანებით მისი სიცოცხლე არსებობას უფრო დაემსგავსა, ვიდრე სიცოცხლეს.

ჩემი მეორე ბაბუა პენსიაზე სამოცდაორი წლის ასაკში გავიდა და თითქოსდა, მეორე სიცოცხლე დაიწყო. იგი *რათგერს უნივერსითეტში* დადიოდა და აგრონომიას სწავლობდა. მომდევნო ათწლეულების განმავლობაში ორი წიგნი დაწერა, დიდი ბაღი გააშენა და უვლიდა, გაზარდა ცხოველები, მონაწილეობა მიიღო ფლორიდის სანაპიროზე საცხოვრებელი კორპუსების მოწყობასა და ხანდაზმული ხალხისთვის მშვენიერი ადგილების შექმნაში. ერთი სიტყვით, აქტიურად იშრომა მრავალ კორპორაციულ და საზოგადოებრივ პროექტში. იგი ყოველთვის მზად იყო დახმარებოდა მას, ვისაც ეს სჭირდებოდა.

დიდი ამბით ველოდებოდით ბაბუას სტუმრობას ან ჩვენს წასვლას მის მოსანახულებლად. იგი გეგმავდა სათევზაო ტურებს, გასართობ პარკებში დროის გატარებას და ნიუ იორკში გამგზავრებას. ბაბუა გვეთამაშებოდა, მეზობლებთან მივყავდით, ადგილობრივ ბიზნესმენებს თავიანთ მაღაზიებში ეხმარებოდა და ყოველ საღამოს გემრიელი კერძით გვიმასპინძლდებოდა. ჩემი მეორე ბაბუა სამზარეულოს ჩვენს დასახმარებლად არცკი ეკარებოდა.

ერთი ბაბუა სამოცდათხუთმეტი წლის ასაკში გარდაიცვალა, ხოლო მეორე – ოთხმოცდათერთმეტი წლისა. აბა გამოიცანით, ვინ იცხოვრა დიდხანს? დიახ, იმან ვისაც ხედვა ჰქონდა, ვინც ამრავლებდა. აი, საინტერესო ფაქტი: ოთხმოცდაცხრა წლამდე მას სულის გადარჩენა არ მიუღია. მიუხედავად ამისა, იგი მანამდეც ღვთიური პრინციპებით – ცათა სამეფოს კანონებით – ცხოვრობდა და უხვად იყო კურთხეული.

სანამ მისი იესოსთან მიყვანის პრივილეგია მექნებოდა, ბაბუა დიდხანს მეწინააღმდეგებოდა რწმენის გამო! იგი აბუჩად იგდებდა ჩემს რწმენას თითქმის ყოველთვის, როცა ერთად ვიყავით. მისთვის სახარების გაზიარების ურიცხვი მცდელობების შემდეგ კინაღამ მოცელილივით დავეცი, როცა მითხრა: „მინდა იესო მივიღო ჩემს უფლად“. ეს დიდებული დღე იყო!

ამ საუბრიდან ერთი თვის შემდეგ ისევ ვესტუმრე მას. იმ დროისთვის ბაბუა ჩვენი სახლიდან ერთი საათის სავალ მანძილზე ცხოვრობდა. იგი სულ ახალი გადასული იყო დეიტონა ბიჩის საცხოვრებელი კორპუსიდან ორმონდ ბიჩის ზრდასრულთა შემწეობის საცხოვრებელ ცენტრში. იმ ვიზიტისას ბაბუამ მითხრა:

– ჯონ, გინდა იცოდე ჩემი დავალება? რის საკეთებლად ვარ დედამიწაზე?

ძალიან გამიკვირდა, რომ ახალმოქცეული და თან მისი ასაკის ადამიანი ასე ფიქრობდა. ამ მიმართულებით ჩაღრმავების ნაცვლად უბრალოდ ვუპასუხე:

– დიახ, ბაბუა. რა არის შენი დავალება?

მან ღიმილით თქვა:

– სულიწმიდამ მითხრა, რომ აქ ამ ხალხისთვის იესოს სახარებლად ვარ (იმ კომპლექსში რამდენიმე ასეული ადამიანი ცხოვრობდა).

ორი წლის შემდეგ დედაჩემმა და მისმა ძმამ ბაბუა ოკლაჰომაში გადაიყვანეს, რომ ერთადერთ ვაჟთან ახლოს ეცხოვრა. იქ ყოფნის პირველივე კვირას მომვლელ ქალს მთელი ღამის განმავლობაში უყვებოდა თავისი ცხოვრების ისტორიას. დილას, მზის ამოსვლამდე რამდენიმე წუთით ადრე ასე უთხრა მას: „სახლში წასვლის დროა. ჩემს ვაჟს უთხარი, რომ არ იდარდოს ჩემ გამო“. ამის თქმა იყო და სხეული დატოვა ზეციურ ოჯახთან შესაერთებლად.

დედაჩემი ძალიან შეწუხდა და ნერვიულობდა, რომ მამამისზე ფლორიდიდან ოკლაჰომაში გადაყვანამ ცუდად იმოქმედა. როცა მან ეს აზრი ხმამაღლა გამოთქვა, სასწრაფოდ დავარწმუნე, რომ მსგავსი არაფერი ჩაუდენია:

– დედა, როცა ბაბუა ოთხმოცდაცხრა წლის გახდა, მითხრა, როგორ აჩვენა ღმერთმა, რომ დედამიწაზე კიდევ ორ წელს იცოცხლებდა ორმონდ ბიჩში მისი დავალების შესასრულებლად. ეს ოკლაჰომაში ბაბუას ყოფნის პირველი კვირა იყო; მან დავალება შეასრულა.

დედაჩემი ამ სიტყვებმა ანუგეშა და თან ძალიან გააკვირვა.

მიუხედავად იმისა, რომ ბაბუა გადარჩენილი არ იყო, მის ცხოვრებაში ნათლად ჩანდა გულმოდგინე ერთგულების ღვთიური პრინციპები. ჩემი ორივე ბაბუის განსხვავებული არჩევნის მოწმე მანამდე ვიყავი, სანამ მორწმუნე გავხდებოდი, ამიტომ გადავწყვიტე, რომ ჩემი ცხოვრება იმ ბაბუის მიმართულების ანალოგიურად მომეწყო, რომელიც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ამრავლებდა და მიზასწრაფულად ცხოვრობდა.

ნება მომეცით, გულახდილი ვიყო. არაერთხელ მქონია ცდუნება, რომ ადვილი ცხოვრება ამერჩია. ჩვენს აზრებს მიზანმიმართული გადამისამართება სჭირდება, რომ „შენარჩუნების“ ცხოვრების წესს არ დავემორჩილოთ, რადგან ეს ბევრად ადვილია.

გამრავლება არ წარმოაჩენს ზანტ, მოყოყმანე, უდარდელ ან აპათიურ ცხოვრების წესს. პავლე მოციქულმა გვითხრა: *„გულმოდგინებაში* ნუ გაზარმაცდებით; *სულით აღენთეთ*, უფალს ემსახურეთ“ (რომ. 12:11).

პირველ რიგში, გააცნობიერეთ, რომ ეს მცნებაა და არა რჩევა. დააკვირდით მის სიტყვას „გულმოდგინებაში“. გამრავლებისას ეს უპირველესი თვისებაა, რომელიც უნდა გამოიმუშაოთ. არასწორად ნუ გამიგებთ – რწმენა, ხედვა და შეუპოვრობა გამრავლების ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორებია, მაგრამ მათგან დიდი სარგებელი არ გექნებათ ძველებური, ბეჯითი შრომის გარეშე!

მე და ლიზა გულმოდგინედ ვშრომობთ მორწმუნეობის თითქმის პირველივე დღიდან. ეს ჩვენში თავიდანვე ჩართულია და ღმერთი იგივეს აკეთებს ყოველი მორწმუნისთვის. ჩვენი ენთუზიაზმი გარემოებებით აღძრული როდია. მას ორი საგნისგან წარმოშობილი გულითადი მოშურნეობა უდევს საფუძვლად: იესოსა და მისი ერისადმი მყარი სიყვარული. ეს მგზნებარება მტკიცე გადაწყვეტილებას ემყარება და არა გრძნობებს, ამიტომ ღვთის სამეფოს შენების მხურვალე სურვილს კიდევ უფრო აძლიერებს. ფაქტობრივად, დროის ზოგიერთ მონაკვეთში ემოციები საერთოდ არ ჩანს.

ენთუზიაზმის აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვა გახლავთ *ენთეოს,* რაც ნიშნავს „ღვთის ყოფნას შინაგანში“. ჩვენი სიბეჯითე მისი შინაგანი თანდასწრებიდან უნდა მომდინარეობდეს და არა გრძნობებიდან ან გარეშე ფაქტორებიდან.

გაამრავლე ის, რაც სხვას ეკუთვნის

ქორწინების შემდეგ ჩემი და ლიზას პირველი ეკლესია დალასში, ტექსასის შტატში გახლდათ. ის ჩვენს ერში ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული ეკლესია იყო რამდენიმე ასეული შტატიანი თანამშრომლით. ჩვენ როგორც მოხალისეები, ყოველთვის ვეწერებოდით იქ, სადაც რაიმეს კეთების საჭიროება არსებობდა. თავიდან მომსახურე კარისკაცი ე. წ. აშერი ვიყავი, ვმონაწილეობდი ციხის მსახურებაში, იძულებითი დაკავების ცენტრებში, სტუმრად მივდიოდი მზრუნველობამოკლებულთა სახლებში, ვეხმარებოდი კონფერენციებზე, ვეხმარებოდი ეკლესიის თანამშრომლებს, რომლებიც ფიზიკურ დავალებებს ასრულებდნენ და ჩვენი პასტორის ბავშვებს ჩოგბურთის გაკვეთილებსაც კი ვუტარებდი. არასოდეს მითქვამს უარი

რაიმე მსახურებაზე, რაც არ უნდა ყოფილიყო და ეს ყველაფერი *როკუელ ინტერნეშნალში* ინჟინრად მუშაობის ფონზე ხდებოდა.

ბოლოს, მსახურებაში ჩემი მოშურნეობა დაინახეს და უფროსი პასტორის მეუღლე (რომელიც ეკლესიის აღმასრულებელი დირექტორი გახლდათ) დაინტერესდა, ხომ არ ვისურვებდი ეკლესიის შტატის სრულ განაკვეთზე დასაქმებას. ოფიციალური ინტერვიუს დროს მან მითხრა:

– ჯონ, იმდენის შემოთავაზება არ შეგვიძლია, რაც რეალურად გეკუთვნის.

ჩემი პასუხი ასეთი იყო:

– ეგ არაფერი, თანახმა ვარ.

არ მაღელვებდა, რამდენს შემომთავაზებდნენ. ნებისმიერი პოზიცია მაკმაყოფილებდა, რა ხელფასიც არ უნდა მოეცათ. ინტერვიუს შემდეგ აღმასრულებელი გუნდის ასისტენტის ადგილი შემომთავაზეს. მე და ლიზას ამაზე გულმხურვალე ლოცვა არ დაგვჭირვებია, რადგან ვიცოდით, რომ ეს ღვთის ნება იყო. შემოთავაზება მივიღე წელიწადში $18 000 ხელფასით, რომელიც საკმაოდ მცირე გახლდათ, მაგრამ ჩვენ წინსვლად მივიჩნევდით. მე და ლიზა ვხვდებოდით, რომ ახალი ხელფასით თავის გასატანად სასწაულებრივი უზრუნველყოფა დაგვჭირდებოდა, მაგრამ ეს არ გვადარდებდა. იმ საქმეში ჩავერთეთ, რაც ჩვენი გულითადი რწმენით, ცხოვრებისეული მოწოდება იყო.

ამ ადგილზე მუშაობა ჩემი პასტორების, მათი ოჯახის წევრებისა და ჩამოსული სტუმრების დახმარებას გულისხმობდა. სამი უმთავრესი მოტივით ვმოქმედებდი. პირველი, მათ ისე ვემსახურებოდი, როგორც იესოს მოვემსახურებოდი. მეორე, ყოველთვის წინ ვიხედებოდი, მათ საჭიროებებს ვსაზღვრავდი და მანამ ვაკმაყოფილებდი, სანამ ამის შესახებ მთხოვდნენ. და ბოლოს, თუ რაღაცის გაკეთება იყო საჭირო, უკან რომ არ მოვსულიყავი და მეთქვა, „ეს შეუძლებელია“, ყოველთვის ვცდილობდი ლოცვით, შემოქმედებითი მიდგომით და გულმოდგინე შრომით მეპოვა გამოსავალი. თუ რაიმეს გაკეთება შეუძლებელი იქნებოდა (და ეს იშვიათად ხდებოდა), ყოველთვის საუკეთესო ალტერნატიული გადაწყვეტილებით ვბრუნდებოდი. ხშირად ეს დავალების შესრულების უმჯობესი გზა იყო, ვიდრე თავდაპირველად ითხოვეს.

მე და ლიზას შვილები არ გვყავდა ამ პოზიციაზე ყოფნისას. სამუშაო საათები, როგორც წესი, ორმოცდაათიდან სამოცდაათ საათამდე გრძელდებოდა ექვსდღიან პერიოდში. ორივე ვთვლი-

დით, რომ პასტორებისთვის თავიდან უნდა აგვეშორებინა ყველა შესაძლო საზრუნავი. გვინდოდა, რომ ჩვენი ეკლესიის გაძღოლისთვის სრული ყურადღება მიექციათ. ბევრი ამბის გაზიარება შემეძლო ჩვენი მოტივების საილუსტრაციოდ, მაგრამ მხოლოდ ერთს შემოგთავაზებთ. ჩვენს პასტორს სტუმარი ჰყავდა, რომელიც აწ გარდაცვლილი, მსოფლიოში გამოჩენილი ევანგელისტის მსახურების გუნდში შედიოდა. პასტორს მეტის შეტყობა სურდა გარდაცვლილ მახარებელზე, ამიტომ ეს ორი ადამიანი გვიან საღამოს საუბრობდა. ჩემმა ტელეფონმა ღამის პირველ საათზე დარეკა. ეს ეკლესიის პასტორი იყო, რომელმაც მასთან სახლში მისვლა (ჩემი ბინიდან ოცდახუთი წუთის სავალზე) და სტუმრის ჰოტელში წაყვანა მთხოვა.

ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ვუპასუხე:

– ახლავე გამოვალ.

მასთან სახლში მივედი, დაველოდე, სანამ ერთმანეთს დაემშვიდობებოდნენ და სტუმარი წავიყვანე. დასაძინებლად ღამის ორ საათზე დავწექი.

ჩემმა პასტორმა არ იცოდა, რომ ადრე დილით აეროპორტში სხვა სტუმარს უნდა დავხვედროდი, რომელიც მომდევნო საღამოს მსახურებაზე სიტყვით გამოდიოდა. იგი ჰავაიდან ღამის რეისით ჩამოდიოდა დილის 5:40 საათზე. 4:30-ზე უნდა ავმდგარიყავი, რომ მისი დახვედრა მომესწრო. პასტორისთვის არასოდეს მითქვამს, რომ იმ ღამით სამი საათიც კი არ მეძინა. მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, რომ მათი ყოველი საჭიროება დამეკმაყოფილებინა. თავს გამუდმებით ვახსენებდი, თუ რა პრივილეგია იყო მსახურება.

ჩემი პასტორისა და მისი ცოლის თანაშემწე გახლდით ოთხი წლის განმავლობაში. ერთხელაც მათთან მარტო დავრჩი და საუბრისას ასე ვთქვი:

– ვლოცულობ და ღმერთს ვთხოვ, რომ ჩემს შემდგომ ამ ადგილზე მომსახურე ადამიანმა ჩემზე ორჯერ უკეთ შეასრულოს ეს საქმე.

– ეს შეუძლებელია, – მიპასუხეს მათ, – შენ საოცრად შრომობდი.

ეს გამამხნევებელი ქება იყო. მათმა ნათქვამმა ყოველგვარი მძიმე შრომა გამიადვილა, მაგრამ წინსვლა მინდოდა. ბოლოს მათ თანაშემწედ ორი ადამიანი აიყვანეს. პასტორმა კურთხევით გამომიშვა, რომ ფლორიდის მეორე ცნობილ ეკლესიაში მემსახურა ახალგაზრდების მწყემსად, რაზეც მე-2 თავში ვილაპარაკე.

როცა ფლორიდის მსახურება დავიწყეთ, ძალზე შევწუხდი, რომ უფრო მეტი მოზარდის მოზიდვა არ ხერხდებოდა. ეს იყო მეოცე საუკუნის 80-იანი წლების შუა პერიოდი, როცა ჩვენი მედია მხოლოდ სატელევიზიო ეთერით შემოიფარგლებოდა. არ არსებობდა კომპიუტერები, ტაბლეტები და სმარტფონები. ვიდეოჩართვა გამოგონებული არ იყო. მარტივად რომ ვთქვათ, ყოველდღიური სატელევიზიო გადაცემები ადამიანებთან მიღწევის საუკეთესო გზას წარმოადგენდა.

გარკვეული კვლევების შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ცენტრალური ფლორიდის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერ სატელევიზიო სადგურს თავისუფალი დრო ჰქონდა შაბათ საღამოს 10 საათზე. გავიკითხე, რა დაჯდებოდა ის 30-წუთიანი დრო და საკმაოდ დიდი თანხა დამისახელეს.

პასტორთან მივედი და ვკითხე, შეგვეძლო თუ არა ახალგაზრდების სამახარობლო პროგრამის ყიდვა.

– ჯონ, ეს გათვალისწინებული არ არის ეკლესიის ბიუჯეტში, – თქვა მან.

– წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, რომ ახალგაზრდებს ამ პროგრამის დასაფინანსებლად ყოველთვიური შესაწირის გაკეთება ვთხოვო? – ვიკითხე მე.

– რა თქმა უნდა, თუ შეუძლიათ თავს ამის უფლება მისცენ, – მიპასუხა მან. ვფიქრობ, არ ეგონა, რომ ისინი ამას შეძლებდნენ.

ახალგაზრდების წინაშე წარვდექი და დაღუპულ თანატოლებამდე მიღწევის ხედვა გავუზიარე. იმ დღეებში ბევრი ახალგაზრდა უყურებდა ტელევიზორს შაბათს გვიან ღამემდე. ამ პროგრამაში ჯერ ღვთის სიტყვას ვიქადაგებდით, შემდეგ კი მაყურებლებს ეკლესიისა და ახალგაზრდულ მსახურებაზე მოვიწვევდით. ვთხოვე მათ, რომ გაეღოთ ფინანსების ნამეტი სკოლის შემდეგ სამუშაოდან მიღებული თანხიდან ან დამატებითი სამუშაო მოეძებნათ. როცა ყველამ დადო პირობა გარკვეული თანხის შეწირვასთან დაკავშირებით და ფურცელი შეივსო, მე და ჩემი დამხმარე პასტორი გაოცებული დავრჩით – სატელევიზიო ეთერის ღირებულება მთლიანად იფარებოდა.

ჩემი უფროსი პასტორი კიდევ უფრო გაკვირვებული დარჩა. მან თანხმობა მოგვცა და დავიწყეთ ჩვენი პროგრამა – Youth Aflame (მგზნებარე ახალგაზრდობა). ბიუჯეტი ყოველ თვე საკმარისი რაოდენობის თანხით ივსებოდა. სასიხარულო ფაქტი იყო მრავალი ურწმუნო ახალგაზრდის დასწრება ახალგაზრდული მსახურების ჯგუფში და იესოსთან მოსვლა. ოცი წლის შემდეგაც მოდიოდნენ ჩემთან და მიზიარებდნენ,

როგორ უყურეს ჩვენს გადაცემას 80-იან წლებში და რა გავლენა მოახდინა მათ ცხოვრებაზე.

როცა ახალგაზრდების პასტორის პოზიცია დავტოვე, ჯგუფი სამ სხვადასხვა ნაწილად დავყავით. ახლა სამი ლიდერი აკეთებდა იმას, რაც ჩვენ ერთი ჯგუფით დავიწყეთ. ვიმეორებ, რომ ღვთის მადლმა, მორჩილებამ და გულმოდგინე შრომამ გამრავლება მოიტანა.

იესო ამბობს:

„და თუ სხვისაში არ იქნებით ერთგულნი, თქვენსას ვინ მოგცემთ?“ (ლუკა 6:12)

მოდი, იგივე სიტყვები ტალანტების შესახებ იგავის შესაბამისად წარმოვთქვათ:

თუ არ გაამრავლებთ იმას, რაც სხვას ეკუთვნის, ვინ მოგცემთ საკუთარს გასამრავლებლად?

სწორედ ამ უფროსმა პასტორმა გამოაცხადა ღვთის გეგმა, რომ მე და ლიზას *მესინჯერ ინტერნეშნალი* დაგვეწყო. პირველად მან შემოიტანა ეს და არა ჩვენ. როცა აქ ახალგაზრდების მწყემსის ადგილის დასაკავებლად მოვედი, ასე ვუთხარი:

– პასტორო, აქ მანამდე დავრჩები, სანამ იესო ჩემს წასაყვანად არ დაბრუნდება გარდა იმ შემთხვევისა, როცა ღმერთი ორივე ჩვენგანს მიუთითებს ამ ადგილიდან დაძვრაზე. ღმერთს მისთვის ლოცვაში რომ არ ეთქვა, რა იქნებოდა ჩვენი მომდევნო მსახურების ადგილი, დარწმუნებული არ ვარ, რომ იმ ეკლესიის დატოვებას შევძლებდი. ჩემი აზრით, სწორედ ეს იყო მიზეზი, რის გამოც ღმერთმა პირველად მას გამოუცხადა.

მესინჯერ ინტერნეშნალის დაბადება

ფლორიდის ეკლესიის დატოვებიდან მოკლე ხანში მსახურება კოლუმბიაში, სამხრეთ კაროლინაში დავიწყეთ. სისხამ დილით ერთი მოშორებული ადგილი ვიპოვე სალოცავად. ღმერთმა მითხრა:

– შვილო, უხვ მოსავალს მოიმკი ერთგულების თესლებიდან, რომლებიც ამ შვიდი წლის განმავლობაში ჩათესე სხვათა მსახურებაში. ეს დაუყოვნებლივ მოხდება და მომავალ წლებში გაგრძელდება.

ახლა როცა უკან ვიხედები, მოსავალს განცვიფრებაში მოვყავარ.

როცა ეკლესიის მეშვეობით *მესინჯერ ინტერნეშნალი* დაიბადა, გულმოდგინება ისევ საკვანძო ფაქტორად დარჩა გამრავლების საქმეში. მე და ლიზა მთელ საღამოებს ვატარებდით კასეტების ასლების კეთებაში, იარლიყების დაკვრასა და ქადაგებათა სერიების აკინძვაში. მეგობრები რეგულარულად გვეხმარებოდნენ საინფორმაციო ბიულეტენების მარკირებასა და დახარისხებაში. მე და ლიზა ვბეჭდავდით წერილებს, ვახდენდით ქვითრების დეპონირებას, ვაწარმოებდით ფინანსურ აღრიცხვას და ყოველგვარი სახის საბუთებს ვაწესრიგებდით. მონაცემები კომპიუტერში შეგვყავდა, თვალყურს ვადევნებდით ფოსტასა და მარაგების შევსებას და ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია. დილის ლოცვის შემდეგ მუშაობას ვიწყებდით და ხშირად, საღამოს 9 საათამდე, ზოგჯერ უფრო გვიანობამდეც ვმუშაობდით.

ამას სიხარულით ვაკეთებდით და პატივად ვთვლიდით. ჩვენი მოტივაცია შინაგანიდან მოდიოდა და უამრავი იმედგაცრუება და გვალვიანი პერიოდი გადაგვატანინა. დარწმუნებული ვარ, რომ გაგრძელების ძალას დილის ლოცვები გვაძლევდა.

აღმოსავლეთ სანაპიროს მთავარი გზატკეცილი – I-95 არაერთხელ დავლაშქრეთ ჩვენი *ჰონდა სივიკით*, რომლის უკანა სავარძლებზე ორი ჩვილი ბიჭი იჯდა და ოთხმოციდან ას კაცამდე ოდენობის ეკლესიებს ვუქადაგებდით. ჩვენი პირველი შეხვედრა ეკლესიად, სინამდვილეში დამკრძალავ ბიუროში შედგა – რა დიდებული დასაწყისია!

კასეტებს ვყიდდით და შემოსავალს მსახურების გასაფართოებლად ვიყენებდით. აღთქმა დავდეთ, რომ ამ ფონდებით ჩვენი ხელფასის შესავსებად არ ვისარგებლებდით; *მესინჯერის* ზრდა და გამრავლება მნიშვნელოვანი საქმე გახლდათ. იყო დრო, როცა პირადი ხარჯებისთვის აუცილებელი თანხა ზუსტად იმ დღეს მოსულა, როცა გვჭირდებოდა. გარკვეული თანხა გვქონდა „აუდიო რესურსების გაყიდვაზე“, მაგრამ პირობა დავდეთ, რომ მას არ შევეხებოდით.

წლინახევრის მუხლჩაუხრელი შრომის შემდეგ ღვთისგან სიტყვა მოვიდა, რომელზეც უნდა გიამბოთ. ძალიან ვწუხდი, რომ არ გვქონდა საკმარისი დრო დღის განმავლობაში ბევრი სხვა ვალდებულების შესასრულებლად. კიდევ ერთი აღთქმის დადება სარისკო ჩანდა, მაგრამ მაინც გავბედეთ. საკმაო დრო დასჭირდა პირველი წიგნის დაწერას. სრულიად არ ველოდებოდი

რამდენიმე ახალგაზრდა ბიჭის მოხალისეობას ფიზიკურ საქმეებში ჩვენს დასახმარებლად, რომელთა გაკეთებასაც წერის გამო ველარ ვასწრებდი. მათ იგივე ფუნქცია იტვირთეს, რასაც ჩვენ დალასში პასტორისთვის ვასრულებდით. ახალგაზრდებმა დაინახეს ჩვენი ცხოვრების ეს საჭიროება და გვერდში დაგვიდგნენ ყოველგვარი ზედმეტი კითხვების გარეშე.

„უდაბნოში გამარჯვების“ ხელნაწერი დავასრულე ერთი წლის მძიმე და ზოგჯერ იმედის გამაცრუებული შრომის შემდეგ. მნიშვნელოვან გასაღებს მივაგენი: *ჩვენი ცხოვრების მადლში (ნიჭში) უნდა გავიზარდოთ!* ბევრ ჩვენგანს „ფანტასტიური“ შედეგები როდი გვაქვს დასაწყისში. პეტრე წერს, „აღიზარდენით ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს მადლში“ (2 პეტრ.3:18). წერის უნარი ახლა გაცილებით მეტად განვითარებული მაქვს, ვიდრე – პირველი წიგნის წერისას.

მე და ლიზამ ხელნაწერი ცნობილ რედაქტორს მივუტანეთ. უკიდურესად გაოგნებული დავრჩი, როცა მან მწვავედ გამაკრიტიკა და განაცხადა, რომ მეტისმეტად ახალგაზრდა და გამოუცდელი ვიყავი ქრისტეს სხეულისთვის ასეთი სიტყვის მისატანად.

უარყოფის იმ დარტყმის შემდეგ მე და ლიზამ მაშინვე სხვა რედაქტორის ძებნა დავიწყეთ. ერთი ვიპოვეთ, მაგრამ მთელი ხელნაწერი გაგვიფუჭა. განადგურებული ვიყავით, როცა უკან დაგვიბრუნა. ჩემი ხმა და შინაარსის ძლიერი ზეგავლენა საერთოდ დაიკარგა. უარესი, მას აზრიც აღარ ჰქონდა! მოკლედ რომ ვთქვათ, წიგნი უმოწყალოდ დაჩეხეს. კიდევ ერთი დარტყმა. – რა უნდა გვექნა? წიგნის დაწყებიდან უკვე ერთ წელზე მეტი იყო გასული.

ჩვენ არ დავნებდით. სხვა რედაქტორი ქალი ვიპოვეთ და როცა ხელნაწერი წაიკითხა, დაგვეთანხმა, რომ თავდაპირველი ვერსია განადგურებული იყო.

– ჯონ, ლიზა! – გვითხრა მან, – ხშირად გაუმართლებელი ნაბიჯია დამახინჯებული წიგნის გამოსწორება. იმ რედაქტორისთვის გადახდილი თანხა დაკარგულად ჩათვალეთ და ხელახლა დაიწყეთ.

მან გვირჩია, რომ ლიზას წიგნის დედანის რედაქტირება გაეკეთებინა და მისთვის გაეგზავნა.

გამომცემლის რჩევა გავითვალისწინეთ და ლიზამ არაერთი საათი დახარჯა თავდაპირველი ხელნაწერის გასწორებაზე, რომ ცოტად თუ ბევრად წაკითხვადი ყოფილიყო. ახალმა გამომცემელმა ლიზას დასრულებული ტექსტი აიღო და მის

დამუშავებას შეუდგა. მან საოცარი შრომა გასწია და საბოლოოდ, ვიგრძენით, რომ დიდებული ხელნაწერი მივიღეთ.

ბოლო ვერსია ორ ცნობილ გამომცემლობაში გავგზავნე. ერთისგან პასუხს ვერ ველირსეთ, მაგრამ მეორე გამოგვეხმაურა. მოგვწერეს, რომ ჩემი წიგნი მეტისმეტად „მქადაგებლური“ იყო და ვინაიდან მე არ ვიყავი ცნობილი მსახური, მის დაბეჭდვას არ აპირებდნენ. შევეცადე სხვა, ნაკლებად ცნობილი გამომცემლობები მომეძებნა, მაგრამ არც ერთი მათგანი არ დაინტერესდა.

წარმოგიდგენიათ ჩვენი იმედგაცრუება? ერთ წელზე მეტი შრომისა და დახარჯული დროის მიუხედავად, ჩიხში მოვექეცით, მაგრამ დანებებას არ ვაპირებდი.

იმ დღეებში წიგნის საკუთარი ძალისხმევით გამოცემა პრაქტიკულად წარმოუდგენელი იყო. ამ საქმეში წარმატებული ადამიანები ვერ ბედავდნენ მსგავს რამეს, მაგრამ ერთმა მეგობარმა გვირჩია და ჩვენც ვცადეთ. გავიგეთ, რომ რამდენიმე ათასიანი ტირაჟით დაბეჭდვა 12 000 დოლარი დაგვიჯდებოდა. ამაში არ შედიოდა ილუსტრაცია და დაკაბადონება. გარდა ამისა, ორ რედაქტორს უკვე გადავუხადეთ.

ჩვენთვის ეს თანხა უზარმაზარი გახლდათ. *მესინჯერ ინტერნეშნალის* მთლიანი შემოსავალი 1990 წელს 40 000 დოლარს შეადგენდა. ახლა მსახურების დაწყებიდან მესამე წელი მიდიოდა და იმაზე მეტი არ შემოგვიტანია, რაც პირველ წელს შევძელით. მეორე წლის ბოლოს აღფრთოვანებული ვიყავი, როცა პირველი კომპიუტერის შეძენა მოვახერხეთ, რომელიც რამდენიმე ასეული დოლარი ღირდა. 12 000 დოლარი წარმოუდგენელი თანხა გახლდათ! ამისთვის სასწაული გვჭირდებოდა.

ერთ ქალბატონს შევხვდით, რომელიც პატარა გამომცემლობაში დამკაბადონებლად მუშაობდა. მათი სპეციალიზაცია ღია სივრცეში სპორტული აქტივობების შესახებ წიგნების გამოშვება გახლდათ. მან წიგნის ირგვლივ ჩემი საუბარი მოისმინა და ლიზას დაკაბადონებისა და აწყობის უსასყიდლო მომსახურება შესთავაზა. ბედნიერები ვიყავით, რომ ამ საქმისთვის ათასობით დოლარის გადახდა არ მოგვიწევდა.

ღმერთმა სასწაულებრივად უზრუნველყო დარჩენილი თანხა და „*უდაბნოში გამარჯვების*“ პირველი ხუთი ათასი ცალი დავბეჭდეთ (ახლა ეს წიგნი სხვა სახელწოდებით გამოდის – „*ღმერთო, სადა ხარ?!*“). ჩვენი თავდაპირველი აღტაცება დიდხანს არ გაგრძელებულა, როცა გავაცნობიერეთ, რომ გასაღების არხები არ გვქონდა. დისტრიბუტორებსა და წიგნის მაღაზიებს ჩვენს შესახებ არაფერი გაეგონათ და იმ დროს მსგავსი კომპანიები მხოლოდ გამომცემლობების პროდუქციას იძენდნენ. არა-

ვის აინტერესებდა კერძო პირის გამოცემული წიგნი.

წიგნს კასეტაც დავურთეთ ჩვენი რესურსების ცხრილით და ყველგან ვყიდდით, სადაც კი მსახურება გვიწევდა. როცა უდაბნოს თემაზე ვიქადაგებდი, წიგნებიც გამოგვქონდა გასაყიდად. ხალხს შეუყვარდა ეს თემა, მაგრამ ამაზე წინ არ წავსულვართ.

ლოცვაში ღმერთი დამელაპარაკა მეორე წიგნის დაწერაზე, ამრიგად მომდევნო ცხრა თვე მოვუნდი *„ხმა მღაღადებლისას“* დაწერას. ახლაც არ დაინტერესედნენ გამომცემლობები და 1993 წელს თავად გამოვეცით. სამაგიეროდ, ჩვენი რესურსების ცხრილს უკვე ორი წიგნი ამშვენებდა, მაგრამ ვერც ერთს ვერ შეიძენდით საცალო ვაჭრობის მაღაზიებში.

ღია კარის შესაძლებლობა

ერთი წლის შემდეგ მეგობარმა დამირეკა და სადილად დამპატიჟა.

– მინდა ჩემს ერთ მეგობარს შეხვდე, – მითხრა მან.

წასვლას დავთანხმდი. გავიგე, რომ ის იმ გამომცემლობის ახალი ხელმძღვანელი იყო, რომელმაც ორი წლის წინ უარით გამომისტუმრა. საუბარი კარგად წარიმართა. ახალი ნაცნობი ჩემი და ლიზას საქმიანობით დაინტერესდა.

– რა თემაზე ქადაგებდით ბოლო ხანებში? – მკითხა მან.

გავუზიარე უახლესი საკითხი, რომელზეც გულში ვფიქრობდი. ეს იყო სიტყვა წყენის დაძლევისა და იმ ადამიანთა პატიების მნიშვნელობის შესახებ, რომლებმაც ტკივილი მოგვაყენეს. მან გამოკითხვა გააგრძელა და მეც უფრო მეტი ვილაპარაკე ხსენებულ თემაზე. თხუთმეტი წუთის შემდეგ გამომცემელმა მითხრა:

– ჯონ, იცი ამის დაბეჭდვა არ შეგვიძლია, რადგან წელიწადში ოცდაორიდან ოცდაოთხამდე წიგნს ვბეჭდავთ და ყველა მათგანი ცნობილი ავტორების ან მსახურების კალამს ეკუთვნის.

შეფიქრიანებულმა შევხედე და ვუთხარი:

– არ ვაპირებდი ჩემი წიგნის შემოთავაზებას გამოსაცემად; თქვენ მკითხეთ, რაზე ვქადაგებდი მოგზაურობებისას.

იგი მიმიხვდა და გაეცინა:

– ჰო, რა თქმა უნდა. გთხოვთ, განაგრძოთ.

ამრიგად, ზემოხსენებულ საკითხზე ლაპარაკი გავაგრძელე. თხუთმეტი წუთის შემდეგ ისევ შემაწყვეტინა საუბარი:

– შეგიძლიათ ხელნაწერი მომაწოდოთ სამი თვის შემდეგ?

საგონებელში ჩავარდნილმა ვუპასუხე:

– მგონი მითხარით, რომ ჩემი წიგნის გამოცემა არ შეგეძლოთ.

– გადავიფიქრე, – მიპასუხა მან, – ეს სიტყვა ქვეყნიერებასთან უნდა მივიდეს.

კომპანიამ *„სატანის სატყუარა“* 1994 წელს გამოსცა. აღფრთოვანებული ვიყავი. ღმერთმა გახსნა კარი, რომლის გაღებაც საკუთარი ძალით ვერ შევძელი. დადებითად ვიყავი განწყობილი და ვფიქრობდი, რომ წიგნი მაშინვე პოპულარული გახდებოდა და კარგადაც გაიყიდებოდა, თუმცა პირველი შვიდი თვის განმავლობაში ასე არ მომხდარა. გამომცემლისგან მიღებულმა გაყიდვების მონაცემებმა იმედი გამიცრუა. გულში ვფიქრობდი, რომ ეს სიტყვა ხალხის ფართო მასებამდე – მსოფლიოს ერებამდე – უნდა მისულიყო. უარს ვამბობდი ამ იმედის დათმობაზე, მაგრამ ყველა მაჩვენებელი კიდევ ერთ გამანადგურებელ იმედგაცრუებაზე მიუთითებდა.

რამდენიმე თვის შემდეგ ერთი გამომცემლობის მარკეტინგის გუნდის წევრმა დამირეკა. ქალმა მითხრა:

– ჯონ, ერთი საერთაშორისო თოქშოუ თავის გადაცემაში გიწვევს, რომელიც ეთერში 1995 წლის 16 იანვარს გავა. ისინი ოც წუთს დაგითმობენ, მაგრამ ძირითადად შენზე, ლიზაზე, თქვენს ოთხ ვაჟსა და მოგზაური მქადაგებლის მსახურებაზე ილაპარაკებენ, თუმცა შენს წიგნსაც ახსენებენ. ეს დასაწყისია, ასე ვთქვათ, კარის ღრიჭო. გინდა, რომ მოწვევა მიიღო?

– ნამდვილად მინდა.

წავედი და ვნახე, რომ იმ საღამოს გადაცემას ძალზე ცნობილი წყვილი უძღვებოდა. როგორც კი მომესალმა, ქმარმა ხელში აიღო *„სატანის სატყუარა“* და მკითხა:

– რა არის *„სატანის სატყუარა“?* რის შესახებ არის ეს წიგნი?

გამიკვირდა, რომ ამ თემით დაიწყეს და არა ჩემი ოჯახით, როგორც თავდაპირველად მითხრეს. მაშინვე წამოვხტი, რომ წიგნის მთავარ სათქმელზე მელაპარაკა. ისე მოხდა, თითქოს სტუდიაში ყველაფერი გაჩერდა. გამაფრთხილეს, რომ სტუდიის დირექტორისთვის თვალი მედევნებინა, რომელიც ინტერვიუს დასრულებამდე დარჩენილ წუთებს მაჩვენებდა. ხაზგასმით ითქვა, რომ ჩვენთვის მხოლოდ ოცი წუთი იყო გამოყოფილი. სტუდიის დირექტორს არც ერთი ნიშანი არ უჩვენებია. წამყვანები დიდი ინტერესით მისმენდნენ. ერთხელაც არ შევუჩერებივარ რომელიმეს, არც საუბარში ჩართულან და საერთოდ, ხმა არ ამოუღიათ. იმ წყვილმა და მე დროის შეგრძნება დავკარგეთ და მოგვიანებით გავიგე, რომ ორმოცი წუთი შეუჩერებლად მილაპარაკია.

წამყვანი მამაკაცი დიდი შთაბეჭდილების ქვეშ იყო. იგი ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთ უდიდეს კონფერენციებს ატა-

რებდა. პირველი, რაც მან პირდაპირ ეთერში გააკეთა, მათ კონფერენციაზე ჩემი მოპატიჟება გახლდათ ხსენებულ თემაზე საქადაგებლად.

რამდენიმე დღის შემდეგ გამომცემელმა მაცნობა, რომ შეერთებული შტატების ყველა მაღაზიამ გაყიდა *„სატანის სატყუარა“* და დამატებით, ოცი ათასი ეგზემპლარი შეუკვეთეს.

– ჯონ, ასეთი რამ ადრე არასოდეს გვინახავს, – მითხრა მან, – და თოქშოუმაც გვითხრა, რომ ამგვარი გამოხმაურება არასოდეს ჰქონიათ.

გულში ვიცოდი, რომ ეს ღმერთმა მოაწყო. ამით დამტკიცდა, რომ ღვთის სიტყვა დაწინაურდა.

„სატანის სატყუარა“, ბოლოს, საერთაშორისო ბესთსელერად იქცა და პოპულარობა არ დაუკარგავს უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში. წინამდებარე წიგნის წერის მომენტისთვის მისი ტირაჟი ორ მილიონიან ნიშნულს უახლოვდება ქაღალდის გარეკანში ჩასმული, ელექტრონული თუ აუდიო-წიგნის სახით. სასაცილოა, უკან გახედვა და დანახვა, თუ როგორ ვითარდებოდა მოვლენები. გამომცემლობაში, რომელმაც თავდაპირველად, მწერლად არ მიმიჩნია და უარმყო, *„სატანის სატყუარა“* ახლა ყველა დროის ყველაზე გაყიდვადი წიგნია. ღმერთს ნამდვილად აქვს იუმორის გრძნობა!

უფალს რომ არ დავმორჩილებოდი და წერა არ დამეწყო, მისი სიტყვა ამდენ ადამიანს ვერ გააძლიერებდა. წერამ შესაძლებელი გახადა სიტყვის გამრავლება, რადგან წიგნი, არსებითად, უფრო მეტ ხალხს მიწვდა, ვიდრე მე მექნებოდა მათ წინაშე გამოსვლის საშუალება.

რეალურად, ასეთი საფუძვლიანი გავრცელება წიგნის დაწერით არ მომხდარა. გამრავლება გაცილებით ადრე დაიწყო, როცა დარტყმების მიუხედავად აღებული მიმართულების ერთგულები ვრჩებოდით. გულმოდგინედ ვშრომობდი, რომ ჩემი პირველი პასტორისთვის ყოველგვარი საზრუნავი მომეშორებინა, ხოლო შემდეგ ახალგაზრდული მახარებლობა გამემრავლებინა პასტორის რანგში. ასე ვაგრძელებდი მესინჯერ ინტერნეშნალის მეშვეობით – დღის და საღამოს საათებში ვშრომობდი და შემდეგ ღვთის ხმას ვემორჩილებოდი წერასა და გამოცემაში.

ვფიქრობდი, რომ *„სატანის სატყუარის“* სიტყვის გამრავლების პროცესი საფუძველჩაყრილი იყო და ბუნებრივად განაგრძობდა ზრდას გაყიდვებისა და კონფერენციებსა თუ ეკლესიებში გაზიარების მეშვეობით მსოფლიო მასშტაბით. აღმოჩნდა, რომ ვცდებოდი. ღმერთი მზად იყო, რომ ჩემთვის კიდევ უფრო მეტი მოენდო.

დაფიქრება

1. გაქვს ხედვა, რომელიც გამრავლებას წაახალისებს? თუ უფრო შენარჩუნების აზროვნებას ატარებთ? კომფორტულად ცხოვრობთ და იოლას გადიხართ თუ საკუთარი თავის გამოწვევას განაგრძობთ?

2. გამრავლების რეალიზება შეუძლებელია სიზარმაცითა და პასიურობით. არა მარტო გულმოდგინედ უნდა ვიმუშაოთ, არამედ ენთუზიაზმი გამოვიჩინოთ შრომაში. თავს ბეჯით მუშაკად მიიჩნევთ? ენთუზიაზმით სავსე ხართ თქვენს საშრომში? ხომ არ გაჩერდით, როცა წარმატების გარკვეულ დონეს მიაღწიეთ, რომელიც საკმარისი ან სხვებისაზე უკეთესი იქნებოდა?

3. როცა წერა დავიწყე, იმედგაცრუება, უარყოფა და გულგატეხილობა ვიგრძენი, მაგრამ გარღვევა მაშინ მოვიდა, როცა ვემორჩილებოდი ღმერთს და რასაც მეუბნებოდა, იმას ვაკეთებდი. როგორ იზრდებით მადლში, რომელიც თქვენს ცხოვრებაშია? რამდენად გამხნევებთ ჩემი ამბავი, რომ გაარღვიოთ იმეგაცრუებისა და გულგატეხილობის ბარიერი?

„აკურთხებს მათ,

გამრავლდებიან ფრიად“.

– ფს. 107:38

7

დიდი გამრავლება

ღმერთი ხშირად იყენებს იმედგაცრუებასა და გულგატეხილობას ჩვენი რწმენის გაღვივების კატალიზატორად გამრავლების საწყის ან მომდევნო ეტაპზე. ამის მაგალითი აბრამის (აბრაჰამის) ცხოვრებაში ჩანს. ღმერთი მას სამოცდათხუთმეტი წლის ასაკში გამოეცხადა და ხილვაში დაელაპარაკა:

> „ნუ გეშინია, აბრამ, მე ვარ ფარი შენი. ფრიად დიდი იქნება შენი საზღაური!“ (დაბ. 15:1)

მოდი, ეს ამბავი წარმოვიდგინოთ. ყოვლისშემძლე ღმერთმა შექმნა დედამიწა და მისი მფლობელია პლანეტის უზარმაზარი რესურსების ჩათვლით. იგი ყოველთვის იყო და არასოდეს სრულდება. არსად არავინ არსებობს, რომელიც მას სიდიადით შეედრება. მას სიცოცხლე არ აქვს. ის თავად არის სიცოცხლე. არავითარი ფასეულობა არ არსებობს მის გარეშე.

ამის გათვალისწინებით ეს საოცარი პიროვნება აცხადებს, რომ აბრამს დაიცავს და *დიდ საზღაურს* მიაგებს. მოდი, განვიხილოთ, რას ნიშნავს *დაცვა* და *დიდი საზღაური*.

პირველი, *დაცვა*. წარმოიდგინეთ, რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ქვეყნის მთელი შეიარაღებული ძალები თქვენს დასაცავად გამოყო. ყველა გენერალი მის ქვემდგომ ოფიცრებს უბრძანებს, რომ უპირატესი დაცვის ობიექტი ხართ და თქვენი უსაფრთხოებისთვის ყველა აუცილებელი ღონისძიება უნდა განხორციელდეს. თუ საჭირო იქნება, გენერლები თქვენს მახლობლად განათავსებენ ყოველ ჯარისკაცს, რომლებიც სრულად იქნებიან აღჭურვილი უახლესი შეიარაღებით. ეს თითქმის წარმოუდგენელია, მაგრამ ასე რომ მოხდეს, თავს ძალზე

დაცულად და უსაფრთხოდ იგრძნობთ. და მაინც, ეს ყველაფერი ფერმკრთალდება ყოვლისშემძლე ღვთის ნათქვამთან: „მე ვარ ფარი შენი“.

რას ვიტყვით დიდი საზღაურზე? თუ მეზობელი გეტყვის, „დიდ ჯილდოს მოგცემ“, ეს ძალიან კარგი და გულუხვი საქციელია, თუმცა მას, ალბათ, მოსაცემი ბევრი არაფერი ექნება. უფრო გახარებული იქნებით, თუ იგივე განცხადებას ამერიკის უმდიდრესი ადამიანი გააკეთებს. და მაინც, არც ერთი მათგანი არ შეედრება იმ პიროვნების შემოთავაზებულ საზღაურს, ვინც ყველაფერს ფლობს არა მარტო ამ პლანეტაზე, არამედ სამყაროშიც! იგი აბრაჰამს უცხადებს: „ფრიად დიდი იქნება შენი საზღაური“. გულწრფელად რომ ვთქვათ, მისი აღთქმის მოცულობის გააზრება შეუძლებელია. და ჩვენ ეს ამბავი ჯერ არ დაგვისრულებია.

სხვა ამაღელვებელი რეალობა ის გახლავთ, რომ შემოქმედი მაცნეს არ გზავნის – ის თავად მოდის. ყოვლისშემძლე ღმერთი ამ წარმოუდგენელ აღთქმას პირისპირ გიდებს. წარმოგიდგენიათ მისი მასშტაბი? როგორი იქნება ჩვენი რეაქცია? როგორ გამოხატავს სიტყვები აღფრთოვანებას, სიხარულს, ბედნიერებას და მოკრძალებას, რასაც ნებისმიერი ჩვენგანი იგრძნობს? თუმცა აბრამის რეაქცია ახლოსაც არ არის ამ ემოციებთან. ფაქტობრივად, ის არცკი აღფრთოვანდა; აბრამი იმედგაცრუებულია!

> „უფალო ღმერთო! რა უნდა მომცე? უშვილოდ გადავდივარ“. (დაბ.15:2)

უკმაყოფილებას ხედავთ მის პასუხში? საოცარია! შეიძლება თუ არა აბრამის ენთუზიაზმის ნაკლებობა კარგი რამე იყოს? დავუშვათ, მან თქვა: „ოჰო, შესანიშნავია! მოდი, ვიზეიმოთ!“ საბოლოო შედეგი განსხვავებული იქნებოდა? ფაქტობრივად, უმჯობესი იქნება კითხვის ასეთი სახით დასმა: გამოეცხადებოდა თუ არა ღმერთი აბრამს, მისი პასუხი ასეთი რომ ყოფილიყო? დარწმუნებული არ ვარ – ნება მომეცით, აგიხსნათ.

სიცხადისთვის შევაჩეროთ აბრამის ამბავი. წლების შემდეგ, როცა ისრაელიანები უდაბნოში დახეტიალობდნენ, მათი უკმაყოფილება პირადი დისკომფორტიდან ამოიზარდა, რამაც მათი მარადიული ხვედრი განაპირობა. პავლე მოციქულმა თავისი ღვთისმოსაობა ასე გამოხატა:

„გაჭირვების გამო არ ვამბობ ამას, ვინაიდან ვისწავლე იმით დაკმაყოფილება, რაც მაქვს. ვიცი გაჭირვებაში ცხოვრებაც და ვიცი სიუხვეშიც, მიჩვეული ვარ ყველაფერს და ყოველივეს: სიმაძღრეს და შიმშილს, სიუხვესა და ხელმოკლეობას“. (ფილ. 4:11-12)

როგორც პავლეს, ისე აბრამის შემთხვევაში ღმერთმა იპოვა ადამიანი, რომელიც სიძნელეს არ უშინდებოდა და საკუთარი თავის, საკუთარი ცხოვრების მიღმა იყურებოდა. მათი უკმაყოფილება პირად საჭიროებას არ ეხებოდა. ისინი სხვებზე ფიქრობდნენ.

აი, გამოცდილებით დამოწმებული წესი: თუ უკმაყოფილებას პირადად ჩემი უქონლობა წარმოშობს, ღმერთს ეს არ სიამოვნებს. მეორე მხრივ, თუ უკმაყოფილება სხვების საჭიროებებსა და ცათა სამეფოს შენებას უკავშირდება, ღმერთი ხარობს. ასეთი იყო აბრამის იმედგაცრუება და რა შედეგი გამოიღო? ღმერთმა მისი ხედვა გააფართოვა ცის ვარსკვლავებისა და ზღვის ქვიშის სიმბოლოების გამოკვეთით და დაპირდა, რომ მისი საზღაური იმაზე მეტ ადამიანზე მოახდენდა გავლენას, ვიდრე მათ დათვლას შეძლებდა. ამან ღმერთი აღძრა გასაცხადებლად: „დავდებ აღთქმას ჩემსა და შენს შორის და *ფრიად გაგამრავლებ*“ (დაბ. 17:2).

რა მოხდებოდა, აბრამი მხოლოდ საკუთარი ცხოვრებით რომ დაკმაყოფილებულიყო, რომელიც დიდად კურთხეული იქნებოდა? სამოცდათხუთმეტი წლის ასაკში ექნებოდა იმის რწმენის მიზეზი, რომ შვილი ეყოლებოდა? *მისი უკმაყოფილება გამრავლების კატალიზატორად იქცა*.

ვისწავლე, რომ იმედგაცრუება უგულველსაყოფი არ არის, არამედ გაზრდილი ეფექტურობის სახტომი დაფაა. სწორედ ეს აკლდა ლაოდიკიის ეკლესიას. იესომ მკაცრად შეუსწორა მათ დამოკიდებულება: „არაფერი მაკლია“ (გამოცხ. 3:17). ისინი გულგატეხილები არ იყვნენ, როცა სხვა ადამიანებზე გავლენას ვერ ახდენდნენ, რადგან ყურადღებას საკუთარ თავზე ამახვილებდნენ და სიუხვეში თავს კომფორტულად გრძნობდნენ. შედეგად, ისინი გამრავლებას არ ეძებდნენ.

სტენიც ამ ცდუნებას ებრძოდა. ზოგჯერ მეც მქონია მსგავსი ჭიდილი და მისი დაძლევა მომიხდა. ფაქტობრივად, ბევრ ჩვენგანს იგივე გამოუცდია.

რაც უფრო დიდხანს ვემსახურები ღმერთს, მით მეტად ვაცნობიერებ, რომ ნამდვილი მორწმუნის ჭეშმარიტი ნაყოფია

ღრმა შინაგანი წყურვილი, რომ სხვა ადამიანებზე ზეგავლენა მოახდინოს ცათა სამეფოს სასიკეთოდ. ჩვენი გადარჩენის მომენტში სრულიად განსხვავებულ პიროვნებად გარდავიქმნებით. ხელახლა ვიშვებით მსახურების მამოძრავებელი სურვილითურთ. იესო აცხადებს:

> „დე, იყოს თქვენი წელი შემოსარტყლული და თქვენი ლამპარი — ანთებული“. (ლუკ. 12:35)

ჩვენი უფლის დავალება ხაზს უსვამს მდგომარეობას, რომელიც ყველა მორწმუნემ უნდა შეინარჩუნოს: *მსახურება* და *მსახურების სურვილი*. სიტყვა *შენარჩუნება* ვარჩიე, რადგან ეს უკვე ჩვენი ახალი ბუნების ნაწილია, რომელიც ხშირად მხვედველობის არიდან გვიქრება შიშის გამო, რომ „საქმეებით“ არ მივიღოთ ხსნა, რაც ღვთის უსასყიდლო ნიჭის საპირისპიროა. თუმცა საქმე ამაში სულაც არ გახლავთ; მსახურება ჩვენი სულის დამახასიათებელი თვისებაა. რატომ უნდა ვერიდოთ მასზე მსჯელობას ან დავაკნინოთ ჩვენი ახალი ცხოვრების ეს უზარმაზარი ასპექტი? იქნებ ქრისტიანობის ხელახლა აღმოჩენის სურვილი უფრო მომხმარებელზე გათვლილი რწმენის გამოცდილებად უნდა იქცეს? კაცობრიობის დაცემული ბუნების სულიერ სიზარმაცეს ხომ არ ვეყრდნობით?

რატომ იტყოდა იესო, „იყოს თქვენი წელი შემოსარტყლული“? რატომ დააკავშირებდა ჩაცმას მსახურებასთან? გამოცხადების წიგნი გასაღებს გვაწვდის:

> „გავიხაროთ, ვიმხიარულოთ და დიდება მივაგოთ, ვინაიდან მოვიდა კრავის ქორწილი, და მისმა სასძლომ *თავი გაიმზადა*. და მიეცა მას, რომ ჩაეცვა ბრწყინვალე და სუფთა ბისონი, ვინაიდან ბისონი წმიდანთა *სამართლიანობაა* (მთარგმნელის შენიშვნა: ინგლისურ ვერსიაში გვაქვს *კეთილი საქმეები*)“ (გამოცხ. 19:7-8).

პირველ რიგში, ვხედავთ, რომ სასძლო ღმერთს კი არ გაუმზადებია, არამედ თავად იზრუნა ამ საკითხზე. მეორე გახლავთ, თუ როგორ ემზადება იგი. ნებისმიერი საპატარძლო ბევრ დროს ხარჯავს საქორწილო სამოსის შერჩევაში. ეს დიდი დღისთვის გასაკეთებელი საქმეების სიაში ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტია. დასავლურ ქვეყნებში სასძლო საკმაო დროს უთმობს საქორწილო *სამოსის შერჩევას* და *ყიდვას*. ღვთის

სამეფოში ჩვენ, ქრისტეს საპატარძლოები მნიშვნელოვან დროს ვუთმობთ სამოსის *მომზადებას*. ჩვენი საქორწილო მორთულობა ნატიფი სელის ქსოვილისგან მზადდება, რომელიც წინა მუხლის თანახმად გახლავთ ცათა სამეფოს შენების მსახურება. ამრიგად, მსახურება ჩვენს სულიერ დნმ-ში დევს. იესო ამბობს: „როგორც მე მომავლინა მამამ, მეც ისე მიგავლენთ თქვენ“ (იოან.20:21). იგი მსახურების მიზნით მოვიდა (იხ. მარკ.10:45) და არც ჩვენთვის განკუთვნილი ბრძანებაა განსხვავებული. იგი მსახურების მნიშვნელობის უკან მდგარ „რატომ?“ კითხვაზეც გვპასუხობს. უთხრა მათ იესომ: „ჩემი საჭმელია - ვქმნა ჩემი მომავლინებლის ნება და დავასრულო მისი საქმე“ (იოან. 4:34).

ფიზიკურად დიდხანს ვერ გავძლებთ საკვების გარეშე. ანალოგიურად, მორწმუნე, რომელიც ცათა სასუფევლის მშენებლობას ემსახურება, საკვების გარეშე დიდხანს ვერ გაძლებს და საბოლოოდ განდგება. ასეთია იესოს მიერ აღწერილი სურათი, რომელსაც ლუკ. 12-ში განაგრძობს. დაცემული ქვეყნიერების სისტემის ძალები ამ მიზეზის გამო დაუღალავად შრომობენ, რომ კომფორტმა და თვითკმაყოფილებამ გაგვიტაცოს უკმარისობის გრძნობის ნაცვლად, რომელსაც გამრავლებისკენ მივყავართ.

ამრიგად, ძვირფასო მკითხველო, ნუ შეიძულებთ უკმაყოფილების გრძნობას, რომელიც თქვენი ზეგავლენის ხარისხის გამო გიჩნდებათ! ეს საუკეთესო ღვთიური გზა არის თქვენი რწმენის გასაღვივებლად, რომ მისგან მოსული გამრავლება დაიჯეროთ.

ჩემი უკმაყოფილება

ალბათ, იფიქრებდით, რომ დავკმაყოფილდი მას შემდეგ, რაც *„სატანის სატყუარამ“* კარგი სტარტი აიღო არა მარტო შტატებში, არამედ სხვა ქვეყნებშიც, მაგრამ ასე არ ყოფილა. ახლა სხვა დონის უკმაყოფილებას ვებრძოდი.

ახლა გაცილებით დიდ ეკლესიებსა და კონფერენციებზე გამოვდიოდი, მაგრამ ჩემი უკმაყოფილება ერთ კონკრეტულ მსახურებაზე სრული სათქმელის გადაცემის შეუძლებლობამ გამოიწვია. დაახლოებით, ოთხასი საათი დამჭირდა წიგნის დასაწერად, ხოლო სულიწმიდამ ბევრი რამ გამიცხადა მასზე მუშაობისას. ეს ჭეშმარიტებები ეცხადებათ ადამიანებს, რომლებიც ღმერთს უყვარს გაძლიერების, გათავისუფლებისა და მასთან დაახლოების მიზნით.

ეკლესიებისა და კონფერენციების უმრავლესობას ქადაგე-

ბისთვის ოცდათხუთმეტიდან ორმოცდახუთ წუთამდე აქვს გამოყოფილი. ამრიგად, *„სატანის სატყუარაზე“* ლაპარაკისას შემეძლო მხოლოდ ერთი, უკეთეს შემთხვევაში, ერთნახევარი თავის განხილვა. ეს კი ნიშნავდა, რომ სათქმელის 90 % ადამიანებთან არ მიდიოდა, თუ წიგნს არ შეიძენდნენ და არ წაიკითხავდნენ. ეს, დაახლოებით, დამსწრეთა ერთ მეხუთედს შეადგენდა.

წიგნის გამოშვებიდან ოთხი თუ ხუთი წლის შემდეგ უკმაყოფილებამ ერთი იდეა გამიჩინა: რატომ არ უნდა შეგვექმნა წიგნზე დაფუძნებული პროგრამა/სწავლება? შემეძლო თორმეტი ოცდაათწუთიანი გაკვეთილი მესწავლებინა და მათში ყოველი თავის მნიშვნელოვანი ჭეშმარიტება ჩამეტია. ადამიანებს ჯგუფურად თუ ინდივიდუალურად შეეძლებოდათ მთლიანი სათქმელის მოსმენა, არა მარტო წაკითხვით, არამედ დანახვითა და მოსმენით. ეს ასევე გაზრდიდა სიტყვის ეფექტურობას. შეგვეძლო ჯგუფებისა და ცალკეული ადამიანებისთვის სადისკუსიო კითხვები შეგვექმნა, რაც სულიწმიდას ადამიანის გულში მეტად ჩაღრმავების შესაძლებლობას მისცემდა და სათქმელს თითოეული პიროვნებისთვის უფრო მისაღებს გახდიდა.

საკითხი ჩემს გუნდთან ერთად განვიხილე. ერთმა წევრმა საგანმანათლებლო კომპანიის მოძებნა გვირჩია, რომელიც სულიერი სახელმძღვანელოს სტუდენტურ სამუშაო წიგნსა და ლიდერის ინსტრუქციებს შექმნიდა. ეს თორმეტ ვიდეოს შეავსებდა. პროგრამა/სწავლების გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა გარემოებათა ფართო სპექტრში.

შესანიშნავი მწარმოებელი ვიპოვეთ, რომელსაც ასეთი საქმეები ორი ათას ხუთასი კლიენტისთვის გაუკეთებია აშშ-ს რამდენიმე დიდი კორპორაციის ჩათვლით. წინასწარ ვითხოვეთ, რომ კომპლექტი იქნებოდა „ყოველგვარი დაუდევრობის გარეშე, ხარისხიანი და უკიდურესად ინოვაციური, რომელიც წლებით უსწრებდა ანალოგებს სტილით და ტექნოლოგიით“. თან დავძენ, რომ წილად მხვდა ამერიკის ერთ-ერთი პრეზიდენტის შტატის თანამშრომლებისთვის ბიბლიური სწავლების ჩატარება. როცა თეთრი სახლის დასავლეთ ფრთის შენობაში შევედი, აღმატებულობის გრძნობა არ მშორდებოდა. იმ დღეს ასეთი აზრი მომივიდა, *ეს წარმოადგენს შეერთებული შტატების პრეზიდენტს, ჩვენ მესინჯერში წარმოვადგენთ სამყაროს მეუფეს.* მართალია, ნაშრომის აღმატებულებას თავიდანვე მივაქციეთ ყურადღება, მაგრამ ამ გამოცდილების შემდეგ კიდევ უფრო გაგვიმტკიცდა გადაწყვეტილება, რომ ხარისხთან

არასოდეს წავსულიყავით კომპრომისზე და იოლი გზა არ მოგვეძებნა.

პროგრამა/სწავლების დამზადების შემდეგ გუნდის ორი წევრი სრული დროით გამოვყავით სატელეფონო ზარების განსახორციელებლად (2000-იანი წლების დასაწყისში ეს ჯერ კიდევ საუკეთესო გზა იყო ხელმძღვანელებთან კავშირისთვის). მათ მითითება მიეცათ, რომ ყველა იმ ეკლესიას დაკავშირებოდნენ, სადაც ბოლო ათი წლის მანძილზე ვყოფილვართ და ლიდერებისთვის სასწავლო პროგრამის შესახებ ეცნობებინათ. ჩვენი გულები პასტორებთან ახლოს უნდა ყოფილიყო და ხალხის დამოწაფებაში დახმარებოდა ადგილობრივი ეკლესიის გასაძლიერებლად. იმ დროს ასეთი პროგრამები ნაკლებად იქმნებოდა; იდეა ჯერ არ იყო გავრცელებული.

გავიხარეთ, როცა ლიდერებმა იდეა აიტაცეს – გამოხმაურება წარმოუდგენლად დიდი იყო! მოკლე დროის შემდეგ ეკლესიებმა გვაცნობეს, რომ დასწრებამ საგრძნობლად იმატა, როგორც პატარა ჯგუფებში, ისე მთავარ შეკრებებზე. თავდაპირველად გვეგონა, რომ ამ პროგრამას სამას ადამიანზე ნაკლები დასწრების ეკლესიები გამოიყენებდნენ, მაგრამ რამდენიმე მრავალათასიანმა ეკლესიამაც დაიწყო საკვირაო მსახურებებზე ვიდეოების გამოყენება. მათშიც შეინიშნებოდა ზრდა. ლიდერები გვეუბნებოდნენ, რომ ხალხი მოითხოვდა, არ ეჩვენებინათ მომდევნო გაკვეთილი მომავალი სადღესასწაულო უქმეების დროს, რადგან ადგილზე არ იქნებოდნენ. მოვიდა ინფორმაცია, რომ ზოგიერთ ეკლესიაში დასწრება გაორმაგდა და გასამმაგდა კიდეც.

პასტორები სხვა მეგობარ პასტორებს უზიარებდნენ, თუ რა ხდებოდა მათ ეკლესიებსა და პატარა ჯგუფებში. ახლა პასტორები გვირეკავდნენ და პროგრამის შეძენის სურვილს გამოხატავდნენ. რამდენიმე წლის განმავლობაში ათასობით ეკლესია ჩაება ამ სწავლებაში, მათმა რიცხვმა ოცი ათასს გადააჭარბა აშშ-ში, ხოლო ავსტრალიაში – ათასს. ჩვენი ეკლესიებთან ურთიერთობის განყოფილება შვიდი სრული დროით დასაქმებული თანამშრომლით შეივსო. ურიცხვი დამოწმება მოდიოდა ჩვენს ოფისში ადამიანთა ცხოვრების, ოჯახებისა და ეკლესიების ცვლილების შესახებ.

მომდევნო რამდენიმე წლის მანძილზე ჩვენი მსახურების მიერ გამოშვებული ყველა მთავარი წიგნის თანმხლები სასწავლო პროგრამა მოვამზადეთ. თორმეტი წლის მანძილზე მთელი შტატებისა და ავსტრალიის ეკლესიებში უკვე ათზე მეტი სხვადასხვა პროგრამა/სწავლება გამოიყენებოდა.

გამრავლების ასპექტი მაშინ არ შეგვინიშნავს, თუმცა მოგვიანებით აღმოვაჩინეთ. უამრავი ადამიანი, რომელსაც არც წიგნი შეუძენია და არც ჩემი ქადაგება მოუსმენია, ახლა ამ სიტყვას იღებდა. ეს ადამიანები იმ ეკლესიებსა და პატარა ჯგუფებში დადიოდნენ, რომელთა ლიდერებმაც ჩვენ მიერ მიწოდებული მასალების გამოყენება გადაწყვიტეს მათ გასაძღოლად.

„ერთგული იყავი“

რასაკვირველია, მადლიერებით ავივსეთ! რამდენიმე წიგნი მილიონობით ტირაჟით გაიყიდა, ხოლო სასწავლო პროგრამა – ასეულ ათასობით. მიუხედავად ამისა, მაინც მაწვალებდა დაუკმაყოფილებლობის გრძნობა. ვიცოდი, რომ ეს სიტყვები ქრისტეს სხეულისთვის იყო განკუთვნილი და დიდი ნაყოფი მოჰქონდა, მაგრამ ბევრ მორწმუნეს სჭირდებოდა ჭეშმარიტებები, რომლებშიც ივლიდნენ.

ღმერთს ვთხოვე იმაზე მეტი წიგნების დარიგების პრივილეგია, ვიდრე იყიდებოდა. ვიცოდი, რომ მთელ მსოფლიოში იყვნენ პასტორები, ლიდერები და მორწმუნეები, რომლებსაც წიგნების შესაძენად საკმარისი ფინანსები ან შესაძლებლობა არ ჰქონდათ. ქვეყნებში, სადაც იატაკქვეშა ეკლესიები ფუნქციონირებდნენ, უმრავ მილიონ ადამიანს არ შეეძლო ქრისტიანული ლიტერატურის შეძენა მთავრობის აკრძალვის გამო. მათ შორის ისეთი ქვეყნებიც ერივნენ, რომელთაც წიგნების იმპორტირების რესურსებიც არ გააჩნდათ.

როგორ უნდა დავხმარებოდით მათ?

ვიცოდი, რომ დიდი საჭიროება არსებობდა, მაგრამ ამ პასტორებსა და ლიდერებთან დაკავშირება წარმოუდგენელ საქმედ მეჩვენებოდა. მიუხედავად ამისა, რაღაც უნდა მოგვეხერხებინა. დავიწყეთ ყველაფერზე გამოხმაურება, რაც ჩვენამდე მოვიდოდა. ჩვენს საერთაშორისო დირექტორს შემდეგი მითითება მივეცით: თუ ნებისმიერი განვითარებადი ან დევნილი ქვეყნის ლიდერები წიგნებს გვთხოვდნენ, უსასყიდლოდ გავუგზავნიდით ან მათ ქვეყანაში წიგნების ბეჭდვას დავაფინანსებდით.

იმედგაცრუება იზრდებოდა, რადგან ამ საქმის მხოლოდ მცირე ნაწილის გაკეთება მოვახერხეთ: წელიწადში ათი ათასიდან ოცი ათასამდე წიგნი. ეს რიცხვი ზღვაში წვეთად მიგვაჩნდა დამოწაფების მასალების საჭიროების დაკმაყოფილებასთან შედარებით, მაგრამ ყოელ წელს იგივეს ვაკეთებდით და ჩვენამდე მოსულ ნებისმიერ შესაძლებლობას ვეჭიდებოდით.

დადგა 2010 წლის ხსოვნის დღე (31 მაისი). ლიზა ინგლისში იყო ქალთა კონფერენციაზე მსახურებისთვის. ის-ის იყო გოლფის ერთი რაუნდი დავასრულე. ბიბლია ავიღე და სარდაფში ჩავედი. დანიელის წიგნის წაკითხვის გადაუდებელი სურვილი გამიჩნდა. სანამ მეორე თავს ვკითხულობდი, ღვთის სულმა აავსო სარდაფი და გულში ასეთი სიტყვები გავიგონე: „შვილო, *ერთგული* იყავი ინგლისურენოვან ქვეყნებში. ახლა მინდა შენი სათქმელი მსოფლიოს ყველა პასტორისა და ლიდერის ხელში აღმოჩნდეს!“

ღვთის თანდასწრება კიდევ რამდენიმე წუთს გაგრძელდა. მოკრძალებით და გაოცებით სავსე ვიყავი, სანამ ის არ გაქრა. იმ დღიდან ვიცოდი, რომ ცვლილება მოვიდოდა. ჩვენ უბრალოდ ყველა შესაძლებლობას კი არ ჩავეჭიდებოდით, რომლებიც ჩვენამდე მოვიდოდა, არამედ ღვთიური დავალება მივიღეთ: საერთაშორისო მასშტაბით მოვძებნიდით საჭიროების მქონე პასტორებსა და ლიდერებს – მათი ეროვნების, ენისა და ფინანსური შესაძლებლობის მიუხედავად.

სულიწმიდასთან შეხვედრისას ყურადღების მისაქცევი იყო სიტყვა *ერთგული*. იმ დროისთვის „ერთგულებას“ „გამრავლებასთან“ ვერ ვაკავშირებდი – ეს ჭეშმარიტება ჯერ არ გამცხადებოდა. მაშინ რომ გეკითხათ ერთგულის ბიბლიური მნიშვნელობა, ჩემს პასუხში სიტყვა *გამრავლების* მომცველს ვერაფერს გაიგონებდით. სულიწმიდის ნათქვამი, რომელიც სარდაფში მოვისმინე, ამ გამოცხადებამდე მისვლის დასაწყისი გახლდათ. ვიცოდი, რომ ღვთისგან მოვისმინე, მაგრამ ეჭვი მეპარებოდა, შეძლებდა თუ არა ჩვენი მსახურება ამ მონუმენტური საქმის შესრულებას.

იმ დროს ერთი დიდი ხნის მეგობარი მყავდა, სახელად რობ ბირკბეკი, რომელიც ერთი ცნობილი მახარებლის დიდ საერთაშორისო მსახურებაში შრომობდა. რობი იმ მსახურების უფროსი დირექტორი გახლდათ და მისი ერთ-ერთი მოვალეობა ევანგელური წიგნების ბეჭდვა და გავრცელება გახლდათ. ამრიგად, რობი კარგად იცნობდა გამომცემლობებსა და პასტორების ქსელს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. რობმა მაშინ სამსახური დაკარგა ევანგელისტის პენსიაში გასვლის გამო. მე და ლიზამ რობი და მისი მეუღლე ვანესა ჩვენს გუნდში სამუშაოდ მოვიწვიეთ, რადგან საერთაშორისო დირექტორი აღარ გვყავდა. არც ერთმა მხარემ არ ვიცოდით, რა შედეგებს მოიტანდა ეს პარტნიორობა.

2011 წლის იანვარი იდგა. რობი და ვანესა, ასევე ჩვენი გუნდის სხვა მსახურები საკონფერენციო ოთახში შევიკრიბეთ. შეხვედრისას ვიკითხე:

– რამდენი წიგნი დავურიგეთ სხვა ერების პასტორებსა და ლიდერებს გასულ წელს?

გუნდის ერთ-ერთმა წევრმა წლის ბოლოს აღრიცხვის მონაცემებს გადახედა და მიპასუხა:

– ოცდაცამეტი ათასი წიგნი.

მას ეგონა, რომ დამაკმაყოფილებელი პასუხი გამცა, მაგრამ საქმე სრულიად საპირისპიროდ იყო. ჩემმა უკმაყოფილებამ ამოხეთქა:

– რა საცოდაობაა!

შემდეგ ამოვღერღე;

– ამ წელს განვითარებადი და დევნილი ერების პასტორებსა და ლიდერებს 250•000 წიგნს დავურიგებთ,

მთელი ოთახი სამარისებურმა სიჩუმემ მოიცვა. მოგვიანებით ლიზამ მითხრა, რომ იმ მომენტში პირში დარტყმის გემო იგრძნო! (მას იუმორის საოცარი გრნობა ჰქონდა!).

ბოლოს, ჩვენმა აღმასრულებელმა დირექტორმა, რომელიც ჩვენი უფროსი ვაჟია, პირველმა დაილაპარაკა,

– მამა, – თქვა ედისონმა, – დარწმუნებული ხარ, რომ ამდენი გინდა?

– დიახ, დარწმუნებული ვარ, – მთელი გულით ვუპასუხე.

მან ჩემთან კამათი განაგრძო მომდევნო ოცი წუთის განმავლობაში. წინ და უკან დავდიოდით იმათ თვალწინ, ვინც ჩუმად ყოფნა არჩია. ედისონი სრულ პატივისცემას გამოხატავდა, მაგრამ არ თმობდა თავის პოზიციას, რომ ჩემი დავალება მეტისმეტად ძნელი შესასრულებელი იქნებოდა. ბოლოს იმედგაცრუებულმა ამოთქვა:

– უბრალოდ, არ მინდა, რომ ჩვენს გუნდს არარეალური მიზნები დავუსახოთ!

ეს უკვე მეტისმეტი იყო. მაგიდას მუშტი დავარტყი და მკაცრად განვაცხადე:

– მე ვთქვი, რომ ამ წელს 250•000 წიგნს დავარიგებთ!

ყველა გასუსული იჯდა. მალე შეხვედრა გადავდეთ და თავს ძალიან უხერხულად ვგრძნობდით.

მეორე დღეს, როცა მარტონი ვიყავით, ჩემმა ვაჟმა მითხრა:

– თავი უხერხულად ვიგრძენი, თუ როგორ მელაპარაკებოდი.

ახლა დამშვიდებულებს შერიგება გვინდოდა.

– შვილო, იცი, რომ კმაყოფილი ვარ ჩვენი გუნდის წვლილით, – ვუპასუხე მე, – როგორც წესი, ყველას რჩევას და მოსაზრებას ვითვალისწინებ, სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებდე. გუშინ საქმე სხვაგვარად იყო. არ მიკითხავს, „როგორ ფიქრობთ, შეგვიძლია 250•000 წიგნის დარიგება?“ ან „თქვენი აზრით, რამდენი წიგნი უნდა დავარიგოთ მომდევნო წელს?“ მე გამოვაცხადე, რომ ასე ვიზამთ! თუმცა შენ მთელი ოცი წუთი მეკამათებოდი.

მან აღიარა და დამეთანხმა, მაგრამ წყნარად მთხოვა ბოლო ნაბიჯის გადადგმა.

– მამა, შეგიძლია ამ საკითხზე ილოცო ოცდაოთხი საათის განმავლობაში? თუ ამის შემდეგაც დარწმუნებული იქნები, რომ ასე უნდა მოვიქცეთ, ჩვენი გუნდი მთელი ძალისხმევით იშრომებს მიზნის მისაღწევად.

– რასაკვირველია, ვილოცებ, – ვუპასუხე მე.

გულწრფელად რომ გითხრათ, ამ საკითხზე ბევრი არ მილოცია! ცოტა არ იყოს, ზედაპირული ლოცვა წარმოვთქვი, რომ სიტყვა შემესრულებინა. სარდაფში შეხვედრის შემდეგ დარწმუნებული ვიყავი, რომ სწორად ვიქცეოდი.

შესაძლოა, დაინტერესდეთ, „არ ნერვიულობდი?“ მართალი ხართ. უკიდურესად შეშინებული ვიყავი! თავს ვთოკავდი, რომ არ მეფიქრა, საიდან უნდა მოგვეტანა საჭირო ფინანსები. ჩემი თავისთვის ამ მიმართულებით ფიქრის უფლება რომ მიმეცა, სწრაფად დავეთანხმებოდი ჩემს ვაჟს და წიგნების რაოდენობას „გონივრულ“ რიცხვამდე დავიყვანდი. მილიონის მეოთხედი წიგნის დარიგება შეუძლებელი ჩანდა, მაგრამ მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, რომ მიღებული მითითების თანახმად მემოქმედა. როგორღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ კრეატიულ სტრატეგიას შევიმუშავებდით ან საჭირო თანხა სასწაულებრივი გზით მოვიდოდა. მაშინ არ ვიცოდი, რომ ერთ-ერთი კი არა, ორივე მოსაზრება გამართლდებოდა.

სამი კვირის შემდეგ ფლორიდის ერთი სასტუმროს ნომერში ახალ წიგნს ვწერდი. ჩვენი გუნდის წევრებმა იცოდნენ, რომ დილის წერის მომენტში ჩემთვის არ უნდა დაერეკათ – ეს კონცენტრირებისთვის საუკეთესო დრო იყო. ტელეფონმა დარეკა და ეკრანზე დავინახე, რომ ზარი ოფისიდან ხორციელდებოდა. ვუპასუხე, რადგან გადაუდებელი და მნიშვნელოვანი საქმის გარეშე არ დამირეკავდნენ. მეორე ბოლოდან მხიარული ჟრიამულის ხმა მომესმა. იგივე ადამიანები, რომლებიც სამი კვირის წინ მძაფრი დაპირისპირების მოწმენი გახდნენ, ახლა ზეიმობდნენ და იცინოდნენ.

ედისონმა მითხრა:

– მამა, ჩვენი ფინანსური პარტნიორებისთვის ოფიციალური შეტყობინება არ გაგვიგზავნია 250• 000 წიგნის დარიგების ინიციატივაზე, მაგრამ ჩვენი გუნდის ერთ-ერთი წევრი თავის ნაცნობს ელაპარაკა და როცა ამ უკანასკნელმა ჩვენი გეგმის შესახებ შეიტყო, პროექტისთვის 300• 000 დოლარის მოცემას შეგვპირდა!

ამ მომენტამდე ჩვენი მსახურებისთვის შემოწირული უდიდესი თანხა 50• 000 დოლარი იყო. ახლა საერთო ზეიმს მეც შევუერთდი! მრავალი აღფრთოვანებული და საოცარი კომენტარის შემდეგ ყველას ვუთხარი:

– ახლა ხომ მიხვდით, რატომ ვიყავი ასე დაჟინებული სამი კვირის წინ შეხვედრაზე?

ჩემმა ვაჟმა გაიცინა და სწრაფად მიპასუხა:

– მამა, თუ გვეტყვი, რომ მილიონი წიგნი უნდა გავცეთ, მე სრულიად მზად ვარ!

ყველას გულიანად გაეცინა.

ის დილა არასოდეს დამავიწყდება. ზარის დასრულების შემდეგ წერა ვეღარ გავაგრძელე. მხოლოდ ის მოვახერხე, რომ სასტუმროს ნომერში ბოლთას ვცემდი და ვამბობდი: „მადლობა! მადლობა! მადლობა!“ ცრემლები ღაპაღუპით ჩამომდიოდა სახეზე. გულში იმ მწყურვალ პასტორებსა და ლიდერებს ვხედავდი, რომლებიც ასე საჭირო დამოწაფების რესურსებს მიიღებდნენ.

მადლიერი ვარ, რომ ედისონი გულწრფელი აღმოჩნდა და უფრო მეტად გამომიწვია. მადლიერი ვარ, რომ გაჩუმება არ ამჯობინა და ამდენი ადამიანის თვალწინ გამოთქვა ყველას გულისნადები. ისინი ხომ ედისონს ეთანხმებოდნენ და დაპირისპირებისას საკუთარ მოსაზრებას ისმენდნენ. ამ აზრებს წინ აღდგომა სჭირდებოდა. დრამატულმა ვითარებამ საკუთარ შიშებთან შეგვაჯახა, რომლის მოსმენის შემთხვევაში, ალბათ, აღებულ კურსს შევცვლიდით და საკუთარი სახსრების ანაბარა დავრჩებოდით. ჩვენი ხედვა ჩაქრებოდა და მხოლოდ ორმოცდაათი ათასი წიგნის დარიგებას მოვახერხებდით ან წინ საერთოდ ვერ წავიდოდით.

მიზანი დავსახეთ და სულიწმიდამ ეს მოისმინა. მან აღძრა იმ ადამიანის გული საოცარი შემოწირულობისთვის. ჩვენ, როგორც გუნდი, რწმენის ახალ საფეხურზე ავედით.

იმ წელს ღვთის მადლით შევძელით 271•700 წიგნის დარიგება ორმოცდარვა ქვეყნის პასტორებისა და ლიდერებისთვის.

მათ შორის იყო ირანი, ერაყი, ლიბანი, უზბეკეთი, ყაზახეთი, თურქმენეთი, ხორვატია, ალბანეთი, ეგვიპტე, ვიეტნამი, მიანმარი, კამბოჯა, ჩინეთი, მონღოლეთი, თურქეთი, ბევრი გაჭირვებული აფრიკული ქვეყანა და სხვა. წინა წლებში ათობით ათას წიგნს გავცემდით და ახლა ამ რიცხვმა მეოთხედ მილიონს მიაღწია. ადამიანებამდე მიღწევის ეფექტურობა რვაჯერ გაიზარდა. მადლობა ღმერთს – ეს დიდი გამრავლებაა!

მეტი უკმარისობის გრძნობა

შესაძლებელი იყო მეტის მიღება?

2011 წლის მაისში საბჭოს ოთახში მძაფრი დაპირისპირებიდან რამდენიმე თვის შემდეგ მე და რობი ბეირუთში, ლიბანში გავემგზავრეთ მთელი ახლო აღმოსავლეთიდან შეკრებილი პასტორებისა და ლიდერების მომსახურებისთვის. შეკრების შუაში რობი ასეთი სათხოვრით მოვიდა:

– აქ ერთი პასტორია ერაყის ირბილიდან, რომელსაც შენთან დალაპარაკება უნდა. ხომ არ შეხვდებოდი?

– რასაკვირველია!

რობმა ჩვენი შეხვედრა სასტუმროს მისაღებში მოაწყო. პასტორი ახალგაზრდა, დაახლოებით, ოცდათხუთმეტი წლის კაცი აღმოჩნდა. მისი თვალები მგზნებარებით და მოწადინებით ანათებდა. შემეძლო თქმა, რომ იგი სერიოზულად იყო განწყობილი ცათა სამეფოს მშენებლობისთვის.

მისი წელი შემოსარტყლული იყო მსახურებისთვის და ლამპარი – ანთებული! იგი ირბილიდან ერთი მიზეზით ჩამოვიდა – სწავლებით და შეხვედრით გაძლიერებულიყო. მაშინვე მივხვდი, რომ ჩემ წინაშე პროგრესული და ინოვაციური ლიდერი იდგა, რომელიც დაღუპული ადამიანებისთვის გამოსადეგობის მნიშვნელობას აცნობიერებდა.

ჩვენი შეხვედრა გულღია ვითარებაში წარიმართა და ორივესთვის კომფორტული იყო. ბოლოს ჩვენმა საუბარმა უფრო სერიოზული სახე მიიღო და ერთ მომენტში მან ასე თქვა:

– პასტორო ბევრი, სულიერ მამად მიგიჩნევთ. ყველაფერი წაკითხული მაქვს, რაც დაწერეთ (მის ენაზე ბევრი რამ არ იყო თარგმნილი, მაგრამ მას ინგლისურად კითხვა შეეძლო). ჩემი საკრედიტო ბარათიც კი გამოვიყენე, რომ თქვენი მასალები *მესინჯერ ინთერნეშნალის* გვერდიდან ჩამომეტვირთა ...

ამ მომენტში გამოვერკვიე. გულწრფელად რომ ვთქვა, ჩვენი

საუბრიდან ბევრი არაფერი მახსოვს. ჩემი გონება გაჰყვიროდა, *პასტორს ვეძებ განადგურებულ, ომისგან ნატანჯ ერაყში და მას საკრედიტო ბარათის გამოყენება უწევს ჩვენი გვერდიდან მასალების გადმოსაწერად?* ერთი სული მქონდა, როდის დავრჩებოდი მარტო უფალთან, რომ ამ ქრონიკული საჭიროების გამო მიმემართა.

დამშვიდობების შემდეგ პირდაპირ ჩემს ნომერში ავედი და ჩავიკეტე. იმედგაცრუებული ვიყავი და ღმერთს დიდი ხმით შევღაღადე:

– ღმერთო, უნდა მაჩვენო, როგორ მივაწოდო ჩემთვის მონდობილი სიტყვა იმ პასტორებსა და ლიდერებს, რომლებსაც ეს სჭირდებათ.

არ მაღელვებდა, ვინ იყო ჩემს გვერდით ოთახში. ზეცის სტრატეგია უნდა გამეგო, რომ ლიდერების რესურსებით უზრუნველყოფის დავალება შემესრულებინა.

იმ გაძლიერებული ლოცვიდან არცთუ ბევრი დღის შემდეგ იდეა მოვიდა. ის სტრატეგიას გულისხმობდა, რომელიც ადამიანებამდე მიღწევას გაცილებით ეფექტურს გახდიდა, ფაქტობრივად, თვალსაჩინოდ ეფექტურს ნაკლები დამატებითი შრომით და ხარჯებით.

ეს დიდებული იდეა გახლდათ ... და მხოლოდ ღვთის სიბრძნეს შეეძლო მისი მოწოდება. ისეთი მარტივი იყო, თუმცა ამაზე ჯერ არ გვისაუბრია. განაგრძეთ კითხვა!

დაფიქრება

1. იმედგაცრუება ან უკმარისობის გრძნობა ხშირად კატალიზატორის მსგავსად მოქმედებს გამრავლებისთვის საჭირო რწმენის გასაღვივებლად. ღმერთი გიწვევთ თქვენი ცხოვრების გარკვეულ სფეროში გასაზრდელად? თუ ასეა, როგორ პასუხობთ მის ბიძგს?

2. თუ დაუკმაყოფილებლობა თქვენი პიროვნების საჭიროებიდან წარმოიშობა, ღმერთი უკმაყოფილოა. მეორე მხრივ, თუ დაუკმაყოფილებლობა სხვების საჭიროებებსა და ცათა სამეფოს მშენებლობაზე ამახვილებს ყურადღებას, მას ეს ახარებს. რაზეა კონცენტრირებული თქვენი უკმაყოფილება?

3. იფიქრეთ ჩემს ამბავზე 250•000 წიგნის დარიგების შესახებ. რატომ არის რწმენა მნიშვნელოვანი ღვთის აღთქმების ჩაჭიდების და გამრავლების ახალი საფეხურების მიღწევის საქმეში?

MessengerX

თქვენი აპლიკაცია ყოველდღიური დამოწაფეგისთვის

სრულიად უსასყიდლოდ!

უგრალოდ ჩამოტვირთეთ
პორტატულ მოწყოგილოგაზე და
დაიწყეთ!
ან ისარგეგლეთ ვეგვერსიით:

MessengerX.com

110+ ენაზე და მეტია მოსალოდნელი

- თარგმნილი მასალის სწრაფი ჰოვნა 110-ზე მეტ სხვადასხვა ენაზე
- გზა და გზა კიდევ უფრო მეტ თარგმნილ მასალას შემოგთავაზეგთ.

უყურეთ. წაიკითხეთ. უსმინეთ.

ალმოაჩინეთ მასალების მდიდარი ბიბლიოთეკა, სასწავლო პროგრამების, ელექტრონული და აუდიო- წიგნების, მოკლემეტრაჟიანი ფილმებისა და მრავალი სხვა საშუალებით ყურების, კითხვისა და მოსმენისთვის.



შესანიშნავი ფუნქციები, რომლებიც მოგეწონებათ!

- მარტივი და ადვილად გასაზიარებელი ინსტრუმენტები სიტყვის გასავრცელებლად.
- Chromecast და Airplay თქვენს რჩეულ სმარტ-ტელევიზორზე.
- შეინახეთ ადრე წარმოებული მოქმედებები ნებისმიერ მოწყობილობაზე.
  რჩეულები შეინახეთ ბიბლიოთეკაში ადვილი წვდომისთვის.
- ჩამოტვირთეთ საკუთარ მოწყობილობაში კავშირის არქონის დროს დასათვალიერებლად.
- მძლავრი საძიებო სისტემა და ფილტრაცია სასურველის საპოვნელად.

იპოვეთ ყველაზე მნიშვნელოვანი

იპოვეთ შემდეგი თემები: ოჯახური დინამიკა, ჯანსაღი ურთიერთობები, ცხოვრებისეული მიზნის პოვნა, პორნოგრაფიისგან თავისუფალი ცხოვრება, რწმენის ზრდის საშუალებები, ღვთისგან მოსმენა, წინამძღოლობა ბიზნესში. და მრავალი სხვა!

ზრდის ხელშემწყობი მოგზაურობა

MessengerX აქ არის, რომ დაგეხმაროთ მომდევნო ნაბიჯის გადადგმაში. ამრიგად, ჩვენ დავამუშავეთ დამოწაფების მოგზაურობა მძლავრი ინსტრუმენტების გამოყენებით, რომ სწორი მიმართულება შეინარჩუნოთ.



1 ჩამოტვირთეთ **MessengerX**-ის აპლიკაცია Apple Store-დან ან Google Play-დან.

2 შექმენით ანგარიში და გადაიყვანეთ თქვენს ენაზე.

3 დაათვალიერეთ, წაიკითხეთ, უყურეთ, უსმინეთ, ჩამოტვირთეთ და გააზიარეთ სასურველი რესურსი.

იყავით დამოწაფეგული და დაიმოწაფეთ სხვეგი

თქვენ, როგორც **MessengerX**-ის ნაწილი, თარგმნილ რესურსეგს მთელი მსოფლიოს ადამიანეგს გაუზიარეგთ.

რადგან ყველა იმსახურეგს ამის ცოდნას!

MessengerX

Download on the App Store

GET IT ON Google Play

MessengerX.com

„თუ არ იცით, რას აკეთებთ,
ილოცეთ მამის წინაშე. მას
უყვარს დახმარება“ .

– იაკ. 1:5 *MSG*

8

სტრატეგიული იდეები

წლები გადიოდა და სულ უფრო მეტად ვრწმუნდებოდი *შთაგონებული სტრატეგიული იდეის* უზარმაზარ ფასეულობაში. ხშირად ვეძებთ ღვთიურ უზრუნველყოფასა და ჩარევას ტაქტიკური გეგმის გარეშე და მეტწილად ვერაფერს ვიღებთ. მხოლოდ ღვთისგან მოსული სტრატეგიული იდეები სრულდება! უამრავი ბიბლიური მაგალითის მოყვანა შეგვიძლია, მაგრამ ამ რეალობის დასადასტურებლად რამდენიმეს ხსენებაც საკმარისია:

- მწარე წყალში ხის ნაჭრის ჩაგდების *სტრატეგიული იდეა*, რომ მილიონობით ადამიანს შეძლებოდა მისი დალევა (იხ. გამ. 13:22-25).
- კლდეზე კვერთხის დაკვრის *სხვა შთაგონებული იდეა* მილიონობით ადამიანის წყლით უზრუნველსაყოფად (იხ. გამ. 17:5-6).
- გამაგრებული ქალაქის შეუვალი კედლების უჩუმრად გარშემოვლის *იდეა* ექვსი დღის განმავლობაში, ხოლო მეშვიდე დღეს განსხვავებული *სტარტეგიული იდეა* – შვიდჯერ გარშემოვლა ბუკების დაყვირებით და ბოლოს ხანგრძლივი ყიჟინით. ამ ყველაფერმა ქალაქის შესასვლელის გახსნა და მისი აღება შესაძლებელი გახადა (იხ. ი.ნ. 6). საუკეთესო მეომრების გამორჩევის *სტრატეგიული იდეა* ათობით ათასი მეომრისთვის წყლის დალევის ბრძანებით და შემდეგ ჩამუხლულების გადარჩევა მათგან, ვისაც თვალი ბრძოლის ველისთვის არ მოუშორებია (იხ. მსაჯ. 7:4-6).
- მტერთან პირისპირ შეტაკებისთვის თავის არიდების *სტრატეგიული იდეა* და მის ნაცვლად ტყის მხრიდან მოვლა ბალსამონის ხეების ერთიანი შრიალის ხმის

გაგონებაზე, რაც ბრძოლაში ღვთის შეწევნის სიგნალი იყო (იხ. 2 სამ. 5:22-25).

- დიდი შიმშილობის პერიოდში ქვრივი ქალისა და მისი ძისთვის საჭმლის მოთხოვნის *სტრატეგიული იდეა*, რომ ჯერ წინასწარმეტყველისთვის ეჭმიათ და მორჩილების შედეგად აღარ იშიმშილებდნენ და არ მოკვდებოდნენ სხვა ოჯახების მსგავსად (იხ. 1 მეფ. 17:8-15).
- თხოვნის *სტრატეგიული იდეა* ვალის მქონე ქვრივი ქალისთვის, რომელიც თავის ორ ვაჟს კარგავდა. შემდეგ ცარიელი ქილების მეზობლებისგან თხოვების მითითება, რომლებიც მისი ერთადერთი ქონებით – ზეთის მცირე რაოდენობით უნდა აევსო, გაეყიდა და ვალები გადაეხადა (იხ. 2 მეფ. 4:1-7).
- დაავადებული სამხედრო ჩინოვნიკის მდინარე იორდანეში შვიდჯერ ჩაყურყუმელავების *სტრატეგიული იდეა*, რასაც სრული განკურნება მოყვა (იხ. 2 მეფ. 5:1-19).
- არმიის წინ ქებისა და თაყვანისცემის გუნდის გაგზავნის *სტრატეგიული იდეა*, რამაც დიდი გამარჯვება მოიტანა (იხ. 2 ნეშტთ. 20:21-26).
- მეფის მდიდრული საჭმლის ნაცვლად მწვანილეულის ჭამის *სტრატეგიული იდეა*, რომ უფრო ჯანსაღი, უკეთესად გამოკვებილი და ქვეყნის საუკეთესო ახალგაზრდებს შორის გამორჩეული ყოფილიყვნენ (იხ. დან. 1:8-16).
- არსებული წყლის დოქების გამოყენებისა და სუფთა წყლის საუკეთესო ღვინოდ გადაქცევის *სტრატეგიული იდეა* ქორწილის გამრიგეების გადასარჩენად (იხ. იოან. 2:6-10).
- მცირე სადილის კურთხევისა და დარიგების *სტრატეგიული იდეა*, რამაც ათასობით ადამიანი დააპურა (იხ. მათ. 14:13-21)
- ფურთხისა და მიწისგან ტალახის მოზელის და ბრმა კაცის თვალებზე დადების *სტრატეგიული იდეა*, შემდეგ მისთვის თვალის ჩამობანის მითითება, რამაც კაცს მხედველობა აღუდგინა (იხ. იოან. 9:6-7).
- ჩასაძირად განწირულ გემზე დარჩენის *სტრატეგიული იდეა* სიცოცხლის გადასარჩენად (იხ. საქმ. 27:21-44).

ყველა შემთხვევაში შთაგონებულმა იდეებმა ღვთიური ჩარევა გამოიწვია. დააკვირდით საერთო ხაზს, რომელიც ამ მოვლენებს

გასდევს? სტრატეგია მდგომარეობს მიმღების ხელთ არსებულის გამოყენებაში, როგორიცაა გარკვეული რესურსი ან ადამიანის პოზიციის შეცვლა. ყველა შემთხვევაში ღვთაებრივი ჩვეულებრივშია გახვეული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასწაულისკენ მიმავალი საკვანძო კომპონენტი ჯადოსნური ძალით არ ჩნდება.

ღმერთი ხშირად იძლევა ჩვეულებრივის, მიწიერის გამოყენების სტრატეგიებს სრულიად ბუნებრივი გზით ზებუნებრივი შედეგების მისაღებად. ეს შთაგონებული იდეის მნიშვნელობას გამოკვეთს. ჩვენ გვეუბნებიან, რომ „სიბრძნის დასაწყისი სიბრძნის მოხვეჭაშია“ (იგ.4:7). ღვთაებრივი სიბრძნის ერთ-ერთი ფორმა სტრატეგიული იდეა გახლავთ და კარგი ამბავი ის არის, რომ ღმერთი სიბრძნეს არავის უჭერს. როცა უჩვეულო გამოწვევის წინაშე ვდგავართ, იაკობ მოციქული მიგვითითებს:

> „თუ რომელიმე თქვენგანს აკლია სიბრძნე, დაე, სთხოვოს ღმერთს, ყველასთვის უხვად და დაუყვედრებლად გამცემს, და მიეცემა“. (იაკ.1:5)

ღმერთი მას გაამარტივებს, არც უკან წაიღებს და არც დაგიმალავთ. ეს მისი აღთქმაა. და მაინც, არსებობს ორი პირობა, რომელიც შთაგონებული იდეის მისაღებად უნდა დაკმაყოფილდეს:

> „ოღონდ *რწმენით* და ეჭვის გარეშე სთხოვოს, რადგან *ეჭვიანი* ზღვის ტალღას ჰგავს, ქარით ატანილსა და მიმოტაცებულს. ნუ ჰგონია ასეთ კაცს, რომ ღმერთისგან რაიმეს მიიღებს. *გაორებული სულის* კაცი არამდგრადია თავის ყველა გზაზე“. (იაკ. 1:6-8)

უნდა ვითხოვოთ *მტკიცე რწმენით* – ტაქტიკური იდეის მიღების *იმედი* კი არ გვაქვს, არამედ სრული დაჯერებით ველოდებით. თხოვნას ასევე უნდა ახლდეს შინაგანი მგზნებარება – მთელი გულით უნდა გვინდოდეს. სათხოვარს ვერ მივიღებთ მოდუნებული, ლეთარგიული დამოკიდებულებიდან, როგორიცაა *თუ მივიღებ, ხომ კარგი და თუ არა, არც ეს არის პრობლემა.* აუცილებელია გამოუვალობის და მტკიცე გადაწყვეტილების გრძნობის ქონა.

სტრატეგიული იდეა ღვთის ნიჭია და როცა მიიღებთ, ეფექტურობის სხვა სამყარო გაგეხსნებათ. იგი გამრავლების ძალას გვაძლევს.

შთაგონებული, სტრატეგიული იდეა

ბეირუთის სასტუმროში დაბრუნებისას ჩემს ნომერში არ წავსულვარ და წყნარად ლოცვა არ დამიწყია. უბრალოდ არ შემეძლო. თავში ფიქრები არ მომდიოდა, იდეებისგან დავიცალე და ვიცოდი, რომ საჭიროების მქონე და მწყურვალი პასტორებისთვის რესურსების მიწოდების პასუხისმგებლობა მეკისრებოდა. სასტუმროს ნომრებში ხმამაღალი ლოცვის ჩვეულება არ მქონია, მაგრამ გულწრფელად ვიტყვი, რომ იმ დღეს ვინმეს აზრი არ მაღელვებდა. სასოწარკვეთილი ღაღადით ვითხოვე *სტრატეგიის* (სიბრძნის) მიღება ჩვენი ეფექტურობის გასამრავლებლად.

გაძლიერებული ლოცვის შემდეგ ჩემი გული სიმშვიდემ აავსო. ვიცოდი, რომ ჩემი თხოვნა შეისმინეს და შვება მოვიდა. ახლა დარწმუნებული ვიყავი, რომ პასუხი არ დააყოვნებდა. მადლიერება გადმოიღვარა ჩემი შინაგანი კაცისგან, თუმცა ჯერ კიდევ არ მქონდა *სტრატეგიული იდეა* ან *გეგმა*.

რამდენიმე დღის შემდეგ აზრი მომივიდა. *უამრავ დროს, ფულსა და ენერგიას ვხარჯავთ და წიგნებს ვარიგებთ, მაგრამ თითო ლიდერი მხოლოდ ერთ რომელიმე წიგნს იღებს. რატომ არ უნდა გავაკეთოთ ის, რასაც წლების წინ ვაკეთებდით? რატომ არ შეიძლება სრული სასწავლო პროგრამა იყოს მიწოდებული ლიდერებისთვის სხვადასხვა ენაზე? ამით ჩვენს ნაყოფიერებას ძალიან გავზრდიდით!*

მაინც დიდი გამოწვევის წინაშე ვიდექით. როგორ უნდა დავბეჭდოთ და დავარიგოთ ამდენი მასალა? თუნდაც სასწავლო პროგრამის მთელი შინაარსი დავბეჭდოთ, ჩვენს დისტრიბუტორებს იმაზე მძიმე ტვირთის გადაზიდვა მოუწევთ მიზნობრივ ქვეყნებში, რისი ტარებაც შეუძლიათ – საკვანძო ადგილები ხომ ჯუნგლებში, მთებში, უდაბნოსა და მდინარეებზე გადიოდა, რომელთა გადალახვა ადვილი არ იქნებოდა. ხშირად იქ ასფალტიანი გზებიც არ იყო. სხვა პრობლემაც არსებობდა. ქრისტიანობისადმი მტრულად განწყობილ ერებში ჩვენს კურიერებს ადვილად ამოიცნობდნენ მოწინააღმდეგე მთავრობები და მასალაც კონფისკაციას დაექვემდებარებოდა.

მეტი ლოცვისა და ანალიზის შემდეგ მოგვივიდა სრული პროგრამის DVD-ROM-ზე (დისკი, რომელზეც მხოლოდ კომპიუტერული სისტემისთვის წასაკითხი ფაილებია) განთავსების იდეა. ამ გეგმას თან მოჰყვა კითხვები: აქვთ იმ ერების პასტორებსა და ლიდერებს კომპიუტერები? თუ დიახ, შეუძლიათ თუ არა ამ ტიპის დისკის გახსნა? და სრულიად სხვა მხარე; დისკზე არის თუ არა საკმარისი ადგილი, რომ სრული პროგრამისთვის საჭირო ფაილები დაიტიოს?

მინდოდა ყველაფერი გამომეკვლია და პირველად რობს მივმართე. მან ყველაზე კარგად იცოდა სამიზნე ქვეყნების ტექნიკური შესაძლებლობები, რადგან 160-ზე მეტ ქვეყანაში იყო

ნამყოფი. მას ვკითხე:

– იყენებენ თუ არა პასტორები და ლიდერები კომპიუტერებს მათი ქვეყნების სიღარიბის მიუხედავად?

– უმრავლესობა იყენებს, მაგრამ არის რამდენიმე, რომელსაც ამის საშუალება არ აქვს.

– მათ კომპიუტერებს DVD-ROM-ის წაკითხვა შეუძლია? თუ შეუძლია, რა მასალის დატვევას შევძლებთ დისკზე?

რობი აენთო და თქვა:

– დიახ, და რაც შეეხება მეორე კითხვას, როგორც გამიგონია, საკმაოდ დიდი!

შემდეგ იდეა მივაწოდე:

– შევძლებთ წიგნის ბოლოში ჯიბაკის გაკეთებას დისკის მოსათავსებლად?

– დიახ! – ენთუზიაზმით დამიდასტურა მან.

– რამდენით გაზრდის ეს წიგნის თითო ეგზემპლარის ხარჯებს?

რობმა კვლევა ჩაატარა და ჩემთან რამდენიმე დღეში დაბრუნდა.

– კარგი ახალი ამბები მაქვს. წიგნის ბეჭდვისა და დარიგების საშუალო ხარჯებს გადავხედე და დისკის დამატება ღირებულებას მხოლოდ 5 %-ით გაზრდის.

გამიხარდა, მაგრამ თავი შევიკავე. ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რა მასალა დაეტეოდა დისკზე.

–ახლა კი მართლაც კარგი ამბავი, – მითხრა რობმა, – დისკზე არა მარტო მთლიანი პროგრამის დატვევას შევძლებთ, არამედ აუდიოწიგნისაც, ორ-სამ სხვა წიგნს, ახალ აღთქმასა და PDF ფაილებსაც განვათავსებთ (მეტი წიგნების დაბეჭდვისთვის, თუ ადგილობრივ პასტორს ამის შესაძლებლობა ექნება).

მცირედით მაინც რომ აღვწეროთ ჩვენი მდგომარეობა, ვიტყვი, რომ ვზეიმობდით და ენერგიით ავივსეთ.

ამან სხვა *სტრატეგიულ იდეამდე* მიგვიყვანა. ვიმეორებ, რომ სამიზნე ერების ტექნიკურ შესაძლებლობებზე ვიყავით დამოკიდებული. მე ვიკითხე:

– ამ ერების უმეტესობას აქვს ინტერნეტთან წვდომა?

– უმრავლესობას აქვს, – მიპასუხა რობმა.

– რა იქნება, რომ ვებგვერდი დავამუშავოთ, სადაც ყველა თარგმნილი მასალა იქნება განთავსებული? ისეთი სახელი დავარქვათ, რომ ქრისტიანულ გვერდად არ იყოს აღქმული. ასე მოწინააღმდეგე მთავრობები არ დაბლოკავენ. ვებგვერდის მისამართი წიგნების წინა ფურცელზე დავბეჭდოთ და პასტორები/ლიდერები გავაფრთხილოთ, რომ თავიანთ ხალხს ამ რესურსების ჩამოტვირთვისკენ მოუწოდონ. ეს უსასყიდლო იქნება და მთელი ეკლესია ერთობლივად შეძლებს მისით სარგებლობას.

ორ პატარა ბავშვს ვგავდით, რომლებიც ტკბილეულის მაღაზიაში აღმოჩდნენ – აღფრთოვანების დატევა აღარ შეგვეძლო. ჩვენს შორის იდეების გაცვლა-გამოცვლა მიმდინარეობდა ამ სტრატეგიის გასამყარებლად.

მას შემდეგ, რაც ყველაფერი გულმოდგინებით გამოვიკვლიეთ, გადაწყვეტილება მივიღეთ, რომ დიდი ოდენობის გამო ამ „ლიდერებისთვის საჭირო ნაკრების“ წარმოება და დისტრიბუცია, დაახლოებით, ოთხ დოლარად შეგვეძლო. *მესინჯერის* გუნდს ვებგვერდის შექმნისთვის საჭირო უნარები და ტექნიკური ცოდნა ჰქონდა.

ჩვენმა გუნდმა მალე გააცნობიერა, რომ ეს ერთი ზეციური იდეა არა მარტო ცალკეული ლიდერების, არამედ მთელი ეკლესიებისა და პატარა ჯგუფების სწავლების, წვრთნისა და გაძლიერების პოტენციალს მოიცავდა. მსოფლიოს ბევრ მცირე სოფელში მხოლოდ ერთი ეკლესია იყო, რაც ნიშნავდა, რომ მთელ თემზე შეგვეძლო მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა სულ რამდენიმე დოლარის ღირებულების მასალით. ეს დაბანდების საოცარი უკუგება გახლდათ! ნუთუ მართლა იყო შესაძლებელი?

მესინჯერის საბჭოს მომდევნო შეკრებაზე ეს ხედვა გავაზიარეთ. ჩვენი აღმაფრენა ყველამ აიტაცა. გეგმამ ყოველი წევრი სიხარულით აანთო და ენერგიით დამუხტა. მგზნებარებით განვაცხადე:

– მნიშვნელობა არ აქვს, ამას ათი წელი დასჭირდება, ოცი თუ მეტი. გვინდა ამ პლანეტის ყველა ლიდერს მივწვდეთ და დავეხმაროთ ღვთისგან მონდობილი რესურსების მიღებაში.

ერთი თვის შემდეგ ერთმა ტექსასელმა ბიზნესმენმა ოფისში დარეკა. მან თხუთმეტწუთიანი შეხვედრა გვთხოვა მე და ლიზას. ის და მისი მეუღლე კოლორადოში ჩამოფრინდნენ. შეხვედრაზე კაცს ქვითინი აუტყდა და ცრემლების ღვრით და კანკალით გვითხრა:

– ვიცი, რასაც აკეთებთ! ვიცი, რომ შორეული ქვეყნების პასტორების გაძლიერება გინდათ თქვენი რესურსებით. მინდა, რომ ამის მონაწილე გავხდე.

ამის შემდეგ ჩეკი მოაცურა მაგიდაზე. კინაღამ სკამიდან გადმოვვარდი, როცა მასზე 750•000 დოლარი ამოვიკითხე.

მომდევნო რამდენიმე თვის განმავლობაში ვებგვერდი დავამუშავეთ და გულმოდგინედ ვიშრომეთ „ლიდერების ნაკრების“ გეგმის შესატანად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასა თუ რეგიონში. ჩვენს თავზე ვიღებდით წიგნის მასალის ნებისმიერ ენაზე თარგმნის ერთჯერად ხარჯებს, შესაბამისი სასწავლო პროგრამითა და დისკზე დასამატებელი წიგნებითურთ. რობმა მრავალ ენაზე საუკეთესო მთარგმნელთა გუნდი დაიქირავა. ორმა უხვმა შემოწირულობამ, რომელმაც მილიონ დოლარს გადააჭარბა, პირველი წლის კაპიტალისთვის საჭირო ხარჯები დაფარა.

გუნდის შექმნის იდეა

ამ მომენტისთვის დროში უკან დავიხიოთ და 2011 წელს დავუბრუნდეთ, როცა 250• 000 წიგნის დარიგების გადაწყვეტილება მივიღეთ. ორი დიდი შემოწირულობა ჯერ არ მოსულიყო და მიხარია, რომ ასე მოხდა, რადგან ფონდების ნაკლებობა ყოველ დილით სტრატეგიის მისაღებად ღვთის ძიების კატალიზატორად იქცა. გეგმა გვჭირდებოდა ამ ხედვის გასავრცელებლად და საბოლოოდ, მამაკაცებისა და ქალებისგან შემდგარი უზარმაზარი გუნდის ჩამოსაყალიბებლად, რომლებიც შემოწირულობის გაცემის ნიჭს გამოიყენებდნენ ამ მასიური წამოწყების უზრუნველსაყოფად. ეს შესაძლებლობას მოგვცემდა, რომ ყველა პასტორი და ლიდერი რესურსებით მოგვემარაგებინა მათი ენის, ადგილმდებარეობისა და ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად.

რამდენიმე დილის ლოცვის შემდეგ სულიწმიდამ გულში მითხრა:

– შვილო, გოლფისადმი სიყვარულით გიცნობენ. გამოიყენე ის შესაგროვებლად. მე მოვიზიდავ საჭირო მამაკაცებსა და ქალებს, რომ გუნდი შექმნა მისიის დასაფინანსებლად.

აზრები მაშინვე მივმართე ფაქტისკენ, რომ კოლორადო სპრინგსში ქვეყნის მასშტაბით უმშვენიერესი სასტუმროები გვქონდა. ბროდმურში ის-ის იყო გოლფის ორი ჩემპიონატი ჩატარდა. ამრიგად, ედისონს და ლიზას ჩემი გეგმა გავაცანი.

მათ მომისმინეს და მკითხეს:

– ეს როდის უნდა გავაკეთოთ?

– მოდი, ამ ზაფხულს გავაკეთოთ, – ვუპასუხე მე.

ვღელავდით, რომ ამ საქმის სრულად მოგვარებისთვის დრო არ გვეყოფოდა. იყო თუ არა სასტუმროში საკმარისი რაოდენობით ნომრები, რომელიც კარგა ხანია ხუთვარსკვლავიან, ხუთი ბრილიანტის მქონე სასტუმროდ ითვლებოდა მსოფლიოს მასშტაბით? აქ ნომრებს წლებით ადრე ჯავშნიდნენ, ჩვენ კი პიკური სეზონის დაქირავება გვინდოდა. კიდევ ერთი საფიქრალი: იქნებ ჩვენს პოტენციურ სტუმრებს უკვე შედგენილი ჰქონდათ ზაფხულის გეგმები?

ჩემმა ვაჟმა ინიციატივა თავის ხელში აიღო და რამდენიმე დღეში ახალი ამბებით დაბრუნდა:

– მამა, სასტუმროში მთელი ზაფხული წინასწარ დაიჯავშნა ერთი კვირის გარდა. დაახლოებით, 100 ნომრის დაჯავშნა შეგვიძლია და ისე მოხდა, რომ შენ და დედა ამ დროს სახლში ხართ.

– მოდი, დავჯავშნოთ! – ყოყმანის გარეშე ვთქვი მე.

მან გამაფრთხილა:

–კონტრაქტს უნდა მოვაწეროთ ხელი. ვალდებულება უნდა ავიღოთ, შევძლებთ ყველა ნომრის შევსებას.

და მეც ამოვთქვი:

– ოთახებს შევავსებთ.

ამ საკითხზე ბევრი ფიქრი არ მინდოდა, რომ გეგმაზე უარი არ მეთქვა.

ვიცოდი, რომ შტატებში უამრავი ეკლესია და ბიზნესმენი იყო, რომლებიც ჩვენს ძალისხმევას მხარს დაუჭერდნენ. ყველას დავურეკე, ვინც გამახსენდა და პრაქტიკულად, ყველა ხალისით დამთანხმდა მონაწილეობის მიღებაზე. რამდენიმე თვის განმავლობაში საკმარისი წყვილები მოვაგროვეთ შეპირებული ნომრების შესავსებად.

დაგეგმვისას ჩვენმა გუნდმა გადაწყვიტა, რომ მხოლოდ გოლფის ტურნირი კი არ ჩაგვეტარებინა, არამედ სრულმასშტაბიან მოვლენად და დასამახსოვრებელ განცდად გვექცია. ყველაფერი აღმატებულად და გამიზნულად უნდა გაგვეკეთებინა, რომ მონაწილეობა სახალისო ყოფილიყო იმ წყვილებისთვისაც, რომლებიც გოლფს არ თამაშობდნენ. ლიზა ქალებისთვის განკუთვნილ სპეციალურ შეხვედრებს გაუძღვებოდა. დასასრულს ყოველ წყვილს ტკბილეულობითა და საჩუქრებით სავსე კალათებს მივართმევდით. იქნებოდა გამორჩეული კერძები, ბროდმურისთვის დამახასიათებელი უნიკალური გამოცდილება, ლიდერებისთვის საჭირო გაკვეთილები და ყველა მონაწილის სამახსოვროდ ხარისხიანი პრიზები – ეს ყველაფერი გუნდთან შემოერთებისთვის მადლიერების ნიშნად.

ჩვენი პირველი *მესინჯერის თასი* 2011 წლის ივნისის მეორე ნახევარში გათამაშდა. ამ მოვლენამდე პროფესიონალ სპორტსმენებსა და ცნობილ მუსიკოსებს დავურეკე და ვთხოვე, რომ ავტოგრაფიანი საგნები შემოეწირათ. ასევე, სხვა ბიზნესებისგან მივიღეთ ფასეული საგნები თუ გამოცდილება. შემოწირული ნივთები ბანკეტის დროს გამართულ აუქციონზე გავათამაშეთ. პირველ ტურნირზე 340•000 დოლარზე ცოტა მეტი შევაგროვეთ, მაგრამ ცოტა არ იყოს, უხერხულობას ვგრძნობდით. ჩვენი ხედვის გაზიარების საუკეთესო სტრატეგია ჯერ კიდევ ვერ მოვიპოვეთ.

იმ შემოდგომაზე ჩვენი გუნდის ერთ-ერთ წევს შთაგონებული იდეა მოუვიდა. 2012 წლის ზაფხულისთვის მეორე ყოველწლიურ ტურნირს ვგეგმავდით. მან თქვა:

– აუქციონზე ავტოგრაფიანი ბეისბოლი, ფეხბურთის ჩაჩქანი, ავტოგრაფიანი გიტარა და სხვა ამგვარი ნივთები გამოვიტანეთ. ამ ნივთების გაყიდვით მხოლოდ ერთი ქვეყნისთვის საჭირო მასალების სრულად დაფინანსებაც კი ვერ შევძელით. მოდი,

აუქციონზე ნივთები კი არ გავიტანოთ, არამედ ქვეყანა. ქვეყნის ფასი გაცილებით მეტია.

იდეა ყველას მოგვეწონა, მაგრამ ის კიდევ უფრო გაუმჯობესდა! მან განაგრძო:

– ჩვენს ღონისძიებაზე დიდად კომპეტენტური ხალხი იკრიბება, ამრიგად შევქმნათ ლიდერთა საბჭო და როცა ერებს დაასპონსორებენ, მათი შემოწირულობა საბჭოში მოიყრის თავს. ვინც ყველაზე მეტს გაიღებს ქვეყნებისთვის, მას გადავცეთ ბურთები, გიტარები და სხვა პრიზები.

კრეატიული იდეები მდინარესავით მოედინებოდა. ერთ მომენტში გავაპროტესტე :

– ვერ ვიტან აუქციონების წარმართვას. სიჩუმის რამდენიმე წუთი მარადისობად მეჩვენება. მოდი, საათები გამოვიყენოთ. დავნიშნოთ დროის მცირე მონაკვეთი, ვთქვათ, ოცდათხუთმეტი წუთი და მონაწილეებს ვუთხრათ, რომ დროის ამოწურვის შემდეგ აუქციონს ვასრულებთ. ნებისმიერი ერი, რომლის პროექტიც არ დაფინანსდება, დატოვებული იქნება. ეს გადაუდებლობის შეგრძნებას შექმნის.

ახლა, ნება მომეცით, მოკლედ განვმარტო *პროექტის* რაობა. ის ორ რამეს მოიცავს – პირველი, ლიდერის ნაკრების ყველა ბეჭდური, აუდიო და ვიდეო მასალის თარგმნა და განმარტება, რომელიც ერთ კონკრეტულ ენაზე 17•500 დოლარი ჯდება. მეორე გახლავთ ერთი ერისთვის განკუთვნილი წიგნების ან ლიდერის ნაკრების წარმოებისა და დისტრიბუციის ღირებულება. ნებისმიერ ქვეყანაში, დაახლოებით, 500-დან 40•000-მდე ლიდერი შეიძლება იყოს. ქვეყნების უმეტესობაში, საშუალოდ, 5•000-დან 10•000-მდე ლიდერი გახლდათ და ხარჯებიც 20•000-დან 40•000-მდე მერყეობდა.

შემდგომ შეკრებებზე გუნდის წევრებისგან უფრო მეტი იდეა მოვიდა გამოცდილების გამდიდრების, ხედვის გადაცემისა და მეორე ტურნირის ჩატარების კუთხით.

იმ წელს აუქციონზე დაპირებული შემოწირულობების გაორმაგების მოწმე გავხდით. დანიშნული დროის ფარგლებში ორმოცდაათზე მეტი პროექტი სრულად დაფინანსდა. ჩვენი ჩანაფიქრი ძალას იკრებდა და ერთი წლის შემდეგ, *მესინჯერის თასის* მესამე ტურნირზე 1.3 მილიონი დოლარის მობილიზება შევძელით გაცილებით მეტი პროექტისთვის.

ყოველ წელს იზრდებოდა რესურსებზე მოთხოვნა. რობს სულ უფრო მეტი ქვეყანა უგზავნიდა თავის წარმომადგენლებს და თავიანთი ხალხისთვის რესურსებს ითხოვდნენ. საბოლოოდ, პროექტების რაოდენობამ 100-ს გადააჭარბა და *მესინჯერის თასის* მეშვიდე წლისთავზე 140 პროექტს ვაფინანსებდით 2 მილიონზე

მეტი შემოწირულობით. მეცხრე წელს თითქმის 3 მილიონი დოლარის შემოწირულობის მოწმე გავხდით, რამაც 200 პროექტის ხარჯები სრულად დაფარა!

წინამდებარე წიგნის გამოშვების დროისთვის 2020 წლის მეორე ნახევარში, *მესინჯერის თასის* გუნდმა 100 ქვეყნის პასტორებსა და ლიდერებს 30 მილიონზე მეტი რესურსი დაურიგა 120-ზე მეტ ენაზე.

მთელი ამ დროის განმავლობაში ყველანი შთაგონებული ვიყავით ჩემი ერთ-ერთი გმირის, ენდრიუ კარნეგის მიერ. იგი ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფილანტროპია, რომელმაც ქონების უმეტესი ნაწილი გასცა. კარნეგიმ დღევანდელი კურსით მილიარდობით დოლარი გაიღო საქველმოქმედო საქმიანობისთვის! ამ თანხის დიდი ნაწილი საჯარო ბიბლიოთეკების მშენებლობას მოხმარდა. ფაქტობრივად, 1883-სა და 1918 წლებს შორის მან 2500-ზე მეტი ბიბლიოთეკა ააგო, რომელთა უმრავლესობა ამერიკის ორმოცდაშვიდ შტატშია განლაგებული.

ნება მომეცით, დამაფიქრებელი კითხვა დაგისვათ: დაახლოებით რა დროიდან გახდა შეერთებული შტატები მსოფლიოში ანგარიშგასაწევი ძალა? ეს იყო 1883 და 1925 წლებს შორის პერიოდში, დროის ზუსტად იმ ფარგლებში, როცა კარნეგი ბიბლიოთეკებს აგებდა! დარწმუნებული ვარ, რომ ხალხისთვის მისაწვდომმა ცოდნამ თავისი წვლილი შეიტანა ამერიკის მსოფლიო ლიდერად წამოწევის საქმეში.

ეს პრინციპი სულიერ ცოდნასაც მიესადაგება! ღმერთი აცხადებს:

„ცოდნის უქონლობის გამო იღუპება ჩემი ხალხი“. (ოს. 4:6)

„ტყვეობაში წავა ჩემი ხალხი უმეცრების გამო“. (ეს. 5:13)

მსახურების მრავალი წლის შემდეგ ცხადი გახდა, რომ სოფლისა თუ ქალაქის გარდაქმნის ყველაზე ეფექტური გზა ეკლესიის აშენება არ გახლავთ. ამით ადგილობრივი ლიდერები ჩვენზე დამოკიდებულები ხდებიან. გაცილებით მეტ ნაყოფებს მოვიტანთ, თუ ადგილობრივ წინამძღოლებს სულიერ ცოდნას მივაწვდით, რომელიც მათ მშობლიურ სოფელზე, დაბასა თუ ქალაქზე ზეგავლენის მოხდენის ძალას მისცემს. ასეთი ცოდნა ზრდისა და მუშაობის შენარჩუნებისთვის საჭირო რწმენის წარმოქმნაში დაგეხმარებათ, რაც საჭიროების შემთხვევაში შენობებსა და სხვა რესურსებსაც მოიცავს.

რესურსებთან დაკავშირებული სტრატეგიული ინიციატივის

შემთხვევაში საოცარი რეალობა ის გახლდათ, რომ საეკლესიო შენობა ათობით ათასი დოლარი დაჯდებოდა. ლიდერების ნაკრები, რომელიც ასეულობით დოლარის რესურსს იტევს, მისი მხოლოდ რაღაც ნაწილი ჯდება!

ეჭვგარეშეა, რომ განვითარებადი ეკლესიებისთვის ლიდერების ნაკრების დარიგების ათწლეულები ყველაზე სასიამოვნო საქმე იყო ჩემი ორმოცწლიანი მსახურების მანძილზე. მიყვარს იმ მამაკაცებისა და ქალებისგან შემდგარი გუნდის წევრად ყოფნა, რომლებსაც ერების დამოწაფების წყურვილი და ხედვა აერთიანებთ (იხ. მათ.28:19-20). გაერთიანებით გაცილებით მეტი გავაკეთეთ, ვიდრე თითოეული ჩვენგანი მარტო შეძლებდა. ეს ძალისხმევა ნამდვილად არის შემდეგი სიტყვების ნიმუში: „ხუთი თქვენიანი ასს განდევნის, ასი კი - ათი ათასს (ლევ. 26:8). (ეს ნათლად წარმოაჩენს გამრავლების სხვა თვალსაჩინო კომპონენტს – ერთობლივი მოქმედება – რასაც სხვა თავში განვიხილავთ).

ჩვენი ერთიანი ღაღადი თავს იყრის იესოს ამ იგავში:

> „როდესაც სადილს ან ვახშამს გამართავ, ნუ მოიწვევ შენს მეგობრებს, ნურც შენს ძმებს, ნურც შენს ნათესავებს, ნურც მდიდარ მეზობლებს, რათა მერე იმათაც არ მიგიწვიონ და სამაგიერო არ მიიღო. არამედ ლხინს რომ გამართავ, გლახაკნი, ხეიბრები, კოჭლები და ბრმები მოიწვიე. ნეტარი იქნები, რადგან *მათ არაფერი აქვთ, სანაცვლოდ რომ მოგიზღან.* ამიტომ მართალთა აღდგომისას მოგეზღვება“. (ლუკ. 14:12-14)

შესაძლოა, ის ლიდერები, რომლებშიც დავთესეთ, არ იყვნენ ხეიბრები, კოჭლები ან ბრმები, მაგრამ ამ იგავთან მთავარი კავშირია *სანაცვლო საზღაურის შეუძლებლობა*. თუ ამერიკის ეკლესიას ან კონფერენციას მოვემსახურები, „მადლობას“ მიხდიან *მესინჯერ ინთერნეშნალისთვის* ჰონორარის გადახდით ან შესაწირის გადმოცემით. იმ ერების ლიდერებს, სადაც ჩვენ ვაბანდებთ, არ შეუძლიათ ამის გაკეთება. გუნდის ყველა წევრი – ბიზნესის სფეროს გამღებები, ეკლესიის ლიდერები და ჩვენი *მესინჯერის* შტატი – აცნობიერებს, რომ დიდი პატივი გვხვდა წილად: გაღება სანაცვლო კომპენსაციის გარეშე იმ ადამიანებისგან, რომლებსაც ვეხმარებით.

რამდენიმე წლის წინ მე და ლიზა სომხეთის ქალაქ ერევანში გავემგზავრეთ, სადაც კონფერენციაზე მთელი ახლო აღმოსავლეთის ათასობით ლიდერი ჩამოვიდა. იქ ყოფნისას ცალკე დარბაზში შევკრიბეთ ირანელი, ავღანელი, სირიელი და ანალოგიური

ქვეყნების პასტორები. გადაღება დაუშვებელი იყო და მათი ვინაობაც საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო. ღვთის თანდასწრება ძალუმად იგრძნობოდა და ჩემთვის ვფიქრობდი, *ამ ლიდერებმა უნდა ილაპარაკონ ნაცვლად იმისა, რომ მე და ლიზა გამოვიდეთ მათ წინაშე.* ერთ მომენტში კიდეც ვთქვი: „ყველა თქვენგანი მე და ლიზას გმირებად მიგვიჩნევთ. ჩვენ არ ვართ გმირები, არამედ ის ბიზნესმენები და ეკლესიები, რომლებმაც მილიონობით დოლარი გაიღეს ამ რესურსებით თქვენს საკურთხებლად. სწორედ ისინი არიან ნამდვილი გმირები". ამ დროს ყველას გული აგვიჩუყდა და ვიტირეთ.

შეკრების შემდეგ ერთმა ირანელმა პასტორმა გვკითხა:

– როგორ შეუძლიათ ადამიანებს ამხელა თანხების გაღება მათთვის, ვინც თვალით არასოდეს უნახავთ?

ჩემი პასუხი მეტისმეტად უბრალო, მაგრამ ჭეშმარიტი იყო:

– მათ გულებში ღვთის სიყვარულია.

და კიდევ ერთხელ გადმოიღვარა ცრემლები.

უფრო მეტი გამრავლება

2019 წელს გავაცნობიერეთ, რომ ჩვენს ვებგვერდს, რომლითაც რესურსების დარიგებას ვახორციელებდით, გარკვეული შეზღუდვები ჰქონდა. ის გამოსადეგი იყო 2011 წლისთვის, როცა დავიწყეთ, მაგრამ ახლა გამოსაყენებლად მოუხერხებელი და შეზღუდული გვეჩვენებოდა. მაგალითად, სმარტფონებიდან ძალიან ძნელი იყო გვერდზე ნავიგაცია. მე, ლიზა და ჩვენი გუნდის ბევრი წევრი ღარიბ და შეჭირვებულ ქვეყნებში დავდიოდით. შეუძლებელი იყო არ შეგვენიშნა, რომ კარვებში, ალიზის სახლებსა თუ ფანერის ქოხებში მცხოვრებ ადამიანთა უმეტესობას რაიმე სახის სმარტფონი მაინც ჰქონდა. გამოთვლილია, რომ 2020 წლისთვის ხუთ მილიარდ ადამიანზე მეტს სმარტფონი ექნება.

უამრავი მოგზაურობის შემდეგ ცხადი გახდა, რომ პლანეტაზე ყველა ადამიანთან კონტაქტი შესაძლებელი იქნებოდა ონლაინ-კომუნიკაციით და იქნებ ახლაც არის. ვიგრძენი, რომ სხვა რამეების გარდა ისტორიაში კიდევ ერთხელ გამოვცადეთ „რომაული გზების" მომენტი.

მოდი, მოკლედ აგიხსნით: წმიდა წერილი ამბობს: „როცა მოვიდა სისრულე დროისა, მოავლინა ღმერთმა თავისი ძე" (გალ.4:4). „დროის სისრულეში" ბევრი რამ იგულისხმება. მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი გვეუბნება, რომ სახარება იმ დროისთვის ცნობილ ქვეყნიერებას მოიცავდა. ძვ. წ.-ით 312 წელს რომაელებმა გზების ქსელის და სანაოსნო მარშრუტების განვითარება დაიწყეს

იმ დროისთვის ცნობილ მსოფლიოში. როცა იესომ თქვა, „წადით მთელ ქვეყნიერებაზე“, გზები უკვე დაგებული გახლდათ. ამან მაშინდელ მსოფლიოში ღვთის სიტყვის სწრაფად გავრცელება განაპირობა.

დარწმუნებული ვარ, რომ დროის სისრულე ისევ მოვიდა, რომ გზა მოუმზადოს იესოს მეორედ მოსვლას – ინტერნეტი თანამედროვე რომაულ გზას წარმოადგენს. ახლა ღვთის სიტყვის მთელ მსოფლიოში გავრცელების შესაძლებლობა გვაქვს ყველა ერის დასამოწაფებლად.

ჩვენმა გუნდმა იცოდა რა ეს, დაიწყო ლოცვა, ოცნება და სტრატეგიის დასახვა. თვეების ძიების შემდეგ პროექტი შევუკვეთეთ აპლიკაციებისა და ვებგვერდების დამამზადებელ ერთ-ერთ საუკეთესო კომპანიას შეერთებულ შტატებში. ავაგეთ დამოწაფების პლატფორმა, რომელიც იყო მძლავრი, მულტიფუნქციური და ადვილად გამოყენებადი აიფონების, ანდროიდების, ტაბლეტებისა და კომპიუტერებისთვის. გადავწყვიტეთ ყველაზე დახვეწილი პლატფორმის შექმნა თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით. საუკეთესო შედეგების მისაღებად ყველგან გვჭირდებოდა ეკლესიის ლიდერები, მაგრამ ყველაზე მეტად შეჭირვებულ ერებში. თვალსაჩინო რეალობა ის გახლავთ, რომ ახლა მილიონობით მომხმარებელი გვყავს 227 ქვეყნიდან და სხვადასხვა ტერიტორიებიდან, რომლებიც ამ პლატფორმაზე განთავსებული წიგნებით, სასწავლო კურსებით და დამოწაფების სხვა იარაღებით სწავლობენ.

გარკვეული დროის შემდეგ გამრავლების დამატებით გზებზე ფიქრი დავიწყეთ. ჩვენი ვებგვერდის ეფექტურობის გასაზრდელად სხვა ცნობილი მასწავლებლების სტუმრად მოწვევა გადავწყვიტეთ, რომელთაც გამორჩეული და ცხოვრების გარდამქმნელი სიტყვა ჰქონდათ. ახლა მთელი მსოფლიოს ლიდერებს შეუძლიათ თავიანთი კომპიუტერების, ტაბლეტების ან ტელეფონების ერთი ერთზე დამოწაფების, პატარა ჯგუფებისა თუ ეკლესიებისთვის გამოყენება. ამან არა მარტო გაამრავლა პლატფორმის ეფექტურობა, არამედ ბევრად გაუსწრო ფიზიკური წიგნის შესაძლებლობებს და მომავალი თაობებისთვისაც მისაღები გახდა.*

რა მოხდებოდა, მე და ლიზას წიგნების წერა რომ არ დაგვეწყო? ან ბესთსელერების ავტორობით რომ დავკმაყოფილებულიყავით და სასწავლო პროგრამის შემუშავება არ გადაგვეწყვიტა? ჩვენი გუნდი მხოლოდ ინგლისურენოვანი ცალკეული ადამიანებითა და ეკლესიებით რომ შემოფარგლულიყო? რა იქნებოდა, ჩვენს შტატს რომ არ მოსურვებოდა მთელი ენერგიის ჩადება ამერიკის ყველა შტატიდან გუნდის შეკრებაზე ბროდმურში? ყველა ეს დონე გამოწვევების წინაშე გვაყენებდა, რომლებიც დიდ დაძაბულობას

წარმოშობდა და გამუდმებით ღვთის მადლზე დამოკიდებულს გვხდიდა. ყოველ შემდგომ საფეხურზე უფრო ადვილი ხდებოდა ერთ ადგილზე გაჩერება და სხვების სამსახურში უფრო მეტი ეფექტურობის მიღწევისთვის ძალისხმევაზე უარის თქმა.

როცა ღვთის სულს ვუსმენდით, წინ ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევდით უფრო დიდი გამრავლებისკენ. უფალი დასაწყისიდანვე არასოდეს გაჩვენებთ ყველა ნაბიჯს ან თუნდაც ორს ან სამს. რა ადვილი იქნებოდა ბროლის ბურთში ჩახედვა ადრეულ წლებში და მთელი გასავლელი გზის დანახვა, თუ სად იქნებოდა ჩვენი გუნდი ოცდაათი წლის შემდეგ. ეს რომ შესაძლებელი ყოფილიყო, არ ვიბრძოლებდით ყოველი ნაბიჯისთვის ინტენსიურ ლოცვებში და საბჭოს შეკრებისას. ასევე არ გვექნებოდა რწმენა და ხასიათის სიმტკიცე, რაც მორჩილების ყოველ ნაბიჯს მოჰქონდა.

გამრავლება კაცობრიობის იდეა როდია – ის ღმერთს ეკუთვნის. ვიმეორებ, რომ ეს კაცობრიობისთვის მიცემული პირველი მცნება გახლდათ, „თქვენთვის მონდობილი ნებისმიერი ნიჭი ჩემი სამეფოს გასამრავლებლადაა“ (დაბ. 1:22-სა და მათ. 25:14-29-ის ჩემი პარაფრაზი). ნება მომეცით, კიდევ ერთხელ გავიმეორო მნიშვნელოვანი ჭეშმარიტება: გამრავლების აუცილებლობამ თქვენზე ზეწოლა არ უნდა მოახდინოს, რადგან, საბოლოო ჯამში, ეს ღვთის ნიჭია. ერთი, რაც უნდა გააკეთოთ, გახლავთ ლოცვა, მოსმენა, დაჯერება და დამორჩილება იმისა, რასაც გულში ჩაგიდებთ.

დასკვნა: იგი წაგიძღვებათ გამრავლების საქმეში.

შეიძლება იფიქროთ, *ჩემი გული შეიძრა მოწმობით, რომელიც ბოლო სამ თავში გადმოეცით, მაგრამ მე ახალგაზრდა დედა, სტუდენტი, პროფესიონალი სპორტსმენი ან დაქირავებული თანამშრომელი ვარ — როგორ შევძლებ სამეფოს გამრავლებას?*

ეს დისკუსია მომდევნო თავში იწყება.

დაფიქრება

1. როცა ღვთიურ უზრუნველყოფას ან ჩარევას ველოდებით, ის ხშირად სტრატეგიული იდეის ფორმით მოდის. რა სახით დაინახეთ თქვენი გარემოებების შეცვლა ღვთისგან შთაგონებული იდეის მეშვეობით?

2. სიბრძნის მიღება ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არის, რაც შეგიძლია გააკეთოთ. თქვენი ცხოვრების რომელ სფეროში გჭირდებათ სიბრძნე? როგორ უნდა მიუახლოვდეთ ღმერთს სიბრძნის მისაღებად?

3. სტრატეგიული იდეა ღვთის ნიჭია, ის ეფექტურობის სხვა დონეს გვიხსნის და გამრავლების ძალას გვაძლევს. რა ნაბიჯების გადადგმა არის საჭირო, როცა იდეას მიიღებთ?

„და გვაქვს, ჩვენთვის მადლით მოცემული
სხვადასხვა ნიჭი (ქარიზმა): თუ
წინასწარმეტყველებაა – რწმენის შესაბამისად.
თუ მსახურებაა – მსახურებაში; თუ
დამოძღვრაა – დამოძღვრაში.
თუ შემგონებელია – შეგონებით, გამჩუქებელია
– უბრალოებით, უფროსია – სიბეჯითით
და ქველმოქმედია – ხალისით“.
– რომ. 12:6-8

9

დაბანდება

პავლე მოციქული სხვადასხვა ნიჭზე საუბრობს, რომლებიც ღმერთმა ყოველ მის მსახურს მისცა. ვიმეორებ, რომ ეს ამომწურავი ჩამონათვალი არ გახლავთ, მაგრამ ღვთიური უნარების ფართო სპექტრს მოიცავს. შესაძლოა, ამაში არ დამეთანხმოთ, მაგრამ ნება მომეცით, მისი ამოსავალი პირობა გაგიზიაროთ.

მოციქულის სიაში ვერსად ვხედავ სიმღერას, სასამართლოში საქმის წარმოებას, სიმსივნის ამოკვეთას ქირურგიული გზით, შთაგონებული სურათების ხატვას, მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრას და ბევრ სხვა ღვთისგან ბოძებულ უნარს, რომელსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვიყენებთ. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ ჩამონათვალი სრული არ არის. თუ მაინც არ მეთანხმებით, პატივს ვცემ თქვენს პოზიციას; აქ ეს საკითხი ვრცელ მსჯელობას არ ითვალისწინებს, რადგან მთავარ თემას არ წარმოადგენს.

დავუბრუნდეთ პავლე მოციქულის ხაზგასმას. ძალიან მომწონს *ქარიზმას*, როგორც „გარკვეული საგნების კარგად კეთების“ უნარის სახით გადმოცემა *ახალი ცოცხალი თარგმანის* (NLT) ვერსიაში. ეს წინამდებარე წიგნის მთავარ საკითხს ნამდვილად გამოკვეთს. წინა სამი თავი *წინასწარმეტყველებისა* და *სწავლების* გამრავლებაზე მოწმობდა. მოდი, ყურადღება მივაქციოთ სხვა ნიჭს – *ქველმოქმედებას, გაღებას.*

სამეფოსთვის დაბანდება

ერთი მეგობარი მყავს, სახელად მაიკი. იგი იესო ქრისტეს მორწმუნე თერთმეტი წლის ასაკში გახდა, თუმცა ცათა სამეფოს შენების საქმეში დიდი ნაყოფი არ მოუტანია. მასში თანდათან

იზრდებოდა ამ მდგომარეობით უკმაყოფილება და ბოლოს, ოცდათხუთმეტი წლისას მარადიული ზეგავლენის უუნარობა ყელში ამოუვიდა. ხშირად ამ მდგომარეობამდე მისული ადამიანები ცოდნის, სიბრძნისა და რწმენის გარეშე ცდილობენ ცვლილებების განხორციელებას. მაიკი საქმეს გონივრულად მიუდგა. მან გადაწყვიტა, რომ საუკუნო გავლენისთვის პირველი ნაბიჯი „რეზერვუარის გავსება“ იყო, ამიტომ მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში ბიბლიის ორი ათასი მუხლი დაიზეპირა!

ექვსთვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ გადაწყვიტა ლიდერობის კონფერენციას დასწრებოდა ფენიქსში, არიზონას შტატში. მისი ფინანსური შესაძლებლობა სასტუმროს ნომრის დაქირავების საშუალებას არ იძლეოდა, ამიტომ სხვა თერთმეტ სტუდენტთან ერთად ორ საძინებლიან ბინაში ცხოვრობდა.

კონფერენციაზე განსაკუთრებული შესაწირი შეგროვდა. ლიდერმა დამსწრეებს ლოცვისკენ მოუწოდა, სანამ რაიმეს გაიღებდნენ. მაიკმა უფლის ხმა გაიგონა:

– გაიღე 200 დოლარი.

მაიკმა გააპროტესტა:

– ღმერთო, ამის მეტი ფული არც მაქვს.

უფალმა რბილად უთხრა:

– მეტის გაღებას არც გთხოვ!

მაიკი დაემორჩილა და მთელი თავისი ფული შესწირა. ღმერთმა ასევე მისცა მითითება, რომ ყოველ თვე მეათედზე ასი დოლარით მეტი გაეღო დარჩენილი წლის განმავლობაში.

მალე ღმერთმა მას *სტრატეგიული იდეები* მიაწოდა. შედეგად, მისი ახალი ბიზნესი სწრაფად გაიზარდა. მომდევნო წელს მაიკმა გულში იგრძნო, რომ ცათა სამეფოს მშენებლობისთვის მეათედს ზევით კიდევ 400 დოლარი უნდა გაეღო.

ერთი წლის შემდეგ ეს რაოდენობა თვეში 1000 დოლარამდე გაიზარდა. კიდევ ერთი წელი გავიდა და მაიკი თვეში უკვე 4•000 დოლარს სწირავდა, მომდევნო წელს მეათედის გარდა 10•000 დოლარი გაიღო.

ამ დროისთვის მაიკმა ღმერთს სთხოვა, რომ ცათა სამეფოს შენებისთვის 10 მილიონის გაღების უნარი მიეცა. ეს თითქოს უზარმაზარი სათხოვარი იყო და წარმოუდგენელი ჩანდა, მაგრამ იგი მტკიცე იყო თავის რწმენასა და ლოცვაში. მიუხედავად ამისა, გაოგნებული დარჩა იმით, რაც გულში მოისმინა: „შვილო, რატომ გინდა შემზღუდო?“ ამრიგად, მაიკმა ყოველგვარი საზღვრები მოხსნა და უფრო მეტის მიღება ირწმუნა. გარკვეული დროის შემდეგ მის მიერ გაღებულმა თანხებმა სწრაფი ზრდა დაიწყო.

მომდევნო წელს მან მეათედის გარდა თვეში 17•000 დოლარის შეწირვა შეძლო. მომდევნო თვეს თანხა 25• 000 დოლარამდე გაიზარდა, შემდეგ 40•000, მომდევნო თვეს კი 50•000 დოლარი გახდა. საბოლოოდ, მაიკი ცათა სამეფოს მშენებლობისთვის თვეში 100•000 დოლარს გასცემდა. როცა უკანასკნელად ვკითხე ამ საქმეში წინსვლის შესახებ, მეათედის გარდა მისმა შენატანმა 150•000 დოლარს მიაღწია!

მაიკი ძალიან კარგად ცხოვრობდა თავისი შემოსავლის მხოლოდ 10-დან 15 %-მდე თანხით. დიახ, სწორად წაიკითხეთ. იგი წლიური შემოსავლის 85-90 პროცენტს გასცემს. მაიკი თავის წარმატებას ბიბლიის შესწავლას, ლოცვისას ღვთის სიტყვის მოსმენას და სულიერად მასზე მოწიფული ადამიანებისგან სწავლას უკავშირებს.

როცა საქმე გამრავლებაზე მიდგება, სიტყვა *გაღებას* ვერ უგულებელყოფთ, რადგან ის საკვანძო ელემენტია. ფინანსების სპეციფიურ სფეროში ბევრი კეთილი განზრახვით მორწმუნე *შესაწირავს* ასეთ ჭრილში უყურებს: *რა შემიძლია დავთმო სხვებისთვის?* ეს კეთილშობილური და ღვთიურია, მაგრამ თუ ეს ერთადერთი პერსპექტივაა, ის არასრულყოფილია. ნება მომეცით, აგიხსნათ.

პირველი, დადებითი კუთხით, ღმერთმა გულებში ჩაგვიდო მისი ხალხის მიმართ სიყვარული; ეს უანგარო *გაღებისა* და *მსახურების* შინაგან სურვილს წარმოშობს. ნებისმიერი გაღება ამ უპირატესმა სურვილმა უნდა წარმოშვას. თუმცა გონიერი დამფინანსებელი გაღებას არა მარტო სიყვარულისა და მსახურების ნიჭად მიიჩნევს, არამედ გარკვეულ იარაღადაც. დაბანდება გაზრდის მიზნით, ნიშნავს რესურსის სრულად მოხმარებისგან თავის შეკავებას. ეს განსაკუთრებით ფინანსებს ეხება. ამჟამად მისი დახარჯვისგან თავი უნდა შეიკავოთ, რომ გასაზრდელად დააბანდოთ.

მე და ლიზამ რამდენიმე წლის წინ მიწის ორი გასაყიდი ნაკვეთი ვიპოვეთ. მივხვდით, რომ იმჟამად მას დაბალი ფასი ჰქონდა, მაგრამ მალე აიწევდა. მათ შესაძენად გარკვეული ნაღდი ფული გვქონდა და გადავწყვიტეთ პირად ხარჯებზე უარი გვეთქვა, რომ თანხა კიდევ უფრო გაზრდილიყო. ნაკვეთები იმაზე კარგი გამოდგა, ვიდრე ველოდით და სულ რაღაც ორ წელიწადში ჩვენი ინვესტიცია გაორმაგდა. შედეგად ჩვენი ნაღდი ფული ორჯერ გაიზარდა ორ წელიწადში. ახლა უფრო მაღალ საფეხურზე დაბანდების საშუალება გვაქვს.

იესომ თქვა, რომ ცათა სამეფოში დაბანდებისთვის, ჩვენ „მრავალგზის მეტს მივიღებთ ამ დროში“ (ლუკ. 18:29-30). მას არ უთქვამს, „*მომავალ* ცხოვრებაში“, არამედ „ამ დროში“. მე და ლიზას სიხარულის ჟრუანტელი გვივლიდა ნაკვეთებში დაბანდებული თანხის გაორმაგების გამო, მაგრამ რასაც იესო ამბობს, ამასთან ახლოსაც ვერ მოვა; უზარმაზარი განსხვავებაა *გაორმაგებასა* და *მრავალგზის მეტს* შორის. რა პოტენციალიც დაბანდებას აქვს, ის *მრავალგზის* გამრავლდება? მაიკის ცხოვრება ამ ჭეშმარიტების მოწმობაა.

პავლე მოციქული გაღებას თესლის თესვას ადარებს. მართალია მოსავალი სხვადასხვა პირობებზეა დამოკიდებული, მაგრამ საშუალოდ, თუ ხორბლის ერთ მარცვალს არ შეჭამთ და ნიადაგში ჩათესავთ, ას მარცვალზე მეტს მიიღებთ. ეს *მრავალგზის მეტის* კატეგორიაში ხვდება. სწორედ ამიტომ გვეუბნებიან: „ზოგი ხელგაშლილია, მაგრამ გამუდმებით ემატება, ზოგი ხელმოჭერილია, მაგრამ მაინც უჭირს“ (იგ. 11:24). როცა საქმე გაღებას შეეხება, სოლომონი, იესო და პავლე ამ ჭეშმარიტებას ხაზგასმით არ აღნიშნავდნენ, თუ მორწმუნეებს ზრდასა და გამრავლებაზე ფიქრის თავიდან მოშორება სჭირდებათ.

მაიკის გადაწყვეტილებას, რომ თავისი შემოსავლის მხოლოდ 10-15 %-ით ეცხოვრა, ადამიანთა უმეტესობა სიყვარულის მსხვერპლად ჩათვლიდა, თუმცა ჩემი მეგობარი უფრო ფართომასშტაბიან სურათს ხედავს. იგი ღვთის სიბრძნით არის სავსე მის გულში დამკვიდრებული ორი ათასი ბიბლიური მუხლითურთ და ამგვარ დამოკიდებულებას არა მარტო სიყვარულის აქტად, არამედ დაბანდებადაც მიიჩნევს.

იგი ანალოგიურად ხედავს, როგორც მე და ლიზა ვუყურებდით მიწის ორი ნაკვეთის შეძენას. მას რესტორნის მფლობელი ოჯახისგან განსხვავებული ხედვა როდი აქვს. ისინი მთელი შემოსავლის დახარჯვის ნაცვლად მის მოზრდილ ნაწილს მეტი შენობების შეძენის, პერსონალის დაქირავების, მეტი საკვების ყიდვის და ბიზნესის გასაზრდელად საჭირო სხვა საქმეებში იყენებენ. თუ ყველაფერი კარგად წარიმართება, მათ საბოლოოდ, ხუთი რესტორანი ექნებათ და ხუთჯერ მეტ შემოსავალს მიიღებენ. შედეგი: მათ გაცილებით მეტი ადამიანის კურთხევის შესაძლებლობა ექნებათ, ვიდრე ერთი რესტორნის ფლობის პირობებში ექნებოდათ.

მაიკს გაღება დაბანდების გარდა სხვა რამედ რომ ჩაეთვალა, ვერ მიაღწევდა მისი მნიშვნელობის ძირეულ გაგებას. სწორედ

ამაზე მიანიშნებს ტალანტების იგავი. „ხუთი ტალანტის მიმღები მაშინვე წავიდა, იშრომა და დამატებით ხუთი მოიგო“ (მათ. 25:16). ის განსაკუთრებულ ყურადღებას *მოგებაზე* ამახვილებს, რომ თვალსაჩინო გახდეს, რა გზით გაამრავლა ტალანტები.

გამრავლების კიდევ ერთი იგავი

მოდი, გამრავლების საილუსტრაციოდ კიდევ ერთ იგავს გადავხედოთ:

> „ამას რომ ისმენდნენ, ერთი იგავიც დაურთო, რადგან ახლოს იყო იერუსალიმთან და ეგონათ, ღმერთის სამეფო ახლავე გამოჩნდებაო“. (ლუკ.19:11)

ძალიან მომწონს ამ იგავის შესავალი. ადამიანები მოელოდნენ, რომ იესო მეფობას გამოაცხადებდა და მათ რომაელი დამპყრობლების ჩაგვრისგან იხსნიდა. იგი ხალხის შეხედულებას ასწორებს ზუსტი თვალსაზრისის მიწოდებით – მას სურს, რომ ღვთის სამეფო მისი წასვლის შემდეგ ვაშენოთ. როგორ უნდა მივაღწიოთ ამას? *დაბანდების* მეშვეობით. მოისმინეთ ამბავი:

> „ამის გამო თქვა: „წავიდა ერთი კეთილშობილი კაცი შორეულ ქვეყანაში, რომ მეფობა მიეღო და უკან დაბრუნებულიყო. მოუხმო თავის ათ მონას, მისცა ათი მინა და უთხრა, ვიდრე დავბრუნდებოდე, *ივაჭრეთო*“. (ლუკ.19:12-13)

მათეს ამბის მსგავსად, აქაც გვეუბნებიან, რომ „ვივაჭროთ“. სიზარმაცე არ უნდა გამოვიჩინოთ ჩვენთვის მინდობილთან დაკავშირებით, არამედ *ბეჯითად* და *გონივრულად* უნდა ვიშრომოთ.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი იგავი ერთმანეთს ჰგავს, მათ შორის მაინც არის განსხვავება. მოდი, გამოვიკვლიოთ, რა გამოარჩევს მათ. პირველი, მათე სამ მონაზე ლაპარაკობს, ხოლო ლუკა ათ მონას ახსენებს. მეორე, მათეს იგავში თითოეულს განსხვავებული ოდენობის ვერცხლი დაურიგდა, ხოლო ლუკას იგავში ყველას თანაბრად ერგო – ათი მინა. მესამე, მათეს ამბავში ლაპარაკი იყო სამოცდათხუთმეტი ფუნტის წონა ვერცხლზე, ხოლო ლუკას სახარებაში ფულის ერთეულზე. ამ ორი იგავის შედარებით დავრწმუნდი, რომ მათეს სახარებაში ლაპარაკია

ნიჭებზე, რომლებიც არათანაბრად ნაწილდება, ხოლო ლუკას იგავი ასახავს იმას, რასაც ღმერთი ყოველ მორწმუნეს თანაბრად უნაწილებს – საფუძველჩამყრელი რწმენა, ღვთის სიყვარული, ღვთის სიტყვა, ჩვენი აღთქმებიდან მომდინარე კურთხევები და ასე შემდეგ. მიუხედავად ამისა, მათში მოცემული პრინციპები ერთნაირია. მოდი, ამბავი გავაგრძელოთ:

„მეფობა რომ მიიღო და უკან დაბრუნდა, ბრძანა მოეგვარათ მისთვის ის მონები, ვერცხლი რომ მისცა, რათა გაეგო, ვინ როგორ ივაჭრა. მოვიდა პირველი და უთხრა: ბატონო, შენმა მინამ ათი მინა მოიგო. უთხრა მას: კარგი, კეთილო მონავ, რაკი მცირედზე *ერთგული* იყავი, ათ ქალაქზე გქონდეს ხელმწიფებაო“. (ლუკ.19:15-17)

აქ რამდენიმე პუნქტის გამოკვეთა შეიძლება. პირველი, მონამ დააბანდა ის, რაც მიცემული ჰქონდა. მეორე, ის *ბეჯითად* და *გონივრულად* შრომობდა, რამაც შედეგად ათმაგი გამრავლება მოიტანა. *გონივრული* მუშაობა ღვთიურ სიბრძნესთან შეერთებას ნიშნავს და ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ჩემი მეგობარი მაიკივით ღვთის რჩევას უსმენთ. მესამე, *გამრავლება* კიდევ ერთხელ უკავშირდება *ერთგულებას*. აქ სხვა მოქმედება ან სათნოება ნახსენები არ არის, რადგან ღვთის თვალში ერთგულება გამრავლებას ნიშნავს. და ბოლოს, მონების მარადიული საზღაური მათ მიერ წარმოებული გამრავლების პროპორციულია – პირველ მონას ათი ქალაქის მართვა არგუნეს.

მოდი, ახლა მეორე მსახურს გადავხედოთ:

„მოვიდა მეორე და უთხრა: ბატონო, შენმა მინამ ხუთი მინა მოიტანა. მასაც უთხრა: შენ ხუთ ქალაქზე დადექიო“. (ლუკ.19:18-19)

ამ მონამ არა ათჯერ, არამედ ხუთჯერ გაამრავლა. მისი საუკუნო საზღაური დაბანდების დონემ განსაზღვრა – ხუთი ქალაქი და არა ათი. რატომ არ გაამრავლა მან ათჯერ როგორც პირველმა მონამ? ნუთუ ღვთის რჩევას გულისყურით არ უსმენდა? იქნებ შესაძლებლობები ხელიდან გაუშვა? იქნებ შუა ხნის ასაკში მიღწეულით დაკმაყოფილდა, როგორც პირველ თავში ნახსენები სტენი აპირებდა? ჰქონდა თუ არა მას პენსიაზე გასვლის შემდგომ მოსვენების აზროვნება?

რამდენიმე წლის წინ ლიდერობის კონფერენციაზე გამრავ-ლების შესახებ ვილაპარაკე. კალიფორნიის კომერციული უძრავი ქონების ერთ-ერთი მოწინავე დეველოპერი, რომელსაც ცათა სასუფევლის საქმეში უკვე მილიონობით თანხა ჰქონდა გაღებული, ქადაგების შემდეგ ჩემთან მოვიდა. შევნიშნე, რომ მოსმენილით გაოგნებული იყო, მაგრამ გონებაც განათებოდა. მან თქვა;

– ჯონ, მიღწეული წარმატების გამო მყუდრო ნავსაყუდელში გაჩერების აზრები მეპარებოდა. ძალიან ადვილია ასე მიდგომა, მაგრამ ახლა ჩემს შეცდომას ვხედავ. წინსვლისას უფრო მეტად კონცენტრირებული და გულმოდგინე ვიქნები იმის გამრავლება-ში, რაც ღმერთმა მომცა.

შესაძლებელია, რომ მისმა მონანიებამ ხუთჯერ გამამრავ-ლებლიდან ათჯერ გამამრავლებლის პოზიციისკენ შეცვალა ამ ბიზნესმენის მიმართულება.

რას ვიტყვით მესამე მონაზე?

„სხვა მოვიდა და უთხრა: ბატონო, აჰა, შენი მინა, რომელიც ხელსახოცში მქონდა გამოკრული, შემეშინდა, რადგან მკაცრი კაცი ხარ - იღებ, რაც არ დაგიდევს, და იმკი, რაც არ დაგითესავს. უთხრა მას: შენივე ნათქვამით განგიკითხავ, ბოროტო მონავ. იცოდი, რომ მკაცრი კაცი ვარ - ვიღებ, რაც არ დამიდევს და ვიმკი, რაც არ დამითესავს. მაშ, რატომ არ მიეცი ჩემი ვერცხლი მოვაჭრეთ, რომ დაბრუნებულს სარგებლითურთ მიმეღო უკან?“ (ლუკ.19:20-23)

მათეს იგავის მსგავსად, ამ მონასაც ორი მნიშვნელოვანი ნაკლი ჰქონდა. პირველი, მას ეშინოდა, და მეორე, არ იცნობდა თავის ბატონის ბუნებას. ეს ამბავი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ღვთისგან მოცემულის *შენარჩუნება* არ არის *ერთგულება*, არამედ *ბოროტება*. ყურადღება მიაქციეთ, რომ მეფე განრისხდა. მიზეზი სიზარმაცის დამოკიდებულება იყო და გამოხატა კიდეც! ამაზე ფიქრმა უნდა გამოგვაფხიზლოს.

ამის შემდგომ მომხდარი მხოლოდ აძლიერებს მათეს აღწერილობიდან გაკეთებულ დასკვნას.

„და უთხრა იქ მდგომთ: წაართვით ამას მინა და მიეცით ათი მინის მქონეს. მათ უთხრეს: უფალო, მას ისედაც ათი მინა აქვს. გეუბნებით თქვენ, რომ ყოველ მქონეს კიდევ

მიეცემა, ხოლო უქონელს ისიც წაერთმევა, რაც აქვს“. (ლუკა 19:24-26)

კიდევ ვიმეორებ, რომ ღმერთი არ არის სოციალისტი შემოქმედი, არმედ მისი აზროვნება უფრო „კაპიტალისტურია“. იესომ მიზანმიმართულად მიუთითა, რომ იქვე მდგომებმა გააპროტესტეს, რადგან პირველ მონას უკვე ჰქონდა ათი მინა. ბატონმა მათ „თანასწორობის“ აზროვნება შემდეგი განცხადებით შეუსწორა: „ყოველ მქონეს კიდევ მიეცემა“ და საპირისპიროდ, „ვინც მხოლოდ *ინარჩუნებს*, ის მცირედიც წაერთმევა, რაც ჰგონია, რომ აქვს“.

საოცარი და შემაძრწუნებელი რეალობა ის გახლავთ, რომ მაიკის მსგავსად თუ არ მოვიქცევით და დროის დიდ ნაწილს ღვთის სიტყვასთან მოზიარეობაში არ გავატარებთ, ადვილად შევცვლით ღვთის ბუნებას იმ გარემოს შესაბამისად, რომელშიც ვცხოვრობთ. ეს შეიძლება მოხდეს საზოგადოების ფილტრით, ჰოლივუდის ფილტრით, ინსტაგრამის ფილტრით, ახალი ამბების ფილტრით, მკაცრი მამის ან ლეგალისტური დამოკიდებულების ფილტრით და სხვა ცხოვრებისეული გამოცდილების ან სოციოლოგიური აზროვნების ფილტრით, რომელიც მოგვწონს ან არ მოგვწონს. როცა ვიცნობთ ღმერთს და მის სიტყვასთან ახლოს ვართ, ადვილად ვადგენთ ამ ყალბ ფილტრებს.

ყველანი მოწოდებული არიან გაღეგისთვის

მაიკს *გაღების ნიჭი* ჰქონდა და ამ საქმეში აღმატებული იყო. და მაინც, ყველანი *გამღებები* უნდა ვიყოთ.

ამის ნათელყოფისთვის ნება მომეცით, ხსენებული საკითხი იესოს დავალებას შევადარო, რომელიც მთელი ქვეყნიერებისთვის სახარების ქადაგებაში მდგომარეობდა (იხ. მარკ.16:15-16). ეს დავალება ყველა მორწმუნეს მიეცა. ყველა ჩვენგანი ელჩები უნდა ვიყოთ და დაღუპულ ადამიანებს სახარება გავუზიაროთ. იგივეს მოიცავს პავლეს სიტყვები. „აკეთე მახარებლის საქმე“ (2ტიმ.4:5), რაც ყველა მორწმუნეს ეხება.

არსებობს უნიკალური საქმე შესაბამისი უნარებითურთ, რომელსაც *მახარებლობა* ჰქვია. პავლე წერს: „და მან მოგვცა ... *ზოგნი მახარებლებად* (ეფეს.4:11). არა ყველა, არამედ ზოგიერთები არიან მოწოდებული ამ საქმეზე. ეს ნიჭი სულების სამკალის მოტანაში აღმატებულია. საქმეთა წიგნში ფილიპეს – და არა ყველა მორწმუნეს – მახარებელს უწოდებენ (იხ.

საქმ. 21;8). ბილი გრემი, თ.ლ. ოსბორნი და რეინჰარდ ბონკე ღვთივბოძებული ნიჭის მქონე მახარებლები იყვნენ. თითოეულმა მათგანმა თავის გუნდთან ერთად ათეულ მილიონობით სული მოიპოვა. მათ გაამრავლეს ღვთის ნიჭი, რაც სრულიად არ განსხვავდება მაიკის და დანარჩენების დამოკიდებულებისგან, რომლებიც ადრე ვახსენე.

ჩვენც ზუსტად ასევე ვართ მოწოდებული, რომ გავიღოთ, თუმცა ზოგიერთებს ამის განსაკუთრებული *ქარიზმა* აქვთ. ისინი სხვებზე აღმატებული არიან გაღების საქმეში, როგორც მახარებლები არიან სულების მოპოვებაში. ვინაიდან ფინანსური საშუალებების გაღება გამრავლების მნიშვნელოვანი ასპექტია, ამ თავის დარჩენილ ნაწილში მინდა ყურადღება იმაზე გავამახვილო, რისთვისაც ყველანი მოწოდებული ვართ – ვამრავლოთ ფინანსური გაცემის სფეროში.

მსახურების ორმოცი წლის მანძილზე ორი უკიდურესობის მომსწრე გავხდი, რაც ფინანსებს და მათ გაღებას შეეხება. ეს უკიდურესობები მეტისმეტად დიდ გავლენას ახდენს ეკლესიის მორწმუნეებზე და ჩემი წრფელი სურვილია, რომ მდგომარეობა შეიცვალოს. პირველი, არიან ისეთები, რომლებიც გასცემენ, რომ მიიღონ; მათ უფრო მეტი სურთ ეგოისტური მიზნებისთვის. თუ ობიექტურები ვიქნებით და ყველაფერს თავის სახელს დავარქმევთ, ამ განზრახვას ერთი სიტყვით დავახასიათებთ – *სიხარბე*.

სამწუხაროა, რომ ამ მცდარმა აზროვნებამ ხელი შეუწყო მეორე უკიდურესობის წარმოშობას (ქანქარის მეორე მხარეს გადახრა). ეს იმ ადამიანებს ემართებათ, რომლებიც მაიკისგან განსხვავებით ღვთის სიტყვის სრულ რჩევას არ ითვალისწინებენ. ისინი ვერ იტანენ ნებისმიერ სწავლებას, რომელიც ფინანსურ გაღებაში ადამიანების რწმენას განამტკიცებს. ეს დამოკიდებულება სხვათა მიმართ უკიდურეს უკმაყოფილებას წარმოშობს. არსებითად, ამ იდეის მომხრეები აფერხებენ როგორც საკუთარ, ისე მათი მსმენელების ეფექტურობას. შედეგად სახარების საერთო საქმე ბრკოლდება.

იესოსკენ მოქცევის შემდეგ მე და ლიზა თავიდანვე იმ ეკლესიის წევრები ვიყავით, რომლებიც გაღებაზე მყარად ასწავლიდნენ. ეს 1980-იან წლებში იყო და იმ დროს ბევრი უფრო საკუთარ თავზე ფიქრობდა, ვიდრე მისიონერულ მსახურებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ეკლესიაში, ძირითადად, სწორად ასწავლიდნენ, ხასიათის ნაკლოვანების გამო ადამიანების უმეტესობა დიდი სახლების, ძვირფასი მანქანების, საუკეთესო

დასვენებებისა და სხვა ნარცისული სურვილების წარმომშობ ზრახვებს დანებდა. მათი მიზნები არაფრით განსხვავდებოდა მრავალი ურწმუნოს ცხოვრების წესისგან გარდა იმისა, რომ ბიბლიური ფორმულირება ჰქონდა. მე და ლიზა თავიდანვე მივხვდით, რომ წონასწორობა დარღვეული იყო, მაგრამ მისი დასახელება არ შეგვეძლო.

გულწრფელად უნდა ვთქვათ, რომ ამ გარემოში ყოფნის შემდეგ გარკვეული შინაგანი განწმედა და მომწიფება დაგვჭირდა, რომ გაღება სრულ სინათლეზე დაგვენახა. ბოლოს ეკლესიის ლიდერი ცდუნებას დანებდა და ყველაფერი დაკარგა. ამ შედეგის ნახვის შემდეგ მეორე უკიდურესობაში ჩავარდნის საცდური მოვიდა, მაგრამ მტკიცედ გადავწყვიტეთ, რომ გამოცდილებაზე მეტად ღვთის სიტყვა გვერწმუნა.

ამ ეკლესიის მიერ საკუთარ მსახურებაზე გაშვებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ღმერთთან შეხვედრამ თვალი ამიხილა. მსახურებაზე ქადაგებისთვის მზად ვიყავი, როცა სულიწმიდამ მკითხა,

– შვილო, იცი რა არის *რელიგიური სული*?

ამის შესახებ წამიკითხავს, მილაპარაკია, სხვებისგან მომისმენია და დამიწერია კიდეც ლეგალისტური აზროვნების წესზე, მაგრამ როცა ეს კითხვა მოვისმინე, მაშინვე მივხვდი, რომ რაღაც არ ვიცოდი და ვიკითხე:

– არ ვიცი. სხვა შემთხვევაში არ მკითხავდი. რა არის ეს?

გავიგონე სულიწმიდის პასუხი:

– რელიგიური სული არის ადამიანის მიერ ჩემი სიტყვის გამოყენება მისი სურვილის შესასრულებ-ლად. პიროვნება არ ითვალისწინებს ჩემს მითითებებს, რომ ჩემი გულის წადილი მისთვის უპირატესი იყოს. ის ჩემს სიტყვას საკუთარი სარგებლობისთვის იყენებს. ამ სიტყვებმა კატალიზატორის როლი შეასრულა ჩემს შინაგან კაცში საჭირო რეგულირებისთვის იმ ტოქსიკური გარემოდან გამომდინარე, რომელშიც ვიმყოფებოდი. სულიწმიდის ამ სი-ტყვამ გამიცხადა, რომ შეგვიძლია გავცეთ და სარგებელიც კი მივიღოთ, მაგრამ ეს არასწორი მოტივით ვაკეთოთ. ღვთიური კანონები სასარგებლოა, თუნდაც ჩვენი ზრახვები არასწორი იყოს.

პავლე მოციქული მიწათმოქმედებას გაღების სამაგალითოდ იყენებდა, ნება მომეცით, მეც ასე მოვიქცე. ფერმერი თესლს ერთი მიზნით თესავს: მოაგროვოს მთელი მარცვლეული. იგი ნებისმიერი საჭმელად ვარგისი საკვებისთვის უფრო დიდ

ბეღლებს აგებს. „და ვეტყვი საკუთარ თავს: ჩემო თავო, ბევრი სიკეთე გაქვს დაგროვილი, მრავალი წლის საკმარი; მოისვენე, ჭამე, სვი და იმხიარულე“ (ლუკ. 12:19).

ღვთის პასუხი ასეთია: „უგუნურო!“ (მ. 21). თესვა-მკის პრინციპმა იმოქმედა ამ კაცისთვის, მიუხედავად იმისა, რომ იესოს სიტყვის თანახმად, ხარბი იყო.

მეორე მხრივ, სხვა მიწათმოქმედი, ალბათ, სხვა ადამიანების დახმარებას და დაპურებას მოინდომებდა. ეს უკანასკნელიც იგივე მოსავალს აიღებდა, მაგრამ მისი რეაქცია სხვანაირი იქნებოდა. ის გულში იტყოდა: „ოჰო, არა მარტო მე გამოვიკვებები, არამედ სხვებსაც დავეხმარები, რომ თემი უფრო ძლიერი და ჯანმრთელი იყოს! ახლა სიუხვის გამოჩენა შემიძლია!“

თესვა-მკის პრინციპი ორივე კაცისთვის თანაბრად მოქმედებს. სასაცილო იქნებოდა, ადამიანებს თესვა და მოსავლის აღება რომ შეეწყვიტათ პირველი კაცის სიხარბის გამო. და მაინც, ბევრი ადამიანი ასე იქცევა ღვთის სამეფოსთვის გაღების საქმეში.

მოდი, უფრო მეტად ჩავუღრმავდეთ პავლეს სიტყვებს. ის ასე იწყებს:

> „ამიტომ საჭიროდ ჩავთვალე მეთხოვა ძმებისთვის, რომ წინასწარ მოსულიყვნენ თქვენთან და გაემზადებინათ თქვენგან უკვე აღთქმული *ძღვენი*, რათა მზად ყოფილიყო როგორც კეთილი ნების და არა როგორც ნაძალადევი *საჩუქარი*“. (2 კორ. 9:5)

ეჭვგარეშეა, პავლე ფინანსურ ნიჭზე ან შესაწირზე ლაპარაკობს. იგი მიწათმოქმედების პრინციპს მიმართავს საილუსტრაციოდ, თუ რას აკეთებს ღმერთი მათთვის, რომლებიც გაიღებენ:

> „იმასაც გეტყვით, რომ ვინც ძუნწად თესავს, ის ძუნწად მოიმკის, ხოლო ვინც უხვად თესავს, ის უხვად მოიმკის“. (2 კორ. 9:6)

თუ ჩვენი ერთადერთი მოტივი ხალხის დახმარებაა, რატომ ლაპარაკობს პავლე შესაწირიდან მიღებულ მოსავალზე? ნუთუ შეცდომაა გამრავლების მეორადი მიზნის ქონა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის ცათა სამეფოს ცხოვრების შენების უმთავრესი მიზნის ანთებას და ზრდას უწყობს ხელს? იქნებ პავლე მოციქული კორინთოს ეკლესიის ახალ მორწმუნეებს ზრდიდა, თუ

როგორ გაემრავლებინათ თავიანთი ეფექტურობა, როგორც იესომ გადმოგვცა ტალანტების იგავში? ხომ არ სთხოვს მათ თანაგრძნობის გამოჩენას, ამავდროულად კი დაბანდებასაც ასწავლის უფრო დიდ კურთხევად ქცევის მიზნით? ვფიქრობ, ეს იყო პავლეს მოტივი, რადგან ამაზე გაგრძელება მეტყველებს:

> „თითოეულმა გაიღოს ისე, როგორც გულით განეწყო, არც მწუხარებითა და არც ძალდატანებით; ვინაიდან ღმერთს სიხარულით გამცემი უყვარს; ღმერთს კი ძალუძს სიუხვე მოგცეთ ყოველგვარ მადლში, რათა ყველაფერში *ყოველივეს საკმარისად მქონენი, უხვნი იყოთ ყოველი კეთილი საქმისთვის*“. (2 კორ.9:7-8)

ყურადღება მიაქციეთ, რომ ორი რამ უნდა შესრულდეს. პირადი საჭიროებები უნდა დაკმაყოფილდეს, მაგრამ პავლე ხაზგასმით აცხადებს, რომ ნამეტი სხვებს უნდა გაუზიარონ. სიუხვის უნარი გვიმრავლდება, რადგან დავაბანდეთ ანუ თესლი დავთესეთ. ეს მოტივი კიდევ უფრო ძლიერდება:

> „ხოლო ის, ვინც თესლს აძლევს მთესველს და პურს — საჭმელად, მოგცემთ და *გაამრავლებს თქვენს თესლს* და გაზრდის თქვენი *სიმართლის ნაყოფს*, რათა ყველაფერში გამდიდრდეთ *ყოველგვარი ხელგაშლილობისთვის*“. (2 კორ. 9:10-11)

პავლე ხაზგასმით აცხადებს, რომ გაღების მეშვეობით ღმერთი თქვენს რესურსებს გაზრდის. ეს ყოველგვარი ხელგაშლილობის შესაძლებლობას მოგცემთ. ხსენებული ჭეშმარიტება მხოლოდ იმ ადამიანებისთვის არ არის განკუთვნილი, რომლებსაც ფინანსური გაღების განსაკუთრებული ნიჭი აქვთ. ის ყველა მორწმუნისთვისაა. ღმერთმა ეს სულიერი კანონი კარგა ხნის წინ დაადგინა.

როცა მე და ლიზამ მსახურება დავიწყეთ, ჩვენი შემოსავალი წელიწადში 18 000 დოლარი იყო. გადასახადებს ძლივს ვიხდიდით. მახსოვს პირველი შობა მსახურებაში ყოფნისას. რამდენიმე დოლარის დაზოგვა მოვახერხეთ, რომ მასალა გვეყიდა და სახლში დამზადებული საჩუქრების პატარა კალათები აგვეწყო. სხვა არაფრის შეძენის საშუალება არ გვქონდა.

რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენმა პასტორმა განსაკუთრებული შესაწირის შესახებ გამოაცხადა. მე და ლიზას გვინდოდა მასში

მონაწილეობის მიღება. ღმერთი დაგველაპარაკა:

– გაიღეთ 1000 დოლარი.

ორი წლით ადრე ფულის გადანახვა დავიწყეთ, რომ პატარა სახლის პირველადი შენატანი შეგვეგროვებინა. იმ დროისთვის 1800 დოლარი გვქონდა. სულ ეს იყო, რაც შევძელით. არც საპენსიო დანაზოგი გვქონდა, არც რაიმე ინვესტიცია ან ანაბარი, რომ გაჭირვებისას გამოგვეყენებინა. თუ ამხელა თანხას გავიღებდით, სახლში მხოლოდ 800 დოლარი დაგვრჩებოდა. ჩანდა, რომ ჩვენი წლების ნაგროვები თანხა მხოლოდ ამ ერთი შესაწირით მნიშვნელოვნად შემცირდებოდა და მომავალი წლებიც სახლის შენატანისთვის საკმარისი თანხის მოსაგროვებლად იქნებოდა საჭირო. მიუხედავად ამისა, მაინც გავიღეთ ხსენებული თანხა, რადგან სხვებზე სასიკეთო გავლენის მოხდენაში მონაწილეობის მიღება გვინდოდა. ასევე ვცდილობდით უფრო ხელგაშლილები ვყოფილიყავით. წერილიდან ვიცოდით, რომ გაღების უნარის გაზრდა მხოლოდ იმ მცირედის გამრავლებით შეიძლებოდა, რაც ხელთ გვქონდა.

წლები გადიოდა და კალათებზე მეტი საჩუქრებისა და 1000 დოლარზე მეტი შესაწირის გაცემა შევძელით. მარტო ამ წელს მისიებისთვის გავიღეთ პირველ დიდ შესაწირზე ორმოცდაათჯერ მეტი. გვინდა მეტ სიცოცხლეზე მოვახდინოთ გავლენა ყველა შესაძლო გზით. ღმერთმა ჩვენი შესაძლებლობა გაამრავლა და ხელგაშლილობის უნარი მოგვცა. TPT ბიბლია ამ ჭეშმარიტებას ლამაზად გადმოგვცემს:

> „ხოლო გულუხვი ღმერთი, ვინც თესლს აძლევს მთესველს და პურს - საჭმელად, მოგცემთ და გაამრავლებს თქვენს თესლს და *უზომოდ გაზრდის თქვენი სიმართლის ნაყოფს*. პირველი, იგი ყოველგვარ საჭიროებას აკმაყოფილებს და უფრო მეტსაც იძლევა. შემდეგ ის ამრავლებს თქვენს თესლს, რომ თქვენი ხელგაშლილობის მოსავალი გაიზარდოს. ყველაფერში გამდიდრდებით ყოველგვარი ხელგაშლილობისთვის“. (2 კორ.9:10-11)

ყურადღება მიაქციეთ, რომ იგი გულუხვია ჩვენს მიმართ. იგი გამიზნულად *ამრავლებს* ცათა სამეფოსთვის გაკეთებულ დაბანდებას, რომ *ჩვენი ხელგაშლილობა გაიზარდოს*. ამით ჩვენს ზეციურ ანგარიშს ვავსებთ, რომელსაც ვერც ჩრჩილი შეჭამს და ვერც ჟანგი დააზიანებს. მას ვერც ქურდები გატეხენ

და მოიპარავენ, თან ამ ანგარიშიდან სარგებლობა დედამიწაზე ცხოვრებისას შეგვეძლება. დიახ, არსებობს საუკუნო საზღაური, მაგრამ ჩვენი გულუხვობით ვქმნით ანგარიშს, რომელსაც აქაც გამოვიყენებთ. პავლემ ამის შესახებ ძალზე მკაფიოდ მისწერა ფილიპელ მორწმუნეებს.

> „არა იმიტომ, რომ მოსაკითხს ვეძებდე, არამედ ვეძებ ნაყოფს, რომელიც თქვენს სასარგებლოდ მრავლდება“. (ფილ. 4:17)

ისევე როგორც ზოგიერთებს აქვთ საბანკო, სააქციო და საინვესტიციო ანგარიშები, მორწმუნეებსაც აქვთ ზეციური ანგარიშები. ეს ანგარიში ძალას გვმატებს, რომ დედამიწაზე ცათა სამეფოს შენების ეფექტურობა გავამრავლოთ. რა მოხდება, თუ ყველა მორწმუნე გაიგებს, გააცნობიერებს და ირწმუნებს ამ სულიერ კანონს? სახარებით უფრო სწრაფად მოვიპოვებდით დაღუპულ ქვეყნიერებას ცათა სასუფევლისთვის! ნათელია თუ არა, რატომ ცდილობს სასუფევლის მტერი ყველა შესაძლო გზით ხელის შეშლას, რომ მორწმუნეებმა არ თესონ ფინანსური თესლი?

მე და ლიზას ახლო მეგობრები გვყავს ცოლ-ქმრის, ფილისა და დანას სახით, რომლებიც გამორჩეული გამღებები არიან. ისინი ცათა სამეფოსთვის თავინთი შემოსავლის, დაახლოებით, 50 პროცენტს გასცემენ. ამას წინათ ერთი მახარებლური მსახურებისთვის 100 000 დოლარი საჩუქრად გასცეს. ორი დღის შემდეგ სხვა მსახურებას სხვა მახარებლობისთვის 100 000 დოლარი შესწირეს. ეს კარგად ვიცი, რადგან მეორე მსახურება *მესინჯერ ინთერნეშნალი* გახლდათ.

ფილმა თავისი ბიზნესი წლების წინ წამოიწყო და ჩვეულებრივად უძღვებოდა – მასში არაფერი იყო აღმატებული. თუმცა ოცი წლის შემდეგ ფილმა და დანამ ღვთის წინაშე აღთქმა დადეს, რომ მსახურებას 250 000 დოლარს შესწირავდნენ მომდევნო სამი წლის მანძილზე. ეს სრულიად შეუძლებელი ჩანდა, მაგრამ მათ ღვთის ჩარევისთვის საკმარისი სივრცის დატოვება სურდათ.

ფილის ბიზნესი აყვავდა, მაგრამ მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რამდენად კარგად მისდიოდა საქმეები. სამი თვის შემდეგ გააანალიზა, რომ ანგარიშზე ზედმეტი 250 000 დოლარი ჰქონდა. ამიტომ, მან და დანამ გადაწყვიტეს, რომ აღთქმა დაუყოვნებლივ შეესრულებინათ და არ დალოდებოდნენ სამი წლის გასვლას. ფილმა ასე მითხრა:

– ჯონ, აი, როდის დაიწყო ჩვენთვის წარმოუდგენელი გაღების საფეხურები.

მაიკის მსგავსად, მათაც უარი თქვენს უკან დახევაზე. წინ მიდიოდნენ მაშინ, როცა დანებება გაცილებით ადვილი იყო. შედეგად, მათი ზეციური ანგარიში იმ დონემდე გაფართოვდა, რაზეც ვერც კი იოცნებებდნენ. არის ეს შესაძლებელი თქვენთვის და ჩემთვის? პავლე შთამბეჭდავად გვეუბნება:

> *„არასოდეს დაეჭვდეთ* ჩვენში მოქმედ ღვთის ძალაში, რომელიც ყველაფერს აღასრულებს. მას ჩვენს სათხოვარზე განუზომლად მეტის კეთება, ყველაზე დაუჯერებელი ოცნების ასრულება და ყველაზე გასაოცარი აზრის გადაჭარბება შეუძლია! იგი გაცილებით მეტს გააკეთებს, რადგან მისი სასწაულებრივი ძალა გამუდმებით გავსებთ“. (ეფეს. 3:20 TPT)

გარღვევა

წლების მსახურებამ მასწავლა, რომ გამოვიცდებით როგორც *ხარიზმაში,* ისე *ფინანსურ შესაწირში.* იქნება დრო, როცა არც ერთი გამომცემელი არ დაინტერესდება თქვენს წიგნზე საუბრით. ფაქტობრივად, ასე შეიძლება წლები გაგრძელდეს. უკვე შეწყვეტა გინდათ, რადგან ეს დიდ შრომას უკავშირდებოდა, წიგნი ყველგან მიიტანეთ და არსაიდან ჩანს რაიმე სახის ცვლილება. და მაინც, მორჩილებით აგრძელებთ. მოულოდნელად, *გარღვევა* მოდის.

ან ისეც ხდება, რომ გასცემთ შესაწირს და არაერთხელ, მაგრამ მოსავალი სწრაფად არ მოდის. ისე ჩანს, რომ ფინანსები ძლივს გყოფნით და მეტს ვერაფერს გააკეთებთ. შემდეგ ღმერთი გელაპარაკებათ როგორც მაიკს და ემორჩილებით, თუნდაც ეს შეუძლებელი გეჩვენებოდეთ. თქვენს ცხოვრებაში *გარღვევა* მოდის და გაღების სხვა სამყაროში გადადიხართ.

რა არის *გარღვევა*? Dictionary.com მას განსაზღვრავს როგორც „დაბრკოლების ან წინააღმდეგობის მოშორების ან დაძლევის აქტს, შემთხვევას“ წარმოიდგინეთ ასეთი სურათი: წყალს ჯებირი აკავებს. წყლის დონე თანდათან იმატებს ერთ მხარეს, მაგრამ ჯებირი შეურყეველი რჩება. მოულოდნელად, ჯებირზე ნაპრალი ჩნდება; მოკლე ხანში წყალი მთელი სიმძლავრით გამოხეთქავს. ახლა დაბრკოლება მოშორებულია და წყალი თავისუფლად მიედინება იქ, სადაც ადრე წინააღმდეგობას

აწყდებოდა. ეს გახლავთ გარღვევა.

მეფე დავითი აცხადებს: „ნიაღვარივით წალეკა უფალმა ჩემი მტრები ჩემივე ხელით!“ (1 ნეშტთ. 14:11). წყლის დონის აწევა და გადმოხეთქვა გახლავთ ჭეშმარიტებისადმი ჩვენი გამუდმებული მორჩილებისა და შემდეგ გარღვევის სურათი. თავისუფლად მომდინარე წყალი ნაყოფიერებასა და სიუხვეს წარმოადგენს.

რაც შეეხება ჩვენს მეგობრებს, ფილსა და დანას, პირველი 100 000-ის შეწირვის შემდეგ ფილმა მითხრა, რომ მათი ბიზნესში რეკორდული კვირა დადგა და მთელი 100 000 დოლარი და უფრო მეტიც მიიღეს უკან – მხოლოდ ერთ კვირაში. აი, როგორია გარღვევა. ეს დასაწყისიდანვე ასე არ ყოფილა. ისინი შესაწირავს რეგულარულად იძლეოდნენ, მაგრამ მოსავალი მაშინვე არ მიულიათ. წლების განმავლობაში გამუდმებული თესვის შემდეგ გარღვევა მოვიდა და მოსავალი თითქმის დათესვისთანავე მიიღეს.

ეს არის ამოს წინასწარმეტყველის სიტყვები: „აჰა, დგება დღეები, - ამბობს უფალი, - როცა მარცვლეული და ყურძენი იმაზე ჩქარა გაიზრდება, ვიდრე მათი მოსავლის აღების დრო დადგება“ (ამოს. 9:13). მეფე იაკობის თარგმანის ახალ ვერსიაში ეს ჭეშმარიტება მშვენიერი სურათის სახით გვევლინება:

> „აჰა, დგება დღეები, - ამბობს უფალი, - როცა
> მხვნელი წამოეწევა მომკელს და ყურძნის მწურავი
> - მთესველს; ტკბილ ღვინოს ჩამოწვეთენ მთები
> და ყველა ბორცვი *დადნება*“.

მომკელს ისეთი უხვი მოსავალი ექნება, რომ მთესველი თავისი საქმიანობით წამოეწევა.

ყურძნის მწურავები ჯერ კიდევ წინა სეზონის მტევნების წურვაში იქნებიან, როცა მხვნელი მომდევნო წლისთვის მიწის დამუშავებას დაიწყებს! საოცარია შედეგის ამსახველი სურათი. მხვნელებს, მომკელებსა და ყურძნის მწურავებს ღვინის დაწურვის სურვილი აერთიანებთ, მოუსმინეთ გამოცხადებულ შედეგს: „ტკბილი ღვინო იდინებს; არ შეწყდება მისი წვეთა და აღარ იქნება მოუსავლიანი წლები“ (ავტორის პარაფრაზი).

არსებობს მომენტი ჩვენს *ქარიზმასა* და *ფინანსების* გაცემაში, როცა ეს კონკრეტული მოვლენა ჩნდება. იგივე მოხდა როგორც მაიკის, ისე ფილისა და დანას ცხოვრებაში. რაც შეეხება *მესინჯერ ინთერნეშნალს*, უამრავი შეცვლილი ცხოვრების

მოწმობა გვინახავს წლების განმავლობაში დათესილი რესურსებიდან. ყურძენი იმაზე სწრაფად მოდის, ვიდრე მოსავლის აღებას ასწრებ!

ბევრი ადამიანი სწორედ მაშინ ნებდება, როცა გარღვევამდე სულ მცირე დროა დარჩენილი. ისინი წინააღმდეგობამ ან სასურველი შედეგის არქონამ დაძლია. მე და ლიზას ადვილად შეგვეძლო საღ აზრსა და ლოგიკას დავბრუნებოდით და ღვთის სულის ხმისთვის ყურადღება არ მიგვექცია. სულ მცირე, 5 000 დოლარი მაინც გვჭირდებოდა მეტად საჭირო სახლის პირველადი შენატანისთვის. ჩვენი ქალაქის ყველაზე კეთილმოწყობილი ბინები მხოლოდ ზრდასრულებზე ქირავდებოდა და ჩვილბავშვიანები არ უნდოდათ. შეგვეძლო ასე გვეფიქრა: „მოდი, ჯერ სახლი შევიძინოთ და შემდეგ დავიწყოთ თანხების გადანახვა. მომავალ მახარებლობაზეც შევძლებთ 1 000 დოლარის შეწირვას“. ამით სასუფევლისთვის დაბანდებისა და ჩვენი რესურსების ზრდის მთავარ შესაძლებლობას ხელიდან გავუშვებდით.

ამ ამბის გასაოცარი მხარე ის გახლავთ, რომ ექვსი თვის შემდეგ სასწაულებრივად მივიღეთ 5 000 დოლარი. ლიზამ ანაბარზე დაგროვებული თანხა მიიღო მამამისის გახსნილი ანგარიშიდან, რომლის შესახებაც არაფერი ვიცოდით. გარდა ამისა, ორმა პიროვნებამ 2 000 დოლარი მოგვცა, თუმცა ჩვენი საჭიროების შესახებ არაფერი გვითქვამს. ახალ სახლში ერთ წელზე ნაკლებ დროში შევედით. ეს სასწაულებრივი და ჩვენი რწმენისა და მოთმინებისთვის გაცილებით უმჯობესი გახლდათ, რადგან უფალი უზრუნველგვყოფდა მაშინ, როცა ეს „შეუძლებელი“ იყო. დარწმუნებული ვარ, ასე არ მოხდებოდა, ის 1 000 დოლარი რომ არ გაგვეცა სულიწმიდის მითითებისამებრ.

თემის განხილვის ამ მომენტისთვის უპრიანი იქნება ერთი გაფრთხილება: თვითდაიმედებით არ უნდა ვიმოქმედოთ. რას ვგულისხმობ? რჩევა ჩვენს უფროს პარტნიორს, სულიწმიდას უნდა ვთხოვოთ. იგი გვეუბნება: „მე ვარ უფალი, შენი ღმერთი, გასწავლი, რათა სარგებელი ნახო, იმ გზაზე წაგიძღვები, რომელზეც უნდა იარო“ (ეს.48:17). მგრძნობიარე სინდისის შენარჩუნებას (ადგილი, სადაც სულიწმიდა გონებას გვინათებს) და მისი მითითების დამორჩილებას გამორჩეული ადგილი უნდა ეჭიროს, რადგან ის ერთადერთია, ვისაც მოგების მისაღებად მივყავართ ჩვენი სამეფოსთვის დაბანდების საქმეში. იგი 1 000 დოლარს არ მოგვცემდა, წინასწარ რომ არ ეჩურჩულა მოთხოვნა ჩვენს გულებში.

ზოგიერთები მის რჩევას არ უსმენენ. სხვები მის რჩევას ვერ ისმენენ, რადგან მეტისმეტად ბევრჯერ უთხრეს „არა“. მათი სინდისი მგრძნობიარე აღარ არის. თუ თქვენს შემთხვევაშიც ასეა, მოინანიეთ და პატიება სთხოვეთ მისი ხმის უგულებელყოფისთვის. მგრძნობელობა მეყსეულად დაგიბრუნდებათ; იგი სწრაფია პატიებაში! ამის შემდეგ მოუსმინეთ მის შინაგან ბიძგს და გონების ხმას უფლებას ნუ მისცემთ, რომ უკან დაგხიოთ.

დაფიქრება

1. ღმერთმა ადამიანებისადმი მისი სიყვარული გულში ჩაგიდოთ და ამან *გაღებისა* და *მომსახურების* პოზიციაზე დაგაყენათ. რა გზებით ემსახურებით და გასცემთ სხვებისთვის? რა კრეატიული გზებით შეიძლება გაიზარდოთ გაღებისა და მომსახურების სფეროში?

2. გონიერი გამღები შესაწირს არა მარტო სიყვარულისა და მსახურების ნიჭად მიიჩნევს, არამედ *დაბანდება-დაც* თვლის. გაღებისა და მსახურების მეშვეობით თქვენი დაბანდებიდან რა სახის სარგებელს ელოდებით? როგორ შეიცვლება თქვენი დამოკიდებულება მსახურებისა და გაღების მიმართ, როცა მას დაბანდებად აღიქვამთ?

3. გამოიცდებით როგორც *ქარიზმის*, ისე *ფინანსური გაღების* მხრივ. ამ შემოწმების პერიოდში იქნება დრო, როცა მოსავალი დააყოვნებს და თქვენი შრომა უნაყოფო მოგეჩვენებათ. როცა დანებების ცდუნება გეწვევათ, როგორი იქნება თქვენი პასუხი? როგორ შეძლებთ ანთებულობის შენარჩუნებას?

„თითოეული იმ ნიჭით ემსახურეთ
ერთმანეთს, რაც მიგიღიათ,
როგორც შეეფერება ღვთის
მრავალგვარი მადლის კარგ მნეს“.
– 1 პეტრ. 4:10

10

კატალიზატორი

ამ მნიშვნელოვან თავში *ეფექტური ზრდის კატალიზატორის* რაობას ჩავწვდებით. სიტყვა *ეფექტურის* გამოყენებით ვილაპარაკებ გამრავლებაზე, რომელიც მარადიული მნიშვნელობისაა.

კატალიზატორი საკვანძო ინგრედიენტია, რომელიც მოვლენას აჩქარებს ან ცვლის (ჩემი განსაზღვრება მრავალი ლექსიკონის კვლევის შედეგია). ყველას გვეძლევა სხვადასხვა ნიჭი, მაგრამ ის, რაც მათ ხანგრძლივ პოტენციალს აღძრავს, პეტრე მოციქულის სიტყვებში ჩანს: „კეთილად მომსახურენი". მსახურება *კატალიზატორია*, მაგრამ ნამდვილი მსახურება ყოველთვის სიყვარულით არის მოტივირებული. პავლე მოციქული წერს:

> „განუწყვეტლივ გვახსოვს საქმეებში გამოხატული თქვენი რწმენა, სიყვარული, რომელიც სხვების სამსახურებლად აღგძრავთ ... ჩვენს უფალ იესო ქრისტეში, ჩვენი ღმერთისა და მამის წინაშე". (1 თეს.1:3 TPT)

ჭეშმარიტი მსახურება სიყვარულით ანთებული გულიდან მომდინარეობს. ეს შინაგანი მდგომარეობაა, რომელზეც არც დროის უკულმართობა, არც სიძნელე და არც სხვა არასასურველი გარემოება არ მოქმედებს. იგი ზოგჯერ სიტყვით, სხვა შემთხვევაში კი – მოქმედებით ვლინდება.

ინდაურების ქალბატონი

მსახურების თვალსაჩინოებისთვის ერთ ამბავს გამოვიყენებ. წყვილი, რომელსაც მაგალითად მოვიყვან, ახლო მეგობრები არიან და თავიანთ მისიაში ანონიმად დარჩენა ამჯობინეს. მე მათ თხოვნას ვითვალისწინებ და მოგონილი სახელებით გაგაცნობთ.

რაილი და დეივი შეერთებული შტატების ერთ-ერთი უდიდესი ქალაქის გარეუბანში ცხოვრობენ. მათი შეხვედრა ბედისწერა იყო, რადგან მათი ბინები ერთმანეთს ემიჯნებოდა.

ქორწინებიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ რაილი დაინტერესდა, რატომ არიგებენ ეკლესიების უმეტესობა, თავშესაფრები და სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციები საკვებსა და საჩუქრებს მხოლოდ შობას, მაგრამ მადლიერების დღეს ცოტა რამ თუ კეთდება. ქალი დარწმუნებულია, რომ მადლიერების დღე მნიშვნელოვანია, რადგან ყურადღებას ოჯახზე ამახვილებს და საზეიმო სუფრაც აუცილებელია. ბევრი მარტოხელა დედა, შრომის უუნარო ან უსახლკარო პირები ვერ ახერხებენ სათანადო საჭმლის შეძენას ან ზეიმში მონაწილეობას. მისი აზრით, წვნიანის დარიგება საჭირო მიზანს ემსახურება, მაგრამ იმ სიახლოვის შეგრძნება აკლია, რაც სახლში მომზადებულ კერძს ოჯახისთვის მოაქვს.

რაილი ამტკიცებს, რომ „თითოეულ ჩვენგანს აქვს გავლენის მოხდენის შესაძლებლობა, მაგრამ ერთობლივი ძალისხმევით გავლენა იზრდება“. მან კარგად იცის წერილი და ხვდება, რომ ორის გაერთიანებით ძალისხმევა ათმაგად გაიზრდება, ვიდრე ცალ-ცალკე მოახერხებდნენ (იხ. 2 რჯ. 32:30). მან ის ფაქტიც კარგად უწყის, რომ შედეგები გაცილებით შთამბეჭდავია, როცა ბევრი მორწმუნე ერთიანდება. მის გულში კიდევ ერთი ჭეშმარიტება გიზგიზებს, რომ ნამდვილი მსახური გუნდის წევრია და არ აღელვებს საკუთარი დამსახურება. რაილის დამოკიდებულება გამრავლების მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილებს ასახიერებს.

მისი პირველი მადლიერების დღის შესაძლებლობის გამოსაყენებლად ქალმა ოჯახის წევრებისა და მეგობრებისგან ფული შეაგროვა ინდაურების საყიდლად. ჰქონდათ რა გამრავლებისთვის საჭირო აზროვნება, რაილიმ და დეივმა გადაწყვიტეს, რომ დოლარი გაეღოთ ყველა მიღებული დოლარისთვის. იმ წელს ქალმა თერთმეტი ინდაური იყიდა და უჩუმრად დაარიგა თავისი მანქანის საბარგულიდან. მეორე წელს ინდაურების რიცხვმა ოცდათერთმეტს მიაღწია.

მესამე წელს ოჯახსა და მეგობრებს უთხრა, რომ ხედვა სხვებისთვისაც გაეზიარებინათ, რადგან აქამდე ამას ანონიმურად აკეთებდნენ. ასეც მოიქცნენ და მათი ძალისხმევა სწრაფად გამრავლდა. მეხუთე წელს უკვე ხუთას ოჯახს მოემსახურნენ და თითოეული საჩუქრის კომპლექტისთვის ორი ქილა ბოსტნეულისა და ფარშის დამატებაც შეძლეს.

ამის შემდეგ რაილიმ ოფიციალურად გააფორმა *ანონიმური* დისტრიბუციის შეთანხმება ხსნის არმიასთან. ეს საქველმოქმედო ორგანიზაცია სოციალურ სერვისებთან არის დაკავშირებული და შეეძლო რეგისტრაციის პროცესის თვალყურის დევნება

საჭიროების მქონე ადამიანების გამოსავლენად. არჩეულ ადამიანებს საკვებით დაკმაყოფილების სხვა არანაირი საშუალება არ გააჩნდათ (საკვები ბარათები, სამთავრობო პროგრამა და ა. შ.). რაილიმ და მისმა გუნდმა ხსნის არმიის ტერიტორიაზე მოაწყვეს მანქანით და ფეხით მოსიარულეებისთვის სადისტრიბუციო პუნქტი.

ბევრმა იმპროვიზებული საშულებები გამონახა საჭირო საკვების მისაღებად. ისინი მოაგორებდნენ ურიკებს, ველოსიპედებს, მოათრევდნენ კალათებს, მეზობლებს სთხოვდნენ მანქანით მიყვანას ან ფეხით მოდიოდნენ და მიჰქონდათ ინდაური, ბოსტნეული და ფარში – ზოგჯერ საკმაოდ დიდ მანძილზე – უკან თავიანთ ტრაილერებთან, ბინაში, პარკში ან ღია ცის ქვეშ, სადაც ცხოვრობდნენ. ერთმა უსახლკარომ მოიფიქრა, როგორ შეეწვა ინდაური ქუჩაში თავისთვის და მეგობრებისთვის გადაგდებული შესაწვავი აპარატით და თხევადი გაზის ბალონით.

საბოლოო ჯამში, დისტრიბუცია იმდენად გაიზარდა, რომ ახალი პუნქტის გახსნა გახდა საჭირო მოზღვავებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. მეზობელ *იმკას* (YMCA — ახალგაზრდა ვაჟების ქრისტიანული ასოციაცია) დიდი ვაკანტური მიწის ნაკვეთი ჰქონდა, მაგრამ მათსა და ხსნის არმიას შორის დაძაბული ურთიერთობა იყო. საჭიროებამ ორივე ორგანიზაციას უბიძგა განსხვავებების გადალახვისკენ. ისინი შერიგდნენ და ამის შემდეგ ერთად ამუშავებდნენ რაილის პროექტს, ისევე როგორც სხვა საზოგადოებრივ ღონისძიებებს.

რაილი და დეივი ყოველ წელს პირობას დებდნენ, რომ გაეზარდათ წინა წლის დისტრიბუციის მონაცემები. მათ გადაწყვიტეს, რომ მთელ მათ არეალში არც ერთი ადამიანი არ დარჩენილიყო მადლიერების დღის შესაფერისი კერძის გარეშე. რაც უფრო იზრდებოდა ადამიანთა რიცხვი, მით უფრო ძნელი ხდებოდა მათი დაკმაყოფილება გაზრდილი ფასებისა და გუნდს გამოკლებული ან სხვაგან გადასახლებული მეგობრების გამო. ცოლ-ქმარს საკმაოდ ძლიერი ფინანსური მდგომარეობა ჰქონდა და არ სურდა წინსვლის ამ ეტაპზე შეჩერება, ამიტომ გადაწყვიტეს, რომ ყოველ შემოწირულ დოლარზე ორ დოლარს დაამატებდნენ. (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გასაკვირი არ არის მათი ფინანსების გაზრდა იმ ექვსი წლის მანძილზე. ღმერთი მათ შემოწირულობას ამრავლებდა, რომ უფრო ეფექტურები ყოფილიყვნენ).

რაილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ღმერთი როგორღაც, რაღაც გზებით ყოველთვის გვაწვდიდა თანხებს სხვადასხვა წყაროებიდან და მთლიანი ჯამი უფრო და უფრო მეტად იზრდებოდა“. კიდევ უფრო საოცარი ის გახლავთ, რომ წყვილმა თავიდანვე გადაწყვიტა, ერთი პენიც კი არ მიეღოთ სამთავრობო პროგრამებიდან ან

რომელიმე კორპორაციიდან. ეს ყველაფერი მხოლოდ ოჯახის წევრების, მეგობრებისა და მეგობრების მეგობრებისგან მოდიოდა.

დასახმარებელი ადამიანების ზრდასთან ერთად ახალი გამოწვევები გაჩნდა. ყველა ინდაურის ერთ დღეში დარიგება შეუძლებელი გახდა მათი მიღების მსურველთა უზარმაზარი რიცხვიდან გამომდინარე. რაილისა და დეივს დისტრიბუციისთვის მეორე დღის დამატებაც მოუხდათ, მაგრამ ამან მნიშვნელოვანი დაბრკოლება შექმნა: სად უნდა შეენახათ ინდაურები ღამის განმავლობაში მეორე დღეს დასარიგებლად? რაილი დაჟინებით ეძებდა პასუხს. შუაღამისას მთავარი სასურსათო მაღაზიის ქსელმა, სადაც ისინი ინდაურებს ყიდულობდნენ, გაფართოება გადაწყვიტა და მეორადი მანქანა-მაცივრების მათთვის ჩუქება მოისურვა. ახლა ფულის დახარჯვა საკვებზე შეიძლებოდა და არა მათ შენახვაზე.

გარდა ამისა, ჩამოსათვლელად მეტისმეტად ბევრი წინააღმდეგობა და ბრძოლა იყო გადასატანი. ამ წყვილის რწმენა მტკიცეა და გადაწყვეტილება – მყარი. ამ სირთულეების ფონზე ისინი განუწყვეტლივ ლოცულობდნენ, ღმერთს შეღაღადებდნენ, შთაგონებულ სტრატეგიულ იდეებამდე მიდიოდნენ და კეთილგანწყობას იძენდნენ იმ ადამიანთა თვალში, რომლებსაც ეხმარებოდნენ.

მათ, ეს-ეს არის, მსახურების ოცდამეექვსე წელი შეუსრულდათ და წინამდებარე წიგნის წერის მომენტისთვის, მარტო ამ წელს 10 500 ოჯახი დააპურეს (თითო ოჯახში საშუალოდ ოთხი ადამიანი რომ წარმოვიდგინოთ, მათი რიცხვი 42 000-მდე ადის). მათ ეფექტურად დააკმაყოფილეს ყველა გაჭირვებული ადამიანი თავიანთ ოლქში და ორი მეზობელი ოლქის დიდ ნაწილსაც გადაწვდნენ (მხედველობაში იქონიეთ, რომ ეს ტერიტორია შეერთებული შტატების უდიდეს ქალაქებს მოიცავს). ამის კეთებისას ხუთი მისაბმელიანი ტრაქტორი ინდაურებით გაავსეს (თითო 48 ფუტის სიგრძის), ხოლო სამი – ბოსტნეულითა და ფარშით. მობილიზებული იქნა ორასზე მეტი მოხალისე, რომელთა დიდი ნაწილი შეუსვენებლივ შრომობდა რამდენი დღის განმავლობაში. ბევრი მათგანი რაილის თავიდანვე გვერდში უდგას. საინტერესო ის გახლავთ, რომ მოხალისეთა უმრავლესობამ ჯერაც არ იცის, ვინ არის სინამდვილეში „ინდაურების ქალბატონი!“

შეუძლებელი იქნებოდა მათი გამრავლების საქმიანობით მოტანილი სასწაულების, ისტორიებისა და შეცვლილი ცხოვრების მოწმობების ჩამოთვლა. უამრავი ადამიანი ერწმუნა იესოს რაილის მეუღლის, დეივის ჩათვლით და ბევრი რწმენას დაუბრუნდა. ოჯახები შერიგდნენ და ადამიანებმა შთაგონება მიიღეს მთავრობის მუშაკების, სასურსათო მაღაზიების თანამშრომლების, ხსნის

არმიისა და *იმსა*-ს თანამშრომლების, მოხალისეებისა და საერთო ჯამში, მთელი საზოგადოების ჩათვლით.

ნება მომეცით, რამდენიმე მოკლე ისტორია გაგიზიაროთ. რაილის ერთ-ერთი მეგობარი ადგილობრივი მოტოციკლისტთა კლუბის ხაზინადარია. იგი ყოველ წელს სთხოვს მათ, რომ შეგროვება დაიწყონ ინდაურების ქალბატონისთვის. რეალურად, ბაიკერები ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ მეტს გაიღებს. გასულ წელს მადლიერების დღის შემდეგ რაილის მისწერეს, რომ თავიანთ შემოწირულობას 3 000 დოლარით ზრდიან მომდევნო დღესასწაულისთვის.

ერთ წელს ინდაურების ქალბატონის გუნდმა გადაწყვიტა, ნამეტი პროდუქცია ადგილობრივი ეკლესიისთვის შეეწირა. ამან ეკლესია შთააგონა, რომ რაილის მოდელის მიხედვით საკუთარი პროგრამა წამოეწყო მადლიერების დღესა და წელიწადის სხვა დროებში გაჭირვებულთა დასახმარებლად.

ხსნის არმიის გუნდის წევრები, რომლებიც სხვა შტატებში გაგზავნეს, ენთუზიაზმით იწყებენ პროგრამებს რაილის ნიმუშის მიხედვით. დანარჩენები, პირიქით, მის საცხოვრებელ არეალში გადმოსახლდნენ, რადგან შორიდან გაიგეს რაილის ამბავი ხსნის არმიის რიგებიდან.

რაილი პასტორი არ გახლავთ. ის ეკლესიაში არ მუშაობს და არც ბიზნესის ან კორპორაციის მფლობელია. ის არის ცოლი, დედა და მიძღვნილი მორწმუნე, რომელიც ერთგულად ესწრება საეკლესიო მსახურებებს. მას კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ ყოვლისშემძლე ღმერთს ემსახურება, რომელსაც მისი გამრავლების საქმეები სიამოვნებს. მეც პატივდებული ვარ ამ წყვილთან მეგობრობით.

მარადიული გამრავლების ნომერ პირველი ნიმუში

სიყვარულით მოტივირებული მსახურება გამრავლების კატალიზატორია. განვიხილოთ წმიდა წერილის დიდებული გამრავლების რამდენიმე ისტორია. რასაკვირველია, იესო ყველაზე მთავარია. ის ამბობს:

> „ვისაც თქვენში დიდობა სურს, თქვენი მსახური იყოს. წარმატება და წარჩინება ყველას მომსახურების მსურველი გულიდან მოდის. რადგან ძე კაცისა იმისთვის როდი მოსულა, რომ მას ემსახურონ, არამედ იმისთვის, რომ *თავად ემსახუროს* და მრავალთა გამოსასყიდად მისცეს თავისი სული“. (მარკ. 10:43-45 TPT)

იესო ნამდვილი დიდების გზას გვაჩვენებს – ეძებო გზა, როგორ მოემსახურო სხვებს და არა, თავად იყო მომსახურებული. გასაკვირი არ არის, რომ მისი მსახურების უმაღლეს აქტს შემდეგი სიტყვები წარმოაჩენს: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, თუ მიწაში ჩავარდნილი ხორბლის მარცვალი არ მოკვდა, მარტო დარჩება. და თუ მოკვდა, ბევრ ნაყოფს გამოიღებს“ (იოან.12:24). კიდევ ერთხელ გვესმის *თესვის* (ან *დაბანდების*) შესახებ. ისევე როგორც ხორბლის ერთმა თესლმა გამოიღო მრავალი ნაყოფი, იესოს მორჩილებამაც მოიმკო ღვთის უამრავი ძე და ასული. რა მაგალითია! მან გაკვალა გზა და დაადგინა ბარიერი, რომელიც *ეფექტურად* გამრავლების გზას გვიჩვენებს. იესო ასე გვეუბნება:

> „თქვენ მე მოძღვარსა და უფალს მიწოდებთ. მართალს ამბობთ, რადგან ვარ. ამიტომ, თუ მე, მოძღვარმა და უფალმა, დაგბანეთ ფეხები, თქვენც უნდა დაბანოთ ერთმანეთს ფეხები. *მაგალითი მოგეცით, რათა* როგორც მე მოგექეცით, *თქვენც ისე მოიქცეთ“.* (იოანე 13:13-15)

მე, როგორც ლიდერმა და სიტყვის გადამცემმა, ვიცი *საბოლოო სიტყვის* მნიშვნელობა. ეს გახლავთ განცხადება ან აზრი, რომელსაც თქვენს მკითხველს, მსმენელს, მოსწავლეს, გუნდის წევრს, თანამშრომელს, შვილს ან ნებისმიერ სხვას უტოვებთ. ეს არის უმთავრესი იდეა, რომელიც მსმენელმა უნდა შეითვისოს წინ წასასვლელად.

რა იყო იესოს ბოლო სიტყვები დედამიწაზე ცხოვრებისას? საინტერესოა, რომ ეს იყო ილუსტრირებული ქადაგება, რომელიც ჯვარცმის წინ გადმოგვცა – მისი მოწაფეების ფეხბანა.

მინდა, თქვენთან გულწრფელი ვიყო. როცა ახალმოქცეული მორწმუნე ვიყავი, ძალიან არ მომწონდა ის დრო, როცა პატარა ჯგუფში ვინმე იტყოდა: „მოდი, ერთმანეთს ფეხები დავბანოთ“. მაშინვე რაღაც ტრივიალურ მიზეზს მოვიგონებდი იქედან გასაპარავად. საოცრად მეზიზღებოდა, როცა კაცები ჩემს ფეხებს ეხებოდნენ!

წლების შემდეგ შვება მომგვარა იმ აზრმა, რომ ფეხბანვა უფრო ტრადიცია იყო, რომელსაც ჩემი მეგობრები ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ. ანალოგიური მაგალითი გახლავთ მოსეს სპილენძის გველი (იხ. რიცხვ. 21:8-9) და ყველა ის ადამიანი, რომელიც მისი შეხედვით გველის ნაკბენისგან იკურნებოდა. ეს სასწაულებრივი და ძალმოსილი იყო. თუმცა მრავალი თაობის შემდეგ ისრაელმა ხსენებული გველი კერპად აქცია (იხ. 2 მეფ. 18:4). მათ საგანს მიანიჭეს უპირატესობა იმის ნაცვლად, რომ

თავდაპირველი მნიშვნელობა გაეგოთ, როცა მრავალი წლის წინ მთავარი ყურადღება უფლის მითითების დამორჩილებას ექცეოდა.

1980-იან წლებში იგივე გზას დავადექით ჩვენს ბიბლიის შემსწავლელ ჯგუფში, როცა „ფეხბანვა“ პირდაპირ მივიღეთ მისი მნიშვნელობის გაუთვალისწინებლად. უფრო მეტი ყურადღება მოქმედებას მივაპყარით, ვიდრე აზრს, რასაც ის წარმოადგენდა. პირველ საუკუნეში გზები მოუკირწყლავი იყო. გადაადგილების ერთადერთ საშუალებას ცხოველები წარმოადგენდნენ, თუ ფეხით სიარულს არ ჩავთვლით და არავის ჰქონდა ადიდასის ან ნაიკის სპორტული ფეხსაცმელები. ადამიანები სანდლებს იცვამდნენ და ბევრჯერ, საერთოდაც, ფეხშიშველი დადიოდნენ. ამრიგად, ფეხებს ხშირად ეკრობოდა მტვერი, ცხოველთა ფეკალიები და სხვაგვარი ჭუჭყი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იმ ვითარებაში ფეხების სუნი თანამედროვე დასავლეთის ქვეყნებისთვის წარმოუდგენელ დონეს აღწევდა.

როცა ადამიანები მდიდარი პიროვნების სახლში შედიოდნენ, მსახურები ან მონები ვალდებული იყვნენ, რომ ბატონის, მისი ოჯახის წევრებისა და სტუმრებისთვის ფეხები დაებანათ. ტიპურ მაღალი საზოგადოების სახლებში მსახურებს სხვადასხვა პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ: თავლების მომსახურება, საკვების მომზადება, ოთახების დასუფთავება და სხვა. ფეხების დაბანის მოვალეობას ყველაზე დაბალი კლასის მსახურები ასრულებდნენ, რადგან ამგვარი შესაზიზღი საქმისთვის საკმარისად „უღირსები“ იყვნენ.

ბოლო სერობაზე თორმეტი მოწაფე ზუსტად ასეთ დიდ სახლში იმყოფებოდა, რომელიც ერთ ოთახში იტევდა იესოს მთელ გუნდს. შესაძლოა, ეს ქალაქის ყველაზე მდიდარი სახლი იყო. გარკვეული დროის შემდეგ ყველაზე დაბალი კლასის მსახურმა თორმეტივე მოწაფეს ფეხები დაბანა. საკვირველი ის გახლდათ, რომ იმავე საღამოს იესომ არა მარტო ფეხსაბანი თასი და წყლის დოქი მოიტანა, არამედ მოსასხამიც – მისი მოძღვრობის სიმბოლო – გაიხადა და მოწაფეებს ფეხები დაბანა. მათ ზუსტად იცოდნენ, რა ხდებოდა და რას ნიშნავდა ეს მოქმედება. ამის საპირისპიროდ, კოლეჯში ყოველთვის უხერხულობას განვიცდიდი და ფეხბანვა განმიზიდავდა კიდეც, რადგან ფეხები სუფთა მქონდა. ბიბლიის შესწავლის ჯგუფში წასვლის წინ ისედაც შხაპს ვიღებდი. თან ეს აზრიც მაღიზიანებდა: *რატომ უნდა დაებანათ ჩემთვის ფეხები ვიღაც ბიჭებს?*

თუ იესოს სიტყვებს ხელახლა წაიკითხავთ, მასში გაცილებით დიდ მნიშვნელობას დაინახავთ. ის საბოლოო მოქმედებას ასრულებდა, რომელიც მოწაფეებს მთელი სიცოცხლის მანძილზე დაამახსოვრდებოდათ. ეს მისი *ბოლო სიტყვა* იყო.

მოკლედ თუ ვიტყვით, ვისაც დიდობა სურს, საკუთარი ნებით უნდა დაიკავოს ყველაზე მდაბალი მონის ადგილი. იქნებ სწორედ ამის გამო თქვა იესომ: „მშვიდი და გულით თავმდაბალი ვარ“ (მათ. 11:29)?

ამის აღქმას დრო დასჭირდა. მორწმუნეობის საწყის ეტაპზე ბევრი ჩვენგანი მსახურებას ზუსტად ამის საწინააღმდეგოდ აღიქვამდა. ჩვენი გამოუთქმელი რწმენა ასეთი იყო: *მნიშვნელოვანი პიროვნება მანამ ვერ გახდები, სანამ ადამიანების წინაშე სიტყვით არ გამოხვალ და მრავალს არ წარუძღვები.* მომსახურება ჩვენი ეკლესიის დაბალი რანგის ხალხის საქმე იყო. თუ საკმარისად ბევრს იშრომებდით, საბოლოოდ, გამორჩეულ პიროვნებად იქცეოდით. ოჰ, რა არეული იყო ჩვენი შეხედულებები!

მადლიერი ვარ სულიწმიდის მოთმინებისთვის ჩვენი სულიერი მომწიფების პროცესში! მან გარდაქმნა ჩემი აზროვნება, მაგრამ ამას დრო დასჭირდა. როგორც ადრე ვთქვი, მსახურების პირველი ოთხი წელი ჩვენი პასტორის პირადი საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის ზრუნვაში გავატარე.

ერთხელ, როცა დავალებებს ვასრულებდი, ღვთის სული დამელაპარაკა:

– შვილო, თუ წარმატებას გიბოძებ, ეს იქნება *მსახურების უფრო დიდი პოზიცია.* თუ ახლა რამეს აურევ, ეს, უბრალოდ, პერანგის ქიმიურად გაწმენდას ემგვანება. საჯარო მსახურება გამოსაცვლელი პერანგის გარეშე მიმდინარეობს – აქ საქმე ჩემი საყვარელი ადამიანების ცხოვრებასთან გექნება, რომელიც შეიძლება დააზიანო.

მისმა სიტყვებმა ადგილს მიმაჯაჭვა. მან არა მარტო მამცნო, რომ მაღალი პოზიცია მეტ პასუხისმგებლობას გულისხმობს, არამედ პატარა საქმეებში ყოველთვის ერთგულების გამოჩენის მნიშვნელობაც გამაგებინა. ჩემი მსახურების საფეხური არ შეიცვლებოდა ნამდვილი სიმდიდრით: ადამიანებით.

რებეკა

ძველ აღთქმაში გამრავლების ერთ-ერთი საინტერესო მაგალითია რებეკას უანგარო მსახურება. მოდი, მოკლედ მიმოვიხილოთ მისი ამბავი.

აბრაჰამმა ყველაზე სანდო მსახური გაგზავნა თავის სამშობლოში მისი მემკვიდრის, ისაკისთვის ცოლის მოსაყვანად. მსახური საჩქაროდ გაუდგა გზას და თან ხანგრძლივ მოგზაურობაში ათი აქლემი წაიყვანა.

ადგილზე მისვლისას აბრაჰამის მსახურმა გაიაზრა, რომ დღის ამ მონაკვეთში ახალგაზრდა ქალები საერთო სარგებლობის ჭასთან

შეიკრიბებოდნენ წყლის ამოსაღებად. მან ილოცა: „ვეტყვი ქალწულს, მომიდრიკე შენი სურა, რომ წყალი დავლიო-მეთქი, და თუ მიპასუხა, შენც დალიე და აქლემებსაც დაგირწყულებო, სწორედ ის იქნება დადგენილი შენი მორჩილი ისაკისთვის“ (დაბ. 24:14).

სანამ ლოცვას მორჩებოდა, რებეკა მხარზე შედგმული სურით მიუახლოვდა და წყალი შესთავაზა. შთამბეჭდავია ის, რაც შემდეგ მოხდა:

> „მან უპასუხა: „დალიე, ბატონო“. სურა მხრიდან ჩამოიღო და დაალევინა. წყურვილი რომ დაუცხრო, უთხრა: „შენი აქლემებისთვისაც ამოვხაპავ წყალს, ვიდრე არ დარწყულდებიან“. *სწრაფად* ჩაცალა თავისი სურა გეჯაში და ისევ *ჭისკენ გაეშურა* წყლის ამოსახაპად. და ამოხაპა ყველა მისი აქლემისათვის“. (დაბ. 24:18-20)

მსახური ჩუმად აკვირდებოდა ამ სცენას, სანამ რებეკამ ათივე აქლემი საკმარისად არ დაარწყულა. ამ რამდენიმე მუხლში რებეკას მსახურების მომცველი ბევრი ნიშანდობლივი თვისება ჩანს. მათ თანმიმდევრობით ჩამოვთვლი:

- *გამრჯე.* ის ფეხების თრევით არ მიდიოდა. ყველაფერს სწრაფად აკეთებდა და ჭისკენ გარბოდა და გამორბოდა. ნელი და მოსახერხებელი მსახურება არ არის ნამდვილი მსახურება. გინახავთ ოდესმე მომსახურე ადამიანები, რომლებიც ყველაფერს უსიცოცხლოდ აკეთებენ და თითქოს ამბობენ, „ამ ყველაფრით დავიღალე“? არც რებეკა და არც ნამდვილი მსახური ასეთები არ არიან. ნამდვილ მსახურს კეთილმოსურნე და ენერგიული დამოკიდებულება აქვს, რაც ცხადი ხდება მისი მოქმედებიდან.
- *ზედმეტი ათასი ნაბიჯი.* მსახურები აღმატებულად შრომობენ. რებეკამ თხოვნაზე გაცილებით მეტი გააკეთა. უმეტეს ჩვენგანს აქლემები არ ჰყავს და არც ახლო აღმოსავლეთის უდაბნოში უცხოვრია, ამიტომ წარმოდგენაც კი არ გვაქვს ფაქტორზე, რომელიც რებეკას მონდომებას კიდევ უფრო განსაცვიფრებელს ხდის. ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ჩვეულებრივ მოწყურებულ აქლემს ოცდაათიდან ორმოცდაათ გალონამდე (113-189 ლიტრი) წყლის დალევა შეუძლია. აბრაჰამის მსახურს ათი აქლემი ჰყავდა! მოდი, გამოვთვალოთ: თუ თითო აქლემი მხოლოდ ოცდაათ

გალონს დალევდა, რებეკას ჭიდან სამასი გალონი წყლის მოზიდვა მოუწევდა! თუ ჩვეულებრივი სურა ხუთ გალონს (18-19 ლიტრი) იტევდა, მას სამოცგზის მოუხდებოდა ჭასთან მისვლა და უკან დაბრუნება.

თუმცა ეს ყველაფერი არ არის! იმ დროს ორი ტიპის ჭა არსებობდა. ერთ-ერთიდან წყლის ამოღება შესაძლებელი იყო წყლის ზედაპირიდან თოკზე მობმულის სურის ჩაშვებით. მეორე ჭიდან წყლის ამოსაღებად საჭირო იყო ოცი-ოცდაათი საფეხურით დაბლა დაშვება. ვიცით თუ არა, რომელი ჭით სარგებლობდა რებეკა? ნამდვილად ვიცით – მეორე ჭით, რადგან მოგვიანებით მსახური რებეკას მოქმედებებს მის ოჯახს აღუწერს და ამბობს: „ჩავიდა ჭასთან და წყალი ამოიღო!“ (მ. 45). მან არა მარტო სამოცი გზა გააკეთა მხრებზე ხუთი გალონი წლით, არამედ მთელი ამ ტვირთით საფეხურებზე ჩასვლა-ამოსვლაც მოუხდა. თან გაითვალისწინეთ, რომ ეს ყველაფერი საკუთარი ნებით მოიმოქმედა ისე, რომ არავის უთხოვია! ამას მომდევნო პუნქტამდე მივყავართ.

- *მგრძნობიარე.* ნამდვილი მსახური არ ელოდება, სანამ საჭიროება ცხადი გახდება; ის მოქმედებას დაუყოვნებლივ იწყებს. მრავალწლიანი გამოცდილებით დავრწმუნდი, რომ იმ ადამიანებს გამრავლება არ შეუძლიათ, ვისაც გამუდმებით სჭირდება რაიმეს დავალება. სწორედ ისინი ზრდიან ღვთისგან მიცემულს, ვინც პირველივე ჯერზე მზად არის სამოქმედოთ.
- *მიძღვნილები.* რებეკა გულმოდგინედ მსახურობდა დავალების სირთულის მიუხედავად. წლების მანძილზე ამოვიცანი ერთი ნიმუში: რაც უფრო ძნელია საქმე, მით უფრო სწრაფად უჩინარდება ადამიანთა საუკეთესო დამოკიდებულებები – ასეთია ადამიანის ბუნება. და მაინც, ჩვენ იესო ქრისტეს ბუნება გვაქვს. იგი არასოდეს შეჩერებულა, თუმცა წარმოუდგენელ წინააღმდეგობებსა და სიძნელეებში გაიარა. იცხოვრეთ იესოს ბუნებით და რებეკას მიერ იყავით შთაგონებული!
- *სისრულე.* რებეკა არ შეჩერებულა, სანამ საქმე არ დაასრულა. იგი არ იყო იმათგანი, ვინც უკან იხევს. დავალების ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტით შესრულება მის დასრულებას არ ნიშნავს. გავიხსენოთ, როგორ მოიქცა მეფე საული ყამალეკთან ბრძოლისას: მან ათობით ათასი ადამიანი დახოცა, მაგრამ ერთი დაინდო. ღმერთმა არ დააჯილდოვა მისი ძალისხმევა (იხ.1სამ.15). რებეკამ ისე გააკეთა ყველაფერი, რომ არც

კი იცოდა, შრომისთვის რაიმე ჯილდოს თუ მიიღებდა. ეს არის ნამდვილი მსახურების ნიშანი: მსახურები საზღაურის გამო არ შრომობენ, არამედ მსახურების აქტს თავისთავად ჯილდოდ აღიქვამენ. მათ მოსწონთ სიხარული, აღსრულების გრძნობა და ის კმაყოფილება, რაც მსახურებას მოაქვს. თუ ჯილდო მაინც არის გათვალისწინებული, ეს დამატებითი კურთხევაა და არა მოტივაცია. რებეკას საზღაური დიდი იყო. მას არც კი გაუაზრებია, რომ ათ აქლემს მისთვის საგანძური და საჩუქრები მოჰქონდა და მალე ღვთისმოსავი ადამიანის ცოლი გახდებოდა. და მაინც, ამათგან არც ერთი არ იყო მნიშვნელოვანი ჯილდო: მარადიული საზღაური აბრაჰამთან ღვთის აღთქმაში შესვლა გახლდათ. იგი მრავალი ერის დედა იქნებოდა. ყველა ერი იკურთხებოდა მის მიერ. რებეკამ მნიშვნელოვნად გაამრავლა.

სხვა მაგალითები

მსახურის გულიდან მომდინარე მარადიული გამრავლების სხვა ბიბლიური მაგალითებიც არსებობს. აი, რამდენიმე მათგანი, რომელთა დეტალური გამოკვლევა წმიდა წერილის შესწავლის დროს შეგეძლებათ.

რუთი

რებეკას მსგავსად მოაბელ რუთსაც დედამთილი, ნაყომი სამჯერ უპირებდა სამშობლოში გაგზავნას, მაგრამ რუთმა უარი თქვა:

„ნუ მთხოვ, რომ წავიდე და დაგტოვო; სადაც შენ წახვალ, მეც იქ წამოვალ; სადაც შენ გაჩერდები, მეც იქ გავჩერდები. შენი ხალხი, ჩემი ხალხი იქნება და შენი ღმერთი - ჩემი ღმერთი“. (რუთ. 1:16)

რუთმა რებეკას მსგავსად მოისურვა ზედმეტი ათასი ნაბიჯის გავლა, ბეჯითად შრომა და თავის მიძღვნა მაშინაც კი, როცა სავალი გაძნელდა. ალბათ, რუთის გზა რებეკასაზე რთული იყო. ის მოაბელი გახლდათ და სავარაუდოდ, ქალაქის მკვიდრებს დიდად არ ეპიტნავებოდათ მისი წარმოშობის გამო. მიუხედავად ამისა, მრავალი გაჭირვება გადაიტანა, რომ დედამთილს ერთგულად მომსახურებოდა.

რა იყო შედეგი? ის ბევრი ცნობილი ადამიანის წინაპარი გახდა მეფე დავითის, მეფე სოლომონისა და იუდას სხვა მეფეების ჩათვლით. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ის იესოს გენეალოგიაში შევიდა. მანაც მიიღო წილი აბრაჰამისთვის შეპირებულ საუკუნო გამრავლების აღთქმაში.

ელისე

ელისემ მტკიცედ გადაწყვიტა ელიას მომსახურება, თუმცა ამ უკანასკნელმა სამჯერ სთხოვა, რომ სახლში დაბრუნებულიყო. როცა სხვა წინასწარმეტყველებმაც არაერთხელ დასცინეს და გაამასხარავეს, რომ ფუჭად კარგავდა დროს ელიას მსახურებაში, ელისე მაინც არსად მიდიოდა. სხვების ანალიზი ლოგიკური იყო – ისინი სრული დროით წინასწარმეტყველები გახდნენ და სტატუსი და გამოცდილება შეიძინეს. რა იქნებოდა ელისეს წილი, როცა ელიას წაიყვანდნენ? ფუჭად ხომ არ დაკარგავდა ელიასთან მსახურების წლებს ისე, რომ ერთხელაც არ მიეცემოდა საკუთარი მსახურების შენების შესაძლებლობა? ასეთი იყო სხვა წინასწარმეტყველების ლოგიკა, მაგრამ ელისე არავის უსმენდა. ამის ნაცვლად, ყოველ ჯერზე მტკიცედ პასუხობდა მათ: „დადუმდით!“ (იხ. 2 მეფ. 2). მას ვერ შეაწყვეტინეს მსახურება და დავალების შესრულება.

ელისეს ქცევა რებეკასა და რუთის ანალოგიურია. რა იყო შედეგი? მან ელიაზე ორჯერ მეტი სასწაული მოახდინა და ისეთი რამ მოიმოქმედა, რაც ელიამაც ვერ შეძლო – დაასრულა იზებელის დინასტია. მან გაამრავლა!

გეხაზი

გეხაზის ჰქონდა ელისეს საქმის გამრავლების შანსი, მაგრამ არ ჰქონდა მსახურის გული. იგი საკუთარ მოგებას ეძებდა და ხარბი იყო, ამიტომ ვერ შეძლო ეფექტურად გამრავლება (იხ. 2 მეფ. 5).

X

ახალ აღთქმაში ვხედავთ მამაკაცებს, რომლებიც ქვრივების სუფრებს ემსახურებოდნენ. ისინი სერიოზულად მიუდგნენ თავიანთ პასუხისმგებლობას. მათ ხელები დაასხეს იმაში დასარწმუნებლად, რომ დავალებას კარგად შეასრულებდნენ. შედეგი შთამბეჭდავი გამოდგა. საქმეთა წიგნში საოცარ განცხადებას ვკითხულობთ:

> „ვრცელდებოდა ღმერთის სიტყვა და დიდად მრავლდებოდა მოწაფეთა რიცხვი იერუსალიმში“. (საქმ. 6:7)

რა არის აქ გასაოცარი? ხმამაღლა წარმოთქვით ეს სიტყვები: „დიდად მრავლდებოდა“. იფიქრეთ ამაზე! ეს სიტყვები პეტრეს კლასიკური ქადაგების შემდეგ არ წარმოთქმულა, როცა ორმოცდამეათე დღეს სამი ათასმა კაცმა მოინანია. არა, სიტყვა *შეემატა* გამოიყენება (იხ. საქმ. 2:41). ყოველდღიური მოქცევის რიცხვის აღსანიშნავად ისევ გამოიყენება *შემატება* (იხ. საქმ. 2:47). იგივე ხდებოდა ხუთი ათასი კაცის შემთხვევაში, როცა ხანმოკლე დროის შემდეგ იესოს მიუძღვნეს ცხოვრება (იხ. საქმ. 4:4).

სიტყვა *„გამრავლება“* საქმეთა წიგნის მეექვსე თავამდე ნახსენები არ არის, სანამ ყველა ეკლესია არ გააქტიურდა ცათა სამეფოს მშენებლობაში.

დღეს გამრავლება მაშინ ხდება, როცა სტენის, მაიკის, ფილის, რაილისა და დეივის მსგავსი ადამიანები თავიანთი მსახურების ადგილზე დგებიან და ღვთივბოძებულ ნიჭებს იყენებენ. აი, სწორედ მაშინ გვესმის *დიდი გამრავლების* ამბავი.

მნიშვნელოვანი ელემენტი

ახლა ხვდებით, რომელია ეფექტური გამრავლების მნიშვნელოვანი ელემენტი? კიდევ იფიქრეთ ჩვენს მეგობრებზე, რაილისა და დეივზე წმიდა წერილში ახლახან განხილული შემთხვევების ფონზე. ამ წყვილმა, რომელმაც შთაგონებული სტრატეგია გამოიყენა და კეთილად იმსახურა, ათეულ ათასობით ადამიანზე მოახდინა ზეგავლენა. ისინი დიდები გახდნენ იესოს სიტყვების თანახმად. იგივე შეიძლება ითქვას სტენზე, მაიკზე, ფილსა და დანაზე. ყველა მათგანს ახასიათებს ნამდვილი მსახურის თვისებები.

და მაინც, მოისმინეთ ეს მნიშვნელოვანი სიტყვები: *შეგიძლიათ ეგოისტურად ამრავლოთ*, მაგრამ თქვენი ზეგავლენა მარადიული არ იქნება. არიან გამამრავლებელი ადამიანები, მაგრამ ერთ დღესაც იხილავენ, როგორ დაიწვება ყველა მათი საქმე, რადგან პირადი გამორჩენის მიზანი ამოძრავებდათ. ამის თვალსაჩინო მაგალითია იესოს იგავი კაცზე, რომელმაც უფრო დიდი ბეღლების აშენება განიზრახა. იგი სიამაყით ულოცავდა საკუთარ თავს და ამბობდა: „მოისვენე, ჭამე, სვი და იმხიარულე, რადგან საჭიროზე მეტი მოაგროვე“, თუმცა ეს ამბავი კარგად არ მთავრდება. ყველა მისი მიღწევა ერთ წუთში გაცამტვერდება.

ამ წიგნის მთავარი სათქმელი არ გახლავთ გამრავლებისთვის საჭირო რწმენის მოცემა, რომ საგანძურები თქვენს სასარგებლოდ გამოიყენოთ, არამედ მოგიწოდებთ თქვენი სიცოცხლის სხვების სამსახურში დახარჯვისკენ. იესო ამბობს, რომ ასე მოქცევით

შეგვემატება ყველაფერი, რასაც ურწმუნოები ეძებენ (იხ. მათ.6:33). ეს კარგად ვიცი, რადგან საკუთარ თავზე გამოვცადე.

მოდი, ჩემსა და ლიზას ამბავს დავუბრუნდეთ ჩვენს პირველ ეკლესიასთან დაკავშირებით. იმ ტოქსიკურ გარემოში ექვსი წლის გატარების შემდეგ გამრავლების თაობაზე არაჯანსაღი დამოკიდებულებები მაფერხებდა. წამოსვლიდან მოკლე ხანში, სულიწმიდის მრავალი გარდაქმნელი და გამათავისუფლებელი შეხვედრიდან ერთ-ერთი დადგა, როცა დილით მანქანას ვმართავდი. მან მითხრა:

– შვილო, ნუ მეძებ კურთხევებისთვის. ნება მომეცი, მე თავად მოგცე.

მაშინვე მათ.6:33 მომაგონდა. „თქვენ კი უწინარეს ყოვლისა ღმერთის სამეფო და მისი სიმართლე ეძიეთ, ხოლო ყოველივე ეს შეგემატებათ“. სულიწმიდის სიტყვებმა სწორი თვალთახედვა დამიბრუნა და ეგოისტური მიდრეკილებების ნალექი აღმოფხვრა.

რა მადლიერი ვარ ამის გამო. ვიცი, რას ნიშნავს, იყო ეგოისტი და ხარბი – უბედურება, სტრესი და ღვთის თანდასწრებისგან სიშორე. მისი გზებისა და მისი გულის შეცნობა – პირველ რიგში ცათა სასმეფოს ძიება – გაცილებით მეტი სიხარულის, მშვიდობისა და ღვთიური თანდასწრების მომტანია ყოველდღიურ ცხოვრებაში!

X

ახლა იმ მომენტამდე მივდივართ, როცა კითხვა უნდა დავსვათ: როგორ უნდა გავამრავლოთ, როცა ჩვენი საკუთარი საქმის წინამძღოლი არ ვართ და სხვის გუნდში ვშრომობთ? მოდი, ამ კითხვას პასუხი გავცეთ მომდევნო თავში და ამის გაკეთებით დიდ სარგებელს ვნახავთ.

დაფიქრება

1. იესომ მსახურებას დიდებისკენ მიმავალი გზა უწოდა. როგორ გამოხატა იესომ მომსახურება? რა შედეგები მოიტანა მისმა მსახურებამ? როგორ განსხვავდება ღვთიური დიდებისკენ მიმავალი გზა ქვეყნიერების მიერ შემოთავაზებული ხერხისგან?

2. გავიხსენოთ რებეკას ამბავი. რა ნიშანდობლივ თვისებებს მოიცავდა მისი მსახურება?

3. თქვენ შეგიძლიათ ეგოიზმით ამრავლოთ, მაგრამ ზეგავლენა მარადიული არ იქნება. რა განსხვავებაა *მისაღებად* მსახურებასა და *გასაცემად* მსახურებას შორის?

„ამიტომ გევედრებით, გახდით

ჩემი მომბაძველნი“.

– 1 კორინთელთა 4:16-17

11

მომბაძეთ მე

გამრავლების დამაბრკოლებელ და ხელშემწყობ საკითხებზე მსჯელობის დაწყებამდე ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი უნდა განვიხილოთ. როგორ უნდა გავამრავლო, როცა სხვისი თანამშრომელი ვარ ან სხვას ვემსახურები? ზუსტად ამ ადგილას არის ხოლმე ბევრი ჩვენგანი.

ამაზე მსჯელობისას ყურადღებას გავამახვილებ მსახურების სპეციფიკურ სფეროებზე, მაგრამ იგივე პრინციპების გამოყენება ნებისმიერ პოზიციაზე შეგიძლიათ, იქნება ეს კორპორაციულ სამყაროში, ბაზარზე, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში, მთავრობაში, მედიაში, სპორტში, ხელოვნებასა და თანამედროვე მსოფლიოს სხვა რომელიმე ადგილას.

პავლე აცხადებს: „მნეთაგან კი მოითხოვენ, რომ ერთგული იყოს“ (1კორ.4:2). როგორც წმიდა წერილიდან დავადგინეთ, ერთგულების ყველაზე მთავარი მახასიათებელი გამრავლებაა. იგივე წერილში რამდენიმე მუხლით დაბლა პავლე დიდი გამრავლების საკვანძო კომპონენტზე ლაპარაკობს:

> „ვინაიდან, თუნდაც ათი ათასი აღმზრდელი გყავდეთ ქრისტეში, მამა ბევრი ვერ გეყოლებათ, რადგან მე გშობეთ თქვენ ქრისტე იესოში სახარებით“. (1 კორ. 4:15)

პავლე გახლდათ კორინთელთა ეკლესიის *მამა*. როგორც მუხლშია ნაჩვენები, *მამა გახლავთ* ის, ვისაც ადამიანი რწმენამდე მიჰყავს. თუმცა ეს სიტყვა სხვაგვარადაც შეიძლება განიმარტოს. წმიდა წერილში მამა ხშირად აღნიშნავს პიროვნებას, რომელიც პიროვნების მოქცევაში ჩართული არ არის.

იგივე პავლე გალატელთა ეკლესიას წერს: „მრავალ ჩემი ასაკის თანატომელს აღვემატებოდი იუდეველობაში, რადგან

მამების გადმოცემების დიდად მოშურნე ვიყავი“ (გალ.1:14). აქ პავლე კონკრეტულ პიროვნებაზე არ ლაპარაკობს, როცა სიტყვა *მამებს* იყენებს. ეს ასევე ადასტურებს მისივე ნათქვამს: „მამა ბევრი არ გყავთ“. ბერძნულად სიტყვა „*ბევრი*“ დიდ ოდენობას აღნიშნავს, ამრიგად, ცხოვრებაში შეიძლება ერთზე მეტი „მამა“ გვყავდეს.

პავლე ტიმოთეს ხშირად უწოდებს „ძეს“, თუმცა ტიმოთე გადარჩენამდე არ მიუყვანია, რადგან ვკითხულობთ: „ჩავიდა დერბესა და ლისტრას. იქ იყო ერთი მოწაფე, ტიმოთედ წოდებული, იუდეველი მორწმუნე დედაკაცისა და ბერძენი მამის შვილი, რომელზეც ამოწმებდნენ ლისტრელი და იკონიელი ძმები“ (საქმ.16:1-2). ცხადია, ტიმოთე უკვე მორწმუნე იყო, როცა პავლე მას შეხვდა.

თუ ძველ აღთქმას გადავხედავთ, დავითი თავის ძალიან მკაცრ და ხისტ წინამძღოლს „მამას“ უწოდებდა (იხ. 1 სამ. 2:11). ასევე ელისე „მამას“ უწოდებს მის ლიდერს (1 მეფ. 2:12). ელია ამბობს, რომ „მამებზე“ უკეთესი არაფრით არის“ (იხ. 1 მეფ. 19:4) და სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება.

რაც შეეხება წიგნის თემას, ჩემი მიზანი არ გახლავთ *მამის* მნიშვნელობის განსაზღვრა, არამედ იმის ჩვენება, თუ *ვინ შეიძლება იყოს მამა*. მამა გახლავთ ის, ვინც წინამძღოლობს, კვებავს და ზრდის პიროვნებას ან ორგანიზაციას. ჩვენი მსჯელობის მიზნისთვის უნდა აღვნიშნოთ, რომ მამას შეიძლება სხვადასხვა პოზიცია ეჭიროს: თქვენი სამსახურის ბიზნესის მფლობელი, თქვენი განყოფილების უფროსი, თქვენი მწყემსი, თქვენი პატარა ჯგუფის ლიდერი, მოძრაობის ზედამხედველი, თქვენი მასწავლებელი, მწვრთნელი, ექიმი, რომელსაც ემსახურებით და ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია. რასაკვირველია, თქვენ დაასკვნიდით, რომ „მამა“ ამ გარემოებების გათვალისწინებით მდედრობითი სქესისაც შეიძლება იყოს. ამრიგად, მამის ხსენებისას შეიძლება ქალსაც ვგულისხმობდე ამ როლში.

სხვადასხვა მოქმედებები

პავლე როგორც კორინთელთა ეკლესიის მამა, მომდევნო მუხლში მითითებას იძლევა: „გევედრებით, გახდით ჩემი მომბაძველნი“ (1 კორ. 4:16).

პავლე არ ამბობს, „მომბაძეთ მე, როგორც მე – ქრისტეს“ (ის ამაზე მოგვიანებით გვარიგებს მეთერთმეტე თავში). აქ არის მარტივი მითითება: „მომბაძეთ მე“. ამისთვის პავლეს კარგი

მიზეზი ჰქონდა და ეს მომდევნო განცხადებაში ჩანს:

> „ამისთვის გამოვგზავნე თქვენთან ტიმოთე, ჩემი საყვარელი და ერთგული შვილი უფალში, რომელიც გაგახსენებთ *ჩემს გზებს* ქრისტე იესოში, როგორც ვასწავლი ყველგან, ყველა ეკლესიაში“. (1 კორ. 4:17)

მისი პირველი სიტყვა გახლავთ „ამისთვის“, რაც მნიშვნელოვანია. პავლემ ის-ის იყო უთხრა თავის მკითხველებს, რომ მისთვის მოებაძათ. იმაში დასარწმუნებლად, რომ ხედვაში, მეთოდებში, ზრდასა და რწმენაში არავითარი წყვეტა არ არსებობს, პავლე თავის *ერთგულ* ძეს გზავნის მათთან. რა მიანიშნებს მის *ერთგულებაზე? ერთგული ძე ან ასული მამის გზებს ამრავლებს!* ამაზე მალე დეტალურად ვილაპარაკებ, მაგრამ ნება მომეცით, პირველ რიგში, განვიხილოთ შემდეგი: პავლე კორინთელებს არ წერდა, რომ ტიმოთე „გაახსენებდა პეტრე მოციქულის გზებს ქრისტეში“. იყო თუ არა პეტრე ეკლესიის ნამდვილი ლიდერი? სრულიად ცალსახად. იყო ის ღვთისმოსავი და ცხებული ლიდერი? ვიმეორებთ, დიახ. მან ბიბლიის ორი წიგნი დაწერა! იყო თუ არა პეტრე მოციქული უფრო დიდ მანძილზე, ვიდრე პავლე? ისევ დიახ.

გარდა ამისა, პავლე არ წერს, რომ ტიმოთე „გაახსენებდათ იაკობ მოციქულის გზებს ქრისტეში“. პეტრეს მსგავსად იაკობიც ეკლესიის ნამდვილი მამა გახლდათ და პავლეზე ადრე მოუწოდეს მოციქულად. გარდა ამისა, ის სანდო ლიდერიც იყო და მის კალამს ეკუთვნის ბიბლიის ერთი წიგნი. ის იერუსალიმის ეკლესიის ერთ-ერთი სვეტი და ზედამხედველი გახლდათ.

მოქმედებდნენ თუ არა პეტრე და იაკობი პავლესგან განსხვავებულად? დიახ. მაშ, პავლეს წერილებმა პეტრესა და იაკობის გზები უმოქმედო გახადა? აბსოლუტურად, არა! მიუხედავად ამისა, მათი გზები არ იყო კორინთელთა ეკლესიისთვის გამოსადეგი იქ, სადაც პავლე იყო სულიერი წინამძღოლი.

პავლე კორინთოში საკუთარი მიმართულების დამკვიდრების პროცესში გახლდათ. მისი მეთოდები სხვა „მამების“ მეთოდებისგან განსხვავდებოდა, მაგრამ ყველა მათგანი ჭეშმარიტებით მიყვებოდა ქრისტეს ფუნდამენტურ რწმენას და მოძღვრებას. და მაინც, თითოეულ მათგანს თავისი განსხვავებული მიდგომა, გზები და შეხედულებები ჰქონდა ყველა ერის დამოწაფების დავალების შესასრულებლად.

ეს კარგად წარმოაჩენს ჭეშმარიტებას, რომელიც მორწმუნეთა დიდი ნაწილისთვის უცნობია – გაურკვევლობა, რომელ-

იც ხშირად ხდება დამაზიანებელი დაყოფების წყარო ქრისტეს სხეულში. აი, ჭეშმარიტება: ეკლესიაში სხვადასხვა *მოქმედებები* ხდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასუფევლის წინსვლის მიზნის მიღწევა სხვადასხვა გზებით შეიძლება.

პავლე კორინთელთა ეკლესიას მითითებას აძლევს:

> „მოქმედებანიც სხვადასხვანაირია, ხოლო ღმერთი იგივეა, რომელიც ამოქმედებს ყოველივეს ყოველივეში“. (1 კორ. 12:6)

სრული დროით მოგზაური მსახურის ორმოცწლიანმა გამოცდილებამ მაჩვენა, რომ მსოფლიო ეკლესიაში უამრავი ზრდის ხერხი, მეთოდი და შეხედულება არსებობს. და მაინც, ყოველ ასეთ ატმოსფეროში შემინიშნავს ქრისტეს თანდასწრება.

პავლე ხშირად იყენებს სამხედრო ტერმინოლოგიას ეკლესიის დასარიგებლად. ეს სულაც არ გახლავთ წარმოსახვის ნაყოფი. ჩვენ მართლაც ღვთის არმია ვართ დედამიწაზე. მე მის მიმართულებას მივყვები მსახურებათა სხვადასხვანაირად წარმართვის საილუსტრაციოდ. ამერიკის შეერთებული შტატების არმია სხვადასხვა დანაყოფებისგან შედგება. გვყავს ქვეითები, საზღვაო და საჰაერო ძალები, წყალქვეშა დანაყოფები, სანაპირო დაცვა და კოსმოსური ძალები. თითოეულ მათგანს მიზნებისა და პასუხისმგებლობების განხორციელების განსხვავებული პროცედურები და მეთოდები აქვს. თუმცა, იგივე დანაყოფები ერთ მხარეს იბრძვიან, როცა საქმე ჩვენი ერის დაცვასა და მომსახურებაზე მიდგება.

საჰაერო ძალების კადეტი განსაკუთრებით იწვრთნება როგორც საჰაერო ძალების ამ დანაყოფის ფუნქციონალური წევრი. ინსტრუქციების დიდი ნაწილი საჰაერო ტაქტიკურ ოპერაციებზე მოდის, რადგან მისი განყოფილება ძირითადად ცაში მოქმედებს. თუ ისე მოხდა, რომ ეს კადეტი საზღვაო ძალებში გადაიყვანეს, მას ახალი ტიპის წვრთნა დასჭირდება. რასაკვირველია, ორივე განყოფილებაში არსებობს უამრავი ფუნდამენტური ტექნიკა, რომლებიც ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ საზღვაო ძალები უპირატესად წყლებში ფუნქციონირებს, ამიტომ საჰაერო ძალების ყოფილმა წევრმა მრავალი ახალი ოპერაციული მანევრი და სამხედრო სტრატეგია უნდა შეისწავლოს.

ეს ღვთის სამეფოს ანალოგიურია. აი, წარმოსახვითი ილუსტრაცია. დავუშვათ, თქვენი მთავარი პასტორების სახელებია ჯო და ტერი ანდერსონები. მათ და ლიდერთა გუნდმა ღვთის

მადლით, ეკლესიის წევრების რაოდენობა 1800-მდე გაზარდეს და ამის კეთებისას გარკვეული გზები – მეთოდები და მიდგომები – შეიმუშავეს, რომლებიც მათი წინამძღოლობის უნიკალური სტილია. თქვენი ეკლესიის ნაყოფიერებამ შესამჩნევი კვალი დაატყო თქვენს საზოგადოებას. მას აქვს ადგილობრივი აღიარება, მაგრამ ამის იქით საქმე არ წასულა.

დავუშვათ, სხვა ადგილას არის ძალზე პოპულარული, ათეულ ათასობით წევრიანი მსოფლიოში ცნობილი ეკლესია. მათი მთავარი პასტორებია კევინ და მარისა სმითები. ისინი ახალ მიმართულებებს სახავენ და მსახურებას ახალი ტაქტიკით უძღვებიან, რაც მათ საშუალებას აძლევს იმაზე მეტ ადამიანზე მოახდინონ ზეგავლენა, ვიდრე თქვენი პასტორები ახერხებენ. ვის გაყვებით, სმითებს თუ თქვენს პასტორებს, ანდერსონებს?

შესაძლოა, პოპულარული, მსოფლიო ლიდერების გზების მიყოლის ცდუნება გეწვიოთ და შეეცადოთ თქვენი ლიდერები მათი მეთოდების გადაღებაში დაარწმუნოთ. თუ ამ ცდუნებას აყვებით, ვიტყოდი, რომ იესო ქრისტეს ერთგული მსახური არ ხართ, არამედ გაყოფას, შეუთანხმებლობას და აზრთა სხვადასხვაობას წაახალისებთ. თქვენ, კორინთელების მსგავსად უნდა იცნობდეთ და მიყვებოდეთ თქვენი წინამძღოლების მეთოდებსა და განვითარების ხერხებს, რომ ერთობა იყოს. რეალობა ის გახლავთ, რომ სმითები არ არიან თქვენი ლიდერები, ანდერსონები კი არიან.

მსოფლიოში ჩემი მოგზაურობის განმავლობაში არცთუ ჩიტის გაფრენის მანძილიდან ვადევნებდი თვალყურს ქრისტეს სხეულს. ბევრი ტრაგედიის მომსწრე ვარ ამ ფუნდამენტური ჭეშმარიტების უგულებელყოფის გამო. ვაკვირდებოდი წინამძღოლობით გატაცებულებს ან ბიბლიის სკოლებს, რომლებიც მათი გამზრდელი ეკლესიისგან განსხვავებულად ვითარდებოდნენ. ხშირად ეს სკოლები დიდ ეკლესიებს უკავშირდებიან, რომლებიც ზრდის საერთო მიმართულებას იძლევიან. სტუდენტები მონაწილეობენ ეკლესიის მოქმედებებში, როგორც სკოლაში, ისე შაბათ-კვირის თაყვანიცემისას.

სკოლის დასრულების შემდეგ სტუდენტები სახლებში ბრუნდებიან სრული მოშურნეობით და თავიანთი მშობლიური ეკლესიის განვითარებისა და მეთოდების შეცვლას დიდი ენთუზიაზმით იწყებენ. შესაძლოა, ისინი სწორად ფიქრობენ, რომ მათ მიერ ნასწავლი გზები უფრო შესატყვისი და ეფექტურია, თუმცა დიდი დაჟინების პირობებში ადვილად იქცევიან ეკლესიის მისიის საყოველთაო ერთობის დაბრკოლებად.

თუ ყოფილი სტუდენტების მიერ შემოთავაზებული მეთოდები ორგანიზაციამ უარყო, ამ სტუდენტებისთვის საუკეთესო ვარიანტი იქნება ლოცვა და ღვთის ნების გაგება, უნდა გადავიდნენ სხვა ეკლესიაში თუ მთელი გულით დაემორჩილონ თავიანთი ლიდერისთვის დამახასიათებელ განვითარების ხერ-ხებსა და მეთოდებს.

თუ ისინი გადასვლას გადაწყვეტენ, ეს ისე უნდა გააკეთონ, რომ თავიანთი ყოფილი ეკლესია არ დააზიანონ. ფაქტობრივად, უმჯობესი იქნება იმ რეგიონიდან წასვლა. ღმერთი ყოველთვის მოიყვანს სხვა წინამძღოლს იმ არეალში, რომელსაც ახლებურად დაწყება შეუძლია და თან თავს აარიდებს თავდაპირველი ეკლესიიდან ხალხის გადაყვანას შექმნილი ურთიერთობების გამო.

ერთგული ძე

ახლა მივუბრუნდეთ ფაქტს, რომ პავლე მოციქული ტიმოთეს „ერთგულ ძეს“ უწოდებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთგული ძე მამის გზების გამრავლებას ცდილობს. სავარაუდოდ, თქვენ გექნებათ ნიჭები, რომელიც არ ექნება თქვენს ლიდერს. ჩნდება კითხვა: ამრავლებთ თუ არა ნიჭებს მის გულთან შესაბამისობაში? გამრავლების უკან მდგარი მოტივი ემთხვევა თუ არა მის შეხედულებებსა და ზრდის ხერხებს თუ საკუთარი გზების დამკვიდრებისთვის იბრძვით, რაც მისი გულის კონტრპროდუქტიული და საწინააღმდეგოა?

როგორ მოქმედებს ეს პრაქტიკაში? ორი გზით – პირველი, თქვენი ნიჭის გამოყენება თქვენი ლიდერის შედეგის მიბაძვით, რომელიც თქვენს ადგილას ექნებოდა თქვენი უნიკალური ნიჭების ფლობის პირობებში. ეს არ ნიშნავს, რომ სპეციფიკური დავალების შესრულება უნდა დათმოთ ლიდერის კლონად გახდომით. აი, რას ვგულისხმობ. დავუშვათ, ახალგაზრდების პასტორი ხართ. ვერ შეძლებთ თქვენი თემის ახალგაზრდებთან საერთო ენის გამონახვას თქვენი პასტორის საკვირაო მსახურების კლონირებით.

გონივრული იქნება თქვენი მსახურების ადაპტირება ახალგაზრდებთან მისაღწევად, მაგრამ ეს საქმე თქვენი მამის გულის გათვალისწინებით უნდა აკეთოთ. ამის მიღწევა შესაძლებელია მასთან კომუნიკაციის საშუალებით. მსჯელობა თქვენს სტრატეგიებსა და მეთოდებს უნდა მოიცავდეს. როცა

მის პასუხებს მოისმენთ, კარგად ჩაუკვირდით მათ და გაიაზრეთ, როგორ ერგება მისი გული თქვენს პარამეტრებს.

ამ საქმის ეფექტურად კეთებისთვის აუცილებელია ღია და გულწრფელი საუბარი. თუ აღმოაჩენთ, რომ რაღაც ისეთს იყენებთ, რაზეც „იმედოვნებთ, რომ ის ვერ შეამჩნევს ან გაიგონებს“, იცოდეთ, რომ უკვე დაღმავალი გზით მიდიხართ. თუ რაღაც გაეჭვებთ, მიიტანეთ მასთან. ყველაფერს თავისი სახელი უწოდეთ, რომ მან ზუსტად შეძლოს თქვენი მღელვარების მიზეზის დადგენა. გონივრული იქნება, თუ მსახურებაზე დასწრებას სთხოვთ. თუ თქვენს მეთოდებს კითხვის ნიშნით უყურებს, უთხარით „რატომ“ იქცევით ასე. თუ ის მაინც ვერ ითავისებს მათ, დაუყოვნებლივ მოიძიეთ გეგმა, რომელშიც ერთსულოვანი იქნებით.

ეს სისრულეში მოდის მეორე ხერხის მეშვეობითაც, რაც არის საკუთარი თავის კვლავწარმოება. დავუშვათ, ქალაქის ყველაზე დიდ ახალგაზრდულ ჯგუფს ხელმძღვანელობთ. ეს დიდებულია; ღმერთი თქვენს მეთოდებს აკურთხებს და თქვენი ცხოვრების ნიჭია ადამიანების მოზიდვა. პოულობთ სხვებს მსგავსი ნიჭით და მათ უზიარებთ თქვენს სიბრძნესა და ნასწავლ გზებს? ზრდით რამდენიმე პოტენციურ ახალგაზრდების მწყემსს? ამის კეთებისას, თუ თქვენი „მამა“ გამოაცხადებს, რომ ეკლესია მალე ახალი კამპუსის მშენებლობას წამოიწყებს ქალაქის სხვა ნაწილში, იქ გასაგზავნად უკვე გეყოლებათ გაწვრთნილი და მომზადებული ხალხი. დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი ეკლესია სწორედ ამ მიზეზით ვერ იწყებს კამპუსებს ქალაქის სხვა ნაწილებში ან ვერ აფუძნებს ეკლესიებს სხვა რეგიონებში, რადგან მთავარი პასტორის დაქვემდებარებაში მყოფი ადამიანები საკუთარი თავის სხვებში კვლავწარმოებაზე უარს ამბობენ.

შესაძლებელია იყოთ საუკეთესო ხმის ინჟინერი, ვიდეორე-დაქტორი, ბავშვების პასტორი, თაყვანისცემის ლიდერი, გიტარისტი, კომუნიკატორი, აშერი თუ მრავალი სხვა შტატის თანამშრომელთაგან, მაგრამ ეს არ განსაზღვრავს ნამდვილ წარმატებას ღვთის სამეფოში. ნამდვილი მნიშვნელობა საკუთარი თავის კვლავწარმოებაშია. შეეკითხეთ საკუთარ თავს, *ვლოცულობ და ვეძებ ადამიანებს, რომელთაც ანალოგიური ნიჭი აქვთ?* როცა მათ აღმოაჩენთ, ასწავლით, წვრთნით და ავლენთ მათ ნიჭებს მამის გულის მათთვის განაწილებით?

ეს გახლავთ ერთგულების ორი გზა, როცა ერთმანეთის ხედვას ვემსახურებით. უნდა გვახსოვდეს, რომ იესო შთამბეჭდავად

აცხადებს: „თუ სხვისაში ერთგული არ იყავი, შენსას ვინ მოგცემს?“ (ლუკ. 16:12).

მოდი, იესოს სიტყვები გავიმეოროთ ერთგულების მისეული განმარტებით: „თუ სხვა ადამიანისას არ ამრავლებ, ვინ მოგცემს შენს საკუთარს?“ ან „თუ შენი ლიდერის გზებს, ზრდას, სიძლიერეს, ხედვას, რესურსებს და ყველაზე მეტად, გულს არ ამრავლებ, შენს საკუთარს ვინ მოგცემს?“ მოდი, სხვაგვარადაც ვთქვათ: „თუ შენი პასუხისმგებლობის სფეროს გაფართოებას მთელ ძალას, ინტელექტს, ენერგიას და გულს არ შეალევ, ვინ მოგცემს საკუთარ მსახურებას?“ დამაფიქრებელია, როცა იესოს ნათქვამს ასეთი ფორმულირებით წარმოვადგენთ.

ჩემი მოგზაურობებისას ნანახი წარმატებული ადამიანები თავდაპირველად ერთგულები იყვნენ სხვა ადამიანის მსახურებაში. ხშირად ვეკითხებოდი მათ, როგორი იყო პირველი ნაბიჯები. არავინ მინახავს ნამდვილად წარმატებული, ვინც ჯერ ერთგულებით არ ემსახურებოდა მის მამას ან მამებს.

ჩემი უდიდესი ბრძოლა

როცა ახალგაზრდა მსახური ვიყავი, ყველაზე დიდი ბრძოლა დაუცველობის ფარულ გრძნობასთან მქონდა, რაც მაიძულებდა სხვების თვალში ცნობადი და მნიშვნელოვანი გამოვჩენილიყავი. ვცდილობდი სხვებისთვის და უფრო საკუთარი თავისთვის დამემტკიცებინა, რომ ორიგინალური იდეების მქონე ლიდერი ვიყავი. მოგვიანებით გავიგე, რომ ბევრ პოტენციურ ლიდერს იგივე დაუცველობის პრობლემა აწუხებდა და თუ მას შინაგან დონეზე არ გაუმკლავდებოდნენ, მოგვიანებით მათი დაცემა გარდაუვალი გახდებოდა.

ერთ-ერთ დიდ ქალაქში ქვეყნის მასშტაბით ყველაზე სწრაფად მზარდი ეკლესიის ახალგაზრდების პასტორი ვიყავი და ჩვენი გუნდი ქალაქის ყველა უფროსკლასელის გულამდე მიღწევის გზებს ეძებდა. ეს გამორჩეული და ძალიან კარგი გეგმა იყო. ჩვენი ახალგაზრდული ჯგუფის მომავალი მთლიანად ამ ინიციატივის ირგვლივ ტრიალებდა. საჭირო სტრატეგიის შემუშავებას მე და ჩემმა თანაშემწეებმა რვა თვე შევალიეთ. ხედვა ახალგაზრდულ ჯგუფს გავუზიარე და მათაც გულით მიიღეს.

გეგმის ამუშავებამდე ცოტა ხნით ადრე გავიგე, რომ ეს ჩემი პასტორის გულს ეწინააღმდეგებოდა. მან მთხოვა, რომ პრო-გრამა არ გაგვეშვა. დაახლოებით, ოცი წუთის განმავლობაში

ვუმტკიცებდი ჩემს მოსაზრებას, მაგრამ აზრი არ შეიცვალა. ვერაფერი მოვიფიქრე, რაც მას დაარწმუნებდა და ბოლოს ხმა გავიკმინდე, მაგრამ შიგნით გაცოფებული ვიყავი. რვა თვის ნამუშევარი წყალში უნდა გადაგვეყარა, დიადი გეგმა ნაგვად იქცა და რაც ყველაზე უარესი იყო, მთელი ჩვენი ხედვა ამ გეგმის გარშემო ავაგეთ. ახლა ყველაფერი თავიდან უნდა დაგვეწყო. რა უნდა მეთქვა ჩვენი ოცდაოთხი ლიდერისა და ახალგაზრდების ჯგუფისთვის? მათ ხომ მთელი ძალისხმევით იშრომეს?

განადგურებულმა ლიზას მივაშურე ნუგეშისცემისთვის. ჩემი იმედგაცრუების გამოხატვის შემდეგ ლიზამ ტკბილად მითხრა:

– ჯონ, ისე ჩანს, რომ ღმერთს შენთვის რაღაცის სწავლება სურს. ახლა უკვე პასტორზეც ვბრაზობდი და ჩემს ცოლზეც!

ცოლისგან თავს შორს ვიჭერდი, რადგან ჩემს თვალში, მან თანადგომა არ გამიწია. ვფიქრობდი, რომ ეს იყო საუკეთესო გეგმა უამრავი დაღუპული უფროსკლასელისთვის. *ჩემი პასტორი და მისი ცოლი სრულიად დაბრმავებულები არიან,* სულ მცირე, ასე ვფიქრობდი მე! თავს მარტოსულად და სრულიად უნუგეშოდ ვგრძნობდი. ერთ მომენტში ისიც ვიფიქრე, რომ კოშმარი მესიზმრებოდა და გამოღვიძებისას მალე დავუბრუნდებოდი ნორმალურ ცხოვრებას. *ნუთუ ეს მართლა ხდებოდა ჩემს თავს?*

მაშინ ღმერთი გულში მკაფიოდ დამელაპარაკა. მან თქვა:

– შვილო, როცა გაგასამართლებ ახალგაზრდების პასტორობის პერიოდისთვის, თავდაპირველად არ მოგკითხავ, რამდენი ახალგაზრდა მოიპოვე ცათა სამეფოსთვის, არამედ რამდენად უერთგულე ადამიანს, რომელიც შენს ზემდგომად დავაყენე.

ამ სიტყვებმა ჩემი ყურადღება მიიპყრო, მაგრამ მომდევნო განცხადებას ვერ შეედრებოდა. მან მტკიცედ მითხრა გულში:

– შეგიძლია ქალაქის მთელი სტუდენტობა მოიპოვო ჩემთვის, მაგრამ დაკარგო შენი შრომის ყველა საზღაური და ჯილდო იმის გამო, რომ შენი პასტორის *ერთგული არ* იყავი.

მოულოდნელად წმიდა შიშმა ამაკანკალა. მაშინვე მოვინანიე და პატიება ვითხოვე. შემდეგ პასტორს დავურეკე და მასთანაც იგივე გავაკეთე. როცა ტელეფონი გავთიშე და ჩავფიქრდი ღვთისგან ახლახანს მოსმენილზე, მოულოდნელად უფალმა ხილვა მომცა. დავინახე, რა დადარდიანებული ვიყავი შეკრებაზე ჩემს ოცდაოთხ ლიდერთან ერთად. გულდამძიმებულმა და სევდიანმა გაღიზიანებული ხმით გამოვაცხადე: „მეგობრებო, იცით, რომ ამ საკითხზე თვეების განმავლობაში ვიმუშავეთ. ეს ჩვენი ახალგაზრდული ჯგუფის ხედვაა, მაგრამ ჩვენმა უფროსმა

პასტორმა, უბრალოდ, უარყო პროგრამა. აღარაფერი არსებობს, რისკენაც მივისწრაფოდით“.

დავინახე, როგორ ჩაქინდრეს თავები უკმაყოფილების ნიშნად, ხოლო ზოგიერთებმა თვალები და პირი ფართოდ გააღეს გაკვირვებისგან. ყველა გაოგნებული და გაღიზიანებული იყო. ხილვაში ცხადად ვხედავდი, რომ ყველანი გაბრაზდნენ უფროს პასტორზე, თითქოს მისი არაკრეატიულობის მსხვერპლებად ვიქეცით.

ღმერთმა მკითხა, იყო თუ არა ამის გაკეთება ჩემი განზრახვა. მაშინვე ვუპასუხე: „არა, სერ! არა, სერ! არა, სერ!“ ვიცოდი, რომ იგი ჩემს დამოკიდებულებას და გულის მდგომარეობას ასწორებდა. მის მიერ ნაჩვენებმა ხილვამ დამარწმუნა, რომ ჯერ კიდევ არ მქონდა მამაჩემის გული. მაშინვე მთელი გულით მოვინანიე.

მახსოვს, რამდენიმე დღის შემდეგ ლიდერებთან შეხვედრაზე მივედი. ახლა, როცა ჩემს გულში წმიდა შიში აგიზგიზდა, ნაბიჯი მოქნილი გამიხდა, თვალებში ელვა მიკრთოდა, ხოლო ხმაში – ნაპერწკალი. შემდეგ დიდი ენთუზიაზმით განვაცხადე:

– მეგობრებო, დიდებული ახალი ამბავი მაქვს! ჩვენმა უფროსმა პასტორმა ისმაელის დაბადებისგან გვიხსნა. მან განაცხადა, რომ ჩვენი ნაშრომი არ ემთხვეოდა მიმართულებას, რომლითაც მისი აზრით ეკლესიას უნდა ევლო. ამრიგად, პროგრამა უნდა ჩამოვწეროთ!“

ყველა სიხარულით გამომეხმაურა. ზოგიერთებმა გაიღიმეს, სხვებმა ერთმანეთს ხელისგულები მიარტყეს, დანარჩენებმა კი მხიარული შეძახილებით გამოხატეს თავიანთი მოწონება. თითოეული მიხვდა ჩემს გულისნადებს, რადგან მეც მივუხვდი ჩემი პასტორის გულს.

ერთი წლის შემდეგ, კიდევ მომიხდა გამოცდის ჩაბარება სხვა მნიშვნელოვან პროექტთან დაკავშირებით, რომელზეც რამდენიმე თვე ვიმუშავეთ. ამჯერად, პასტორი საქმის კურსში იყო და ჩვენს მიმართულებას იწონებდა. მიუხედავად ამისა, პროექტზე მუშაობიდან სამი თვის შემდეგ კურსი ისევ რადიკალურად შეიცვალა, ხოლო პასტორი მობოდიშებით გველაპარაკა. ამჯერად სრულიად სხვაგვარი დამოკიდებულება მქონდა. გავაუქმე პროგრამა, არ დამიწყია მისი დაცვა, კამათი ან რაიმე სახის უთანხმოება. კარგად მახსოვს, რა განსხვავება ვიგრძენი – დათანხმების შეძლების კმაყოფილება, როცა ფაქტობრივად, არჩევანზე რომ მიმდგარიყო საქმე, თავდაპირველი გეგმის მიყოლას ვისურვებდი.

კიდევ ერთხელ წარვუდგინე ჩემს ლიდერებს პროექტის გაუქმების ინფორმაცია, თითქოს ეს ჩემი იდეა იყო. ღმერთმა აკურთხა ჩვენი ახალგაზრდული ჯგუფი. იგი სამჯერ მეტად გაიზარდა ჩემი იმ პოზიციაზე მუშაობის განმავლობაში.

დარწმუნებული ვარ, რომ ზემოხსენებულ გამოცდებზე მარცხის შემთხვევაში არ ვიქნებოდი იქ, სადაც დღეს ვარ. გეტყვით, რა მოხდებოდა, რადგან სულიწმიდამ მაჩვენა. საბოლოოდ, პროგრამას მაინც გავაუქმებდი, რადგან სხვა არჩევანი არ მექნებოდა. ამას ცუდი დამოკიდებულებით გავაკეთებდი, რაც ჩემს ლიდერებზე გავრცელდებოდა და ამით მათაც მოვწამლავდი. ბოლოს ეკლესიას დავტოვებდი და ჩემს ცხოვრებაში არსებული ნიჭების საფუძველზე ადამიანთა მცირე ჯგუფზე მოვახდენდი გავლენას. თუმცა არასოდეს მექნებოდა მილიონობით ადამიანებთან ლაპარაკისა და წერის მსახურება მსოფლიო მასშტაბით, რომელიც ახლა გვაქვს. რატომ? იმიტომ, რომ ერთგული არ ვიქნებოდი სხვის მსახურებაში და არც ღვთისგან ბოძებული მისია მომენდობოდა.

ამის სწავლა ადვილი როდი იყო. მე როგორც ლიდერი, A ტიპის პიროვნებას მივეკუთვნებოდი, რომელიც ბოლომდე იბრძვის საუკეთესოსთვის. თუმცა ვისწავლე, რომ ღმერთს ჩემი ხასიათის თვისებები უფრო აღელვებდა, ვიდრე ჩემი შედეგები. მას სურდა მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ჩემში, სანამ მე და ლიზას საკუთარ მისიას მოგვანდობდა.

ჩემო ძვირფასო მეგობარო, თქვენც ლიდერი ხართ! თუ მისი გზით დავდივართ, ღმერთი ყველა თავის შვილს პირდება წინამძღოლობის შესაძლებლობას. ჩვენ „თავი ვართ და არა კუდი“, „მაღლა ვიქნებით და არა ქვემოთ“ (იხ. 2 რჯ. 28:13). წვეტის წინააღმდეგ ნუ წახვალთ, როგორც მე გავაკეთე. ისწავლეთ ჩემგან, რომ თქვენც შეძლოთ ცათა სამეფოს პასუხისმგებლობაში წინსვლა.

ერთობის მნიშვნელობა

ორგანიზაცია ერთობაში უნდა იყოს, რომ გამრავლდეს. წმიდა წერილის ყველაზე თვალის ამხელი ნაწილი დაბადების წიგნში ჩანს. უღმერთო ადამიანების ჯგუფმა ისეთი რამის გაკეთება გადაწყვიტა, რაც იმ დროს სრულიად მიუღწეველი გახლდათ – ზეცამდე ასული კოშკის მშენებლობა. დიახ, მოუსმინეთ, რას ამბობს ყოვლისშემძლე ღმერთი:

„აჰა, ერთი ხალხია ეს და ყველას ერთი ენა აქვს. აი, რისი კეთება წამოიწყეს! *ამიერიდან აღარაფერი იქნება მათთვის მიუღწეველი, რასაც განიზრახავენ“.* (დაბ. 11:6)

გახსოვდეთ, ვინ ლაპარაკობს აქ: თავად ღმერთი. მოუსმინეთ მის სიტყვებს, „აღარაფერი იქნება მათთვის მიუღწეველი, რასაც განიზრახავენ“. რატომ გააკეთა ღმერთმა ასეთი განცხადება? იმიტომ, რომ ისინი „ერთი“ იყვნენ და „ერთი“ ენა ჰქონდათ. ისინი გაერთიანებული იყვნენ. ისინი შეთანხმებულად მოქმედებდნენ.

თუ ღვთის ბაგემ თქვა ეს წარმართ ხალხზე, რას იტყვის მასთან აღთქმაში მყოფ ადამიანებზე? საქმე უკეთესადაა, რადგან მისი ხალხის გაერთიანებისას „დაადგინა უფალმა კურთხევა“ (ფს.133:3). სიტყვა „*დაადგინა*“ ნიშნავს „უბრძანა, მიუთითა, გაამწესა.“ აქ ადგილი არ აქვს მერყეობას; ერთობას კურთხევა მოაქვს, რაც გამრავლებასაც მოიცავს. რამდენად მეტად შეიძლება ამის გამოყენება ახალი აღთქმის შვილებისთვის! გასაკვირი არ არის, რომ ყოველთვის ვხედავთ მსგავს განცხადებებს:

„სრულქმენით ჩემი სიხარული: *ერთსა* და *იმავეს იზრახავდეთ*, გქონდეთ ერთი და იგივე სიყვარული, იყავით *ერთსულოვანნი* და *ერთაზროვანნი“*. (ფილ.2:2)

„და ბოლოს, ძმებო, იხარეთ და სრულყოფას მისდიეთ, ინუგეშეთ და იყავით ერთსულოვანნი, იცხოვრეთ მშვიდობაში;“ (2 კორ.13:11)

„ოღონდ მოიქეცით ქრისტეს სახარების ღირსად, რათა - მოვალ და გნახავთ, თუ ვერ მოვალ, – მესმოდეს თქვენზე, რომ მყარად დგახართ ერთ *სულში* და *ერთსულოვნად* იღწვით სახარების რწმენისთვის“. (ფილ.1:27)

ჩვენ *მამის* ვედრება გვესმის ამ ეკლესიების მიმართ. პავლე ისეთ ფრაზებს იყენებს, როგორებიცაა „ერთსა და იმავეს იზრახავდეთ“, „ერთაზროვანნი“ და „ერთსულოვანნი“. მან იცის, რომ მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებენ გამრავლებას ყველა ასპექტში.

აი, გაერთიანებულთათვის შენახული დადგენილი კურთხევის შესანიშნავი მაგალითი: იესოს ერთგული მიმდევრები დაემორ-

ჩილნენ მითითებას, რომ ზემო თვალში შეკრებილიყვნენ (იხ. საქმ.1:4). იესო აღდგომიდან ორმოცი დღის შემდეგ ეჩვენა, სულ მცირე, 500 მამაკაცსა და ქალს (იხ. 1კორ.15:6); მიუხედავად ამისა, მისი ამაღლებიდან ათი დღის შემდეგ იერუსალიმში მხოლოდ 120 მოწაფე შეიკრიბა. სად იყვნენ დანარჩენები? ვასკვნი, რომ მოწაფეთა 75%-ს იესოს სიტყვები არ მოუსმენია. არ ვიცით, ისინი სად იყვნენ, მაგრამ ის კი ვიცით, რომ უფლის სურვილი მათთვის პრიორიტეტს არ წარმოადგენდა.

ზემო თვალში შეკრებილი მამაკაცები და ქალები გაერთიანებული იყვნენ ღვთის სიტყვის ძალაუფლებით. ჩნდება კითხვა, როგორ გამოეხმაურებოდნენ პეტრეს, უფლის მიერ დაყენებულ ძალაუფლებას, ეკლესიის *მამას*, რომელსაც იესომ პასუხისმგებლობა დააკისრა?

სახარებებში პეტრე ხშირად იჩენს იმპულსურობას და ღვთის ნებაში არ მოქმედებს. როცა მან თამამად განაცხადა, რომ იესოა ქრისტე, ცოცხალი ღვთის ძე, უფალმა მას კურთხეული უწოდა. თუმცა ისეც მოხდა, რომ იგი „მიუბრუნდა პეტრეს და უთხრა: „გამშორდი, სატანავ! საცდური ხარ ჩემთვის, რადგან იმაზე კი არ ფიქრობ, რაც ღვთიურია, არამედ იმაზე, რაც ადამიანურია“ (მათ.16:23).

კიდევ ერთ შემთხვევაში პეტრე იოანესა და იაკობთან ერთად იესოს ახლდა ფერისცვალების მთაზე. იქ მისი სახის მზესავით განათების მოწმენი გახდნენ და მისი სამოსის გარდაქმნაც კი იხილეს. მოსე და ელია გამოჩნდნენ და იესოს ელეპარაკებოდნენ. რა პატივია! და მაინც, სანამ იესო და მისი მოწაფეები მთიდან ჩამოვიდოდნენ, პეტრემ წამოისროლა, რომ სამი კარვის გაკეთება კარგი იქნებოდა – მათგან ორი მოსეს და ელიას მიაკუთვნა (იხ. მათ.17). იგი ისევ ღვთის გეგმებისა და მიზნისგან შორს აღმოჩნდა.

ამის გათვალისწინებით გამოვიკვლიოთ პეტრეს როგორც ლიდერის პირველი გადაწყვეტილება ახლად შექმნილ ეკლესიაში. სანამ ამას გავაკეთებდეთ, უნდა გვახსოვდეს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: ამ მომენტისთვის მხოლოდ დღეები იყო გასული, რაც პეტრემ უარყო, რომ იესოს საერთოდ იცნობდა. ჩვეულებრივ, ეს ბევრ მამაკაცსა და ქალს სრულ უფლებას მისცემდა, რომ მისი წინამძღოლობა უარეყოთ, განსაკუთრებით თუ მის მიმართულებას ან გადაწყვეტილებებს არ დაეთანხმებოდნენ.

მოდი, სურათი წარმოვიდგინოთ. იესოს ამაღლებიდან რამდენიმე დღე გავიდა და პეტრემ ფსალმუნთა წიგნში წინასწარ-

მეტყველური სიტყვა იპოვა, რაც პირდაპირ უკავშირდებოდა იუდას მიერ იესოს გაცემის მოვლენებს. პეტრემ ეს მონაკვეთი პატარა მრევლს წაუკითხა ზემოთვალში: „მისი მსახურება სხვამ მიიღოს“ (საქმ. 1:20). მან კიდევ ერთხელ დაინახა ის, რაც სხვების მზერას გამოეპარა, მაგრამ სწორად გამოიყენა თუ არა გაცხადებული?

რასაც ახლა წაიკითხავთ, შესაძლოა, ჰიპოთეტური მოგეჩვენოთ, მაგრამ შევეცდები საკმარისი ბიბლიური დასაბუთება მოგაწოდოთ, რომ ჩემი მოსაზრება საფუძვლიანი იყოს. დარწმუნებული ვარ, რომ პეტრე კიდევ ერთხელ აცდა ღვთის ნებას გადაწყვეტილების მიღებისას, რადგან ყველა იმ ადამიანის შეკრება მოინდომა, რომლებიც თავიდანვე იესოსთან ერთად იყვნენ. მას სურდა „წილი ეყარათ“ ღვთის ნების გამოსარკვევად, თუ ვინ დაიკავებდა იუდას ადგილს.

ახალ აღთქმაში ვერსად ნახავთ, რომ მოციქულები წილისყრით ირჩეოდნენ! იესომ მოწაფეებს მაგალითი დაუტოვა: მან მთელი ღამე ილოცა და ღვთისგან მიიღო პირველი თორმეტი მოციქულის სახელები (იხ. ლუკ. 6:12-13). საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა, პეტრეს შემდეგი მოციქულის არჩევა იესოს მეთოდის ანალოგიურად რომ ეცადა.

გაიხსენეთ, რომ ანტიოქიის ეკლესიის წინასწარმეტყველებმა და მოძღვრებმა იესოს მაგალითს მიბაძეს რამდენიმე წლის შემდეგ. მათ იმარხულეს და ილოცეს, სანამ ბარნაბას და სავლეს მოციქულთა მსახურებისთვის გამოყოფდნენ (იხ. საქმ. 13:1-14). ეს პეტრეს ნაჩქარევი გადაწყვეტილებიდან მომდინარე შეცდომის კიდევ ერთი დასტურია.

ზემო ოთახში შეკრებილი 120 მოწაფიდან ორი კანდიდატურა შეირჩა: მატათია და იუსტოსი. მატათიამ წილისყრაში გაიმარჯვა და დანარჩენ მოციქულებს მიეთვალა (იხ. საქმ. 1:23-26); და მაინც, მისი სახელი ამის შემდეგ არსად ჩანს ახალ აღთქმაში. რატომ? იმიტომ, რომ წერილის თანახმად, პავლე იყო ღვთის რჩეული, რომელსაც იუდა უნდა შეეცვალა და არა მატათია. სწორედ ამიტომ წერდა პავლე:

> „მერე ერთდროულად გამოეცხადა ხუთასზე მეტ ძმას, რომელთა უმრავლესობა დღემდეა ცოცხალი, ზოგმა კი განისვენა; შემდეგ გამოეცხადა იაკობს და მერე - ყველა მოციქულს; ყველაზე ბოლოს მეც გამომეცხადა, როგორც უდღეურს. ვინაიდან უმცირესი ვარ მოციქულთა შორის და

> მოციქულად წოდების ღირსიც არა ვარ, რადგან ვდევნიდი ღმერთის ეკლესიას“. (1 კორ.15:7-9)

პავლე საკუთარ თავზე ისე ლაპარაკობს, თითქოს არასწორ დროს დაიბადა; სხვა სიტყვებით, იგი ძალზე ახალგაზრდა იყო საიმისოდ, რომ თავდაპირველ თორმეტ მოციქულს შორის აერჩიათ. ჩემი კვლევებით პავლეს დაბადების თარიღის სხვადასხვა ვერსია ვიპოვე. ამ წყაროებიდან მოპოვებულ ინფორმაციებს შორის განსხვავება თოთხმეტი წელია. ერთი კი ცხადია; არავინ იცის მისი დაბადების წელი. ამრიგად, გადავხედოთ ახალი აღთქმის ქრონოლოგიას, რომ მის ასაკზე გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ.

აღწერილობათა უმრავლესობაში სტეფანეს მოწამეობრივი სიკვდილი იესოს აღდგომიდან ოთხ წელში მოხდა, რაც ნიშნავს, რომ იესომ პირველი მოციქულების ჯგუფი შვიდი წლით ადრე აარჩია. სტეფანის ჩაქოლვისას წერილი პავლეს „ჭაბუკს“ უწოდებს (იხ. საქმ.7:58). *ბერძნულ-ინგლისური ლექსიკონის* თანახმად, ბერძნული სიტყვა *„ჭაბუკი“* აღნიშნავს ადამიანს სქესობრივი მომწიფების შემდეგ. თუ ამ ასაკს შვიდ წელს გამოვაკლებთ, ცალსახად შეიძლება ვთქვათ, რომ პავლე მეტისმეტად ახალგაზრდა იყო თორმეტ მოციქულთა რიცხვში მოსახვედრად.

სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ პავლე ღვთის არჩევანს წარმოადგენდა. იგი აშკარად ფლობდა მოციქულის ნაყოფსა და ძალაუფლებას უფრო მეტად, ვიდრე მატთია. მთავარი პუნქტი: მჯერა, რომ პეტრემ იმპულსური გადაწყვეტილება მიიღო, რაც ღვთის გეგმას არ შეესაბამებოდა. მას ეს ნაბიჯი თანამედროვე ეკლესიაში რომ გადაედგა, დიდი ალბათობით მივიღებდით ეკლესიის სამი მიმართულებით გაყოფას: „წილისყრით მოციქულთა არჩევის მოწინააღმდეგეთა“ ჯგუფი, „რა საჭიროა ახალი მოციქული“ ჯგუფი და „წილისყრით არჩევის მომხრეთა“ ჯგუფი (რომელიც შეიქმნებოდა ორი ჯგუფის გარეთ დარჩენილი ხალხით). და მაინც, მოისმინეთ წმიდა წერილის სიტყვები, რომლებიც ამ შემთხვევას მოსდევს:

> „ორმოცდამეათე დღის ზეიმმა რომ მოაწია, *ყველანი ერთად* იყვნენ“. (საქმ.2:1)

სიტყვა *„ერთად“* ბერძნულ *„ჰომოსუმადონს“* წარმოადგენს. იგი განისაზღვრება როგორც „ერთი აზრი, საყოველთაო

თანხმობა, ყველა ერთა.“. ამ განსაზღვრებიდან გამომდინარე ადგილი არ აქვს დაყოფას არც აზროვნებაში და არც ქცევაში. ისინი გაერთიანებული იყვნენ მიზნით, გონებით, გულით და სულით. როგორი იყო შედეგი? წმიდა წერილი ამბობს, რომ იმ დღეს უფალს სამი ათასი სული შეემატა! თუ ამ რიცხვს 120-ზე გაყოფთ, ოცდახუთგზის *გამრავლებას* მიიღებთ.

იფიქრეთ ამაზე – ეკლესია ოცდახუთჯერ გაიზარდა მხოლოდ ერთ მსახურებაზე. ღმერთმა კურთხევა ბრძანა მათ ერთობაზე! ეს სულიერი კანონია.

დარწმუნებული ვარ, რომ ზემო ოთახში იყვნენ მორწმუნეები, რომლებიც პეტრესგან განსხვავებულად იმოქმედებდნენ. ეჭვგარეშეა, უკეთესი არჩევანი იქნებოდა იესოს მიბაძვა და ღვთის წინაშე ლოცვაში გარკვეული დროის გატარება, სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ამის მოგვარების უკეთესი გზა არსებობდა, იმ ოთახში მყოფმა ადამიანებმა უმაღლესი პრიორიტეტი დაინახეს – *ერთიანობაში* დარჩენა მათი ლიდერის სტრატეგიის გათავისებით. ყველა ისე მიიწევდა წინ, თითქოს საკუთარ იდეას მიყვებოდა. რამდენად ხშირად ვიყოფით მხარეებად ყველაზე სულელური ან წვრილმანი უთანხმოების გამო, რომლებიც ჩვენი მეთოდების გამოყენებისას წარმოიშობა? (ნება მომეცით, ერთი მნიშვნელოვანი ჭეშმარიტება ჩავურთო: თუ თქვენი ლიდერი იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც წმიდა წერილის თანახმად *ცოდვის* კატეგორიაში შედის, ეს იქნება ერთადერთი შემთხვევა, როცა მას მხარი არ უნდა დაუჭიროთ და მაინც, უარყოფითი შედეგების უმრავლესობა მეთოდებითაა გამოწვეული და არა ცოდვით).

წყალქვეშა დინებები

უნდა გვახსოვდეს, რომ აზრთა სხვადასხვაობა სიტყვებით ან მოქმედებებით არ შემოიფარგლება; ის უფრო ღრმად მიდის – გონებასთან, გულსა და სულთან. განახლების მიზნით გადახედეთ სამ ზემოთ განხილულ მუხლს. შესაძლებელია, ერთნი ვიყოთ გარეგნულად, მაგრამ ჩვენი აზრები და ფიქრები იყოფოდეს.

დედაჩემი ვერო ბიჩში ცხოვრობს, ფლორიდაში. მისი სახლიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით, ცამეტი მილის მანძილზე არის ადგილი, რომელსაც სებასტიანის ყურეს უწოდებენ. ადგილობრივებისთვის ის ძლიერი წყალქვეშა დინებითაა

ცნობილი. ასეთი დინება წარმოადგენს მოვლენას, რომელიც შეუიარაღებელი თვალით ძნელი შესამჩნევია. ოკეანის ზედაპირზე წყლები თითქოს ერთი მიმართულებით, მწყობრად მიედინება სანაპიროსკენ. მიუხედავად ამისა, ზედაპირის ქვეშ წყალი მკვეთრად საპირისპირო მიმართულებას იღებს. ეს უკუდინება თავის მსხვერპლებს იჭერს, ზღვის სიღრმეში მიაქანებს და ზოგჯერ მათი სიცოცხლეც მიაქვს.

არის თუ არა ჩვენს ეკლესიებში, ბიზნესში, სკოლებში, მთავრობაში, სპორტულ გუნდებსა და კლუბებში დაფარული დინება, რომელიც დამანგრევლად მოქმედებს გამრავლებაზე? დიახ, ნამდვილად ასეა. რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ ცათა სამეფოს შენებას დემოკრატიული აზროვნებით ვცდილობთ ნაცვლად სამეფოს პრინციპების გათვალისწინებისა? ჩვენ რეალური სამეფოს მოქალაქეები ვართ. ჩვენი მეფის გადაცემული ძალაუფლების უგულებელყოფა არ შეგვიძლია. მისი კურთხევა მაშინ მოდის, როცა ჩვენი ლიდერების გულს ვემორჩილებით.

საკუთარ თავს უნდა ვკითხოთ, *რა უფრო მნიშვნელოვანია, სიმართლე ჩვენს მხარეზე რომ არის თუ ერთნი რომ ვართ?* შესაძლებელია, 100 %-ით მართალი იყო და ამავდროულად, 100 %-ით ცდებოდე. გარკვეული ჯგუფი პეტრეს წილისყრის სისტემის წინააღმდეგ პეტიციით რომ გამოსულიყო და მარხვა-ლოცვა მოეთხოვა ღვთის ნების დასადგენად (იმ ნიმუშის მიხედვით, რასაც წერილში ვხედავთ), კოალიცია 100 %-თ მართალი იქნებოდა. მიუხედავად ამისა, მათი დაყოფის გამო ღვთის კურთხევის გადმოღვრა შეწყდებოდა.

თუ გაიხსენებთ, ახალ აღთქმაში *ექსტრაორდინალური გამრავლება* პირველად მაშინ მოხდა, როცა მამებისგან სამოქმედო დირექტივა გამოვიდა. ამის შემდეგ ვკითხულობთ: „მთელ კრებულს მოეწონა ეს სიტყვა“ (საქმ.6:5). რა იყო შედეგი? „*დიდად მრავლდებოდა* მოწაფეთა რიცხვი“ (საქმ.6:7). ყველამ აიტაცა ის, როგორც საკუთარი სტრატეგია. კვლავ ვიმეორებ, რომ ადამიანებს შეეძლოთ საწინააღმდეგო მოსაზრების გამოთქმა, მაგრამ მათ ერთი ჭეშმარიტება აღმოაჩინეს: *უმჯობესი იყო კურთხეულები ყოფილიყვნენ, ვიდრე მართლები!* ამრიგად, მათ ისე მიიღეს მითითება, როგორც საკუთარი იდეა.

ახლა ყველაზე რთული კითხვა უნდა დავსვათ: რამდენი ჩვენგანი დადგება იესოს სამსჯავრო ტახტის წინაშე გაოგნებული და თავგზააბნეული იმით, რასაც ის გააცხადებს? გვაჩვენებს ის, რა წვლილი შეიტანა დადგენილი კურთხევის დაბრკოლებაში ჩვენმა წყალქვეშა დინებამ? ვიხილავთ ადამიანებს, რომლებზეც

მარადიული ზეგავლენა უნდა მოგვეხდინა და უფალთან ერთად ვიქვითინებთ, როცა მივხვდებით, რომ ხელიდან გავუშვით გამრავლების შესაძლებლობა? რამდენი ჩვენგანი ისურვებდა ყველაფრის უკან დაბრუნებას და გაერთიანების ძიებას საკუთარი სიმართლის დამტკიცების ნაცვლად? მაშინ უკვე გვიან იქნება.

დაფიქრება

1. მამა გახლავთ ის, ვისაც მოაქვს წინამძღოლობა, მზრუნველობა და ზრდა ცალკეული პიროვნებისა თუ ორგანიზაციისთვის – მათ შეიძლება ეჭიროთ სხვადასხვა პოზიცია: აღმასრულებელი დირექტორი, პასტორი, პატარა ჯგუფის ლიდერი, განყოფილების უფროსი, ბოსი, მასწავლებელი, მწვრთნელი (ეს მხოლოდ რამდენიმე მაგალითია). ვინ არიან მამები თქვენს ცხოვრებაში? როგორ გახდნენ მამები თქვენთვის?

2. ერთგული ძე ან ასული მამის გზებს ამრავლებს. რატომ არის მნიშვნელოვანი ლიდერის გზების მიბაძვა? როგორ უზრუნველყოფს ეს უთანხმოების არარსებობას ხედვაში, მეთოდებსა და მიმართულებაში?

3. გამრავლება იქ, რაც სხვას ეკუთვნის, საკუთარი თავის კვლავწარმოებას მოითხოვს. ეძებთ თუ არა თქვენი მსგავსი ნიჭის ადამიანებს, რომ მათ გაუნაწილოთ სიბრძნე და ნასწავლი გზები? ზრდით თუ არა სხვებს იმ საქმეში, რასაც ახლა აკეთებთ? თუ არა, როგორ შეგიძლიათ დაწყება?

„ბატონო, ვიცოდი რომ მკაცრი კაცი ხარ
- იმკი, სადაც არ დაგითესავს, და კრეფ,
სადაც არ დაგიბნევია. შემეშინდა,
წავედი და მიწაში დავფალი შენი ტალანტი.
აჰა, შენი შენვე გქონდეს“.

– მათ. 25:24-25

12

გამრავლების დაბრკოლებები I

ახლა იესოს იგავში ნახსენები ზარმაცი მნის მოტივებსა და აზრებს განვიხილავთ. რატომ გაამრავლა ორმა მონამ და მან მხოლოდ შეინარჩუნა? რატომ უწოდეს პირველ და მეორე მონას „კეთილი და ერთგული“, ხოლო მესამეს – „ბოროტი და ზარმაცი“?

სანამ გავაგრძელებდეთ, გარკვეული დრო დავუთმოთ ერთი ჭეშმარიტების დაფუძნებას: *შეუძლებელია ადამიანმა იცრუოს ქრისტეს თანდასწრების წინაშე.* რატომ ვახსენებ ამ მოსაზრებას? მინდა ყოველდღიურობიდან მოგიყვანოთ თვალსაჩინო მაგალითი. ოდესმე გინახავთ ფილმი ჯაშუშებზე, სადაც გამოძიების რომელიღაც მომენტში დაფარული ფაქტების გამოსამჟღავნებლად ადამიანს „სიმართლის შრატს“ უკეთებენ? ჯაშუში ან ორმაგი აგენტი ამბობს იმას, რისი დაფარვის პირობაც დადო; ჭეშმარიტება გამჟღავნებულია.

მოდი, რეალურ ვითარებაზე გადავიდეთ. ჩვენი ქორწინების პირველ ხანებში უმწიფარი და დაუცველი ვიყავი. იყო შემთხვევები, როცა ჩემი საქციელი იმ დროს მისაღები მეჩვენებოდა, სანამ ლიზა არ დამიპირისპირდა. საკითხის გარკვევისას მტკიცედ ვიცავდი ჩემს ქმედებებსა და მოტივებს. ხშირად კამათის დროს გაბედულად ვიცავდი ჩემი განცხადებების სიზუსტეს! მოგვიანებით ლოცვებსა და ღვთის თანდასწრებაში ვაცნობიერებდი, რომ ლიზა მართალი იყო. მასთან თავმდაბლობით ვბრუნდებოდი და ჩემს შეცდომას ვაღიარებდი.

დედააზრი: სიცრუე, უპატიოსნება, ცბიერება, ორპირობა და სხვა ანალოგიური ქცევები ღვთის თანდასწრებასთან ვერ თანაარსებობს. იესო აცხადებს:

„რადგან არაფერია დაფარული, რომ არ გაცხადდეს და დამალული, რომ არ გამჟღავნდეს. ამიტომ, რასაც

ბნელში იტყვით, სინათლეზე მოისმენენ, და რასაც ოთახებში ჩასჩურჩულებთ ერთმანეთს, ერდო-ბანებზე გახმაურდება“. (ლუკ. 12:2-3)

იესო განსაკუთრებით აღნიშნავს სამსჯავროს, როცა შეუძ-ლებელი იქნება ტყუილის გაფიქრება და ლაპარაკი, რადგან ატმოსფერო ჭეშმარიტებით იქნება გაჟღენთილი და ვერავინ წარმოთქვამს სიცრუეს ან შემპარავ სიტყვებს. ფაქტი, რომ ჩვენი იგავის მნე სამსჯავროს წინაშე წარსდგა, უფლებას გვაძლევს, სრული გაბედულებით ვამტკიცოთ ზარმაცი მონის პასუხის სიმართლე. იგი თავს ავლენს, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულია.

ორი მთავარი ფაქტორი დგას იმის უკან, თუ რატომ არ *გაამრავლა* მიცემული:

- ის არ იცნობდა ბატონის ბუნებას.
- მას ეშინოდა.

ეს ორი მიზეზი თანმიმდევრობით არის ჩამოთვლილი. მეორე ხშირად, მაგრამ ყოველთვის არ არის გაჯერებული პირველი მიზეზით – ღვთის ბუნების უცოდინარობა ადვილად წარმოშობს შიშს. ეს სრულიად ცხადი გახდება, როცა ორივე შეცდომის განხილვას გავაგრძელებთ.

„რა მწამს“

პირველი შეცდომის გამოვლენის პროცესში მინდა ერთი ისტორია გიამბოთ. ის-ის იყო რვასაათიანი მგზავრობის შემდეგ ჰავაიში ჩავფრინდი კონფერენციაზე დასასწრებად. ტანსაცმელი ჯერ კიდევ არ გამომეცვალა და სასტუმროს ნომრის მომზადებას ველოდებოდი, როცა აუზის ქოლგის ქვეშ მოსასვენებელი ადგილი შევნიშნე. ისე მოხდა, რომ ჩემს შორიახლოს ერთი საქმიანი ქალბატონი იდგა, რომელიც კონფერენციაზე დასასწრებად ჩამოსულიყო და ისიც ნომერს ელოდებოდა. საუბარი წამოვიწყეთ. როცა მან გაიგო, რომ ქრისტიანი ავტორი და მსახური ვიყავი, ღმერთთან მისი ურთიერთობის ამბავი მომიყვა.

ორიოდე წუთიც არ დამჭირვებია იმის მისახვედრად, რომ ეს ქალი ღმერთს არ იცნობდა. იგი მტკიცებას განაგრძობდა, თუ როგორ *სწამდა* და ნაკლებად აქცევდა ყურადღებას, რას ამბობდა ბიბლია. ის ჯერ კიდევ თავისი რწმენის ამბების გადმოცემით იყო გართული, როცა სულიწმიდას სიბრძნე ვთხოვე და მანაც მაჩვენა, რა უნდა მეპასუხა. როცა ქალმა ლაპარაკი დაასრულა, ვკითხე:

– ხედავთ იმ კაცს აუზის გადასწვრივ?

– დიახ, რა ხდება? – შემეკითხა ქალი.

– ნება მომეცით, მის შესახებ გიამბოთ, – ვუთხარი მე, – ის მტკიცე ვეგანია – არაფერს ჭამს ცხოველურს, თაფლსაც კი. მისი ოცნებაა შეერთებული შტატების ოლიმპიურ მოცურავეთა გუნდის შემადგენლობაში მოხვდეს. იგი ყოველდღე სამი საათის განმავლობაში ვარჯიშობს. მისი ჰობია რაკეტბოლი, ჩოგბურთი, პარაშუტით ხტომა და ფერწერა. ის დაქორწინებულია ქალზე, რომელიც ცხელ აბაზანებთან დგას და ქმარზე ათი წლით უმცროსია.

ჩემი თანამოსაუბრე დაინტერესდა და თან გაკვირვებული იყო, რატომ შევცვალე ასე სწრაფად საუბრის თემა. ის ხომ თავის დაფარულ აზრებს მიზიარებდა ღვთის შესახებ და მოულოდნელად აუზის მოპირდაპირედ მდგარი კაცის აღწერა დავიწყე. ქალს ცნობისმოყვარეობამ კარგი სამსახური გაუწია და იკითხა:

– ის მამაკაციც თქვენთან ერთად ესწრება კონფერენციას?

– არა, მემ.

– მაშ, საიდან იცნობთ მას? – იკითხა კიდევ უფრო გაოცებულმა ქალმა.

– მას არასოდეს შევხვედრივარ.

ახლა ქალი მთლად დაიბნა და გაკვირვებით მკითხა, საიდან ვიცოდი ამდენი ინფორმაცია მის შესახებ. წარმოდგენა არ მქონდა, მართალი იყო თუ არა, რაც კაცზე ვთქვი, მაგრამ ქალის სახეს რომ შევხედე, მივხვდი, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (CIA) ან გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) აგენტი, დეტექტივი ან მდევარიც კი ვეგონე. მისმა ცნობისმოყვარეობამ პიკს მიაღწია.

ცოტათი შევყოვნდი და შემდეგ ვუთხარი:

– დარწმუნებული ვარ, ყველაფერი ასეა მის ცხოვრებაში.

ქალს ენა ჩაუვარდა.

– ისე დაბეჯითებით ლაპარაკობდით თქვენს რწმენაზე, თუ როგორია ღმერთი, – განვაგრძე მე, – თუმცა თითქმის ყველაფერი, რაც ბრძანეთ, სიმართლეს არ შეესაბამებოდა. ეს კარგად ვიცი, რადგან უფალს ვიცნობ.

შემდეგ შემოვბრუნდი, მზერა გავუსწორე და ვუთხარი:

– ის მამაკაცი ადრე არასოდეს მინახავს, მაგრამ რაც მის შესახებ ვთქვი, არაფრით განსხვავდება იმისგან, რაც ღმერთზე ბრძანეთ. ჩემი მოსაზრება გაგიზიარეთ აუზის

მოპირდაპირედ მდგომი კაცის შესახებ და დამეთანხმეთ, რომ საკმაოდ დამაჯერებელი ვიყავი. თუმცა დიდია ალბათობა, რომ ჩემი ნათქვამი სიმართლეს არ შეესაბამებოდეს, რადგან დრო არასოდეს გამომიყვია მის გასაცნობად.

ქალი ყურადღებით მისმენდა, მაგრამ ცოტა არ იყოს, გაოგნებული ჩანდა.

– ღმერთმა თავისი სიტყვა მოგვცა, რომელიც ბიბლიის ფურცლებზეა აღწერილი და ამით ის თავს გვიცხადებს, – მშვიდად გავაგრძელე მე, – მან ასევე სულიწმიდა გამოგზავნა, რომ იესო გაგვიცხადოს, რომელიც თავის მხრივ ყოვლადძლიერ ღმერთს გვიცხადებს, რადგან იგია ღმერთი მოსული ხორცში.

მცირე ხნით გავჩუმდი და შემდეგ თავაზიანად ვკითხე:

– ხომ არ ფიქრობთ, რომ გონებაში ისეთი ღმერთი წარმოიდგინეთ, რომელიც რეალურად არ არსებობს?

სამწუხაროდ, ის მზად არ იყო ღვთის ბუნების არცოდნას დაპირისპირებოდა ან მასთან შეხვედრის რეალობამ დააფრთხო. კიდევ რამდენიმე წუთი მესაუბრა და ორივენი ჩვენ-ჩვენი გზით გავემართეთ.

შესაძლოა, გაგეღიმოთ კიდეც ამ ამბის წაკითხვის შემდეგ და იფიქროთ, *მე ვიცნობ ღმერთს. ეკლესიაში დავდივარ და ბიბლიას ვკითხულობ.* მიუხედავად ამისა, სანამ ნებისმიერი ჩვენგანი ამ აზრით გულს დავიარხეინებდეთ, ფარისეველთა სავალალო მდგომარეობა გავიხსენოთ. ისინი შეკრებებს სრულყოფილად ესწრებოდნენ, რეგულარულად ლოცულობდნენ და მარხულობდნენ და ზეპირად იცოდნენ ბიბლიის პირველი ხუთი წიგნი (დარწმუნებული ვარ, თქვენ ასე კარგად არ გაქვთ საქმე!) მიუხედავად ამისა, მათ ვერ იცნეს ხორცში მოსული ღმერთი – იესო, რომელიც მათ თვალწინ ცხოვრობდა.

ღვთის შეცნობა

ვის აქვს ღვთის შეცნობის პრივილეგია? ყველანი ვართ მოწოდებული, მაგრამ არსებობს დადგენილი პარამეტრები. კარი ღია გახლავთ ჭეშმარიტი ურთიერთობისთვის, როცა ჩვენი გულის სიღრმიდან ვიღებთ გადაწყვეტილებას, რომ მთელი ცხოვრება მას მივანდოთ; არა მხოლოდ სურვილით, არამედ შესაბამისი მოქმედებითაც. იესო ამბობს: „ვინც ჩემი გულისთვის დაიღუპავს სულს, იგი მოიპოვებს მას“ (მათ. 16:25). რას გულისხმობს ის სულის „მოპოვებაში“? ეს მარტივია; ნამდვილი ცხოვრება, მხოლოდ მის *შეცნობაში* იპოვება.

ჩვენ ღმერთს ვერ გავიცნობთ ეკლესიის მსახურებებზე დასწრებით, ქრისტიანი მეგობრების გარემოცვით, წიგნების კითხვით, თაყვანისცემის საგალობლების მოსმენით, „სულის სახსნელი“ ლოცვის გამეორებით ან თუნდაც კეთილი საქმეების კეთებით. წმიდა წერილში იესო ხშირად არის ნახსენები, როგორც ნეფე, ხოლო ჩვენ მისი საპატარძლო ვართ. როცა ნეფე-პატარძალი ცხოვრებას ერთმანეთს უკავშირებს, ისინი ერთიანდებიან. პავლე წერს: „დიდია ეს საიდუმლო, მე ვამბობ ქრისტესა და ეკლესიაზე“(ეფეს.5:32). ღმერთმა მისი შეცნობის რაობის საჩვენებლად *ილუსტრირებული ქადაგება* მოგვცა, რომელიც ყველაზე გავრცელებულია კაცობრიობაში. მასთან ურთიერთობის ცხადი სურათი ყოველდღიურად შეიძლება ვიხილოთ: ეს გახლავთ *ქორწინება. წმიდა ქორწინება*.

როცა ქალი ეკლესიის სკამებს შორის თეთრ კაბაში გამოწყობილი საქორწინო მარშის თანხლებით გაივლის, ამით მტკიცე განაცხადს აკეთებს. იგი ემშვიდობება დედამიწაზე მცხოვრებ, დაახლოებით, 3 930 000 000 კაცს და მთელ გულს, სულსა და სხეულს – მის ცხოვრებას – ერთ კაცს უძღვნის, რომელიც საკურთხეველთან ელოდება. საინტერესოა, რომ ქალის გადაწყვეტილება ნამდვილ „მონანიებას“ ჰგავს. იგი უარს ამბობს დედამიწის ზურგზე დარჩენილ სხვა მამაკაცებთან საქორწინო კავშირის დამყარების ყველა შესაძლებლობაზე. ის და მისი რჩეული ქმარი აღთქმას დებენ: კაცი მთლიანად მას ეკუთვნის, ხოლო ქალი – კაცს. ორივე იწყებს ერთობლივ მოგზაურობას, რომელიც ურთიერთობის გაღრმავებას და ერთმანეთის იმაზე მეტად გაცნობას გულისხმობს, ვიდრე სხვა რომელიმე ადამიანს იცნობენ.

ახლა ისეთი რამის თქმას ვაპირებ, რაც წინააღმდეგობრივი მოგეჩვენებათ, მაგრამ კარგად მომისმინეთ! თავად მე დარწმუნებული ვარ, რომ ღვთის *შეცნობის* გზაზე „ცოდვილის ლოცვის“ სახით შევქმენით ერთ-ერთი დიდი დაბრკოლება. ჩვენი ტრადიცია ამას ჰგავს: ღმერთთან ურთიერთობას ისე ვყიდით, თითქოს მომხმარებელს ახალი პროდუქტი უნდა წარვუდგინოთ. ქადაგების ან საუბრის შემდეგ ვამბობთ: „იცნობთ ღმერთს? გინდათ ურთიერთობა გქონდეთ თქვენს შემოქმედთან? მაშინ ასეთი ლოცვა წარმოთქვით: „იესო, შემოდი ჩემს ცხოვრებაში. ვინანიებ ჩემს ცოდვებს. გიღებ ჩემს მხსნელად. მადლობა, რომ მაპატიე და ახლა გამხადე შენი შვილი“.

ამის შემდეგ სასიხარულო ამბავს ვაუწყებთ ყველა იქ მყოფს. ვზეიმობთ, რომ ახალმოქცეული სამუდამოდ დაცულია ღმერთში

და მას ჩვენთან მოზიარეობისთვის ვიწვევთ. მიუხედავად ამისა, არაფერს ვამბობთ მონანიებაზე – მათ საჭიროებაზე, რომ სამუდამოდ უარი თქვან ეგოისტური ცხოვრების წესზე და თავი მთლიანად უფალს მიუძღვნან. მაშ, მოისმინეთ იესოს სრული განაცხადი:

> „ვისაც უნდა, რომ გამომყვეს, მთლიანად უარყოს თავისი თავი და უფლობა საკუთარ ცხოვრებაზე. უნდა მოისურვოთ ჩემი ჯვრის გაზიარება და მისი როგორც საკუთრის ტარება ჩემი გზების გამუდმებული მორჩილებით. რადგან ვისაც თავისი სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვა და ჩემს სადიდებლად დაკარგვა სურს, ნამდვილ ცხოვრებას აღმოაჩენს, ხოლო ვინც სიცოცხლეს თავისთვის შეინარჩუნებს, დაიღუპავს სულს, რომლის შენახვაც სურდა“. (მათ. 16:24-25 PTP)

ღვთის შეცნობას მხოლოდ მაშინ შევძლებთ, როცა მასთან ნამდვილ ურთიერთობაში შევალთ, რაც იესომ მოყვანილ მუხლებში შეაჯამა. ღვთისთვის ცხოვრება არ წარმოადგენს ერთჯერად მოვლენას, არამედ მისი გზებისადმი მყარი მორჩილების გადაწყვეტილებას და უარის თქმას იმაზე, რასაც საკუთარი თავისთვის საუკეთესოდ მიიჩნევთ. როცა საკითხი ნათლად არის გაცხადებული მის სიტყვაში, საჭირო აღარ არის კამათი ან მერყეობა, დამორჩილდეთ თუ არა. იესოს მიყოლა ნიშნავს გულში მყარად მიღებულ გადაწყვეტილებას, რომ თავი შეიკავოთ ყველაფრისგან, რაც მას გულს ატკენს და გამუდმებით ემსახუროთ მას.

იაკობ მოციქული წერს: „იყავით სიტყვის შემსრულებელნი და არა მხოლოდ მომსმენნი თავის მოსატყუებლად“ (იაკ. 1:22). ადამიანი, რომელიც ღვთის სიტყვას ისმენს, მაგრამ აზრით, სიტყვით ან საქმით არ ეხმაურება, თავს ისულელებს. PTP თარგმანი ამას „საკუთარი თავის მოტყუებას“ უწოდებს, რაც, ვფიქრობ, ზუსტად აღწერს მესამე მსახურს, ფარისევლებს, ჰავაიში აუზთან ნანახ ქალს და ბევრ სხვას, ვისაც ჰგონია, რომ ღმერთთან სრულყოფილი ურთიერთობა აქვს მხოლოდ ეკლესიაში რეგულარული დასწრებისა და წერილების ციტირების უნარის გამო, მაგრამ გამუდმებით მისი სიტყვის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს და ცხოვრობს. სამწუხაროდ, ასეთები გზას აცდენილები არიან. ეს *თვთმოტყუებაა*.

ნება მომეცით, ერთი მნიშვნელოვანი შენიშვნა გავაკეთო. ლიზა გეტყვით, რამდენი შეცდომა დაუშვა ჩვენს ქორწინებაში (მე უფრო მეტი შეცდომა მქონდა, მაგრამ ახლა ყურადღებას პატარძალზე ვამახვილებთ!), მაგრამ მას წინასწარი განზრახვით არასოდეს უფიქრია საკუთარი სურვილების შესრულებაზე ჩვენი საქორწინო აღთქმის ხარჯზე. ჩემი ცოლის ქცევა სრულყოფილი არ იყო, მაგრამ მის გულს არასოდეს გადაულახავს მტკიცე ერთგულების საზღვარი.

ანალოგიურად, ღმერთი გვპატიობს თუ მასთან ურთიერთობაში დრო და დრო არ ვემორჩილებით. არც ცოლი და ქმარი არღვევენ საქორწინო აღთქმას მაშინვე, როცა შეცდომას სჩადიან. შემოქმედთან ურთიერთობა გულიდან მომდინარე ნამდვილი ერთგულებაა და არა ბაგეების მსახურება ჭეშმარიტი, სიტყვის შესაბამისი მოქმედებების გარეშე.

იესო ყველაზე გამორჩეულ განცხადებას აკეთებს: „ვისაც მისი ნების აღსრულება *სურს*, *მიხვდება* ... (იოან. 7:17). ეს ჩვენი არსების სიღრმეში იწყება, როცა მოქმედება გვსურს და არა მხოლოდ მოსმენა. ვაკეთებთ, *რაც* არ უნდა გვითხრას და შემდეგ *ვხვდებით*. PTP თარგმანი იოან. 7:17-ს მშვენიერი სახით გვაწვდის: „თავდაპირველად, დაშურებით შეეცადეთ ღვთის ნების აღსრულება და შემდეგ გექნებათ გარჩევის უნარი, არის თუ არა ჩემი სწავლება მისი გულიდან მომდინარე“.

ტალანტების იგავში სამივე მნემ ერთი და იგივე მითითება მოისმინა, სანამ მათი ბატონი გაემგზავრებოდა. ორმა მითითებისამებრ იმოქმედა, ხოლო მესამემ არაფერი გააკეთა. შემთხვევითი არ გახლავთ, რომ მესამე მნე კარგად არ *იცნობდა* თავის ბატონს, ამიტომ მის ბრძანებას ზედაპირულად მოეკიდა. მნე საკუთარ თავს ატყუებდა.

წმიდა მოშიშება

ბიბლიურ ფრაზას ჩვენი მსჯელობა აქამდე მიჰყავს: *უფლის შიში*. ირგვლივ საყოველთაოდ დასადგურებული შიშის გამო, განსაკუთრებით ამ დღესა და საათს, მსგავსი განცხადების გაკეთებისგან თავის არიდება გვინდა. თუმცა არსებობს ორი სახის შიში და ისინი ერთმანეთს სრულიად ეწინააღმდეგებიან. ერთი გახლავთ „შიშის სული“ და მეორე – „უფლის შიში“. წერილი ამ ორს ერთმანეთისგან განარჩევს. ღვთის თანდასწრებაში ყოფნაზე უარის თქმის შემდეგ მოსემ ღვთის ერს უთხრა:

„უთხრა მოსემ ხალხს: *„ნუ გეშინიათ,* თქვენს გამოსაცდელად მოვიდა *ღმერთი,* რომ მისი შიში გქონდეთ და არ შესცოდოთ“. *მოშორებით იდგა* ხალხი, მოსე *კი მივიდა* ნისლთან, სადაც ღმერთი იყო“. (გამ. 20:20-21)

ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ მოსე საკუთარ თავს ეწინააღმდეგება. ნება მომეცით, მისი განცხადების პარაფრაზი შემოგთავაზოთ: „*ნუ გეშინიათ*, რადგან ღმერთი იმის სანახავად მოვიდა, არის თუ არა თქვენში მისი *შიში*“. მისი განცხადება არ არის წინააღმდეგობრივი. განსხვავება კეთდება „ღვთის შიშსა“ და „უფლის შიშს“ შორის. ადამიანი, რომელსაც ღმერთთან ურთიერთობის ეშინია, რაღაცას მალავს. გაიხსენეთ, როგორ დაიმალა ადამი შეცოდების შემდეგ (იხ. დაბ.3:8). მეორე მხრივ, ადამიანი, რომელსაც ღვთის შიში აქვს, არაფერს მალავს. ასეთებს მისგან შორს ყოფნის ეშინიათ.

ამრიგად, წინასწარ მინდა გავაკეთო მტკიცე განაცხადი: *უფლის შიში არ ნიშნავს ღმერთთან მიახლოების შიშს.* როგორ შევძლებთ ახლო ურთიერთობა ვიქონიოთ პიროვნებასთან, ვისიც გვეშინია? როგორც ადრე განვაცხადეთ, ღვთის ნამდვილი, წმიდა შიში ნიშნავს, შეგაძრწუნოთ ღვთისგან შორს ცხოვრებამ. არსად არ გინდათ ყოფნა, მისი თანდასწრების, მზრუნველობისა და სიყვარულის გარეშე. მყარად დგახართ გარემოებების მიუხედავად, რაც არ უნდა დაუცველი ჩანდეს ვითარება, იცით, რომ მასთან სიახლოვეზე უკეთესი ადგილი არ არსებობს. ეს ცხადი ხდება მისი მორჩილების მეშვეობით.

ღვთის შიში ნიშნავს, რომ ყველაზე და ყველაფერზე მეტად თაყვანს სცემდეთ, ეკრძალვოდეთ და პატივს მიაგებდეთ მას. ღმერთს უნდა აყენებდეთ ყველაფერზე მაღლა, საკუთარზე მეტად მისი გულის სურვილებს ითავისებდეთ, როგორც ყველაზე ძვირფასსა და ფასეულს. გვიყვარს ის, რაც მას უყვარს და გვძულს ის, რაც მას სძულს. მისთვის მნიშვნელოვანი ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია. რაც მისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია, ჩვენთვისაც ნაკლებად მნიშვნელოვანია.

ასეთი დამოკიდებულება გვაყენებს იმ ადამიანთა შორის, ვისაც ღმერთთან სიახლოვისთვის იწვევენ. თუ დააკვირდებით ისრაელის შვილებს, მათი სიყვარული ღვთის მიმართ პირობითი იყო. კეთილსასურველ გარემოებებში ღმერთს თაყვანს სცემდნენ, ემორჩილებოდნენ და უყვარდათ. როცა გაუჭირდებოდათ, წუწუნს იწყებდნენ. უყოყმანოდ არ ენდობოდნენ მას, არამედ თვითგადარჩენას ცდილობდნენ. საკუთარი სიცოცხლის დაცვით

იმის საწინააღმდეგოდ იქცეოდნენ, რასაც იესო სახარებაში აცხადებდა; ისრაელმა უარი თქვა ღმერთთან ჭეშმარიტი ურთიერთობის დიდებულ პრივილეგიაზე. მოსეს ღვთის ეშინოდა, მათ კი – არა.

მათი მოტივებიც შესაბამისად ვლინდებოდა – ხალხი *შორს* დადგა, მოსე ღვთის თანდასწრებას *მიუახლოვდა*. მათ ცხოვრებაში სიბრმავე იყო, რომ არ დაენახათ, რა იყო საუკეთესო. ამის საპირისპიროდ, მოსე ყველაფერს ნათლად ხედავდა. იგი ღმერთს იცნობდა – მის სიტყვას, გზებსა და სიბრძნეს. მეორე მხრივ, ისრაელიანები ღმერთს მხოლოდ იმით იცნობდნენ, თუ როგორ პასუხობდა მათ ლოცვებს.

ღვთის შიშის შესაფერისად ვიქცევით, როცა მას დაუყოვნებლივ ვემორჩილებით მაშინაც კი, როცა მისი ნება ჩვენთვის უაზრო ჩანს, არც ცხადი სარგებელი მოაქვს და ზოგჯერ ჩვენი კარგად ყოფნისთვის საფრთხის მომცველიც კი არის. ჩვენ ვიცნობთ მის ბუნებას და ამით გულდაჯერებული ვართ. შეიძლება რაღაც ვითარება საზარალოც იყოს, მაგრამ მას გადავურჩებით, თუ ღმერთს დავემორჩილებით.

და ბოლოს, ღვთის შიშით სიარული მის სრულ მორჩილებაში გამოიხატება. აბრაჰამი ზუსტად ასე მოიქცა, როცა ღმერთმა მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანის დათმობა მოსთხოვა, რომელსაც ოცდახუთი წელი ელოდებოდა – შეეწირა ყველაზე და ნებისმიერ ქონებაზე ძვირფასი ძე, ისაკი. იგი დილაადრიან ადგა და სამი დღე იარა ღვთის ნების აღსასრულებლად. უფალს მისთვის არ გაუმხელია მიზეზი და ისე ჩანდა, რომ ეს მსხვერპლშეწირვა სრულიად დაანგრევდა ყველაფერს, რისთვისაც აბრაჰამი ცხოვრობდა. ეს ამბავი დამაზარალებელი იყო. თუმცა იგი უსიტყვოდ მიენდო ღვთის *ბუნებას* (ზარმაცი მონის საქციელის სრულიად საწინააღმდეგოდ).

მას შემდეგ, რაც აბრაჰამმა დანა აღმართა ისაკის გასაგმირად, უფლის ანგელოზმა შეაჩერა იგი და განაცხადა: „ნუ აღმართავ ხელს ამ ყრმაზე, ნურაფერს დაუშავებ, რადგან ახლა ვიცი, რომ ღვთისმოშიში ხარ და არ დაზოგე ძე, შენი ერთადერთი, ჩემთვის!“ (დაბ. 22:12). ასეთი სიყვარული, ნდობა და რწმენა იმ ადამიანის გულშია, ვისაც ღვთის ნამდვილი მოშიშება აქვს.

ჩვენ გვეუბნებიან: „უფლის შიში ცოდნის სათავეა, ბრიყვებს კი სძულთ სიბრძნე და დარიგება“(იგ.1:7). რა ცოდნის? პასუხს იქვე ვპოულობთ, მაგრამ ჯერ გამოვიკვლიოთ, რას მივყავართ პასუხამდე, რაც დიდად არ განსხვავდება აბრაჰამის ნამოქმედარისგან:

„შვილო, თუ ჩემს სიტყვებს მიიღებ და ჩემს მცნებებს გულში დაიუნჯებ, სიბრძნეს ყურს მიაპყრობ და გონიერებისკენ მიმართავ გულს, თუ საზრიანობას მოუხმობ და გონიერებისთვის აიმაღლებ ხმას, თუ ვერცხლივით მოიძიებ მას და დაფარული განძივით დაუწყებ ძებნას, მაშინ ჩაწვდები უფლის მოშიშებას და *ღვთის შემეცნებას მოიპოვებ*". (იგ. 2:1-5)

პასუხი საკმაოდ ნათელია; უფლის შიში *ღვთის შეცნობის დასაწყისია*. დღეს მას ცოტა სხვაგვარად გამოვთქვამთ. შეგვიძლია ასე დავალაგოთ: „ჩაწვდები უფლის შიშს და ღმერთს ახლოს გაიცნობ". ახლა ვხვდებით ზარმაცი მნის ძირეულ შეცდომას. მას წმიდა შიში აკლდა, რომელიც ცხადი გახდა მოქმედების ნაკლოვანებით და საბოლოო პასუხით. ისრაელი დროდადრო ტირანად აღიქვამდა ღმერთს, ასევე დაინახა მონამ თავისი ბატონი. მას სიბრმავე ხელს უშლიდა მისი წინამძღოლის ბუნების გასაცნობად.

წმიდა შიში *ღვთის შეცნობის* საწყისი პუნქტია. მეფსალმუნე ამას შემდეგი განაცხადით მოწმობს: „საიდუმლო უფლისა მისი მოშიშებისთვისაა" (ფს. 25:14). საიდუმლოებებს მხოლოდ ახლო მეგობრებს უმხელენ. იესო საოცარ განცხადებას აკეთებს: „თქვენ ჩემი მეგობრები ხართ, თუ იმას აკეთებთ, რაც გამცნეთ" (იოან. 15:14).

ხშირად ვამბობთ, რომ იესო „გვიყვარს" როგორც ამას საყვარელი ფილმის გმირზე, სპორტსმენზე ან რომელიმე ცნობად სახეზე ვიტყოდით. 2020 წლის დასაწყისში, როცა კობი ბრაიანტი და მისი ქალიშვილი ჯიანა ტრაგიკულად დაიღუპნენ ვერტმფრენის კატასტროფისას, მთელი ერი გლოვობდა და ბევრი ხმამაღლა მოთქვამდა. ადამიანები ბუშტებს, ბარათებსა და ყვავილებს ტოვებდნენ სთეიპლზ ცენტრთან ახლოს ლოს ანჯელესში, სადაც ის კალათბურთს თამაშობდა. მეც ძალიან განვიცადე ეს ტრაგედია და კარგა ხანი ვიფიქრე მის შესახებ.

იმ ადამიანთაგან, ვინც კობი ბრაიანტს გლოვობდა, მისი ცოლისა და ოჯახის, ასევე ახლო მეგობრების მსგავსად არავინ იცნობდა. ქუჩაში რომ შეგვხვედროდა, წარმოდგენაც არ ექნებოდა, ვინ ვიყავით. მასთან დრო არასოდეს გამიტარებია, თუმცა ისე ვიგლოვე მისი გარდაცვალება, თითქოს ახლო ნაცნობები ვყოფილიყავით. ისევე როგორც კობის არ ვიცნობდი სიცოცხლეში, ასევე ამტკიცებს უამრავი მამაკაცი და ქალი, რომ იესოს იცნობენ, რახან ეკლესიის მსახურებებს ესწრებიან,

სოციალურ მედიაში მასზე ლაპარაკობენ, მის შესახებ მუსიკას უსმენენ, მისი სახელით საქმეებს აკეთებენ და მის უფლობასაც კი აღიარებენ. თუმცა იესოს პასუხი ასეთი იქნება: „არასოდეს გიცნობდი!“ და აი, რატომ:

> „ყველა, ვინც მეუბნება: უფალო, უფალო! როდი შევა ცათა სამეფოში, არამედ ის, ვინც აღასრულებს ჩემი ზეციერი მამის ნება-სურვილს. ბევრი მეტყვის იმ დღეს: უფალო, უფალო! განა შენი სახელით არ ვწინასწარმეტყველებდით? განა შენი სახელით არ ვდევნიდით ეშმაკებს და განა შენი სახელით არ ვახდენდით მრავალ სასწაულს? მაშინ მე განვუცხადებ მათ: არასოდეს მიცვნიხართ თქვენ, გამშორდით, მოქმედნო ურჯულოებისა“. (მათ. 7:21-23)

არასოდეს ვისურვებდით ამის მოსმენას ჩვენი ბატონისგან. თუ წმიდა წერილის ზემომოყვანილ ადგილს დაკვირვებით განვიხილავთ, მივხვდებით, რომ ამ ადამიანებს იესოსთან ახლო ურთიერთობაში ეჭვი არ ეპარებოდათ და მასთან ემოციური კავშირიც ჰქონდათ. კობი ასე მეტყოდა: „ვინ ხართ? საიდან ხართ? რა გქვიათ?“ ასევე ეტყვის იესო ბევრს, ვინც ამტკიცებს, რომ მას იცნობს, „არ გიცნობთ, საიდან ხართ?“ (ლუკ. 13:25).

გაატარეთ დრო მასთან

უფლის შიში მისი ახლოს გაცნობის საწყისი პუნქტია, მაგრამ რატომ უნდა გაჩერდეთ დასაწყისში? რატომ არ უნდა გააღრმავოთ მასთან ურთიერთობა, როცა ის დაახლოებას გთხოვთ? ჩვენ გვეუბნებიან: „ღმერთს მიუახლოვდით და ისიც მოგიახლოვდებათ“ (იაკ. 4:8). საოცარია, მაგრამ სწორედ ჩვენ განვსაზღვრავთ მასთან ახლო ურთიერთობის დონეს.

მაკვირვებს, თუ რამდენი მაღიარებელი ქრისტიანი ჰგავს ჰავაიში აუზთან ნანახ ქალს. მათ „ღვთის ცოდნა“ მიიღეს სოციალური მედიის, თაყვანისცემის მუსიკის, ბლოგებისა და მეგობრებთან საუბრებით და კვირაში ერთხელ პასტორის ქადაგებით. თუმცა პირადად მასთან დროს არ ატარებენ.

უახლესი სტატისტიკური მონაცემები მოწმობს, რომ თხუთმეტიდან ოცდახუთ წლამდე ასაკის ადამიანები კვირაში 53.7 საათს სმარტფონების, ტაბლეტების, კომპიუტერებისა და ტელევიზორების ეკრანებთან ატარებენ.[15] მაინტერესებს, რა დროს უთმობენ ღვთის სიტყვას? თან ეს კითხვა ახალგაზრდებში მაინცდამაინც აქტუალური არ გახლავთ!

ორმოცი წლის განმავლობაში ვკითხულობ ჩემს ბიბლიას და მაინც ჩემს უსაყვარლეს საქმიანობად მიმაჩნია. სანამ კითხვას დავიწყებდე, სულიწმიდას ყოველთვის ვთხოვ, რომ იესო ახალი და ცოცხალი გზით გამიცხადოს. წლების მანძილზე ვდგები ადრიანად და ჩემს სარდაფში ბოლთას ვცემ ან სადმე მოშორებულ ადგილას მივდივარ ან სასტუმროს ნომერში ვკითხულობ, ვლოცულობ და ვისმენ. არ მინდა ვიყო ერთი იმათგანი, ვინც მთელ მსოფლიოს უქადაგებს მხოლოდ ნიჭზე დაყრდნობით და ნიჭის ავტორი ახლოს ვერ გაუცნია.

ღმერთს თქვენთან მჭიდრო ურთიერთობა სწყურია. მისი სრულყოფილი სიყვარული ჩვენს შიშს დევნის. ხშირად აღმოვაჩენთ, რომ ბატონის სიკეთის მიმართ დაბრმავებულ მნესავით ვმოქმედებთ. სწორედ ამიტომ მოგიწოდებთ, რომ ღვთისგან ითხოვოთ მისი წმიდა შიშით ავსება. შემდეგ მასთან ხარისხიანი დრო გაატარეთ და დაინახეთ, ვინ არის სინამდვილეში: სიყვარული.

ღმერთი მანამ გვეძებდა, შეგვიყვარა და ჩვენთვის მოკვდა, სანამ გავიცნობდით. იგი ამ დიდებული ურთიერთობის ინიციატორია. ის თქვენს მხარესაა! მას გულით სურს თქვენთან სიახლოვე. მიუხედავად ამისა, ისეთი ძლიერი სიყვარულით ვუყვარვართ, რომ მასთან ურთიერთობას ძალით არ ითხოვს.

ამრიგად, აირჩიეთ! აირჩიეთ სიცოცხლე! აირჩიეთ მისი გაცნობა ... ძალიან ახლოს.

დაფიქრება

1. შიშს ყოველთვის კვებავს ღვთის ბუნების უცოდინარობა. როგორ შეგიშალათ ხელი ღვთის ბუნების არცოდნამ თქვენი ნიჭებისა და მოწოდების განკარგვაში?

2. ღმერთთან ნამდვილი ურთიერთობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა თავს სრულად უძღვნით და მისი სიტყვის მორჩილებაში ცხოვრობთ. არსებობს რაიმე აზრი ან ქცევა, რომელიც ღმერთთან ურთიერთობაში გაბრკოლებთ?

3. დიდი განსხვავებაა *ღმერთთან ურთიერთობის შიშისა* და *უფლის შიშის* ქონას შორის. რაში მდგომარეობს განსხვავება? რატომ არის ღვთის შიშის ქონა ასე მნიშვნელოვანი უფლის ღრმად შეცნობის საქმეში?

„ბატონო, ვიცოდი, რომ მაღალი სტანდარტები
გაქვს და გძულს გაუფრთხილებელი
დამოკიდებულება; რომ საუკეთესოს
ითხოვ და შეცდომის დაშვების
უფლებას არ იძლევი. შემეშინდა“.

– მათ. 25:24-25 MSG

13

გამრავლების დაბრკოლებები II

ახლა მზად ვართ ზარმაცი მნის მეორე განცხადების განსახილველად, „შემეშინდა“. შიშმა მისი პარალიზება მოახდინა. ძალიან მომწონს, მესამე მონის სიტყვების *მესიჯი-სეული* თარგმანი: „ვიცოდი, რომ მაღალი სტანდარტები გაქვს ... რომ საუკეთესოს ითხოვ და შეცდომის დაშვების უფლებას არ იძლევი“.

ეს ერთ ამბავს მახსენებს. ორგანიზებულ საკალათბურთო გუნდში ვთამაშობდი ორი მწვრთნელის ზედამხედველობით. ორივე გუნდში მსროლელი ვიყავი, რადგან კალათში ბურთის ჩაგდება თხუთმეტი ფუტის მანძილიდან დაწყებული სამქულიან ტყორცნამდე იმ მცირე სპორტულ უნართაგანი იყო, რომელსაც კარგად ვახერხებდი.

ჩემს პირველ მწვრთნელს ჩვენგან საუკეთესოს მიღება სურდა. იგი ყოველთვის გვამხნევებდა და კონსტრუქციულ შესწორებებს გვაძლევდა ამ მდგომარეობამდე მისაყვანად. ვიცოდი, რომ ის ჩემ მხარეს იყო და არა ჩემ წინააღმდეგ. მოედნის ყველა კუთხიდან გაბედულად ვტყორცნიდი ბურთს. ჩემდამი მისი რწმენა ამ გაბედულებას აღვივებდა.

მეორე მწვრთნელი მისგან განსხვავდებოდა. მისი სიტყვებით, „მაღალი სტანდარტები ჰქონდა და შეცდომას არ მოითმენდა“. როცა ერთხელ ვისროლე და ავაცდინე, მწვრთნელმა მკვეთრად შემისწორა მომდევნო ტაიმაუტზე და ამის შემდეგ ხშირად მიწევდა სათადარიგო ადგილის დაკავება. მისი ხელმძღვანელობით ბურთს კარგად ვერ ვტყორცნიდი. როცა პირადად ვვარჯიშობდი და ის არ გვესწრებოდა, პრაქტიკულად, ყველა მხრიდან უშეცდომოდ ვათავსებდი ბურთს კალათში. იგივე მოთამაშე ვიყავი იგივე ნიჭით, მაგრამ ვერაფერს ვაკეთებდი, როცა ის მიყურებდა.

თუ ზემომოყვანილ მონაკვეთში მონის პასუხს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ბატონს ზუსტად ისე *აღიქვამდა*, როგორც მე

ჩემს უკმაყოფილო მწვრთნელს. თუმცა აქ დიდი განსხვავება არსებობს: *რეალობაში*, მონის ბატონი საერთოდ არ ჰგავდა ჩემს მეორე მწვრთნელს.

წინა თავში ნასწავლიდან გამომდინარე, ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ დრო გამოვყოთ ღვთის შეცნობისთვის. იგი საერთოდ არ ჰგავს იმ ზარმაცი მონის *წარმოდგენას* მის შესახებ. ღმერთი ჩვენს მხარეს არის; მას ჩვენი სჯერა და გვენდობა. თუ მას ასეთად ვერ ვხედავთ, ადვილად ვემორჩილებით შიშს და ნიჭებს ვმარხავთ.

ყველაფერი ვთქვით ამ საკითხზე და ახლა ორგულობის გამომწვევ სრულიად სხვა ფესვს განვიხილავთ. როგორც წინა თავში იყო ნახსენები, არიან ადამიანები, რომლებიც ღმერთს იცნობენ, მაგრამ მაინც აქვთ შინაგანი ჭიდილი და შიშსაც ექვემდებარებიან. ამას გარკვეული მიზეზები აქვს, რომლებსაც წმიდა წერილი ეხება და მათზე თავის დარჩენილ ნაწილში ვისაუბრებთ. სანამ დავიწყებდეთ, რამდენიმე გონივრულ მოსაზრებას მოვიყვან შიშსა და მასთან დაკავშირებულ თემებზე:

„ადამიანს სიკვდილის კი არ უნდა ეშინოდეს, არამედ იმის, რომ ცხოვრებას არასოდეს იწყებს“.

– მარკუს ავრელიუსი

„ნუ შეგეშინდება სიახლის წამოწყების. გახსოვდეს, რომ მოყვარულებმა კიდობანი ააშენეს, ხოლო პროფესიონალებმა – ტიტანიკი“.

– უცნობი

„ჩვენი უდიდესი შეცდომაა გამუდმებით შეცდომის დაშვების მოლოდინით ცხოვრება“.

– ჯონ კ. მაქსველი

„ადამიანის უდიდესი აღმოჩენა, უდიდესი გაკვირვება იმაში მდგომარეობს, რომ შესძლებია აკეთოს ის, რისიც ყველაზე მეტად ეშინოდა“.

– ჰენრი ფორდი

მოდი, ჩვენი მსჯელობა მყარი ჭეშმარიტებით დავიწყოთ: *არაჯანსაღი შიშის საწინააღმდეგო საშუალება ღვთის სიყვარულია.* როცა ღმერთი და ადამიანები უპირობოდ გვიყვარს, შიში ნადგურდება. როგორც იოანე მოციქული წერდა: „სრულყოფილი სიყვარული დევნის შიშს“ (1 იოან. 4:18).

რაც შეეხება ამ ჭეშმარიტებას, არასოდეს დამავიწყდება სან დიეგოში სულიწმიდასთან შეხვედრა, რომელმაც თვალები ამიხილა. ის-ის იყო მსახურება დავასრულე და ჩემს ოთახში მარტო ვიყავი. უცებ დავაფიქსირე, რომ გულში შიშს ვებრძოდი ჩემს ვაჟებთან დაკავშირებით. არაერთხელ მომისმენია მსახურთა შვილების თავს გადამხდარ ტრაგიკულ შემთხვევებზე: ზოგი ელექტროდენის დარტყმამ მოკლა, სხვები – ავტოკატასტროფაში დაიღუპნენ, დანარჩენები – ნარკოტიკების დოზის გადაჭარბებით ან დახრჩობით და სხვა ამგვარი. იმ დროს კიდევ ერთი ტრაგედიის შესახებ შევიტყვე და ყველანაირად ვცდილობდი შინაგანი მღელვარება დამეძლია, რომელიც თანდათან მიპყრობდა. მოულოდნელად გულში გავიგონე, „შვილო, შიში სასიგნალო ნიშანია. ის მიუთითებს შენი ცხოვრების იმ სფეროზე, რომელიც ჩემთვის ჯერ არ მოგინდია; ეს სფერო ჯერ კიდევ ხელთ გიპყრია“.

მისმა სიტყვებმა ჩემი ყურადღება მიიპყრო. უცებ გავაცნობიერე, რომ საკუთარ თავზე ისეთი საქმე ავიღე, რისი შენარჩუნების ძალაც არ მქონდა. გონება გამინათდა თუ არა, მაშინვე შევყვირე ოთახში მყოფმა: „მამა, ეს ძეები ჩემები არ არიან. მე მხოლოდ მათი მნე ვარ. დაე, ის მოხდეს, რასაც შენ ისურვებ მათ ცხოვრებაში. შეგიძლია ცხოვრების შუაწლებში წაიყვანო ისინი ზეცაში, როცა მათ მისაღებად მზად იქნები, მაგრამ მე გაბედულად გთხოვ, რომ მათი მხრიდან აღასრულო ყველაფერი, რის საკეთებლადაც დედამიწაზე გამოგზავნე“.

შემდეგ კიდევ უფრო ხმამაღლა შევძახე: „ეშმაკო, იესოს სახელით, შენ მათ ვერ შეეხები! ვაცხადებ, რომ ისინი ღმერთს ეკუთვნიან და გიკრძალავ ღვთის საკუთრების მოკვლას, მოპარვას და მოსპობას!“

ჩემს გულში ყოვლისმომცველმა მშვიდობამ დაისადგურა და მას შემდეგ არასოდეს ავუღელვებივარ ჩემი ოთხი ვაჟის ამბავს. თუ მსგავსი აზრები ისევ ცდილობს ჩემთან შემოპარვას, მკაცრად ვამბობ, „ჩემს შვილებზე ზრუნვა ღმერთს გადავეცი სან დიეგოში და ახლა უკან ვეღარ წავიღებ“. შიში ყოველ ჯერზე უკან იხევს და მშვიდობა ბრუნდება.

შიში საშინელი ზედამხედველია. ის შემპარავია, ცდილობს

კონტროლის მოპოვებას და თუკი ერთხელ ჩაგჭიდათ ხელი, სრულიად დაგიმონებთ. თუ მას სათანადოდ არ მოეპყრობით, თქვენს მარადიულ ხვედრს შეცვლის. თუმცა არის კარგი ამბავიც: შიშის დამარცხება შესაძლებელია სწორი დაპირისპირებით.

ყურადღება მიაქციეთ თქვენს ნიჭს

პავლემ ორი წერილი მიწერა თავის „სულიერ შვილს", ტიმოთეს. ორივე მათგანში ის ტიმოთეს ნიჭზე (*ქარიზმა*) საუბრობდა, რომელიც უგულებელყოფილი და უმოქმედო იყო. მოდი, ეს მნიშვნელოვანი პუნქტი წინა რიგში გამოვიტანოთ; ტიმოთე ღვთისმოსავი კაცი იყო. პავლე თავის წერილებში ხშირად ტრაბახობდა მისი ჭეშმარიტი ბუნებით და წრფელი რწმენით. ტიმოთე ნამდვილად არ შედიოდა იმ ადამიანთა კატეგორიაში, რომლებიც ღვთის ბუნების უცოდინარობის გამო შიშისგან პარალიზებული არიან. პავლეს პირველი წერილი ამბობს: „ნუ უგულებელყოფ შენს ნიჭს" (1 ტიმ. 4:14).

სიტყვა „*უგულებელყოფა*" არის ბერძნული „*ამელეო*". მისი თარგმანი ასეთია: „უარყოფა ან ზედაპირულად მოკიდება". სხვა წყარო სიტყვას ასე განმარტავს: „რაზეც არ ფიქრობენ და შესაბამისად, სათანადოდ არ ეპყრობიან – ყურადღებას არ აქცევენ".

რა მიზეზით უგულებელყოფდა ტიმოთე – ან ნებისმიერი ჩვენგანი – ღვთიურ ნიჭს და სათანადო ყურადღებას არ მიაქცევდა ან უკიდურეს შემთხვევაში, საერთოდ არ იფიქრებდა მასზე? მიზეზი შეიძლება ეს იყოს:

„ის ჩვენი მოლოდინის შესაბამისად არ მოქმედებს ან შედეგი არ გვაკმაყოფილებს".

დასკვნა ასეთია – *ვეცადე და არაფერი გამომივიდა.* ამ აზრით ხშირად ვიყავი ცდუნებული ოცი-ოცდაათი წლის ასაკში. როგორც ადრე დავწერე, ერთი შემთხვევა მაშინ მოხდა, როცა ლიზასა და მის მეგობარს ჩემს ქადაგებაზე ჩაეძინათ. მაშინ ასე ვიფიქრე: *რატომ უნდა მოუნდეს ვინმეს ჩემი მოსმენა, როცა ყველაზე ახლობელ ადამიანსაც კი არ შეუძლია ფხიზელი დარჩეს?*

იმ დროს კიდევ ერთი რეალობა ზრდიდა ჩემს შფოთვას მარცხის მაუწყებელი აზრებით. მე და ერთი ჩემი მეგობარი საკვირაო სკოლის ჯგუფს ვასწავლიდით. მის გაკვეთილს ორასზე

მეტი ადამიანი ესწრებოდა – მხოლოდ დასადგომი ადგილები რჩებოდა. ჩემს კლასში საშუალო დასწრება, დაახლოებით, ოც კაცს შეადგენდა. ფაქტობრივად, იმ პერიოდში მხოლოდ ერთ კლასს ვასწავლიდი, რომელსაც მხოლოდ ერთი ადამიანი ესწრებოდა!

სხვა არაერთი შემთხვევა მაიძულებდა ეჭვი შემეტანა ჩემს ნიჭებში. ახლა ვაცნობიერებ, რომ მოლოდინის გაცრუებისა და აშკარა მარცხის მაუწყებელი ფიქრებისთვის ყურის დაგდებით მსახურებას თავს დავანებებდი და სხვა გზას დავადგებოდი. საბოლოო ჯამში, საცოდავ ადამიანად გადავიქცეოდი, რომელმაც ცხოვრებისეული მოწოდება მიატოვა.

კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ღვთისგან მოცემულ ნიჭს უგულებელვყოფთ ან ყურადღებას არ ვაქცევთ, არის:

სხვების კრიტიკა

კითხვაც არ სჭირდება, რომ წერისთვის თავის დანებების დიდი ცდუნება მოვიდა, როცა ჩემი პირველი ხელნაწერი ჯერ რედაქტორმა და შემდეგ გამომცემლებმა უგულებელყვეს, გააკრიტიკეს და დაიწუნეს. მოგვიანებით, როცა წიგნი ჩემით გამოვეცი, ერთმა მეგობარმა შეურაცხმყოფელი შენიშვნები გამოთქვა ჩემი წერის სტილთან დაკავშირებით. როცა ამის შესახებ შევიტყვე, მთელი საღამო ჩვენი მისაღები ოთახის იატაკზე გაუნძრევლად ვეგდე ოცი თუ ოცდაათი წუთის განმავლობაში და მეტისმეტად დადარდიანებული ჭერს მივჩერებოდი. მაინტერესებდა, ჩემი ცხოვრების მთელი წელი და უამრავი ფული ამაოდ ხომ არ შევალიე იმ წიგნს! ვფიქრობდი, *პირველმა რედაქტორმა, გამომცემლებმა, ახლა ჩემმა მეგობარმაც გამაკრიტიკეს. გამოფხიზლდი, ჯონ! რატომ არ აღიარებ, რომ მასში კარგი არაფერია და დამარცხდი?*

ამ აზრებს და სხვა შენიშვნებს რომ დავმორჩილებოდი, მეორე წიგნს აღარ დავწერდი, რომელზეც ასევე ვერ იტყოდით, წარმატებულიაო. მახსოვს, როგორ გავუგზავნე ის ბიბლიის სკოლის ყოფილ მასწავლებელს და მან სასტიკად გააკრიტიკა. ამან კიდევ უფრო დამანგრია! უკვე ორწელიწადნახევარი გავიდა, მაგრამ ადამიანებს ჩემი არც ერთი წიგნი არ იზიდავდა.

ერთი წუთითაც რომ დამეგდო ყური სხვების მწარე შენიშვნებისა და საკუთარი ნაღვლიანი ფიქრებისთვის, ძალზე ადვილი იქნებოდა ყველაფრის შეწყვეტა. მაშინ აღარ დავწერდი მესამე წიგნს, რომელიც „*სატანის სატყუარა*“ გახლდათ.

კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ღვთივბოძებულ ნიჭს უგულებელვყოფთ ან ყურადღებას არ ვაქცევთ, არის:

წარუმატებლობის შიში

ამგვარ შიშს ირონიული რეალობა ახლავს: მარცხს ჯერ კიდევ საქმის დაწყებამდე ველოდებით. ამიტომ თავს ვიცავთ და არც კი ვცდილობთ რაიმეს გაკეთებას! ვფიქრობთ, *რატომ უნდა ვიმოქმედო, თუ ეს მაინც არ იმუშავებს?* რამდენი ოცნება და ხედვა გაუქმებულა მარცხის შიშით? რა სამწუხაროა, რომ ღვთივბოძებული ნიჭები გამოუყენებელი რჩება ზარმაცი მონის საქციელის მსგავსად.

რაც შეეხება წარუმატებლობის შიშის შედეგებს, ჩემმა მეგობარმა მაილს მანრომ ამაზე დაწერა თავის წიგნში „*თქვენი პოტენციალის გაზრდა*“:

> „სასაფლაო დედამიწის უმდიდრესი ადგილია, რადგან აქ იპოვით ყველა იმედსა და ოცნებას, რომელიც არასოდეს ასრულებულა; წიგნებს, რომლებიც არ დაწერილა; სიმღერებს, რომლებიც არასოდეს უმღერიათ; გამოგონებებს, რომლებიც არასოდეს გაუზიარებიათ; წამლებს, რომლებიც არასოდეს აღმოუჩენიათ და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ ვიღაცას *პირველი ნაბიჯის გადადგმის* შეეშინდა“.

ვეთანხმები რა მაილსს, ჩემი დარიგება ასეთია: ნუ მისცემთ ღვთისგან მიღებულ ნიჭებს იმის უფლებას, რომ არ იქნან გამოხატული ამ ცხოვრებაში.

რასაც ახლა ვიტყვი, გაგაოცებთ, რადგან ყველა ჩვენგანი დიდად ვაფასებთ ტიმოთეს. მიუხედავად ამისა, პავლეს წერილიდან ვიგებთ, რომ ის ზარმაცი მნის გზას ადგა! მისი ნიჭი თვლემდა და ის ყურადღებასაც არ აქცევდა. საბედნიეროდ, მას კარგი მამა ჰყავდა რწმენაში, რომელიც ამ მდგომარეობაში დარჩენის ნებას არ მისცემდა. მეორე წერილში, რომელიც თავის „ძეს“ მიწერა, პავლე დროს არ კარგავს და საკითხის განხილვას დაუყოვნებლივ იწყებს: „შეგახსენებ, გააღვივო ღვთის ნიჭი, რომელიც ჩემი ხელდასხმით არის შენში“ (2 ტიმ.1:6). სიტყვა „*გაღვივება*“ ბერძნულად გახლავთ „*ანაზოპურეო*“, რომელიც „ცეცხლის აალებას“ ნიშნავს. თუმცა *ბერძნულ-ინგლისური ლექსიკონი* სიტყვის კიდევ უფრო სრულ მნიშვნელობას გვაწვდის – „რაიმეს ხელახლა დაწყების ბიძგი, გააქტიურება“.

ღვთის ნიჭი ტიმოთეში უმოქმედო მდგომარეობაში იყო და ასამოძრავებლად ბიძგი სჭირდებოდა. მაშ, რამ გამოიწვია ეს მთვლემარე მდგომარეობა? პავლე მიზეზს შემდეგ მუხლში ხსნის:

> „რადგან არ მოგვცა ჩვენ ღმერთმა *სიმხდალის* სული, არამედ ძალის, სიყვარულისა და თავშეკავების“. (2 ტიმ. 1:7)

შიშის აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვა გახლავთ „*დეილია*“, რომლის ყველაზე ზუსტი თარგმანი „გაუბედაობა“ გახლავთ. პავლე ამბობს, „ტიმოთე, შენი ღვთიური ნიჭი თვლემს *გაუბედაობის* სულის გამო“ ან უფრო მარტივად რომ ვთქვათ, „ტიმოთე, ნიჭი, რომელიც ღვთისგან მოგეცა, შეუსაბამო მდგომარეობაშია შენი *სიმხდალის* გამო“.

ეს გახლავთ სიტყვა, რომელიც ნაცნობია. სიმხდალე ნიშნავს „შიშის გამო რაიმე მოქმედებისგან თავის შეკავებას“. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ასპექტია ის, რომ სიმხდალე სულია. ეს გახლავთ სულიერი ძალა და თუ შიშს სულიერ დონეზე არ ვუპასუხებთ, მისი ფესვები არ მოიკვეთება.

ჩემი ბრძოლა სიმხდალესთან

ეს საკითხი კარგად მესმის, რადგან ზემოხსენებულ სულს წლების მანძილზე ვებრძოდი. თავიდან ვფიქრობდი, რომ ეს ჩემი პიროვნების სუსტი მხარე იყო, მაგრამ ადრეული 1990-იანი წლების რამდენიმე შეკრებამ ჩემს შეცდომაში დამარწმუნა. შეკრებების ჩატარება დაგეგმილი იყო მხოლოდ ოთხი დღის მანძილზე ერთი პატარა ქალაქის ეკლესიაში, მაგრამ ისინი სამკვირიან ღვთის სულის მოძრაობად გადაიქცა. შენობა ყოველ საღამოს სრულიად ივსებოდა. მრავალმა მიიღო გადარჩენა, განკურნება და განთავისუფლება. ქადაგების ღვთისგან მოძებული ნიჭი მთელი სიმძლავრით მუშაობდა. ეს შესამჩნევი გახლდათ. ადამიანები ოთხმოცდაათი მილით დაშორებული ადგილებიდან მოდიოდნენ, რომ ღამის მსახურებას დასწრებოდნენ. გარკვევით მახსოვს, როგორ შევდიოდი ცარიელ საკურთხეველთან დღის განმავლობაში და ისე ჩანდა, რომ ღვთის თანდასწრება მთელ შენობაში დამკვიდრებულიყო.

ბოლო კვირის ერთ საღამოს ყველაფერი შეიცვალა. წინა დღით რამდენიმე ლიდერმა ჩემი მსახურება გააკრიტიკა. მათმა ნათქვამმა ჩემამდე მოაღწია ეკლესიის ერთ-ერთი ლიდერის მეშვეობით ზუსტად მსახურების დაწყების წინ.

შენიშვნები თვითნებური, მაგრამ უვნებელი იყო, თუმცა მაინც ვერ შევძელი მათი განდევნა ჩემი ფიქრებიდან. ყურადღება მომავალი მსახურებიდან წინა საღამოს ქადაგების კრიტიკაზე გადავიტანე. პასტორმა მათი მოსაზრებები უარყო; ვილოცეთ და საკურთხეველთან მივედით, როგორც ეს ბევრჯერ გაგვიკეთებია.

იმ საღამოს თითქოს ყველაფერი გამოშრა. შევეცადე ისე მემსახურა, როგორც წინა ორი კვირის მანძილზე ვაკეთებდი, მაგრამ ძალიან დავიბენი, აზრებს თავს ვერ ვუყრიდი და ვერ ვიტანდი კათედრასთან დგომას. მინდოდა შენობის უკანა კარიდან გავპარულიყავი და თავისთვის მეშველა! უღონობა ვიგრძენი, როგორც დამამთავრებელი კლასის მოზარდმა, რომელმაც თანაკლასელების წინაშე სიტყვით გამოსვლის გაკვეთილზე მარცხი განიცადა. ჩემზე არც ცხებულება და არც ღვთის თანდასწრება აღარ იგრძნობოდა. ეს საშინელება იყო. მსახურება ადრე დავასრულე და დავბრუნდი იქ, სადაც ღამით ვრჩებოდი.

ღმერთზე გაბრაზებული ვიყავი. *რატომ არ დამეხმარა? რატომ იყო მსახურება ასე განსხვავებული? რატომ ვიგრძენი თავი მიტოვებულად? ასე* ვფიქრობდი, *ის ქადაგება და მსახურების დრო საცოდაობა იყო. ჰოდა, ხვალ საღამოს აღარავინ მოვა. ფაქტობრივად, არც მინდა იქ დაბრუნება.*

საწოლში იმ იმედით დავწექი, რომ მომდევნო დღე განსხვავებული იქნებოდა.

დილით გულდამძიმებულმა, დათრგუნულმა და სასოწარკვეთილმა გავიღვიძე. ვცადე ლოცვა, მაგრამ ამაოდ. მღელვარება, რომ რაღაც რიგზე ვერ იყო, თანდათან იზრდებოდა. შუადღით ლოცვაში სამი საათი გავატარე. მთელი ეს დრო მარცხზე ფიქრებს ვებრძოდი. თავს ვაიძულებდი, სიმძიმე გამედევნა და მომავალი მსახურების შესაბამისი განწყობა მიმეღო.

საღამოს საკურთხეველთან ისეთივე სიმშრალე დამხვდა, როგორიც წინა დღეს იყო და მივხვდი, რომ გასაცემი არაფერი მქონდა. ისევ მომინდა უკანა კარიდან გაქცევა. როცა წარმადგინეს, ავდექი და რამდენიმე წუთი ენა დამება. აზრის მოკრება მიჭირდა. თითქოს ჩემი გონება მეუბნებოდა, „რის თქმას აპირებ? სად მიდიხარ ამ ქადაგებით? შე, საცოდავო!“

ეს უკვე მეტისმეტი იყო. მოულოდნელად ექვსასი ადამიანის წინაშე ამოვთქვი, „არ ვიცი, რა ხდება, მაგრამ ბოლო ორი საღამოა, რაღაც რიგზე ვერ არის. შეგიძლიათ, წამოდგეთ და ჩემთან ერთად ილოცოთ?“

როცა ყველამ ვილოცეთ, ღმერთი დამელაპარაკა – პირველად გავიგონე მისი ხმა ბოლო ოცდაოთხ საათზე მეტი ხნის განმავლობაში. მან გამახსენა, რა დაწერა პავლემ 2 ტიმ. 1:7-ში და თქვა: „შვილო, სცენაზე შენს უკან მდგარი თაყვანისცემის გუნდის გეშინია. შემუსრე *სიმხდალის სული* და ილაპარაკე სიტყვა, რომელსაც გაძლევ“.

ისე მოვიქეცი, როგორც მან მითხრა და მაშინვე წამოვიდა გაბედული სიტყვა წერილის ამ მონაკვეთიდან. ეს იყო ყველაზე ძლიერი აქამდე ჩატარებული ოცდაერთი მსახურებიდან. ხალხის სამოცდათხუთმეტი პროცენტი წინ გამოვიდა და აღიარა, რომ ისინიც ებრძოდნენ სიმხდალის სულს. სკამებს შორის გასასვლელები ადამიანებით გაივსო, რომლებსაც განთავისუფლებისთვის ლოცვა სურდათ.

რამდენიმე კვირის შემდეგ პასტორი შემეხმიანა და მითხრა, რამდენად ნაყოფიერი გამოდგა ბოლო მსახურება. აღმოჩნდა, რომ ლიდერები, რომლებმაც გამაკრიტიკეს, აშკარა ცოდვაში ცხოვრობდნენ – მრუშობა, გარყვნილება და ლოთობა. ეს ყველაფერი მომდევნო რამდენიმე კვირის მანძილზე გამოვლინდა. მათგან ერთის გარდა ყველამ დატოვა ეკლესია. პასტორმა მითხრა, რომ ამ შემთხვევიდან მოყოლებული მისი თაყვანისცემის გუნდი არასოდეს ყოფილა ასე ერთიანი და ნაყოფიერი. ეს იყო ცხოვრებისა და მსახურების შეცვლის გამოცდილება.

ჩემთვის ეს წლების მანძილზე დეპრესიასა და ზოგიერთი მსახურებისას ღვთის ნიჭის უმოქმედობასთან გამკლავებისთვის ბრძოლის დასასრულს ნიშნავდა.

ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენა იყო იმის გაგება, რომ *სიმხდალის სულს* პირდაპირ უნდა დაელაპარაკო – რაც არაფრით განსხვავდება უდაბნოში იესოს სატანასთან დაპირისპირებისგან ღვთის სიტყვის მეშვეობით. იესოს ღვთისთვის არ უთხოვია შემოტევებისგან დაცვა. მან პირდაპირ მიმართა ეშმაკს, მტკიცედ და მიზანმიმართულად.

ელიას ჩანაცვლება

მოგიწოდებთ, რომ 1 მეფ. 17-19 თავები წაიკითხოთ. აქ ელიასა და დედოფალ იეზებელის მაგალითზე დაინახავთ იგივე სიმხდალესთან ბრძოლას, რომელიც მე მქონდა.

დიდი წინასწარმეტყველი გაბედულად დაუპირისპირდა ისრაელ ერს ქარმელის მთაზე, სადაც მის მოწინააღმდეგეებს 850 ცრუ წინასწარმეტყველი, მეფე ახაბი და მეფის მხლებლები

წარმოადგენდნენ. ღმერთმა მთელი ერის წინაშე ცეცხლით უპასუხა ელიას ლოცვას. წინასწარმეტყველმა ხალხს მითითებაც კი მისცა, რომ ყველა ცრუ მსახური დაეხოცათ. ელია ძლიერად მოქმედებდა თავისი ნიჭით! მან ილოცა, რომ სამწელიწადნახევრიანი გვალვა დასრულებულიყო. გარდა ამისა, სირბილით გადაუსწრო სამეფო ეტლს! და ეს ყველაფერი ერთ დღეში მოხდა! რა საოცარი მსახურებაა!

სანამ მზე ჩავიდოდა, იეზებელმა გაიგო მომხდარის შესახებ და აქ დაიწყო რეალური ბრძოლა:

> „მოციქული გაუგზავნა იეზებელმა ელიას და შეუთვალა: „ასე და ასე მომექცნენ ღმერთები და უარესიც დამმართონ, თუ ხვალ ამ დროს ისევე არ წაგართვა სიცოცხლე, როგორც შენ წაართვი თითოეულ მათგანს“. (1 მეფ. 19:2)

სანამ იეზებელის მუქარას განვიხილავდეთ, ნება მომეცით, გითხრათ, რომ სულები სერფერებს გვანან. სერფერებს ტალღები სჭირდებათ, რომ მათზე ისრიალონ; სულებსაც სიტყვები სჭირდებათ, რომ მათზე ამხედრდნენ. ჩვენ გვეუბნებიან, „შენს წინააღმდეგ გამოჭედილი ყოველი იარაღი გაცუდდება და ყოველ ენას, რომელიც ბრალს დაგდებს სამსჯავროზე, *შენ დასდებ მსჯავრს*. ეს არის უფლის მსახურთა ხვედრი“ (ეს. 54:17). დააკვირდით, რომ ჩვენ გავაჩუმებთ ყველა ენას, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ გამოვა. ეს ჩვენი საქმეა და არა ღვთის. იესოს ღვთისთვის არ უთხოვია სატანის გაჩუმება უდაბნოში. არც ჩვენ უნდა მოვიქცეთ ასე შემოტევის დროს.

ცხადია, იეზებელის სიტყვებმა სიმხდალის უზარმაზარი სული მოიყოლა. როცა მისმა ნათქვამმა ელიამდე მიაღწია, ნახეთ, როგორი იყო მისი რეაქცია: „ეს რომ გაიგო ელიამ, ადგა და გაიქცა, თავი რომ გადაერჩინა“ (1 მეფ. 19:3).

კაცი, რომელიც წინ აღუდგა მთელ ერს, ცრუ წინასწარმეტ-ყველებს და მეფეს, ახლა გარბის. მან გადალახა ისრაელის მიწა და ერთი დღის სავალზე უდაბურ ადგილას მივიდა. იქ ხის ძირას დაჯდა და *სიკვდილისთვის ლოცვა* დაიწყო.

ოჰო, ეს იგივე პიროვნება არ არის? რა ხდება? იგი აშკარად დაბნეული, დათრგუნული და უიმედოა. მას ხედვაც დაკარგვია. ასეთია სიმხდალის სულის სიმპტომები. სამწუხარო რეალობა ის გახლავთ, რომ ადამიანთა უმრავლესობა სიმპტომებს ებრძვის მათ უკან მდგარი სულის ნაცვლად.

უმეცრებაში მეც წლების მანძილზე ვებრძოდი სიმპტომებს, სანამ იმ საღამოს უფალმა თვალები არ ამიხილა ამ მზაკვარი

სულის გზებზე. ვმერყეობდი ჩემს ნიჭში მოქმედებისას და ვერ გამეგო, რა იყო მიზეზი.

ელია დანებდა, მაგრამ ღმერთმა გულდამძიმებული წინასწარმეტყველი შორეულ მოგზაურობაში გააგზავნა. მას ანგელოზი გამოეცხადა და საკვებით გაამაგრა ხანგრძლივი ორმოცდღიანი მგზავრობისთვის სინაის მთამდე. როცა ადგილზე მივიდა, პირველი, რაც ღმერთმა ჰკითხა, იყო: „აქ რას აკეთებ, ელია?“ (1 მეფ. 19:9).

რა? მოიცათ! ღმერთმა ანგელოზი მოავლინა, რომ ელია გამოეკვება და გაეგზავნა, ჰოდა, ელიაც მივიდა ნაბრძანებ ადგილას. თუმცა იქ მისულს ღმერთი ეკითხება, რა საქმე აქვს იქ. ნუთუ ღმერთი დასცინის?

არა – აი, რა უნდა გავაცნობიეროთ. თუ სიმხდალემ დაგვძლია, ღმერთი ხშირად გვგზავნის ნეიტრალურ ადგილას, რომ მოგვემსახუროს, რადგან ვუყვარვართ. მე ვერ ვაცნობიერებდი, რა ხდებოდა იმ შეკრებებზე, მაგრამ მგონია, რომ ვერც ელია ხვდებოდა. მან იცოდა, გაბედულად როგორ დაპირისპირებოდა წინააღმდეგობას, მაგრამ ამ დედოფლის შეეშინდა.

ახლა აქტუალურია კითხვა: რა იმალებოდა ღვთიური გამოძიების უკან? ღმერთს აინტერესებს, რატომ არ აღუდგა წინ ელია დედოფალს, რომელიც ყოველგვარი ბოროტების სათავეში იმყოფებოდა. ის უნდა შეეჩერებინათ და ამის ნაცვლად ელია მისგან გარბის.

წინასწარმეტყველი თავს არიდებს კითხვის უკან მდგარ კითხვაზე პასუხს და სალაპარაკო თემას ცვლის. იგი წუწუნებს, რომ ერთადერთია დარჩენილი, ვინც ჭეშმარიტებით ემსახურება ღმერთს. ეს კლასიკური მოთქმის სურათი გახლავთ:

> „უფლის, ცაბაოთ ღმერთის შურმა შემიპყრო, რადგან მიატოვეს შენი აღთქმა ისრაელის ძეებმა, შენი სამსხვერპლოები დაანგრიეს და შენი წინასწარმეტყველნი მახვილით ამოხოცეს; მე ერთი დავრჩი და ჩემს სულსაც დაეძებენ, რათა წამართვან“. (1 მეფ. 19:10)

ღმერთმა სრულიად უგულებელყო მისი პასუხი და კიდევ ერთხელ დაუსვა კითხვა: „აქ რას აკეთებ, ელია?“ (1 მეფ. 19:13). ელია ისევ შეეცადა ზუსტად იგივე მოთქმის ისტორიის მოყოლას (იხ. მუხლი 14). ის თითქოს დანებდა და არ სურდა ბოროტების უკან მდგარი ბოროტების ამოძირკვა.

ღმერთი კიდევ ერთხელ სრულად და საბოლოოდ უგულებელყოფს მის „ვაიმე“ ამბავს და გამაოგნებელ მითითებას აძლევს:

„უთხრა უფალმა: „წადი, გაბრუნდი დამასკოს უდაბნოს გზით; და როცა მიხვალ, სცხე ხაზაელს არამზე სამეფოდ. იეჰუ ნიმშის ძეს ისრაელზე სამეფოდ სცხე, ელისე შაფატის ძეს კი აბელ-მეხოლადან, სცხე, რათა *შენს ნაცვლად წინასწარმეტყველებდეს*“. (1 მეფ. 19:15-16)

ყურადღება მიაქციეთ მის ბოლო სიტყვებს: „შენს ნაცვლად წინასწარმეტყველებდეს“? ღმერთმა ელია ჩაანაცვლა, რადგან იგი სიმხდალეს დანებდა და მისგან დაიძლია. თუ მეორე მეფეთა წიგნის კითხვას გააგრძელებთ, ნახავთ, რომ ელიამ მომდევნო ოთხი წლის დიდი ნაწილი ჩამნაცვლებლის გამოწვრთნაში გაატარა. და კიდევ უფრო ელდისმომგვრელი ამბავი: მან ვერც ხაზაელს სცხო და ვერც იეჰუს – ეს მის ნაცვლად დადგენილმა ელისემ გააკეთა.

ელისეს სიმხდალე არ აწუხებდა. იგი გაბედული გახლდათ და უკან არ იხევდა ნებისმიერი ბოროტების წინაშე. ღმერთმა მის შესახებ ასე თქვა: „ვინც იეჰუს მახვილს გადაურჩება - ელისე მოკლავს“ (1 მეფ. 19:17). იეჰუსა და ელისეს მეშვეობით განადგურდა ახაბისა და იეზებელის ბოროტი დინასტია. დარწმუნებული ვარ, თავდაპირველად ეს ელიას დავალება იქნებოდა, მაგრამ სიმხდალის გამო ბედისწერა შეიცვალა.

ვაღიარებთ, რომ ელია ზარმაცი მონისგან განსხვავებით კარგად იცნობდა ღვთის ბუნებას, მაგრამ მისი ბრძოლიდან ჩანს, თუ რას უშვრება შიში და სიმხდალე ჩვენს ნიჭსა და მოწოდებას.

მნიშვნელოვანია მტკიცე გადაწყვეტილების მიღება, რომ შიშისა და სიმხდალის წინაშე უკან არ დავიხიოთ. ღმერთი ზურგს გაგვიმაგრებს, როცა ამ ძალის წინააღმდეგ გამოვალთ. მისი დამარცხება შესაძლებელია, მაგრამ მას ღვთის სიტყვითა და აღთქმებით უნდა დავუპირისპირდეთ.

ვიმეორებ, რომ ღმერთი თქვენ მხარესაა. იგი გენდობათ. მას სურს, რომ აყვავდეთ მისგან მიღებული ნიჭების გამოყენებით. უკან ნუ დაიხევთ. ნურავის და ნურაფერს მისცემთ უფლებას, რომ თქვენი მისიისა და ხვედრისგან გადაგახვევინოთ.

დაფიქრება

1. შიშს მრავალი ოცნება მოუპარავს. ის შემოგიძვრებათ, ცდილობს კონტროლის მოპოვებას და თუ მას სათანადოდ არ მოეპყრობით, თქვენს მარადიულ ხვედრს შეცვლის. რა გზებით შეეცადა შიში თქვენი ხვედრის შეცვლას?

2. ტიმოთეს აფრთხილებენ, რომ მისი ნიჭი არ უგულებელყოს. რატომ არის საშიში თქვენი ნიჭის უგულებელყოფა? მოყვანილი მაგალითებიდან უგულებელყოფის რომელი მიზეზია ყველაზე მეტად აქტუალური თქვენს შემთხვევაში? რატომ?

3. სიმხდალე სულია. რა გზით შეხვედრიხართ ამ სულს? როგორ უნდა სძლიოთ და დაამარცხოთ ის?

„ყველამ დაკვირვებით გამოსცადოს, ვინ არის და
რა საქმე მიეცა.
მხოლოდ მაშინ ექნება საკვეხნი ... რადგან
თითოეულმა თქვენგანმა
უნდა აიღოს საუკეთესო და შემოქმედებითი
გზებით შრომის
პასუხისმგებლობა თქვენს ცხოვრებაში“.

– გალატელთა 6:4-5 MSG

14

აღმოაჩინეთ და განავითარეთ თქვენი ნიჭი

ახლა მივუბრუნდებით ღვთისგან ბოძებული ნიჭების აღმოჩენისა და განვითარების საკითხს. როგორც უკვე განვაცხადე, ჩემი მიზანი არ არის ბუნებრივი ნიჭებისა და უნარების განვითარებაზე მსჯელობა. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია საკმარისი ვარჯიშის პირობებში სასურველ ნიჭში დახელოვნდეს.

ჩემს ოჯახს შეუძლია იკამათოს, როცა საქმე სიმღერას ეხება და მართალიც აღმოჩნდეს ამაში, მაგრამ მინდა რეალური ცხოვრებისეული მაგალითი მოგიყვანოთ: მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრაში ათი ათასი საათი რომ ვივარჯიშო, საშინელი მუსიკოსიდან ასატანი მუსიკოსის დონემდე ავალ. დრო და მონდომება ფორტეპიანოზე ან გიტარაზე დაკვრას სასიამოვნო მოსასმენს გახდის, მაგრამ მთელი ამ კონცენტრირებული პრაქტიკის მიუხედავად, ჩემს ნიჭს მაინც ვერ უწოდებთ *ქარიზმას*, რომელიც ჩემს მოწოდებას ღვთის სამეფოს მშენებლობის საქმეში გამოსაყენებლად აღძრავს.

ღვთის ჩართულობა

ამ თავის პირველ ნაწილში ყურადღებას გავამახვილებთ პავლეს სიტყვებზე, „ყველამ დაკვირვებით გამოსცადოს, ვინ არის და რა საქმე მიეცა“. არ არსებობს თქვენი მოწოდებისა და თანმხლები ნიჭების აღმოსაჩენი ფორმულა. მართალია, უამრავი რესურსი არსებობს თქვენთვის განკუთვნილი უნარების მოსაძიებლად, მაგრამ საქმე მარადიული ზეგავლენის მოხდენაზე რომ მიდგება, იოლად ვერ გახვალთ შემოქმედის დახმარების გარეშე თქვენი *მოწოდებისა* და *ქარიზმის* აღმოჩენის საქმეში.

ზოგჯერ ღვთის უშუალო ჩარევა აადვილებს ნიჭების პოვნას, მაგალითად, როგორც მე მითხრა წერის შესახებ. ჩემით არასოდეს შევეცდებოდი წიგნის დაწერას, 1991 წლის იმ ზაფხულის ღამეს ღვთისგან სიტყვა რომ არ მიმეღო. ვერანაირი წიგნი ან სახელმძღვანელო წერის აუცილებლობაში ვერ დამარწმუნებდა და ამ საქმიანობით არასდროს დავინტერესდებოდი. სხვა მაგალითის სახით მეფე დავითის ამბავს მოვიყვან, რომელიც ვერასდროს იოცნებებდა მეომრობაზე, დათვისა და ლომისგან ცხვრის ფარის დაცვა რომ არ დასჭირვებოდა. საკმაო ვარჯიშის შემდეგ ისეთი ადამიანის პოვნის საკითხი დადგა, რომელიც ისრაელს ფილისტიმელებისგან დაიხსნიდა. დავითისთვის ადრინდელი საშიში მხეცები აღმავალი საფეხური იყო გოლიათის დამარცხების საქმეში, რომელსაც ისრაელი ერი დაემალა. ღმერთმა დავითს მისი ნიჭის აღმოჩენის საშუალება მისცა ირგვლივ არსებული საჭიროების გათვალისწინებით.

თუ გედეონს გავიხსენებთ, ის უფრო მე მგავდა. ღმერთს რამდენიმე მოწმობა დასჭირდა ცხვრის ტყავის გამოყენებით, რომ ის მეომრობაში დაერწმუნებინა.

მოდი, საწყის მდგომარეობას დავუბრუნდეთ. მნიშვნელოვანია ღვთის ჩარევის ძიება და მისი რწმენა თქვენი *ქარიზმის* აღმოჩენის საქმეში. წმიდა წერილი აცხადებს, რომ ღმერთი ისეთ ადამიანს აჯილდოვებს, ვინც მას გულმოდგინედ და რწმენით ეძებს. ბიბლია არ ამბობს, რომ ღმერთი აჯილდოვებს დრო და დრო ცნობისმოყვარეობით ამოქმედებულ მაძიებლებს და დაეჭვებულებს (ებრ.11:6-ის ავტორისეული პარაფრაზი). ასევე იესო გვეუბნება:

> „ითხოვეთ და მოგეცემათ, ეძიეთ და იპოვით, დააკაკუნეთ და გაგეღებათ. ვინაიდან ყოველი, ვინც ითხოვს - ღებულობს, ვინც ეძიებს — პოულობს და ვინც აკაკუნებს – გაეღება“. (მათ. 7:7-8)

ქარიზმის მოძიების დაუძლეველი სურვილი უნდა გვქონდეს. იმედი მაქვს, რომ ეს წიგნი თქვენში მწველ სურვილს აღანთებს, რომ აღმოაჩინოთ და ჩაერთოთ მის გამოყენებაში. ასეთი სწრაფვა დაგიცავთ გულგრილი თხოვნის, ძიებისა და კაკუნისგან და უფრო მეტად დაჟინებული იქნებით, როგორც იესო ზემოთ აღწერს. ეს არ ნიშნავს, რომ ღმერთი გემალებათ. მას სურს, რომ თქვენში იმის მოშურნეობა გააღვიძოს, რასაც ითხოვთ.

უფროსკლასელი რომ ვიყავი, მძლავრი ტელესკოპი მინდოდა.

ასტრონომია მიყვარდა და ღამის ცის დაკვირვებას ვაპირებდი. კარგი ტელესკოპისთვის საჭირო თანხა ჩემს შესაძლებლობას აღემატებოდა, მაგრამ ასტრონომიის შესახებ წიგნებისა და ჟურნალების კითხვას ვაგრძელებდი. ბიბლიოთეკიდან ერთდროულად ოთხი თუ ხუთი ცალი გამომქონდა, თავისუფალ დროს გადავიკითხავდი, ზოგჯერ განმეორებითაც კი და ისევ ვაბრუნებდი. კითხვამ ტელესკოპის შეძენის დაუოკებელი სურვილი განმივითარა.

საბოლოოდ, ამ წყურვილმა უჩვეულო იდეების მოგონებისკენ მიბიძგა, თუ როგორ უნდა მეშოვა ფული ჩემი საოცნებო ხელსაწყოს საყიდლად. ცურვისა და რაკეტკლუბში ჩოგბურთის ინსტრუქტორი ვიყავი და გაკვეთილებს მხოლოდ ზაფხულის არდადეგების დროს ვატარებდი. რაღაც ისეთი გავაკეთე, რაც ჩვენს კლუბში არასოდეს მომხდარა. კლუბის საბჭოს თანხმობით შევადგინე სკოლის შემდეგ კერძო გაკვეთილების ჩატარების გეგმა შემოდგომის სეზონზე. თუ ეს იმუშავებდა, ტელესკოპის საყიდლად საკმარისი თანხის გამომუშავებას შევძლებდი. ყველაფერი გამოვიდა! დამერწმუნეთ, ამ ტელესკოპს ნამდვილად ვაფასებდი. ვიღაცას უბრალოდ რომ ეჩუქებინა, სანამ ჩემი სურვილი ასე გამძაფრდებოდა, აღფრთოვანების გრძნობის გავლის შემდეგ მალე მივივიწყებდი.

ღმერთს ყველაფერი კარგად ესმის. იგი არ იმალება. მას სურს, რომ ვაფასებდეთ ნიჭებს, რომლებსაც მისი ერის აღსაშენებლად გვაძლევს. თქვენი მოწადინება იმ წინააღმდეგობაზე ძლიერი უნდა იყოს, რასაც ოცნების აღსრულებისას შეხვდებით. ამრიგად, მიეცით ოცნებას ზრდის საშუალება და სპონტანურობა შეგინარჩუნებთ თქვენი *ქარიზმისა* და ნიჭების გულმოდგინედ ძიების უნარს.

გარდა ამისა, უნდა გავაცნობიეროთ, რომ არ არსებობს ღვთისგან პასუხის მიღების ერთი ნიმუში. ეს თითოეული შვილისთვის განსხვავებულია. საგონებელში მაგდებს, რომ განუწყვეტლივ ვლაპარაკობთ იესოსთან „პირადი ურთიერთობის“ ქონაზე, თუმცა როცა საქმე ქარიზმისა და ნიჭების გასაგებად ღვთის მოსმენაზე მიდგება, მაშინვე გამზადებულ ფორმულას ვითხოვთ. ღმერთს სურს, რომ ეს პირადული იყოს. მას სურს, რომ ეს განსაკუთრებულ მომენტად დატოვოს თქვენსა და მას შორის. იგი თითოეული ძვირფასი შვილის ლოცვას მაშინვე არ პასუხობს. სწორედ ამიტომ გვარიგებს იესო, რომ გავაგრძელოთ თხოვნა, ძიება და კაკუნი. ეს მისი ნების „ძიებაა“, რომელიც ჩვენთვის ძალიან კარგია.

ძიებისას საკუთარ თავს და სხვებს კითხვები უნდა დავუსვათ. ეს ყველაფერი პროცესის ნაწილია. ჩვენ არ ვეძებთ ადამიანურ სიბრძნეს, არამედ ღვთის ხმას ვისმენთ იმ ადამიანთა ხმებს შორის, რომლებიც გველაპარაკებიან.

მნიშვნელოვანია, რომ ვიცოდეთ, ვის დაველაპარაკოთ. ისეთები უნდა ვიპოვოთ, ვინც გაგვამხნევებს, მაგრამ სიმართლის თქმისაც არ შეეშინდება. ვისურვებდი, იმის თქმა შემეძლოს, რომ ასეთები მრავლად არიან, მაგრამ ასე არ არის. ვიცნობ ადამიანებს, რომლებიც რჩევის კითხვის შემთხვევაში მხოლოდ იმას მეტყვიან, რის მოსმენაც მესიამოვნება. არიან სხვა პესიმისტები, კრიტიკოსები და თითქმის ყველაფერზე ნეგატიურად მოფიქრალნი, რომელთაც ხედვა აკლიათ. ორივე კატეგორიის ხალხს ერიდეთ. იპოვეთ ადამიანი, რომელსაც რწმენა აქვს და ამასთან სულიერად მომწიფებული და გონიერია. იპოვეთ მამა ან დედა რწმენაში ან ბრძენი ადამიანი, რომელსაც თქვენზე მეტი გზა აქვს გავლილი, შეცდომები დაუშვია და იქედან უსწავლია.

მნიშვნელოვანია, რომ ვისაც თქვენ ენდობით, არ იყოს უხეში ან ცინიკური, რადგან საეჭვო და უნდობ დამოკიდებულებას ხშირად ისეთი ადამიანები წაახალისებენ, რომლებიც გულში წყენას მალავენ. მოძებნეთ პიროვნება, რომელიც სწრაფად პატიობს, ვინც დამყაყებულ რელიგიაში არ ჩარჩენილა, არამედ წინ მიიწევს დროსა და ღვთის სულის ცოცხალ მოძრაობაში. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ეს ადამიანი საგნებს მარადიულობის თვალსაზრისით ხედავდეს. როცა ასეთ პიროვნებას იპოვით, ყველაფერი გააკეთეთ, რომ შეინარჩუნოთ და გაუფრთხილდეთ მასთან ურთიერთობას.

ბევრია, ვინც ამ ქვეყნიერებისთვის ბრძენია, მაგრამ მარადიული ხედვის ნაკლებობას განიცდის. მათი რჩევის მიღება მხოლოდ გარკვეულ დონემდე შეიძლება. სიფრთხილე გამოიჩინეთ ამ ადამიანების მოსმენისას და მათი დარიგება ღვთის სიტყვისა და ლოცვის მეშვეობით გაფილტრეთ.

მშობლებს, მეუღლეს და პასტორებს თქვენთვის საუკეთესო სურთ და როგორც წესი, გონივრულ რჩევებს იძლევიან, მაგრამ გამონაკლისებიც არსებობენ.

ახალგაზრდობისას მსახურების შესახებ ჩემი ოცნებები მამაჩემს გავუზიარე. მისი თაობა ყველაფრის „უსაფრთხო გზით“ კეთების მომხრე იყო (რაც სისუსტეს ნიშნავს, როცა საქმე რწმენით ცხოვრებას ეხება). მამაჩემმა მითხრა, „შვილო, ეს გზა უსაფრთხო არ არის“. მან ინჟინრობა მირჩია,

რადგან მათემატიკასა და სხვა ზუსტ მეცნიერებებში კარგად ვერკვეოდი. თავად ისიც ინჟინერი გახლდათ ორმიცი წლის განმავლობაში. ეს კარიერის უსაფრთხო არჩევანი იყო. ვერც კი გავაცნობიერე, ისე მოვაწერე ხელი კოლეჯის ექვსწლიან „ვაი-ვაგლახს“! მიუხედავად იმისა, რომ ამ საგნებში ნიჭიერი ვიყავი, მაინც საცოდავად ვთვლიდი თავს, რადგან ეს არ იყო ღვთიური მოწოდება ჩემი ცხოვრებისთვის.

ჩემი, როგორც ინჟინრის პირველი სამუშაო იყო IBM-თვის მუშაობა. ერთ დღეს ჩემმა უფროსმა კაბინეტში მომიხმო და მითხრა: „ბევრ, რას აკეთებ ინჟინრობაში? შენ ხომ სოციალური ადამიანი ხარ; ისეთ ადგილას უნდა მუშაობდე, სადაც ხალხთან ურთიერთობა გექნება“. ცნობილ მსახურებსაც არაერთხელ გავუყვანივარ განზე სხვადასხვა შეკრებების დროს და უთქვამთ: „შვილო, ღვთის მოწოდებას ვხედავ შენში, რომ სახარება იქადაგო“.

ღმერთი ლოცვის დროს განმარტოებისას გამუდმებით მიმართავდა ჩემს გულს მსახურებისკენ, მიუხედავად იმისა, რომ არ მინდოდა ამასთან საერთო მქონოდა. ყველა მსახური, რომელსაც კი ოდესმე შევხვედრივარ, უცნაური მეჩვენებოდა. თუმცა ჩემი გული ჩვენი შემოქმედისადმი მგრძობიარე იყო. სანამ გადარჩენას მივიღებდი, ერთი კვირით კათოლიკურ სემინარს ვესწრებოდი და მაშინ ვიგრძენი, რომ ღვთის მსახურებისთვის ვარ მოწოდებული. ამ აზრმა დამაფრთხო, რადგან კათოლიკე მღვდლის რანგში ვერასოდეს ვიქორწინებდი.

დრო გადიოდა და გამუდმებით ვიღებდი დამოწმებებს, რაც დამეხმარა, რომ მამაჩემის რჩევა, ბოლოს და ბოლოს, გვერდზე გადამედო. მას იმდენად ვცემდი პატივს, რამდენადაც ღმერთს ეამებოდა, მაგრამ სტუდენტობიდანვე ვიცოდი, რომ რაღაც რიგზე ვერ იყო და მუშაობის დროსაც იგივე განცდა მქონდა. იმის გამო, რომ გამუდმებით ვითხოვდი და ღვთიურ მიმართულებას ვეძებდი, მან არ დაუშვა, რომ გზა ამრეოდა (თუნდაც ჩემი კეთილისმყოფელი მამის მიერ) და თავისი ნება უხვად გამიცხადა.

წელიწადნახევრიანი ძიების შემდეგ ეს ჩემთვისაც ნათელი გახდა და გულში მწველი სურვილი ამენთო. ინჟინრის დიპლომის მისაღები გზის სამი მეოთხედი უკვე გავლილი მქონდა. გადავწყვიტე სწავლა დამემთავრებინა და ამის შემდეგ მსახურებას შევდგომოდი. ეს კარგი გადაწყვეტილება იყო, რადგან ისეთ სტრატეგიებს შევისწავლიდი, რომელთაც ბიბლიის სკოლა ვერ მომცემდა. *ღმერთი ჩვენს საწვრთნელად ყოველგვარ გამოცდილებას გამოიყენებს*!

თქვენი ნიჭის აღმოჩენის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია ჯანსაღ ადგილობრივ ეკლესიაში დანერგვა. წერილი ამბობს: „უფლის სახლში დარგულნი, ჩვენი ღმერთის ეზოებში აყვავდებიან“ (ფს.92:13). თუ ბამბის თესლს დათესავთ, გოგრა არ ამოვა. ნიადაგი ჯანსაღი ადგილობრივი ეკლესია გახლავთ და თუ მიძღვნილი ხართ, თქვენი ღვთივბოძებული ნიჭი იქ აღმოცენდება. მნიშვნელობა არ აქვს, ვაჭრობაში ხართ მოწოდებული, განათლების სფეროში, მთავრობაში, სპორტში თუ სხვა რომელიმე მიმართულებით – იქ აუცილებლად აყვავდებით. ასეთია ღვთის ჩანაფიქრი.

კითხვები, რომლებიც საკუთარ თავსა და მეგობრებს უნდა დაუსვათ

მოდი, ჩვენი ყურადღება იმ კითხვებისკენ მივმართოთ, რომლებიც საკუთარ თავსა და ბრძენ მეგობრებს უნდა დავუსვათ. სწორი ადამიანებისთვის დასმული სწორი კითხვები გააღვიძებს იმ ნიჭების ამოცნობას, რის საკეთებლადაც მოწოდებული ხართ. აი, რამდენიმე მაგალითი.

რა გამოგდით ბუნებრივად ყველაზე კარგად?

ეს კარგი დასაწყისია. შესაძლოა, თქვენი ნიჭია რიცხვებთან მეგობრობა, წინადადებების სათანადოდ შედგენა, საგნების აგება, ვიდეომოთხრობების შექმნა, ტანსაცმლის დიზაინი ან ღონისძიებების ორგანიზება. შესაძლოა, ბუნებრივი სპორტული მონაცემები გაქვთ, სხვადასხვა სურნელების გასარჩევი ყნოსვა ან დეტალებზე ორიენტირებული თვალი. რაც არ უნდა იყოს, დაადგინეთ თქვენი ძლიერი მხარეები.

თუ სწორი ტონალობის დაჭერა შეგიძლიათ და ხალხის ღვთის თანდასწრებაში შეყვანის სურვილი გაქვთ, შესაძლოა იმის მანიშნებელი იყოს, რომ თაყვანისცემის ან სხვა რაიმე სახის მუსიკალურ მსახურებაში ხართ მოწოდებული. იგივე შეიძლება ითქვას, თუ ადამიანის სხეულის აგებულება გაინტერესებთ და მედიცინა გიტაცებთ. ნამდვილად უნდა ჰკითხოთ ღმერთს, ჯანმრთელობის დაცვის საქმეში ხომ არ მოგიწოდათ. ჩამონათვალი უსასრულოა.

თუმცა ეს მინიშნებები საბოლოო სიტყვად არ უნდა იქცეს. მე ჩოგბურთის ძალიან კარგი მოთამაშე ვიყავი და NCAA I დივიზიონის სკოლის გუნდით დავიწყე. შემდეგ USTA წრიულსა

და დევისის იუნიორთა თასზე ვითამაშე. როგორც უკვე აღვნიშნე, პროფესიონალურ ჩოგბურთს სამი წლის განმავლობაში ვასწავლიდი და დასავლეთ ვირჯინიის შტატის საშუალო სკოლის ჩოგბურთის ტურნირი მოვიგე. მიუხედავად ამისა, ვიცოდი, რომ პროფესიონალური ჩოგბურთი ჩემი მოწოდება არ იყო.

მეორე მხრივ, მყავდა მეგობარი, სახელად აარონ ბადლი, რომელიც გამორჩეული გოლფის მოთამაშე გახლდათ და PGA ტურნირშიც მონაწილეობდა. თუმცა 2004 წელს – ტურის მეორე წელს – გაუჭირდა (ძლივს მოახერხა 2005-ში დაბრუნება, რადგან რეიტინგულ სიაში 124-ე ადგილით დაასრულა). ამ რთული წლის ბოლოს, როცა ჯერ კიდევ ტურნირში მონაწილეობდა, ჩვენთან დარჩა სახლში და სამწუხაროდ, ტურნირიდან გამოვარდა არასაკმარისი ქულების გამო. ლას ვეგასში კონფერენციაზე მსახურებისთვის უნდა ჩავსულიყავი, ჰოდა, ორივე იქ გავფრინდით. იმ მსახურებაზე ღმერთი ოთხჯერ დაელაპარაკა მის გულს: „მსახურებისთვის არ მოგიწოდე. მინდა გოლფი ითამაშო“.

აარონი ყოყმანობდა და არ უნდოდა გოლფისთვის თავი გადაედო, რადგან ჩემსავით მსახურება სურდა – მოგზაურობა, კონფერენციებსა და ეკლესიებში ქადაგება ნაწილობრივ და ასევე გოლფის თამაშიც. იმ საღამოს მტკიცედ გადაწყვიტა, რომ თავს სრულად მიუძღვნიდა ამ მოწოდებას და ნიჭს. რამდენიმე წელში უკვე მეთექვსმეტე მოთამაშედ იყო განთესილი მსოფლიო გოლფის რეიტინგში და საბოლოოდ, PGA და ავსტრალიის ოსტატთა ტურნირებიც მოიგო. იგი თხუთმეტი წელი აქტიურად მონაწილეობდა შეჯიბრებებში და ახლაც ასე აგრძელებს. მისი გავლენა გაიზარდა და მომსახურებისა და სახარების გაზიარების უამრავი შესაძლებლობა მიეცა იმ ადამიანებთან, რომლებსაც ეკლესიის კარი არასოდეს შეუღიათ.

მეგობარი პასტორი მყავს, ელი, რომლის ეკლესიაში ერთ კაცს ბიბლიის სწავლება ძალიან უყვარდა და კარგადაც გამოსდიოდა. მას სურდა მასწავლებელი მწყემსი ყოფილიყო. მას ასევე ჰქონდა მანქანების შეკეთების უნიკალური ნიჭი. ამ პიროვნებას სხვა ქალაქში ერთი დიდი ეკლესიის მასწავლებელი-პასტორის ადგილი შესთავაზეს. მან პასტორი ელი სადილად დაპატიჟა, რომ ეს ახალი ამბავი ეცნობებინა. ელი ბრძენი კაცია და მას ასე უთხრა: „შენთვის რომ ვლოცულობ, არ მგონია, რომ ღმერთმა ბიბლიის სრული დროით სწავლებისთვის მოგიწოდა. ავტომობილების შეკეთების გამორჩეული ნიჭი გაქვს.

იმ ადამიანმა არ მოუსმინა პასტორის რჩევას და შემოთავაზებული ადგილი დაიკავა სხვა ქალაქში.

ერთი წლის შემდეგ კაცი საცოდავი სანახავი იყო. მასწავლებლის ადგილი ოფიციალურად ჯერ კიდევ არ ეკავა, მისი ქორწინება დაღმავალი გზით მიექანებოდა და ფინანსური პრობლემებიც შეექმნა. ერთ კვირა დღეს ეკლესიაში ღმერთი დაელაპარაკა: „არასდროს მინდოდა, რომ პასტორი ყოფილიყავი, არამედ მექანიკოსი, რომელიც ბიბლიას ასწავლიდა ადგილობრივ ეკლესიაში“.

ის კაცი პასტორ ელთან დაბრუნდა, მოინანია, რომ მის რჩევას არ მოუსმინა და მშობლიურ ეკლესიას მიუბრუნდა. ახლა ის მანქანების შეკეთებაზე გადაერთო.

ერთ საღამოს ღმერთმა იმ პიროვნებას იდეა მიაწოდა, რომ კომპიუტერი მანქანისთვის მიეერთებინა პრობლემების აღმოსაჩენად. მას მეგობარი ჰყავდა, რომელსაც კომპიუტერების საქმე კარგად ესმოდა და ორივე შეუდგა დიაგნოსტიკის მოწყობილობის შექმნას. ისე მოხდა, რომ მოწყობილობას მანქანის გაუმართაობის პოვნა ჩვეულებრივ მეთოდებზე ოთხჯერ სწრაფად შეუძლია. გარკვეული დროის შემდეგ მან ავტოგასამართი სადგურები მთელ ჩრდილოეთ კაროლინაში გახსნა თავისი უნიკალური გამოგონების გამოსაყენებლად. მოგვიანებით იგი პასტორ ელთან მივიდა და უთხრა: „მე მართლაც მანქანების საკეთებლად ვარ მოწოდებული!“

რა გავსებთ ენერგიით?

ერთ დღეს ჩემმა თანაშემწემ ჩემი ჩვეულებრივი სამუშაო კვირის განმავლობაში „ენერგიის დონის“ ჩანაწერის გაკეთება მთხოვა. მან შეფასების ასეთი შკალა შექმნა: ის საქმე, რომელიც ენერგიას მაცლიდა, 2 ქულით შეფასდა; ის, რომელიც მცირე ძალისხმევას მოითხოვდა – 1 ქულით. თუ რომელიმე საქმიანობა ენერგიას მმატებდა, +1 ქულა მიეკუთვნებოდა, ხოლო ენერგიით ძლიერად დამმუხტავი +2 ქულით ფასდებოდა.

საკეთებელი საქმეები სხვადასხვაგვარი იყო – ადმინისტრაციის შეკრებები, მოგზაურობა, დოკუმენტების წარმოება, მგზავრობისთვის ჩალაგება და სხვა ამგვარი, რომლებიც 2 და 1 ქულებით შეფასდა. რამდენიმეს +1 ქულა მივაკუთვნეთ, მაგრამ +2 მხოლოდ ორმა საქმემ მოიპოვა, რომლებიც გულწრფელად შევაფასე. ეს გახლდათ ლაპარაკი და წერა. თავადაც გაკვირვებული დავრჩი ამ შედეგით.

როცა მიღებულ მონაცემებს ჩავუკვირდი, გავაცნობიერე, რომ წერის დროს სრულიად ვკარგავ დროის შეგრძნებას. დრო და დრო წერას დილაადრიან ვიწყებ და ვერც კი ვხვდები, როგორ მოდის შუადღე.

როგორც წესი, გონებრივად დაღლილი ვარ, მაგრამ შინაგანი ენერგიით ვივსები.

იგივე ხდება ქადაგების დროსაც. წარსულში, როცა დროში შეზღუდული არ ვიყავი, ხშირად ორ საათზე მეტს ვქადაგებდი. ჩემთვის ეს დრო ოცდაათი წუთივით გაირბენდა, მაგრამ არ ვიცი, რას ფიქრობდა ჩემი მსმენელი!

ჩემს კრეატიულ შვილს, ალეკს დავკვირვებივარ, როცა საათობით მუშაობდა ინოვაციურ პროექტებზე ისე, რომ დროის შეგრძნებას სრულიად კარგავდა. იგი წარმატებულია ჩვენს შემოქმედებით განყოფილებაში. ლიზა ქალებთან საათობით ლაპარაკობს შეხვედრების შემდეგ და სრულიად არ აცნობიერებს, რა დრო გადის. იგი ენერგიით იმუხტება საუბრებით, როცა ვინმეზე ზრუნავს ან აშენებს.

ალბერტ აინშტაინი ზოგჯერ საათობით მუშაობდა. როცა ფიზიკურად გადაიღლებოდა, სკამზე ჯდებოდა ლითონის ლანგრით ხელში, რომელიც მუხლებზე ედო. როგორც კი ღრმა ძილს მიეცემოდა, ლანგარი ხელიდან უცურდებოდა და იატაკზე ვარდებოდა. ლითონის დაცემის ხმაზე იგი იღვიძებდა და ისევ მუშაობას განაგრძობდა.

ეს მოწოდების განსაზღვრის საკმაოდ ადვილი ხერხია: თქვენი ნამდვილი მოწოდება ენერგიით გავსებთ, მიუხედავად იმისა, რომ ხანგრძლივი შეზღუდვები გონებრივად და ფიზიკურად გღლით. ვინც თავისი ნამდვილი მოწოდება აღმოაჩინა, საათობით ვარჯიშს, კონკურენციას ან შრომას არაფრად აგდებს და წუთებად ეჩვენება. ჰკითხეთ საკუთარ თავს: „რა მმუხტავს ენერგიით და მასში ჩართულს, რა მავიწყებს დროის შეგრძნებას?“

თქვენი პასუხი კარგი მინიშნება იქნება ნიჭის აღმოსაჩენად.

ᲠᲐ ᲒᲘᲖᲘᲓᲐᲕᲗ?

რა იწვევს თქვენს ინტერესს? რა გაგრძნობინებთ გამოცოცხლებას? სავსეა თუ არა თქვენი გული, როცა მღერით? მღერით თუ არა მაშინ, როცა სხვა არავინ მღერის? სიმღერა დიდი შრომის ფასად მიჯდება და ეს მალე მღლის. ეს არ გახლავთ ჩემი ნიჭი. არ შემიძლია ოთახში ვიჯდე და სხვებისთვის მუსიკა ვწერო. ეს საქმე არ მაინტერესებს, მაგრამ არიან ადამიანები, რომელთაც უყვართ ის.

რა ჟურნალები გაინტერესებთ? იუთუბის რომელ ვიდეოებს უყურებთ ყველაზე ხშირად? რა იპყრობს თქვენს ყურადღებას პინტერესტზე? რა საგნები გიყვარდათ სკოლაში? რა შინაარსის

წიგნები გიზიდავდათ უფრო მეტად, როცა თაროებს ჩაუვლიდით?

აი, მნიშვნელოვანი კითხვა! რას გააკეთებდით სიამოვნებით, თუ მასში არაფერს გადაგიხდიდნენ? პროფესიონალ სპორტსმენთა უმეტესობა მაშინაც კი გაყვებოდა თავის საყვარელ სახეობას თუ ამ საქმეში არაფერს გადაუხდიდნენ. მამაჩემი დამისვამდა ხოლმე შაბათ დილას და მიყვებოდა, როგორ მუშაობს ორთქლის ძრავი ან სხვა რომელიმე მანქანა. მახსოვს, ერთ შაბათ დილას საათზე მეტხანს მიხსნიდა ბოილერის მუშაობის პრინციპს. ეს ისე მბეზრდებოდა, რომ ტირილამდე მივდიოდი. მაშინაც უნდა მივმხვდარიყავი, რომ ჩემი საქმე არ იყო! მამა ძალიან მიყვარდა და არასდროს მიგრძნობინებია, რაოდენ მძულდა ის გაკვეთილები. ძალიან დიდი შეცდომა დავუშვი, როცა ფინანსური სტაბილურობის გამო ინჟინრის სპეციალობა ავირჩიე. არ დაუშვათ იგივე შეცდომა!

რამდენი ადამიანია საცოდავ მდგომარეობაში იმის გამო, რომ სამუშაოს ერთი მიზეზით – ანაზღაურების მიღებისთვის ასრულებენ?

როგორც ადრე ვახსენე, ჩემი პასტორის ცოლმა მითხრა, რომ საკმარისი სახსრები არ ჰქონდათ ჩემთვის შესაფერისი ანაზღაურებისთვის. მყისვე ვუპასუხე: „რა თქმა უნდა, გაქვთ!“ მე მცირე ხელფასზეც კი თანახმა ვიყავი, რადგან ამ ტიპის მსახურება მიზიდავდა. როცა ჩემს საქმეს ვაკეთებდი, პასტორისა და მისი სტუმრების კვირაში სამოცდაათსაათიანი მომსახურება არაფრად მიმაჩნდა. რამდენჯერ მითქვამს ლიზასთვის, რომ აქეთ გადავუხდიდი ჩემს პასტორებს მათი მომსახურებისთვის ხელფასის მიღების ნაცვლად.

ვყოყმანობდი ამის დაწერისას, რადგან არსებობს საფრთხე, რომ ნათქვამი ტრაბახში ჩამითვალოთ. და მაინც, იმედი მაქვს, დაიჯერებთ, რომ ჩემი მთავარი მოტივი იყო ის, რომ მათ გამოვდგომოდი. როცა მე და ლიზამ საკუთარი მსახურება დავიწყეთ, გადავწყვიტეთ, რომ საავტორო ჰონორარი *მესინჯერ ინთერნეშნალის* ფონდში შეგვეტანა. ახლა ოცზე მეტი წიგნი მაქვს დაწერილი და თითოეულის წერასა და რედაქტირებას, საშუალოდ, 400-დან 450 საათამდე მოვუნდი. ეს ნიშნავს, რომ თითქმის ცხრა ათასი საათი წერას შევწირე. ეს იგივეა, რომ სამი წელი წეროთ დღეში რვა საათის განმავლობაში უქმეების ჩათვლით. არსებითად, იმ სამი წლის განმავლობაში არაფერს მიხდიდნენ. ამას იმიტომ ვაკეთებდი, რომ წერა ჩემი ნიჭია, რომელიც ჩემს მოწოდებას უფრო ამდიდრებს.

გულწრფელად შემიძლია ვთქვა, რომ არჩევანის შემთხვევაში

ისევ ამ საქმის კეთებას ვარჩევდი ინჟინრის 200 000 დოლარიან წლიურ ხელფასს და ამას დიდი სიამოვნებით გავაკეთებდი. სწორედ ამიტომ წერს პავლე მოციქული:

> „რადგან თუ ნებით ვაკეთებ ამას, საზღაური მაქვს, ხოლო თუ ნების საწინააღმდეგოდ — სახლმართველობა მაქვს მონდობილი. მაშ, რა არის ჩემი საზღაური? ის, რომ როცა სახარებას ვქადაგებ, უსასყიდლოდ ვახარებ ქრისტეს და არ ვიყენებ ჩემს ძალაუფლებას სახარებაში“. (1 კორ. 9:17-18)

ᲕᲘᲜ ᲒᲘᲖᲘᲓᲐᲕᲡ?

თქვენი მოწოდებისა და ნიჭების ამოცნობაში იმის გააზრებაც დაგეხმარებათ, თუ ვინ გიზიდავთ. გარკვეული ადამიანები თქვენში ნიჭებს აღვიძებენ. იპოვეთ თქვენი ახლობელი ადამიანები – ისინი, რომლებიც ანალოგიურ ნიჭებსა და მოწოდებას ფლობენ. მათ ესმით თქვენი.

მიყვარს სხვა მსახურებთან ერთად ყოფნა და მსახურების თავგადასავლებსა და გამოწვევებზე და რა თქმა უნდა, ღვთის სიტყვაზე ლაპარაკი. ასევე მიყვარს მეწარმეებსა და ბიზნესმენებთან საუბარი. ეს ჩემი ცხოვრების ორი ძლიერი მხარეა.

მსახურების ორგანიზაციის გაძღოლას ბევრი საერთო აქვს საბაზრო საქმიანობასთან. მე და ლიზა ვალდებული ვართ, რომ მეწარმეები ვიყოთ. როცა ახალგაზრდები ვიყავით, არ არსებობდა იმ ტიპის მსახურება, რის წამოწყებასაც ვაპირებდით. შესაბამისად, არავინ გვყავდა სამაგალითო, რომ მის კვალზე გვევლო. გზა თავად უნდა გაგვეკვლია. სწორედ ამ მიზეზის გამო ბიზნესის სამყაროს მეწარმეები ყოველთვის აღძრავდნენ ჩემში რაღაც ისეთს, რაც ჩვენი მოწოდების უფრო კვალიფიციურ დონეზე კეთებაში მეხმარებოდა.

თუ ინტერიერის დიზაინი გიტაცებთ, თავს კომფორტულად იგრძნობთ სხვა დიზაინერების გარემოცვაში. თუ ექიმი ხართ, სხვა მედიცინის მუშაკებთან საუბარი სტიმულს გაძლევთ. თუ მუსიკოსი ხართ, სხვა მუსიკოსები თქვენს ნიჭს აღვივებენ. შემიძლია დაუსრულებლად გავაგრძელო; თქვენი მონათესავე ადამიანების პოვნა დაგეხმარებათ ნიჭის მოძიებასა და უფრო მეტიც, მის გაღვიძებაში.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ არც ერთი პასუხი ზემომოყვანილ

კითხვებზე არ უნდა იქნას მიღებული იზოლირებულად და ღმერთთან გატარებული დროის გარეშე, რომ იპოვოთ ის, რის საკეთებლადაც მოგიწოდათ. იმ მსახურთა უმეტესობისთვის რომ მომესმინა, რომლებიც ჩემი ჩამოყალიბების პროცესში რჩევებს მაძლევდნენ, რომელიმე ქალაქი უნდა ამერჩია და იქ ეკლესია წამომეწყო პასტორის რანგში. მხოლოდ მცირედს თუ შეეძლო ჩემსა და ლიზაზე არსებული გამორჩეული და განსხვავებული მოწოდებისა და ნიჭების დანახვა. მეორე მხრივ, იყო რამდენიმე ბრძენი ადამიანი, რომელიც დაგვეხმარა ჩვენს გულში არსებული მიმართულების გაღვივებაში.

განავითარეთ თქვენი ნიჭი

მოდი, ყურადღება გავამახვილოთ ჩვენი საწყისი მუხლის მეორე ნახევარზე: „თითოეულმა თქვენგანმა უნდა აიღოს საუკეთესო და შემოქმედებითი გზებით შრომის პასუხისმგებლობა თქვენს ცხოვრებაში“ (გალ. 6:5 MSG). ღმერთმა თითოეულ ჩვენგანს საკუთარი ცხოვრების შენების პოტენციალი მისცა, რომელიც მისი სამეფოს მშენებლობას შეეწევა. თუმცა გარკვეულ პერიოდში ვაწყდებით ფაქტს, რომ საკმარისი არ არის მხოლოდ პოტენციალის ქონა, თუ მის რეალიზებას არ მოვახდენთ.

რა სამწუხარო იქნება თქვენთვის და ჩემთვის, რომ ცხოვრების დასასრულს კიდევ გვქონდეს რაღაც გასაცემი და ამას სრულად ვაცნობიერებდეთ! სამსჯავრო ტახტის წინაშე დგომისას ენით აუწერელი ტკივილი მოგვიცავს, როცა გავიგებთ, რისი მიღწევა შეგვეძლო და უფრო უარესიც, რა ზეგავლენას მოვახდენდით სხვათა ცხოვრებაზე, ღვთისგან ჩვენთვის მინდობილის განვითარებაში დაუდევრობა რომ არ გამოგვეჩინა.

ახლავე გაითავისე – რომ მოკვდები ცარიელი ისე, რომ არაფერი გექნება მოტოვებული. ყველაფერს გადმოღვრი, რაც შენშია და დაცარიელდები. *ქვეყნიერებას სჭირდება ის, რაც შენ გაქვს – ღვთისგან ბოძებული ნიჭები.*

იგ.18:16-ში მოცემულია მეტად საინტერესო მიგნება ღვთისგან ბოძებული ნიჭების შესახებ:

„ძღვენი (ნიჭი) გზას უფართოებს
კაცს და დიდკაცთა წინაშე მიჰყავს“.

ნიჭი „გზას აფართოებს“ თქვენთვის და „მნიშვნელოვანი ადამიანების“ წინაშე მიჰყავხართ. გაფართოება სივრცის შექმნას

ნიშნავს. სივრცე აქ ორი მნიშვნელობით არის გამოყენებული. პირველი, ნიჭი გაძლევთ სივრცეს, რომ თქვენი პოტენციალი გამოიყენოთ – აკავშირებს სივრცეს, *სადაც ახლა ხართ* და *სადაც უნდა იყოთ.* მეორე, ნიჭი გაძლევთ სივრცეს, რომ თქვენი ხვედრის ახალ დონეს მიაღწიოთ. გაითვალისწინეთ, რომ ყოველი წინსვლისას უნარების უფრო მაღალი სტანდარტი გესაჭიროებათ. და ისევ, სოლომონი წერს:

> „თუ შენს საქმეში გამორჩეული ნიჭი გაქვს, ამაღლდები და წინ წაიწევ. უკან არ ჩამორჩები“. (იგ. 22:29 TPT)

გავიხსენოთ დავითი. 1 სამ.16-ში ვხედავთ, როგორ აწვალებდა მეფე საულს ბოროტი სული იმის გამო, რომ უფლის სული განშორდა მას. შვების მისაღებად საულმა მსახურებს უბრძანა, რომ მასთან დახელოვნებული მუსიკოსი მოეყვანათ.

ერთ-ერთმა ახალგაზრდა მსახურმა უთხრა: „აჰა, ნანახი მყავს ბეთლემელი იესეს ძე, იცის ქნარზე დაკვრა“ (1 სამ. 16:18). დავითი არ იყო მხოლოდ *ნიჭიერი* მუსიკოსი, ის თავის საქმეში *დახელოვნებულიც გახლდათ.* რა იყო მისი *ოსტატობის* მიზეზი? მისი ნიჭი განვითარდა და ამრიგად, სივრცე მიეცა მოწოდებაში წინსვლისთვის.

შესაძლებელია თუ არა, რომ ბევრი ადამიანი თავის მოწოდებაში არ იზრდებოდეს იმის გამო, რომ მისი ნიჭები არ არის სათანადოდ განვითარებული? განსაზღვრავს თუ არა ჩვენი ნიჭის განვითარების დონე ჩვენი წინსვლის მასშტაბს?

მოდი, ტიმოთესადმი მიწერილ პავლეს სიტყვებს დავუბრუნდეთ, რაზეც წინა თავში ვიპალარაკეთ. ამჯერად მისი სულიერი შვილისადმი მიწერილ გამოსავალზე ვისაუბრებთ:

> „ნუ უგულებელყოფ შენში არსებულ ნიჭს, რომელიც მოგეცა წინასწარმეტყველების მეშვეობით და უხუცესთა ხელდასხმით. *ამაზე იბეჯითე, დაამუშავე და ამ ვალდებულებებს ჩაუკვირდი; მთლიანად მიუძღვენი შენი თავი [როგორც შენი მსახურება], რათა* ყველასთვის *ცხადი იყოს შენი წინსვლა“.* (1 ტიმ. 4:14-15 AMPC)

რამდენი რამის სწავლა შეიძლება ამ სიტყვებიდან. ჩვენ ვაკვირდებით მამაკაცებსა და ქალებს, რომლებიც წარმატებული არიან თავიანთი საქმიანობის სფეროში. ზოგჯერ ადვილია საკუთარი თავის გამართლება მათი წარმატების მიზეზის

გამოცხადებით, „ისინი განსაკუთრებული ნიჭით დაიბადნენ“. რეალობა ის გახლავთ, რომ ისინიც თქვენნაირი ნიჭით დაიბადნენ, მაგრამ მისი განვითარება არჩიეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ არ დავსწრებივართ მათი ნიჭის სრულყოფის პროცესს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ბეჯითად არ შრომობდნენ.

როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, პავლე ტიმოთეს გაფრთხილებას იწყებს სიტყვებით, რომ არ უგულებელყოს ღვთისგან ბოძებული ნიჭი. ასე მაშინ ვიქცევით, როცა მას ყურადღებას დიდად არ ვაქცევთ. ტიმოთეს უთხრეს, რომ მისი წინსვლა ყველასთვის ცხადი მაშინ გახდებოდა, როცა ნიჭს სრულად განავითარებდა. ამის მიღწევა შესაძლებელი იქნებოდა *სიბეჯითით, დამუშავებით და ჩაკვირვებით*. მოდი, მოკლედ გამოვიკვლიოთ თითოეული მათგანი.

სიბეჯითე (პრაქტიკა)

სიბეჯითე მერიემ-უებსტერის ლექსიკონის თანახმად ნიშნავს „გამუდმებით შესრულებას ან დამაოსტატებელ შრომას“. პირადი ვარჯიში ჩვენს საჯარო გამოსვლას განსაზღვრავს, რადგან რაიმეს შესრულება მხოლოდ ვარჯიშის დროს მიღწეულ დონეზე შეგვიძლია. ადვილია, აღფრთოვანდეთ შესანიშნავი საჯარო გამოსვლით და მხედველობიდან გამოგრჩეთ წვრთნისა და მძიმე შრომის კვირები, თვეები და წლები, რომლებიც წინ უძღოდა გამუდმებული სიბეჯითის ამ დონეს.

ადამიანის ქცევისა და პროდუქტიულობის მეცნიერებათა ექსპერტების თანახმად რაიმე უნარის პროფესიონალურად დაუფლებისთვის საჭიროა, დაახლოებით, ათი ათასი საათის განმავლობაში ვარჯიში. თუმცა ფლორიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი კ. ანდერს ერიქსონი უარყოფს ტრადიციულ შეხედულებას, რომ „პრაქტიკა სრულყოფილების საწინდარია“. პროფესორი ერთი ნაბიჯით წინ მიდის და აცხადებს, რომ ათი ათასი საათის მანძილზე ვარჯიში საკმარისი არ არის, თუ მიზნად გაუმჯობესებას არ ისახავს და მხოლოდ მოძრაობების გამეორებით იქნება წარმართული. მან ამ ტიპის ვარჯიშს „მიზანმიმართული პრაქტიკა“ უწოდა. იგი წერდა:

> „მოკლედ ასეთია მიზანმიმართული პრაქტიკა: გადით თქვენი კომფორტის ზონიდან, მაგრამ გააკეთეთ ეს კონცენტრირებულად, ნათელი მიზნებით, მათი მიღწევისთვის საჭირო გეგმით და თქვენი წინსვლისთვის თვალის მისა-

დევნებელი საშუალების გამოყენებით“.

სანამ საკუთარ თავს არ ვაიძულებთ კომფორტული დონისა და უნარების მიღმა მოძრაობას, ვერასოდეს გავიზრდებით. თუ „მიზანსწრაფულობას“ არ გამოვიჩენთ, „საკმარისად კარგი“ დონის მიღწევისას კმაყოფილების დაუფლების საშიშროება დაგვემუქრება. ამის შემდეგ მხოლოდ დროის საკითხია, როდის გავხდებით ვარჯიშში დაუდევარი, რაც საბოლოოდ, უარყოფითად აისახება ჩვენს საჯარო შესრულებაზე და მომავალ გამრავლებასაც დააბრკოლებს.

თქვენი ძლიერი მხარის განვითარება განმათავისუფლებელია და არა შემზღუდველი. იგი ზრდის გამრავლების პოტენციალს. ეს არ ნიშნავს, რომ უნდა უგულებელვყოთ სუსტი მხარეები ან ახალი უნარები არ ავითვისოთ. ეს ნიშნავს, რომ კონცენტრირებული ვიყოთ და მეტი ჩავდოთ იმ სფეროებში, სადაც ჩვენი პოტენციალი უდიდეს შედეგს მოგვცემს.

გირჩევთ ახალი უნარების შესწავლას, მაგრამ არა თქვენი მოწოდების სფეროს უგულებელყოფის ხარჯზე.

აი, დასკვნა: ზრდა ავტომატურად არ ხდება; ის მიზანსწრაფულობას მოითხოვს. სანამ თანმიმდევრულად არ ვივარჯიშებთ ნიჭებში „დასაოსტატებლად“, ვერასოდეს გავაცნობიერებთ ჩვენს სრულ პოტენციალს. სწორედ ამიტომ უნდა ვუერთგულოთ პირადი განვითარების საქმეს. ადამიანთა უმრავლესობას სურს დიდებული საქმეების კეთება ცხოვრებაში, მაგრამ ყველა როდი იჩენს საკმარის შრომისმოყვარეობას, რომ დიდი გახდეს. ვარჯიში საფასურს მოითხოვს, რომელიც დიდ საზღაურს წარმოშობს.

ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ

ვარჯიში პრაქტიკული უნდა იყოს, ხოლო დამუშავება უფრო – საგანმანათლებლო. „დამუშავება“ ნიშნავს, „განავითარო ან გააუმჯობესო განათლების ან წვრთნის მეშვეობით; უზრუნველყო ზრდა-განვითარება“.

როცა სიტყვა „*დამუშავება*“ გესმით, იფიქრეთ „წვრთნა-ინსტრუქტირებაზე“. მითითებები მნიშვნელოვანი უნდა იყოს თქვენი ზრდა-განვითარებისთვის, რადგან კონსტრუქციულ კრიტიკასა და ხელმძღვანელობას მოიცავს, რასაც თავად ვერ მოახერხებდით. ვინც წარმატებას მიაღწია თავის ნიჭში, სხვებისგან წვრთნა და ხელმძღვანელობა მიიღო ამ პროცესის განმავლობაში. მწვრთნელების შესანიშნავი მხარეა ის, რომ

თქვენს პოტენციალს ხედავენ და ყველაფერს აკეთებენ მის გამოსავლენად – თუნდაც ეს თქვენს მიმართ სიმკაცრეს გულისხმობდეს!

წვრთნა შეიძლება განხორციელდეს მენტორისა და აღსაზრდელის, მამისა და შვილის, დედისა და შვილის, მასწავლებლისა და მოსწავლის, მწვრთნელისა და საწვრთნელის ურთიერთობისას, შეგირდობის, სტაჟირების და არაპირდაპირი გზით, წიგნების, სხვადასხვა კურსებისა და რესურსების მეშვეობით, რომლებიც უხვად გვაქვს.

თქვენი უნარების სფეროში განათლების მიღების სხვა გზა გახლავთ ანალოგიური ნიჭის მქონე ადამიანებთან შეხვედრები. ისევ ვიმეორებ, როგორც ზემოთ ვახსენე, რომ ეს „მონათესავე ადამიანების პოვნას“ უკავშირდება. როცა მსგავსი ნიჭისა და ენთუზიაზმის მქონე ადამიანთა გარემოცვაში ხართ, თანამშრომლობისა და სიახლეების გამოცდის შესაძლებლობა გეძლევათ.

1930 და 1940-იანი წლების დროს ინკლინგებად წოდებული კრეატიული ადამიანების ჯგუფი ერთ-ერთი პაბის კერძო ოთახში იკრიბებოდა ოქსფორდის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე. ამ ენთუზიასტ ლიტერატორთა შორის იყვნენ კლაივ სთეპლზ ლუისი და ჯონ რონალდ რუელ ტოლკინი. შეკრებების მიზანი გახლდათ ჯგუფის წევრების დაუსრულებელი ნაწარმოებების კითხვა და კრიტიკა, რამაც ლუისს „*ნარნიის ქრონიკების*“, ხოლო ტოლკინს „*ბეჭდების მბრძანებლის*“ შექმნა შთააგონა. ვლაპარაკობთ დიდებულ მონათესავე ტომზე!

დაკვირვება

დაკვირვება „ფიქრსა და სიღმისეულ განხილვას“ ნიშნავს. ზრდა, გარკვეულწილად, დამოკიდებულია დროის გამოყოფაზე შეჩერებისა და შესასწავლ მასალაზე დაფიქრებისთვის. როცა პატიოსნად ვადევნებთ თვალყურს საკუთარ ზრდას და წინსვლისა და საჯარო შესრულების შეფასებისთვის დროს გამოვყოფთ, ადვილად ვამჩნევთ განსაკუთრებულ სფეროებს, რომელსაც მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ ან გაუმჯობესებას საჭიროებენ.

ჩემი მეგობარი ჯონ მაქსველი თავის მსმენელს და მკითხველებს ხშირად ახსენებს, რომ გამოცდილება არ არის საუკეთესო მასწავლებელი, მაგრამ *გამოცდილების შეფასება* – ნამდვილად კარგ შედეგს მოგცემთ. როცა წინსვლაზე ფიქრობთ, გაითავისეთ მწვრთნელებისა და თანატოლებისგან მიღებული რჩევები და ამასთან ერთად, თქვენი ნიჭის გაუმჯობესებისა

და გამოყენების ახლებურ გზებზე იფიქრეთ. საკუთარ თავსა და ღმერთს სწორი კითხვები დაუსვით: რის შეცვლა მმართებს? რომელია ჩემი ზრდის უდიდესი სფეროები? რა მხარეებს უნდა მივაქციო მეტი ყურადღება? რა არის საჭირო, რომ ახალ დონეზე ავიდე?

დაფიქრების დრო არასოდეს არ იქნება ფუჭად დაკარგული.

ᲣᲙᲐᲜ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲝᲘᲢᲝᲕᲝᲗ

და ბოლოს, ისევ ვეწვიოთ პავლეს სიტყვებს ტიმოთეს მიმართ:

„ამაზე იბეჯითე, დაამუშავე და ამ ვალდებულებებს ჩაუკვირდი; მთლიანად მიუძღვენი შენი თავი [როგორც შენი მსახურება], რათა ყველასთვის ცხადი იყოს შენი წინსვლა“. (1 ტიმ. 4:14-15 AMPC)

ყველაფერი, რაზეც ვიმსჯელეთ, მთლიანად დამოკიდებულია ღვთიური მოწოდებისა და ნიჭებისადმი სრულად მიძღვნაზე, რის საკეთებლადაც ისინი მოგვეცა. ჩვენი მოწოდება სრულ თავდადებას მოითხოვს. თუ მთელი გულით ვიმოქმედებთ ღვთისგან მონდობილ საქმეში, წინსვლა ყველასთვის ცხადი გახდება და ჩვენს პოტენციალს გავამრავლებთ.

ყოველი ჩვენგანი ვალდებულია განკარგოს ნიჭები და საუკეთესო, შემოქმედებითი მიდგომა გამოიჩინოს საკუთარი ცხოვრების მიმართ. ამ დროისთვის უკვე ვიცით, რომ ჩვენი ნიჭების განვითარების დონე განსაზღვრავს მოწოდებაში წინსვლასა და ნაყოფიერების გამრავლებაში მიღწეულ დონეს.

ამ ცხოვრებაში მხოლოდ ერთი შანსი გვაქვს, რომ ყველაფერი გავიღოთ. მოდი, უკან არაფერი მოვიტოვოთ და თავი წარმოვიცარიელოთ, სრულიად გადავღვაროთ ღვთისადმი მიტანილი ძღვენის სახით. ეს სიცოცხლეა. სწორედ ამ შემთხვევაში ვიცოცხლებთ და გვექნება სიცოცხლე მთელი სიუხვით.

დაფიქრება

1. არ არსებობს მოწოდების აღმოსაჩენი ფორმულა. მართალია, არსებობს რესურსები, რომლებიც იმის მოძიებაში დაგეხმარებათ, რაც კარგად გამოგდით, მაგრამ თქვენი მოწოდებისა და ნიჭების პოვნა ღვთიურ ჩარევას მოითხოვს. გიძებნიათ ღმერთი თქვენი მოწოდებისა და ნიჭების საპოვნელად? რა გაჩვენათ მან?

2. ჩვენი მოწოდების ძიებისას საკუთარ თავსა და სხვებს კითხვები უნდა დავუსვათ. ეს ყველაფერი პროცესის ნაწილია. იპოვეთ ადამიანები, რომელთაც ენდობით და ჰკითხეთ, რას ხედავენ თქვენში და თქვენს შესახებ.

3. საკმარისი არ არის პოტენციალის ქონა – აუცილებელია მისი რეალიზება. რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ განავითაროთ თქვენი ნიჭები? რა ხდება, როცა ნიჭებს მიზანმიმართულად ზრდით და ავითარებთ?

„ხოლო ის, ვინც თქვენთან ერთად
გვაფუძნებს ქრისტეში და გვცხო,
ღმერთია“.
– 2 კორ. 1:21

15

ცხებული

ბოლო მადლიერების დღესასწაულზე ჩვენი ოჯახი სასადილო ოთახის მაგიდის ირგვლივ იჯდა. ლიზამ შესანიშნავი სუფრა მოამზადა. ყველანი ვტკბებოდით მისი შედეგებით და ერთმანეთის საზოგადოებით ვხარობდით. ვიგრძენი, რომ მე, როგორც მამას, რაღაც უნდა მეთქვა ოჯახისა და დღესასწაულზე შემოერთებული ჩვენი გუნდის რამდენიმე წევრისთვის.

შინაგანი ლოცვის შემდეგ ჩემს გულამდე ღვთის სიტყვა მოვიდა: „მეგობრებო, უკვე სამოცი წლის ვარ და არაერთგზის ვიგრძენი, რომ მამის ფუნქცია გარკვეული სიბრძნის გაზიარების პასუხისმგებლობას მაკისრებს. თუ დაინტერესდებით, რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მე და ლიზას გაგვიკეთებია ღმერთთან ერთად სიარულის ორმოცი წლის განმავლობაში, ეს იქნება: *დარჩით თანმიმდევრულები.*

წლების მანძილზე უამრავი შემთხვევა გვქონდა, როცა მზად ვიყავით, ასე ვთქვათ, „ფარ-ხმალი დაგვეყარა“. ასევე ბევრჯერ ვმდგარვართ ცდუნების წინაშე, რომ ჭეშმარიტებასთან კომპრომისზე წავსულიყავით პირადი მოგების, წინსვლის ან თავს დამტყდარი განსაცდელის ასარიდებლად, მაგრამ ჭეშმარიტება ჩვენს ღუზად ვაქციეთ და მას ვეჭიდებოდით ნებისმიერ შემთხვევაში, რაც არ უნდა მტკივნეული ყოფილიყო გარემოებები.

იობმა განსაცდელში მეტად ბრძნული რამ განაცხადა: „ეს იქნებოდა ჩემი ნუგეში და ულმობელ სატკივარში გავიხარებდი, რადგან არ უარმიყვია წმიდის სიტყვები“ (იობ. 6:10). როცა შეცდომებს ვუშვებდი (და ასეთი მრავლად იყო), სწრაფი ვიყავი მონანიებასა და პატიების თხოვნაში ღმერთთან და ადამიანებთან. ახლა უხვად ვხედავ ჭეშმარიტებისადმი გამუდმებული მორჩილების კურთხევას, რაც გამაოგნებელია. ღმერთი მეტისმეტად მოწყალე და კეთილია.

ცხებულება

ჭეშმარიტებისადმი გამუდმებული მორჩილების ერთ-ერთი დიდი კურთხევა „ცხებულება“ გახლავთ. ამის გასაგებად მივმართოთ დიდ ხელდასხმას – დღეს, როცა მამა ღმერთმა იესო ცისა და მიწის მეფედ გამოაცხადა:

> „შენ შეიყვარე სიმართლე და შეიძულე ურჯულოება, *ამიტომ გცხო* ღმერთმა, შენმა ღმერთმა სიხარულის ზეთით, *შენს თანამოზიარეებზე მეტად*“. (ებრ. 1:9)

ყურადღება მიაქციეთ სიტყვას „*ამიტომ*“, რადგან მას დიდი მნიშვნელობა აქვს საკვანძო ჭეშმარიტების გაგებაში. ორ რამეში იესოს სიმტკიცემ დიდი სარგებლობა მოიტანა და მისი მაგალითი ჩვენს სტანდარტად უნდა იქცეს. იესომ შეიყვარა *სიმართლე*. ეს გახლავთ ბერძნული სიტყვა „*დიკაიოსუნე*“ და განიმარტება როგორც „უმაღლესი ძალაუფლების მოთხოვნებისადმი შესაბამისობა“. ამავდროულად, მან შეიძულა *ურჯულოება*. უამრავ ქრისტიანს *არ მოსწონს* ურჯულოება, მაგრამ იესოს გული სხვაგვარად უძგერს: მას *სძულს* ის. ბერძნული სიტყვა „*ანომია*“, არსებითად ნიშნავს, „ღვთის ძალაუფლებისადმი დაუმორჩილებლობას“. მას სძულს ყველაფერი, რაც ღვთის ძალაუფლებისგან მოშორებას უკავშირდება. პაუზა. იესოს მტკიცე მორჩილება სირთულეების მიუხედავად იყო მიზეზი, რის გამოც მასზე ცხებულება უფრო მეტად მოვიდა, ვიდრე მის თანამოზიარეებზე.

რატომ ვასრულებ გამრავლების შესახებ წიგნს *ცხებულებაზე* საუბრით? პასუხი მარტივი, მაგრამ მნიშვნელოვანია: *ცხებულება აღანთებს ღვთივბოძებულ უნარს, რომ მარადიული გამრავლება მოვიტანოთ.* მას შეხედეთ როგორც თქვენი ნიჭის გამამდიდრებელს. ნება მომეცით, ორი მოკლე მაგალითი მოვიყვანო.

მომისმენია საოცარი ხმის მქონე ადამიანებისთვის, რომლებსაც აღფრთოვანებაში მოვყავდი, მაგრამ ნაკლებად დიდებული ხმებისთვისაც მომისმენია, რომლებმაც ჩემი გული ღრმად შეძრეს და მასში ცვლილება მოიტანეს. განსხვავება *ცხებულებაში* იყო. ასევე მომისმენია საფუძვლიანი შინაარსის მქონე ქადაგებებისთვის, თუმცა გაცილებით ნაკლებად აღსანიშნავმა სიტყვებმა ჩემს გულამდე ჩააღწია და ქცევის დონეზე შემცვალა. განსხვავება *ცხებულებაში* იყო.

იგივე შედეგი ჭეშმარიტია ღვთის მსახურებისთვის, მნიშვნელობა არ აქვს მოწოდების სფეროს, იქნება ეს საჯარო სამსახური, ბიზნესი, ხელოვნება, განათლება თუ ნებისმიერი სხვა. მეფე დავითი ასეთ განცხადებას აკეთებს:

„მაგრამ შენ ამიმაღლებ რქას (გარდამეტებული ძლიერებისა და დიდი მადლის ემბლემა), ხარის რქასავით, ხასხასა ზეთით ვარ *ცხებული*“. (ფს. 92:10)

მისი სიტყვები ბევრ რამეს აცხადებს. ამ მუხლის რამდენიმე მნიშვნელოვანი კომენტარის გამოკვლევამ ცხადყო საერთო აზრი, რომ ყურადღება ექცევა არა „ხარს“, არამედ „გაძლიერების“ იდეას. ცხებულებას სიხარული მოაქვს. ღმერთი მას *ხასხასა ზეთს* ან *სიხარულს* უწოდებს, რაც წმიდა წერილის თანახმად ჩვენი *ძლიერება* გახლავთ (იხ. ნეემ. 8:10). არსებითად, მეფსალმუნე აცხადებს, რომ ცხებულება ძლიერებას გვმატებს. იგი ამდიდრებს და აძლიერებს ნიჭებს ჩვენს ცხოვრებაში, რომ მარადიული ნაყოფი გამოვიღოთ.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს გახლავთ ტალანტებისა და მინების იგავების ერთ-ერთი გამოუთქმელი, თამაშის წესების შემცვლელი ასპექტი: ორი გამამრავლებელი მსახურის შრომა ცხებულებით გამდიდრდა. სიტყვა „გამოუთქმელს“ იმიტომ ვიყენებ, რომ ეს ჭეშმარიტება ზემომოყვანილი მუხლებიდან იკვეთება. გამრავლების მისაღწევად მათთვის აუცილებელი იყო გამუდმებული მორჩილება და ბატონის მითითებების ურჩობის შეძულება, რაც მათი ნიჭების გამაუმჯობესებელ ცხებულებას მოიზიდავდა.

დავითი ახსენებს ხასხასა ზეთს. ცხებულება არ გახლავთ ერთჯერადი მოვლენა, არამედ კურთხევა, რომელიც მოდის და გრძელდება ღვთის გამუდმებული მორჩილების მაძიებელ ადამიანზე. მისი მიღება არ შეიძლება ერთ კონკრეტულ მომენტში და შემდეგ საჩუქრად მიჩნევა. სამსონზე ცხებულება იყო, მაგრამ მისი სიხასხასე და სიახლე ვერ შეინარჩუნა. იგი კომპრომისზე წავიდა და ურჩობა გამოიჩინა; მან არ შეიძულა ურჯულოება. მას ეს რამდენჯერმე გაუვიდა, მაგრამ საბოლოოდ ცოდვის ხელში აღმოჩნდა. წმიდა წერილი აცხადებს:

„კალთაში ჩააძინა სამსონი დალილამ, კაცი იხმო და მისი თმის შვიდივე ნაწნავი მოაპარსვინა; იწყო სამსონმა დაკნინება, და *გამოეცალა ძალა.* თქვა დალილამ:

„ფილისტიმელები დაგესხნენ თავს, სამსონ!“ გაიღვიძა და თქვა: „წინანდებურად გავალ და დავიხსნი თავს“. *არ იცოდა,* რომ განშორდა უფალი“. (მსაჯ. 16:19-20)

სამსონმა არ იცოდა, რომ ცხებულება დაკარგა. სწორედ ამის გამო თქვა გულანთებულმა დავითმა ბერშებაყთან შეცოდების შემდეგ:

„სუფთა გული შექმენი ჩემში, ღმერთო და წრფელი სული განმიახლე. ნუ უკუმაგდებ შენგან და შენს წმიდა სულს ნუ წამართმევ. შენი ხსნის სიხარული დამიბრუნე და შენი დიდებული სულით *გამამაგრე*“. (ფს. 51:10-12)

დავითის გულითადი მოთქმა, მისი ვედრება იმას შეეხებოდა, რომ ღმერთს მისი ცხოვრებიდან ცხებულება არ წაეღო და კარგად იცოდა, რომ ეს ღვთის მიმართ ერთგულებასა და *გამუდმებულ* მორჩილებაში ცხოვრებაზე იყო დამოკიდებული.

მოდი, გავაგრძელოთ ცხებულების საკითხის გამოკვლევა და ვის ეძლეოდა ის. თავდაპირველად, პავლეს განცხადებას გადავხედოთ, რომელიც ამ თავის დასაწყისში გამოვკვეთეთ:

„ის, ვინც თქვენთან ერთად გვაფუძნებს ქრისტეში და *გვცხო,* ღმერთია“ (2 კორ. 1:21)

სიტყვა „ცხებულება“ აქ მოცემულია ბერძნული სიტყვის „*ქრიო*“ მეშვეობით. ეს ნიშნავს „ადამიანის დადგენას გარკვეული დავალების შესასრულებლად, რომლისთვისაც გათვალისწინებულია ზებუნებრივი დამტკიცება, კურთხევა და ნიჭი – „ცხება, დანიშვნა, დაყენება“.

აქ რამდენიმე საკვანძო სიტყვაა, რომელთა უგულებელყოფა არ შეიძლება. *დამტკიცება* განიმარტება როგორც „ზემდგომი ძალაუფლების ნებართვა ან მოწონება სამოქმედოდ“. მარტივად რომ ვთქვათ, ცხებულება გახლავთ *ღვთიური მოწონება სამოქმედოდ*. იესო აცხადებს: „უფლის სულია ჩემზე, რადგან მან მცხო ...“ (ლუკ. 4:18). ცხებულება იყო ღვთიური მოწონება იესოს მიმართ რაღაცის საკეთებლად. ასევე პეტრე მოციქული იგივე სტილით ამბობს: „როგორ სცხო ღმერთმა სულიწმიდით და ძალით იესო ნაზარეველს, რომელიც დადიოდა, ქველმოქმედებდა და კურნავდა ეშმაკისგან ყველა გატანჯულს,

რადგან ღმერთი იყო მასთან“ (საქმ. 10:38). ვიმეორებ, რომ ცხებულება სამოქმედოდაა.

ბერძნული სიტყვის *„ქრიოს“* კიდევ ერთი საკვანძო კომპონენტი გახლავთ განმსაზღვრელი სიტყვები *„დანიშვნა* ან *დაყენება“*. ღვთის მსახურებაში ყოველთვის არსებობს გამოსაცდელი პერიოდი. მორჩილებაში ვიცდებით, სანამ დაგვაყენებენ ან გვცხებენ.

მე-9 თავში მაიკის ამბის მოყოლისას ვახსენე მნიშვნელოვანი გამოცდის შესახებ, როცა ღმერთმა მას უკანასკნელი 200 დოლარის გაღება სთხოვა. ჩემი და ლიზას შემთხვევაში გამოცდა წიგნების წერის ღვთიური მითითებისადმი მიძღვნაში მდგომარეობდა მაშინ, როცა გამომცემლებს პირველი ორი წიგნიც კი არ აინტერესებდათ და ზოგადად, ხალხიც არ იყო მაინცდამაინც აღფრთოვანებული.

იესომ არაერთხელ აღნიშნა, „მოწოდებული ბევრია, რჩეული კი – ცოტა“ (მათ. 20:16 და 22:14). დარწმუნებული ვარ, რომ *ბევრი* მიუთითებს ყველა იმ ადამიანზე, ვინც მას ეკუთვნის. თითოეულ ჩვენგანს აქვს ღვთიური მოწოდება. თუმცა *რჩეული* „დაყენებულს“ ნიშნავს და იესოს თანახმად, ეს რიცხვი „მცირეა“. რატომ? არსებობს დამტკიცების პროცესი, რომელიც უნდა გაიაროთ. დაკვირვებით წაიკითხეთ ეს სიტყვები: „მოიკითხეთ ქრისტეში *გამოცდილი* აპელესი“ (რომ. 16:10).

აპელესი გამოიცადა, რასაც ყველა გავივლით ჩვენი ხვედრისკენ მიმავალ გზაზე. მან ნამდვილად წარმატებით ჩააბარა გამოცდა და ამის გამო იყო *არჩეული* ანუ *დაყენებული*. წმიდა წერილის პრინციპებიდან გამომდინარე ვიცით და თქმა არ გვჭირდება, რომ აპელესი ცხებული გახლდათ, რადგან მისი ნიჭი ღვთიური შეხებით კიდევ უფრო გაუმჯობესდა.

ბევრმა თავად დაიდგინა თავი ვადაზე ადრე მისი რეალური მოწოდების სფეროში, მაგრამ ჩვენ არ უნდა ვესწრაფვოდეთ საკუთარი ძალისხმევით დადგენას, არამედ ღვთიურ მოწონებას უნდა დაველოდოთ:

> „ვინაიდან ის კი არ არის მოწონებული და მიღებული, ვინც თავს იქებს, არამედ - ვისაც უფალი უფლებამოსილებით აღჭურვავს და აქებს“. (2 კორ. 10:18 AMPC)

მოდი, ისევ მადლიერების დღის სადილს დავუბრუნდეთ. მინდოდა, რომ ჩემს ოჯახსა და იქ მყოფ გუნდის წევრებს სცოდნოდათ, რომ *გამუდმებული მორჩილება* – სიმართლის

სიყვარული და ურჯულოების შეძულება – მნიშვნელოვანია ჩვენი მარადიული ხვედრის აღსრულებაში, რადგან ასეთი თანმიმდევრულობა ღვთიური ცხებულების მიღების პოზიციაში გვაყენებს.

როცა უკან ვიყურებით განვლილი ცხოვრებისკენ, ვხედავთ, რომ მე და ლიზა ღმერთს ძალიან რთულ ვითარებებში ვემორჩილებოდით: ხშირად ეს მორჩილება საზარალო და დამანგრეველიც კი ჩანდა ჩვენი ზრდის, კეთილდღეობის, პოპულარობისა და მრავალი სხვა პირადი სიკეთისთვის, რასაც მაშინ თავი ავარიდეთ. და მაინც, რაც მაშინ წაგებად გვეჩვენებოდა მოკლევადიანი გათვლით, დასასრულს საკვანძო მნიშვნელობის გამოდგა ჩვენი მარადიული ხვედრის მთავარი კარის გაღების საქმეში.

ჩვენი დავალება

მოწოდებული ხართ ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა – რწმენის დიდი გმირების ჩათვლით. სავარაუდოდ, თქვენი მოწოდება ორგანიზებული ეკლესიის სფეროს არ მიეკუთვნება, რადგან ამ მიმართულებით მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის, ადამიანთა მცირე ჯგუფი შრომობს. თქვენ გაქვთ პრივილეგია, იყოთ აღმატებული და გამოჩნდეთ ცხოვრების იმ სფეროში, სადაც წარგზავნილი ხართ.

- დანიელი *გამოირჩეოდა* ბაბილონის მთავრებში (იხ. დან. 6:3);
- იოსებმა *თავი გამოიჩინა* ეგვიპტის დიდ ერში (იხ. დაბ. 41:39);
- ფებემ *თავი გამოიჩინა* როგორც სახარების მსახურმა კენქრეში (იხ. რომ. 16:1);
- არც თქვენი მოწოდება განსხვავდება ჩამოთვლილისგან.

თქვენ გამორჩეული ნიჭი გაქვთ. ღმერთმა ისეთი უნარები გიბოძათ, რაც თქვენი მისიის შესრულებისთვის გჭირდებათ.

დავაკვირდეთ, რას ამბობს წერილი ბეცალელისა და მისი მუშაკების შესახებ: „შეუდგნენ საქმეს ბეცალელი, ოჰოლიაბი და ყველა ოსტატი, რომელთაც მიანიჭა უფალმა სიბრძნე და გონიერება, საწმიდარისთვის საჭირო საგნების გასაკეთებლად უფლის ბრძანებისამებრ“ (გამ. 36:1). ამ კაცებს არ მიეცათ მოსეს, აჰარონისა და მისი ძეების მსგავსად ღვთის სიტყვის ლაპარაკისა და ხალხის მსახურების ნიჭი. ღმერთმა მათ თავიანთი ხელებით კარვის აგებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები უბოძა.

თქვენც გაქვთ ღვთის კარვის აგებისთვის აუცილებელი უნარები, რომელიც მაღლიდან მოგეცათ. თუმცა ეს საწმიდარი არ არის დამზადებული ოქროს, ვერცხლის, სპილენძის, ძვირფასი ქვების, მაჩვის ტყავის, წმიდა სელის, აკაციის ხის ან სხვა მასალებისგან, რომლებიც ძველი აღთქმის კარვის ან იერუსალიმის ტაძრისთვის გამოიყენებოდა. დღეს ღვთის კარავი ცოცხალი ქვების – ადამიანებისგან შენდება და ისინი ღვთის სამკვიდრებლად იგებიან (იხ. 1პეტრ.2:5 და ეფეს.2:20-22). თქვენ გაქვთ ღვთის სადიდებლად ხალხის აშენების ნიჭი.

თქვენ გაქვთ გამრავლების ძალა. ჩვენ ღვთივბოძებული ნიჭების მნეები ვართ და მისი სურვილია, რომ მე და თქვენ ყველაფერი უკან დავუბრუნოთ გამრავლებული, რაც ამ ნიჭების მეშვეობით წარმოიშვა. გამრავლებისთვის აუცილებელია ვეძებოთ ზეციური სტრატეგიები. წინამძღოლებმა შეიძლება გვასწავლონ პრინციპები, მაგრამ ეს უნიკალური, ზეციური სტრატეგიები პირადად უნდა მივიღოთ; ამას სახელმძღვანელოს მეშვეობით ვერ შეისწავლით და ვერც საკლასო ოთახში გაიგებთ.

ჩვენ, ლიდერებს მხოლოდ ის ძალგვიძს, რომ მის საძიებლად და ღვთის ხმის მოსასმენად წაგახალისოთ. დაემორჩილეთ მას მაშინაც, როცა ეს უმნიშვნელო გეჩვენებათ. როგორც წესი, ბოლოს გამრავლებით სრულდება ის, რაც ერთი შეხედვით ტრივიალურია. გახსოვდეთ, რომ მდოგვის მარცვალი ყველა თესლზე მცირეა, რომელიც უდიდეს ხედ გადაიქცევა.

თქვენ გაამრავლებთ ინვესტირებით. ამას მრავალი ფორმა აქვს, მაგრამ როცა დავიწყებთ, კურთხევების მოსავალს მოვიმკით. თუ თესლი დაუთესავი (დაუბანდებელი) დარჩა, მარტო იქნება, მაგრამ ინვესტიციისას დიდ მოსავალს მოიტანს. ერთხელაც მოვა დრო, როცა არჩევანის წინაშე დადგებით – მოსავალი მოაგროვოთ თუ ხელახლა გაუშვათ ბრუნვაში. არასოდეს შეწყვიტოთ დაბანდება; ეს ეფექტურობის მომდევნო საფეხურზე ასვლის გასაღებია.

თქვენი კატალიზატორი მსახურება გახლავთ. თუ მსახურების გარდა სხვა მოტივით მოქმედებთ, იმ ადგილას დაასრულებთ, სადაც მოხვედრას არ ისურვებდით. შესაძლოა, სხვების თვალში ძალზე წარმატებულად გამოიყურებოდეთ, მაგრამ შინაგანი ცეცხლისგან დაიცლებით. თქვენი ლამპარი თანდათან მიინავლება და ბოლოს მთლად ჩაქრება. მიუხედავად ამისა, მხნედ იყავით – უფალი არ ჩააქრობს მბჟუტავ პატრუქს. იგი გამუდმებით მიიპყრობს თქვენს ყურადღებას, რომ ეს ცეცხლი გააღვივოს (იხ. ეს. 42:3). რა სფეროშიც არ უნდა შრომობდეთ,

ემსახურეთ ადამიანებს, გიყვარდეთ თვალთმაქცობის გარეშე და გაუძელით ნებისმიერ სირთულეს, რასაც შეხვდებით.

ისურვეთ ცხებულება. ეს თქვენი გამამდიდრებელია. ის საშრომში ბიძგს მოგცემთ, რომ მარადიული მნიშვნელობა ჰქონდეს. ცხებულება ძალას შეგმატებთ და თქვენი მოღვაწეობის სფეროში გამორჩევის საშუალებას მოგცემთ. იგი გამოგყოფთ არა მარტო ქვეყნიერი ადამიანებისგან, არამედ ეკლესიაში მყოფი მორწმუნეებისგანაც, რომლებიც ღვთივბოძებულ ნიჭს ეგოისტური ან ამქვეყნიური მიზნებისთვის იყენებენ.

თქვენ რწმენა უნდა გქონდეთ. ეს ღვთისგან მიღებული პოტენციალის გამრავლების ერთადერთი გზაა. რწმენის გარეშე „შეუძლებელია ღვთისთვის სათნოდ ყოფნა“ (ებრ. 11:6). მის გასაზრდელად ღვთის სიტყვა უნდა ისმინოთ. წერილი გვეუბნება: „რწმენა მოსმენისგან, ხოლო მოსმენა – ღვთის სიტყვისგან“ (რომ. 10:17). სწორედ რომ მოსმენა, მოსმენა და კიდევ ერთხელ მოსმენა დაამკვიდრებს ღვთის სიტყვას მყარად თქვენს გულებში. ამიტომ, გონივრული იქნება, თუ წინამდებარე წიგნს არაერთხელ გადაიკითხავთ. უბრალოდ არ წაიკითხოთ! გადადეთ წიგნი და იფიქრეთ, როგორ გამოიყენებთ ამოკითხულ ჭეშმარიტებებს ცხოვრებაში და შემდეგ შესაბამისად იმოქმედეთ. გაითავისეთ ამ წიგნში სისტემატურად გადმოცემული ღვთის სიტყვა, რომ კითხვის მეშვეობით გულამდე ჩააღწიოს. იფიქრეთ მასზე და ილოცეთ იქამდე, სანამ არ დარწმუნდებით, რომ გამრავლებისთვის ხართ მოწოდებული თქვენს ირგვლივ არსებული მდგომარეობის მიუხედავად. გამრავლების აუცილებლობაში დარწმუნება თანდათან უფრო მეტად გაიზრდება თქვენში და დაძლევს გარემოებების კარნახს.

და ბოლოს, გახსოვდეთ, რომ *ღმერთი თქვენს მხარესაა*! იგი ამბობს:

> „ვინაიდან მე ვიცი ზრახვანი, რაც თქვენზე განვიზრახე“, ამბობს უფალი, „სასიკეთო და არა საბოროტო ზრახვანი“. (იერ. 29:11)

და კვლავ შთამბეჭდავი გზით გვეუბნებიან:

> „ამაზე რაღა ვთქვათ? თუ ღმერთი ჩვენკენ არის, ვინ გამოვა ჩვენს წინააღმდეგ? ის, ვინც თავისი საკუთარი ძე არ დაინდო, არამედ გასწირა ჩვენთვის, განა მასთან ერთად ყოველივეს არ გვაჩუქებს?“. (რომ. 8:31-32)

მოუსმინეთ ამ სიტყვებს და არა იმედის გამაცრუებელ განცხადებებს, რომლებიც *ამ ქვეყნიერების ღმერთისგან* მოდის, ვინც არის მთავარი ცილისმწამებელი და თავგზის ამბნეველი. თქვენი შემოქმედი მზრუნველი მამაა და მისი სურვილია, წარმატებას მიაღწიოთ საშრომში, რისთვისად მოგიწოდათ.

მეც, როგორც ერთ-ერთი მამა რწმენაში, რომელმაც უკვე სამოც წელს გადააბიჯა, თქვენს მხარეს ვარ! მოგიწოდებთ, რომ იმაზე შორს წახვიდეთ, ვიდრე მე და ჩემმა თაობამ მოვახერხეთ. ჩვენ ერთ მეფეს ვემსახურებით, ერთი სამეფოს მოქალაქეები ვართ, ერთი სახლეულის წევრები ვართ, ერთი რწმენა გვაქვს და ერთი მისია – ვაშენოთ ღვთის სახლი, რომელშიც იგი მარადიულად დამკვიდრდება.

მოდი, ერთად ვიშრომოთ. გავხდეთ ერთნი და შევინარჩუნოთ ეს ერთობა. კიდევ ვიხილოთ, როგორ ავსებს ღვთიური დიდებულება მის სამკვიდრებელს. ქვეყნიერების პრობლემებისგან სხვა გამოსავალი არ არსებობს.

მიყვარხართ, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, რომ მამა ღმერთს, მის ძეს, იესო ქრისტესა და სულიწმიდას უყვარხართ. *დაე, მათი სიყვარული მარადიულად დარჩეს თქვენზე.*

„ხოლო ვისაც ძალუძს დაგიცვათ დაცემისგან და უბიწონი წარგადგინოთ თავისი დიდების წინაშე სიხარულით, ერთადერთ ღმერთს, ჩვენს მაცხოვარს ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, დიდება, სიდიადე, ძალა და ხელმწიფება ყოველთა საუკუნეთა უწინარეს, და ახლა და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!“ (იუდ. 24-25)

დაფიქრება

1. ცხებულება ღვთისგან მოძებული უნარების ანთების საწინდარია. როგორ უნდა განავითაროთ ცხებულება? რა განსხვავებას წარმოშობს ცხებულება თქვენი ნიჭების ამოქმედების საქმეში?

2. როგორ უნდა შეინარჩუნოთ ცხებულების სიხალასე? რა ხდება, როცა ცხებულება ნაჩუქარი ჰგონია ადამიანს?

3. ცხოვრების რომელ სფეროში ხართ მოწოდებული, სადაც ცვლილება უნდა მოიტანოთ? რა გზებით გამოგარჩევთ სხვებისგან ცხებულება თქვენი ზეგავლენის კონკრეტულ სფეროში?

„იმიტომ, რომ თუ შენი ბაგით აღიარებ,
რომ იესო უფალია, და შენი გულით ირწმუნებ,
რომ ღმერთმა მკვდრეთით აღადგინა იგი,
გადარჩები. ვინაიდან გულით სწამთ სიმართლე,
ხოლო ბაგით აღიარებენ გადასარჩენად“.

– რომ. 10:9-10

დანართი

ხსნა ყველასთვის შესაძლებელია

ღმერთს სურს, რომ სიცოცხლე უხვად გქონდეთ. მას დიდი მოწადინება აქვს თქვენსა და იმ გეგმის მიმართ, რომელიც თქვენი ცხოვრებისთვის შექმნა. და მაინც, თქვენი დანიშნულებისკენ სვლის დაწყების ერთადერთი გზა ასეთია: ხსნის მიღება ღვთის ძის, იესო ქრისტეს მეშვეობით.

ღმერთმა იესო ქრისტეს სიკვდილითა და აღდგომით გზა გაგიხსნათ მის სამეფოში საყვარელი ძისა და ასულის სახით შესასვლელად. ქრისტეს ჯვარცმის მსხვერპლმა შესაძლებელი გახადა თქვენთვის მარადიული და უხვი სიცოცხლის უსასყიდლოდ მიღება. გადარჩენა ღვთის საჩუქარია. თქვენ მას ვერც დაიმსახურებთ და ვერც გამოიმუშავებთ.

ამ ძვირფასი საჩუქრის მისაღებად, პირველ რიგში, უნდა აღიაროთ თქვენი შემოქმედისგან დამოუკიდებლად ცხოვრების ცოდვა, რადგან ეს არის თქვენ მიერ ჩადენილი ყველა ცოდვის ფესვი. ამგვარი მონანიება გადარჩენის მიღების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. პეტრემ ეს იმ დღეს გააცხადა, როცა ხუთი ათასმა ადამიანმა მოინანია საქმეთა წიგნში: „მაშ, მოინანიეთ და მოიქეცით, რომ წარიხოცოს თქვენი ცოდვები“ (საქმ. 3:19). წმიდა წერილი აცხადებს, რომ ყოველი ჩვენგანი ცოდვის მონად იბადება. ამ მონობის ფესვი ადამის ცოდვიდან მოდის, რაც ნებსით ურჩობის მაგალითია. მონანიება არის არჩევანი, რაც საკუთარი თავისა და სატანის, სიცრუის მამის მორჩილებიდან ახალი ბატონის, იესო ქრისტეს მორჩილებაში გადმოსვლას ნიშნავს, რომელმაც სიცოცხლე გასწირა თქვენს გამოსახსნელად.

იესოს თქვენს ცხოვრებაზე უფლობის ნება უნდა მისცეთ. იესოს „უფლად“ აღიარება მისთვის თქვენს ცხოვრებაზე (სულზე, სამშვინველსა და სხეულზე) – მთელს თქვენს არსებასა და საკუთრებაზე – ბატონობის მინიჭებას ნიშნავს. თქვენზე მისი ძალაუფლება აბსოლუტური ხდება. როგორც კი ამას გააკეთებთ,

ღმერთი სიბნელისგან დაგიხსნით და მისი სამეფოს სინათლესა და დიდებაში გადაგიყვანთ. თქვენ მარტივად გადახვალთ სიკვდილიდან სიცოცხლეში და მისი შვილი გახდებით!

თუ გსურთ გადარჩენის მიღება იესო ქრისტეს მეშვეობით, შემდეგი ლოცვა წარმოთქვით:

ზეციერო მამა, ვაღიარებ, რომ ცოდვილი ვარ და შორს ვდგავარ შენი სიმართლის სწანდარწყებიდან. ჩემი ცოდვებისთვის საუკუნო სასჯელს ვიმსახურებ. მადლობა, რომ ამ მდგომარეობაში არ დამწივე. მჯერა, რომ იესო ქრისწე, ქალწული მარიამისგან შობილი, შენი ერთადერთი ძე გამოგზავნე დედამიწაზე ჩემი სასჯელის ჯვარზე ასაწანად. მჯერა, რომ იგი მესამე დღეს აღდგა და ახლა შენს მარჯვნივ ზის როგორც ჩემი უფალი და მსსნელი. ამრიგად, დღეს ვინანიებ შენგან ჩემს დამოუკიდებლობას და ცხოვრებას მთლიანად იესო ქრისწეს უფლობას გადავცემ.

იესო, ჩემს უფლად და მსსნელად გაღიარებ. შემოდი ჩემს ცხოვრებაში შენი სულით და მაქციე ღვთის შვილად. ვინანიებ სიბნელის საქმეებს ჩემს ცხოვრებაში. შენი მადლით ვიცოცხლებ შენთვის, ვინც საკუთარი თავი გასწირა, რომ მარადიულად მეცოცხლა.

მადლობა, უფალო. ახლა ჩემი ცხოვრება მთლიანად შენს ხელშია და შენი სიწყვის თანახმად, არასოდეს ვიქნები შერცხვენილი. იესოს სახელით, ამინ!

კეთილი იყოს თქვენი შემობრძანება ღვთის ოჯახში! მოგიწოდებთ, რომ ეს საოცარი ახალი ამბავი სხვა მორწმუნეს გაუზიაროთ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ შეუერთდეთ ბიბლიის მორწმუნე ადგილობრივ ეკლესიას და იმ ადამიანებს, რომლებიც ახალ რწმენაში გაგამხნევებენ. შეგიძლიათ, ჩვენს მსახურებას დაუკავშირდეთ (ეწვიეთ Messenger International.org-ს) თქვენს საცხოვრებელ არეალში ეკლესიის საპოვნელად.

თქვენ ეს-ეს არის წამოიწყეთ შესანიშნავი მოგზაურობა. დაე, ყოველდღიურად გაიზარდეთ გამოცხადებაში, მადლში და ღმერთთან მეგობრობაში!

მადლიერება

თქვენს ხელთ არსებული წიგნი გუნდური ძალისხმევის ნაყოფია, ამიტომ მინდა რამდენიმე თანამშრომელს მადლობა გადავუხადო ამ საქმეში შეტანილი წვლილისთვის:

ბრიუს ნაიგრენი: მადლობა შინაარსის რედაქტირების გამოცდილებისთვის. თქვენ კიდევ ერთხელ აიღეთ ჩემი ნაშრომი და ბევრად ადვილი წასაკითხი გახადეთ ისე, რომ ჩემი ხმა არ დაკარგულიყო. მადლობა დასმული რთული კითხვებისთვის, რამაც წიგნი, საბოლოო ჯამში, უფრო ზუსტი და ძლიერი გახადა.

კორი ემბერსონი, ლორა უილბური და **ლორან ჯონსონი**: მადლობა, რომ უზრუნველყავით გრამატიკის, პუნქტუაციისა და სტილის სიზუსტე და თანმიმდევრულობა ჩემს სათქმელში. აღფრთოვანებული ვარ თქვენი ნიჭით.

ქრის პეისი: მადლობა თქვენი უსაზღვრო წახალისებისთვის ამ ხელნაწერის ყოველი ახალი თავის წაკითხვისას. განსაკუთრებული მადლობა მე-14 თავის ფორმირებაში დახმარებისთვის. თქვენი წვლილი შეუფასებელი იყო.

ედისონ ბევირი: მადლობა თქვენი რედაქტირების უნარისა და რთული კითხვებისთვის, რამაც წიგნის სათქმელი უკეთესი და ზუსტი გახადა. ყველაზე მეტად მადლიერი ვარ იმის გამო, რომ ერთგული და გამამხნევებელი შვილი ხარ.

ალან ნაიგრენი: მადლობა წიგნის მაკეტისა და გარეკანის შესანიშნავი დიზაინისთვის. აღფრთოვანებული ვარ თქვენი ნიჭით!

***მესინჯერის* საერთაშორისო გუნდს**: თითოეული თქვენგანი ძალიან ბევრს შრომობს კულისებს მიღმა ღვთის სამეფოს მშენებლობისთვის. თქვენთან ერთად გავიხარებ იმ დღეს, როცა იესოს მიერ თქვენი უანგარო მსახურებისთვის დაჯილდოების მოწმე გავხდებით.

ღვთის წმიდა სული: ჩემი უდიდესი მადლიერება შენ გეკუთვნის! წიგნის სათქმელი დღის სინათლეს ვერასოდეს იხილავდა შენი ხელმძღვანელობისა და სიბრძნის გარეშე. დიდად მადლიერი ვარ ჩემი უფლისა და უდიდესი სიყვარულის, იესო ქრისტეს ზრდადი გამოცხადებისთვის. მთელი გულით მიყვარხარ და ჩემთვის დიდი პატივია შენი მსახურება და თანამშრომლობა.

მარადისობით ამოძრავებულნი

გახადეთ თქვენი ცხოვრება ღირსეული
დღეს და სამარადისოდ

ერთ დღესაც ღვთის წინაშე წარსდგებით და თქვენი ცხოვრების ანგარიშს ჩააბარებთ. ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა, რომელიც საკუთარ თავს ახლა უნდა დაუსვათ, შემდეგია: იმ დროს მზად ვიქნები?

ქრისტიანთა უმეტესობამ იცის, რომ ჯვარცმაზე მათი გამოხმაურება განსაზღვრავს მათ ხვედრს მარადისობაში. და მაინც, იცით თუ არა, რომ მარადისობაში თქვენს ადგილს თქვენი ამჟამინდელი ცხოვრების საქმეები განსაზღვრავს?

ღმერთს სურს, რომ აღმოაჩინოთ თქვენი მოწოდება – მას არ სურს სიბნელეში იყოთ. ფაქტობრივად, მას მთელი გულით სწადია, რომ იპოვოთ აზრი და მიზანი, რაც დედამიწაზე თქვენი ადგილის გაცნობიერებით მოდის.

უკანასკნელი ამოსუნთქვის შემდეგ დაწყებული ცხოვრება დანიშნულების ადგილზე მეტია. ნუ მოიცდით იქამდე, სანამ ძალზე გვიანი არ იქნება. აღმოაჩინეთ ღვთისგან ბოძებული ხვედრი მარადისობაში და თქვენი ცხოვრება ღირსეული გახადეთ დღეს და სამარადისოდ.

ჩამოტვირთეთ: MessengerX.com

აფაბელი

აუდიო სპექტაკლი

„აფაბელი“ ჯონ ბევირის ეპიკურ-ალეგორიული ნაწარმოები გახლავთ. იგი სარკმელს წარმოადგენს, რომელიც ამქვეყნიური რეალობის მიღმა გვახედებს და ღვთის სამეფოს მრავალ ჭეშმარიტებას ცოცხალი სახით წარმოგვიდგენს. მორწმუნეთათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს მარადიულობის თვალთახედვით ცხოვრებას, მიუხედავად იმისა, რომ მისი აღქმა ძნელია.

თქვენც შეუერთდით დიდებულ მეფე ჯეილინს, ბნელეთის ბატონ დაგონს, მოწყალებას, დამოუკიდებელსა და სხვებს. აღმოაჩინეთ აფაბელის საოცარი ტერიტორიები და გარესკნელის საშინელი მიწა ლონი. თქვენი ცხოვრება გარდაიქმნება, როცა ზემოხსენებული პერსონაჟების ამბავი თქვენს საკუთარ გულისნადებს გამოავლენს.

აფაბელის აუდიო სპექტაკლის ეპიზოდები მეტად მიმზიდველი მოსასმენია და წიგნის (*მარადისობით ამოძრავებულნი)* დინამიურ და თვალსაჩინო ნაწილს წარმოადგენს.

ᲩᲐᲛᲝᲢᲕᲘᲠᲗᲔᲓ: MessengerX.com

გაანადგურე კრიპტონიტი!

გაანადგურე ძალის მპარავი!

სუპერმენის მსგავსად, რომელსაც ნებისმიერი დაბრკოლების გადალახვა და მტრის დამარცხება შეუძლია, ქრისტეს მიმდევრებსაც აქვთ გამოწვევების წინაშე დგომისა და გამარჯვების ზებუნებრივი უნარი. თუმცა, ჩვენსა და ამ გმირის ცხოვრებაში ერთი საერთო პრობლემა არსებობს. ეს გახლავთ კრიპ-ტონიტი, რომელიც ძალას გვპარავს.

რასაკვირველია, სუპერმენი და კრიპტონიტი ფანტაზიის სფეროს მიეკუთვნე-ბა, მაგრამ სულიერ კრიპტონიტზე იგივეს ვერ ვიტყვით.
ეს წიგნი პასუხებს გვთავაზობს კითხვაზე, თუ რატომ არ აქვს ბევრ ჩვენ-განს ღვთიური ძალა, რომელიც ასე თვალსაჩინო იყო პირველი საუკუნის ქრისტიანთა ცხოვრებაში.

წიგნში „გაანადგურე კრიპტონიტი!“, ჯონ ბევირი ააშკარავებს კრიპტონი-ტის რაობას, თუ რატომ მიდიან მასთან კომპრომისზე ჩვენს ეკლესიებში და როგორ უნდა გავთავისუფლდეთ მისი ბორკილებისგან.
არა სიმხდალისთვის, „გაანადგურე კრიპტონიტი“ სულიერი შაქრის ამწევია. ეს სერიოზული ჭეშმარიტებაა ნებისმიერი ქრისტეს მიმდევრისთვის, რომე-ლიც ცდილობს ჩაეჭიდოს ტრანსფორმაციის გამომწვევ, თუმცა ღირსეულ გზას.

ᲩᲐᲛᲝᲢᲕᲘᲠᲗᲔᲓ: **MessengerX.com**

სადა ხარ,ღმერთო!

იპოვე ძალა და მიზანი შენს უდაბნოში!



შესაძლოა, ადრე ღვთის ხმა გესმოდათ, მაგრამ ახლა ის დუმს. რწმენაში წინ წაწევაც შეძელით, მაგრამ ახლა მისი თანდასწრება ვერსად გიპოვიათ. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება უდაბნოში – ღვთისგან აღთქმის მიღებასა და მისი აღსრულების ხილვას შორის არსებულ ადგილზე.

თუმცა კარგი ამბავიც გვაქვს – ეს არ გახლავთ უმიზნო და ფუჭი მიწა. ღმერთი უდაბნოს თქვენი დანიშნულებისთვის მზადებისა და აღჭურვისთვის იყენებს – იმ შემთხვევაში, თუ მასზე სწორად გაიკვლევთ გზას. შესაძლოა, ბევრ ადამიანს განსხვავებული აზრი ჰქონდეს, მაგრამ ამ პერიოდის გავლა მხოლოდ ღვთის მოლოდინის საკითხი როდია. უდაბნოში გზის გასაკვლევად თქვენი ფუნქცია უნდა შეასრულოთ. დიდი ფუნქცია. და თუ არ გსურთ აქ უგზო-უკვლოდ ხეტიალი, უნდა იცოდეთ, რაში მდგომარეობს ის.

ბესთსელერების ავტორი ჯონ ბევირი ამ თვალისამხელი წიგნის მეშვეობით საკვანძო ბიბლიური მიგნებებით და საფუძველჩამყრელი ამბებით აღგჭურ-ვავთ, რომ გამომშრალ და რთულ დროს ნავიგაციაში დაგეხმაროთ და იმ ყველაფერში შეაბიჯოთ, რაც ღმერთს თქვენთვის აქვს განსაზღვრული.

ჩამოტვირთედ: MessengerX.com

MessengerX

დამოწაფეგის მოგზაურობა ყველასთვის და ყველგან



- **უფასოდ 110 სხვადასხვა ენაზე**
- **თქვენი ზრდის ზედამხედველური რესურსები**
- **ხელმისაწდომია როგორც აპლიკაციით, ისე ონლაინ რესურსის სახით**
- **თქვენი ისტორიისა და დამოწაფეგის გზისთვის თვალის მიდევნეგა**

მიიღეთ დამოწაფეგის რესურსეგის მთლიანი მესინჯერ-ბიბლიოთეკა ელექტრონული წიგნეგის, აუდიო-წიგნეგის, მოკლემეტრაჟიანი ფილმეგის, ვიდეო სწავლეგის, ბიბლიეგისა და სხვათა სახით, რომ უყუროთ, წაიკითხოთ და მოუსმინოთ ყველა ციფრულ მოწყობილოგაზე.



MessengerX.com

GET IT ON Google Play

Download on the App Store

მიიღეთ მთელი მსოფლიოს მასშტაბით _ App Store და Google Play.

გამრავლების რესურსების ნაკრები

სახელმძღვანელო, რომელიც ახლა ხელში გიჭირავთ, ჯონ ბევირის *გამრავლების* პროგრამის ნაწილია. მისი წაკითხვით, თანმხლები სასწავლო მასალების გამოყენებით, რომლებიც თანდართულ DVD დისკზეა განთავსებული, ასევე MessengerX.org-დან ჩამოტვირთვით შეძლებთ ამ დინამიური და ცხოვრების შემცვლელი სწავლების ყველა ნაწილის ათვისებას. თუ მას სათანადოდ მოეკიდებით, თქვენს ქრისტიანულ ცხოვრებაზე ზეგავლენას მოახდენს, გააუმჯობესებს და ღვთისთვის მეტის კეთებას შეგაძლებინებთ.

გამრავლების პროგრამა შემდეგ კომპონენტებს მოიცავს. ჩამოტვირთეთ ყველა მათგანი თქვენს ციფრულ მოწყობილობაზე:

- *გამრავლების* სახელმძღვანელო წიგნი.
  პროგრამის ერთადერთი ბეჭდური ნაწილი. ის ასევე ერთვის სასწავლო პროგრამის DVD დისკს ელექტრონული წიგნის სახით.
- *გამრავლების* სასწავლო პროგრამის DVD დისკი.
  თანდართული დისკი მოიცავს პროგრამის ყველა მასალას ციფრულ ფორმატში. ამ DVD დისკის გამოყენება შეუძლებელია სახლის DVD პლეიერზე. თუმცა ყველა ფაილის ჩამოტვირთვა და ნახვა შეგიძლიათ ტაბლეტზე, კომპიუტერსა და სმარტფონზე.
- *გამრავლების* აუდიო წიგნი. *გამრავლების* სახელმძღვანელო წიგნის ყველა ნაწილი წაიკითხეთ MP3 ფორმატში თქვენს მშობლიურ ენაზე.
- *გამრავლების* ვიდეოსწავლების გაკვეთილები.
  თორმეტივე ვიდეოსწავლების გაკვეთილი MP4 ფორმატში.
- DVD დისკი ასევე მოიცავს სხვა წიგნებსა და რესურსებს შემდეგი ციფრული წიგნების ჩათვლით: *„სადა ხარ, ღმერთო?!“* და *„მარადისობით ამოძრავებულნი“.*

დამატებითი სასწავლო რესურსები, ხელმისაწდომია:

MessengerX.com და ასევე **MessengerX** App

ყველა ეს პროგრამული რესურსი საჩუქარია!

შეგიძლიათ, გააკეთოთ დისკის ასლები, გადაიღოთ მასალები, ელ. ფოსტით გაუგზავნოთ მეგობრებს, დააკოპიროთ და გადაიტანოთ ტექსტი Word-ის დოკუმენტში, სწავლება გაუგზავნოთ თქვენს ეკლესიას, ატვირთოთ ინტერნეტში სხვებისთვის გამოსაყენებლად. გაგზავნეთ ეს რესურსები ყველგან, სადაც ღვთის სიტყვისა და ძალით აღვსილი ქრისტიანული ცხოვრების შესახებ კარგი სწავლების წყურვილია.

მეტი ინფორმაცია *„გაანადგურე კრიპტონიტი!“-ის* სასწავლო პროგრამის კომპონენტებზე:

- **ამ დისკზე არსებული ფაილები არ გამოდგება ჩვეულებრივი ვიდეოფლეიერისთვის**. ისინი წარმოადგენენ „შერეულ მედია-ფაილებს“ ვიდეო, აუდიო და ტექსტური ფაილების ერთობლიობით. მათი ნახვა შესაძლებელია მხოლოდ კომპიუტერზე ან რომელიმე სხვა ციფრულ მოწყობილობაზე.
- MP4 **ვიდეო ფაილები** შეგიძლიათ, ჩამოტვირთოთ და ნახოთ ტაბლეტზე ან კომპიუტერზე.
- MP3 **აუდიო ფაილები** შეგიძლიათ, ჩამოტვირთოთ თქვენს აუდიოფლეიერზე, სმარტფონზე ან კომპიუტერზე.
- PDF **ციფრული ფაილები** შეგიძლიათ, ჩამოტვირთოთ თქვენს აუდიოფლეიერზე, სმარტფონზე ან კომპიუტერზე. ადვილად შესაძლებელია მათი წაკითხვა, ამობეჭდვა ან გამრავლება.

ჩამოტვირთედ: MessengerX.com

ეს სასწავლო პროგრამა და ჯონ და ლიზა ბევირების სხვა სწავლებების მოძიება შესაძლებელია მესინჯერის უფასო ვიდეოჩვენების მეშვეობით ან რესურსების ჩამოტვირთვით შემდეგი ვებგვერდიდან:

MessengerX.com

Download on the App Store

GET IT ON Google Play

ყოველდღიური დამოწაფება ყველასთვის და ყველგან.
სრულიად უფასოდ 110 ენაზე. აქციეთ სულიერი
ზრდა თქვენი ყოველდღიურობის ნაწილად!

„მოდი, უკან არაფერი მოვიტოვოთ და თავი წარმოვიცარიელოთ, სრულიად გადავვაროთ ღვთისადმი მიტანილი ძღვენის სახით. ეს სიცოცხლეა. სწორედ ამ შემთხვევაში ვიცოცხლებთ და გვექნება სიცოცხლე მთელი სიუხვით“.

– ჯონ ბევირი

ოდესმე გიგრძვნიათ, თითქოს მხოლოდ მაყურებელი ხართ ღვთის სამეფოში? შესაძლოა, იცით, რომ არსებობს თქვენი საკეთებელი საქმე, მაგრამ ზუსტად ვერ გაგირკვევიათ, რა არის ეს. უმეტეს ჩვენგანს საკუთარ ცხოვრებაზე დიდი ზეგავლენის მოხდენა სურს, მაგრამ გარკვეული კითხვები აწუხებს:

- როგორ უნდა დავრწმუნდე, რომ ჩემს ცხოვრებაზე ღვთის ნებას არ ავცდი?
- რა როლს ასრულებს ჩემი უნიკალური ნიჭები ღვთის სამეფოს შენების საქმეში?
- როგორ დავრწმუნდე, რომ ღვთისგან ბოძებული პოტენციალის შესაბამისად ვცხოვრობ?
- არის თუ არა ჩემი მოწოდება ნაკლებად მნიშვნელოვანი, თუ „კათედრის მსახურებაში“ არ ვარ?
- როგორ უნდა დავიცვა წონასწორობა ღვთის მადლში დარჩენასა და მისი სამეფოსთვის გონივრული ნაბიჯების გადადგმას შორის?
- როგორ უნდა დავძლიო შიში და წინ წავიდე მაშინაც კი, როცა ეს გაურკვეველი და სარისკოა?

ამ ძირეული მნიშვნელობის წიგნში ბესთსელერების ავტორი, ჯონ ბევირი წმიდა წერილის გულმოდგინე კვლევას ეყრდნობა და შინაარსიან ისტორიებს იყენებს თქვენს დასახმარებლად, რომ სხვაგვარად იფიქროთ მოწოდებასა და ღვთისთვის მის მნიშვნელობაზე. როცა წიგნის ფურცლებს ჩაიკითხავთ, ღვთივბოძებული ნიჭების გამრავლებისთვის აღჭურვილი იქნებით და ნაბიჯს გადადგამთ თქვენი პოტენციალის გამოსაყენებლად.
თუ მზად ხართ, რომ უმოქმედობა დიდი მიზნებისკენ სვლით შეცვალოთ, თქვენი მოგზაურობა აქ იწყება.

წიგნს „გაამრავლე“ თან ერთვის DVD რესურსდისკი



ჯონ ბევირი საერთაშორისო მასშტაბის მქადაგებელი და ბესთსელერების ავტორი გახლავთ, რომელიც ცნობილია ღვთის სიტყვის გაბედული და უკომპრომისო სწავლებით. ის და მისი მეუღლე ლიზა Messenger International-ის დამფუძნებლები არიან. ეს გახლავთ ქრისტეს თავდადებული მიმდევრების გამოზრდაზე ორიენტირებული მსახურება, რომლებიც ჩვენს მსოფლიოს გარდაქმნიან. როცა ჯონი კოლორადოშია, მას კონკურენტულ ბანქოს თამაშებში გართულს ნახავთ ოჯახთან ერთად ან ლიზას დარწმუნების მომენტში გადააწყდებით, რომ გოლფით დაკავდეს.

MessengerX

უფასოდ ჩამოსატვირთად და ვიდეო რესურსებისათვის ეწვიეთ MessengerX.com

MESSENGER INTERNATIONAL
MessengerInternational.org

წიგნი ავტორის საჩუქარია
და არ იყიდება

ბსურს ვეტი? დასასკანერა.